

# მ ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის  
კვლევის ცენტრის კრებული

## ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора  
Ванского района

## Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore  
Research Centre

3560  
Вани  
Vani  
2019 წ.

№15

## სარჩევი

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარ-ეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სააღდგომო ეპისტოლე	3
2. ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისა და კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეს“ რედაქციისაგან	9
3. სამშობლოსაგან ალერსი დედის ალერსზე ტკბილია (ხალხური)	10
4. მურმან ლეპანიძე – ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო	11
5. ვანის მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტიული მონახაზები 2019 წლისათვის ..	12
6. ავთანდილ ნიკოლეიშვილი ნიკო ნიკოლაძის მოგზაურული ჟანრის ნარატივთა ეროვნული კონტექსტი	26
7. ომარ კაპანაძე „საჩინოს“ ფეოდალურ-ტერიტორიულ საკუთრებათა ლოკალიზაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ	40
8. ოლღა სოსელია ლორთქიფანიძეთა სათავადო	56
9. მაია ჭალიძე მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისაგან იშვა?	61
10. სოფო რამიშვილი სამშენებლო კრამიტები და მათი წარმოება ძველ ვანში	72
11. არჩილ ტაკიძე ებრძოდა თუ იცავდა სტალინი რელიგიას?	75
12. საარქივო მასალები ვანის თემსაზოგადოების მცხოვრებთა აღწერის შესახებ	87
13. თეიმურაზ ღვინიაძე საქართველოს რეალური ისტორიის ასპექტები	91
14. ირინე მანკაძე ანტიკური ვანისა და გელათის მოზაიკები	94
15. ელენე გეგუშიძე ქართული არქეოლოგიური მეცნიერების დიდი დანაკარგი – გურამ ლორთქიფანიძის ნათელ ხსოვნას	98
16. აკაკი თევზაძე პოეტი ლადო სულაბერიძე - 100	100
17. ლალი სულაბერიძე იმერული „აჩაჩა“ (დაბალი) ურემი	105
18. ომარ გაგუნია ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია და მათი ურთიერთობა ადგილობრივ მცხოვრებლებთან	112
19. აკაკი თევზაძე კაპასი ქალის სახე ვანელ ავტორთქმელთა შემოქმედებაში	119
20. თეიმურაზ ადგიშვილი გამოჩენილი ვანელი მეცნიერი – გიორგი სულაქველიძე	125
21. ანზორ შარაშენიძე	129
22. ნაკოლაონ ლორთქიფანიძე დიდი პედაგოგი, აკადემიკოსი – დავით ლორთქიფანიძე	131

საპუბლიკო საქარტიველოს კათოლიკოს ვატიკანის,  
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და  
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის,  
უზონდის და უნეტარისის ილია მმრის  
სააღმსახურებო მისტიკა

ყოველდღისადაც მღვდელმთავარნი, ღირსნი მოძღვარნი, დიაკონნი, ბერ-მონაზონნი, ხელისუფალნი, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნი წევრნი, მკვიდრნი ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულენი, ქრისტე აღდგა!

„მოდით და ნახეთ გოლგოთა, სადაც ეშმაკი სასიკვდილოდ დაიჭრა და სიკვდილი განქარდა, მოდით და ნახეთ აკლამა, სადაც დადგინდა ჩვენი აღდგომის წესი; ადგილი, რომელიც უხრწნელების დასაბამად იქცა და სინარულით აღმოთქვით: „სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი; სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?!“.

ქრისტე აღდგა!

„დასჯილი ევა განდმრთობილია, გაძევებული ადამი, – მოწოდებული, წყველა გაუქმებული, სიკვდილი, – დაძლეული, ეშმაკი – განგმირული, მისი მსახურნი კი, – სირცხვილეულნი და ძლეულნი“ (წმ. იოანე თქროპირი).

იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომით ყველა ადამიანში დაძლია სიკვდილი, რაც თბეუბად განხორციელდა:

განკაცებისას მან ცოდვის არმქონე სრული ადამიანური ბუნება მიიღო, გაამდიდრა იგი საღმრთო ღირსებებით (კაცობრივი ბუნების თვისებების სრული დაცულობით) და ამ გზით განდმრთობის საშუალება მისცა ყველა ადამიანს.

მეორე საფეხურზე კი აღდგომილია მაცხოვრებელს მოკვდავი სხეულის ნაცვლად ახალი, უხრწნელი, არსობრივად შეცვლილი, დაცემადელი ადამის მსგავსი, სულიერი სხეული შეიმოსა; მისმა ადამიანურმა ბუნებამ სხვა თვისებები შეიძინა და განდა დასაბამი კაცობრიობის მკვდრეთით აღდგომისა; იგია პირველი შესვენებულთა, რადგან მიიღო ის სახე, რომელიც ექნებათ მართალთ მეორედ მოსვლის შემდეგ, როცა სიკვდილი უკვე აღარ იარსებებს და იქნება ახალი ცა და ახალი ქვეყანა.

– რა ვიცით ცათა შინა მყოფ მართალთა შესახებ, როგორი სახით არიან ისინი ზეცად?

– მართალნი არიან უკვდავნი, უხრწნელნი, უვნებელნი და ჩვენთვის მიუწვდომელ სხვა მრავალ სიკეთეთა მქონენი, თლხნდ ნეტარების ხარისხით განსხვავებულნი; თუმცა შევნიშნავთ იმასაც, რომ დიდი წმინდანებიც ჯერ არ არიან სრულ ნეტარებაში, რადგან მათ სულებს, მაცხოვრის აღდგომილი სხეულის მსგავსი, თავისი უკვდავი და უხრწნელი სხეული არ შეუმოსავთ. „ღმერთმა ჩვენთვის უმჯობესი წინასწარ გაითვალისწინა, რათა ისინი (მართალნი) უჩვენოდ არ გამხდარიყვნენ სრულქმნილნი (ებრ. 11, 40)“, – წერს პავლე მოციქული.

– რატომ არის სულით და ხორციით განდმრთობა აუცილებელი?

– ასეთად შევიქმენით! მაგალითად, ანგელოზები მხოლოდ სულნი არიან. ადამიანი კი თავის თავში აერთიანებს სულსა და ხორცს, ანუ ხილულ და უხილავ სამყაროს. სხეულით იგი მატერიალურ (ხიფთიერ, მკენარეულ და ცხოველურ სამყაროს) მოიცავს, სულით კი, – ანგელოზთა თანაზიარია. ბუნებითად ყოველს შემოქმედებს, ყოველს მომცველი მხოლოდ უფალია. მან იხება, რომ

ჩვენც მსგავსი პატივი გვექონოდა და ამიტომაცაა ადამიანის დანიშნულება განსაკუთრებული.

– როგორ აღდგება, მაგალითად, ათასი წლის წინ გარდაცვლილის სხეული, როდესაც მისი ძვლებიც კი შეიძლება აღარ არსებობდეს?

– მიწაში დაფლული ხრწნადი სხეული სტიქიონებად იშლება, მაგრამ ღმერთი მას კვლავ შემოკრებს და განსხვავებული სახით აღადგენს; როგორც მაგნიტი ქვიშის გორაში გაბნეულ რკინის ნამცეცებს ადვილად გამოარჩევს, ასევე ჩვენი სულიც, უფლის ყოველსშემძლეობით, თავის უხრწნელ სხეულს შეიმოსავს, როცა ეს ჟამი დადგება.

– როდის მოხდება ეს?

წმინდა ეკლესიის სწავლებით, ეს მოხდება მაშინ, როდესაც ადამიანთა შორის უკიდურესი სიმძაფრით გამოვლინდება ცოდვა და მათი უდიდესი ნაწილისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება სიწმინდეს, ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ღვთის სათნო წეს-ჩვეულებებს... როდესაც ღვთისა და მოყვასის წმინდა სიყვარულს შეენაცვლება ვნებებისადმი თავაშვებული ლტოლვა და ადამიანები იქნებიან გამოტრეულიად ამპარტყავანნი, თავისმოყვარენი, ამასთან მგმობელნი, მოშობლების უბრძნო, ერთმანეთის მოძულენი, ცილისმწამებელნი, შეურიგებელნი, სასტიკნი, თავხედნი, კეთილის მოძულენი... (2 ტიმ. 3, 2-4).

თუმცა ქრისტეს წმინდა ეკლესიას ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ მოერევინან. დიდი განსაცდელების მიუხედავად, იგი ბოლომდე უბიწოდ და შეურყენელად დაიცავს მაცხოვრის მცნებებს, წმინდა გარდამოცემას, წმინდა მამების სწავლებას, შვიდი მსოფლიო კრებისა და ათი ადგილობრივი კრების განჩინებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს კვლავაც ექნება შესაძლებლობა განწმენდისა და გადაარჩენისა; ანუ იმედი არასოდეს ჩაქრება, რასაც თავისი უდიდესი ბრწყინვალეობით აღდგომის დღესასწაული გვიცხადებს.

რაც შეეხება ქვეყნიერების აღსასრულის ზუსტ დროს, იგი დაფარულია თვით ანგელოზთათვისაც, თუმცა ცაკლეული წინასწარი ნიშნები ამ დღის დადგომისა განკაცებულია უფალმა გვაუწყა.

ბოლო ჟამის შესახებ საგულისხმოა აგრეთვე წმინდა წერილში გადმოცემული ისტორიაც სოლომოსა და გომორის შესახებ, სადაც გაბატონებულმა უკიდურესმა გარყვნილებამ და ზნედაცემულობამ ღმერთი იმდენად განარისხა, რომ მათი განადგურება გადაწყვიტა. აბრაამ მამათათავარი უფალს ევედრებოდა, რომ ამ ქალაქებში თუ თბოცდაათი, ან თუნდაც უფრო მცირე რაოდენობით იქნებოდნენ მართალნი, არ აღეგავა ისინი პირისაგან მიწისა. უფალმა დაუთმო და ბოლოს ათზე დათანხმდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლოთის ოჯახის გარდა, მართალი არავინ იყო.

ასე რომ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ ვცხოვრობთ, როგორი იქნება ჩვენი ბრძენა და სიყვარული; ეს განსაზღვრავს არა მარტო პირადად ჩვენს მომავალს, არამედ, – ქვეყნის და მსოფლიოს ხვედრსაც.

– რა მოხდება მეორედ მოსვლის შემდეგ?

– მეორედ მოსვლისას საბოლოოდ განისჯებიან ყოველნი, – ცოდვილნიც და მართალნიც, რათა არცერთ ადამიანს თავისი სიკეთის ამქვეყნად გამოვლენილი მისხალიც არ დაეკარგოს, მის სახელზე ახლობელთა და სხვათაგან აღსრულებული ქველი საქმენი მიეთვალოს და უკანასკნელი მსჯავრი უკეთესი მიეგოს.

ნეტარების ღირსნი ხლებიან როგორც მართალნი, ასევე ის ქრისტიანები, რომლებიც სინანულით აღესრულნენ, მაგრამ სიცოცხლეში ვერ მოასწრეს ეჩვენებიანათ ამის სათანადო ნაყოფი. ისინი, ღვთის გულმოწყალებითა და ეკლესიის შუამდგომლობით, მიიღებენ ცოდვათა შენდობას.

ხოლო შემდეგ, უხრწნელი სხეულით შემოსილნი, ხატნი და მსგავსნი უფლისა, კვლავ გააგრძელებენ ღვთისკენ დაუსრულებელ სწრაფვას, რა თქმა უნდა, სხვა სახით და სხვა მდგომარეობით, დანარჩენნი კი მარადიულ საზანჯველს დაიძვედრებენ.

სწავლების მიხედვით, თავის გარდაქმნილ, უკვდავ და უხრწნელი თვისებების მქონე სხეულებს, მართალთა მსგავსად, ღვთისაგან განდგომილი ცოდვილნიც შეიმოსავენ, მაგრამ მოუ-

ნანიებელ დანაშაულთა და ენებათა სიმძიმე მათ დაუსრულებელ ტანჯვას განაპირობებს, როგორც მათი ნებაყოფლობითი არასწორი არჩევანისა და მოქმედების შედეგს.

ეკლესიაში მაცხოვრისა და მისი მოწაფეებისაგან დადგენილი ნათლობის წესის აღსრულებით ადამიანს ყველა ცოდვა მიეტივება და სულიწმინდის ნიჭის თანახმად ამ ქვეყნად ყველა მართლმორწმუნე ხდება; ამასთან ადამიანს ადმატებულის, რადგან ეს მადლი ჩვენს პირველმშობლებს საჩუქრად, დამსახურების გარეშე, ჰქონდათ დედამიწაზე, ედემში; ქრისტიანებს კი იგი ეძლევათ მაცხოვრის უდიდესი გამომსყიდველი მსხვერპლისა და პირადი სულიერი ღვაწლის შედეგად და ამასთან, მარადიული ნეტარების დასამკვიდრებლად; მაგრამ მის შენარჩუნებას ბოროტის მიერ დაგებული ათასგვარი განსაცდელის გამო, მცირედნი თუ აღწევენ.

ამიტომაც ნათლობა არ არის საკმარისი ჩვენს გადასარჩენად და შემოქმედთან აღდგენილი კავშირის შესანარჩუნებლად. მითუმეტეს დღეს, როდესაც განსაკუთრებით დამძიმდა ღრთ და ჩვენი ცოდვებიც, აუცილებელია მაცხოვრის მიერ ბოძებული ასევე უდიდესი საიდუმლოც სინანულისა, რომლის მადლითაც უფალი შეიწირავს რა ჩვენს გულწრფელ აღსარებას, ღირსგვეოფს დაუსჯელად მივიღოთ წმინდა ზიარება და ცოდვებიც აღგვეხოცოს.

სამწუხაროდ, ყოველთვის იყვნენ და ახლაც, მითუმეტეს, მრავლად არიან კადნიერნი, რომელნიც უარყოფენ ღვთის არსებობას, ან შემოქმედს სამართალს უწუნებენ და მიაჩნიათ, რომ თვითონ უნდა შექმნან ახალი რეალობა, ახალი სამყარო.

ათეისტური სულისკვეთების მქონენი ეყრდნობიან თავის გონებას და იმ მონაცემებს, რისი შეცნობის საშუალებასაც ჩვენი გრძნობის ხუთი ორგანო იძლევა; მათ არ იცინან და არც სურთ იცოდნენ რაიმე ადამიანის ბუნების საუკეთესო და ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე, – სულიერ ცნობებზე. მათთვის სიტყვა „ცოდვა“, „განწმენდა-კათარზისი“, ისეთივე გაუგებარია, როგორც „თავმდაბლობა“ ან „სინანულის განცდა“. ასეთთა შორის, როგორც წესი, სხეული და მიწა ბატონობს და არა ზეცა და სული.

ჯერ კიდევ ბრძენი სოკრატე ამგვარ კითხვას სვამდა ურწმუნოთა მიმართ: „თუ გონება და გრძნობა ტვინის თვისებად მიგანჩნიათ, მან რატომ აღარ მოქმედებს ეს უნარი სიკვდილის შემდეგ, ტვინი ხომ ისევე ადგილზე აქვს გარდაცვლილს?“ და დასძინდა: „როგორც სულს ვერ ვხედავთ და არსებობს, ასევე ღმერთს ვერ ვხედავთ და არსებობს. როგორც უსულოდ არ არსებობს სხეულის სიცოცხლე, ასევე უღმერთოდ, – საერთოდ ცნობება.“

რათქმას უნდა, შეიძლება იცნოვრო ქრისტეს გარეშე, მისი სწავლების გარეშე, აქციო შენი თავი ვნებების სათარეშოდ, მაგრამ სიკვდილს ვერ დაემალება და ვერც სამინელ სამსჯავროს გადაურჩები.

გარდაცვალება წერტილს უსვამს ჩვენს ყველა მიწიერ ოცნებასა და წარმავალ სურვილს; სიკვდილით აზრს კარგავს ყველაფერი, რაც ასე გვიყვარდა და შევნატროდით, ან რაც გეძულდა და სასიკვდილოდაც გვემეტებოდა. სამარესთან ამსოფლურ საცდურთა ნიღბები ცვივა და მწარე რეალობა დგება.

დღეს, როდესაც მსოფლიოში ათეისტური ტალღა გაძლიერდა და მისი გავლენა ჩვენს ქვეყანაშიც იგრძნობა, თვალნათელია განდა, როგორ დეგრადირდება ადამიანი უფლის გარეშე, როგორ ადვილად გადაგვარებადია იგი, როგორი უგუნური და თვითგანადგურებისაკენ მიდრეკილი ხდება ის.

ბოროტი ძალა, შეფარვით თუ აშკარად, ყოველთვის ებრძოდა ჭეშმარიტებას, მაგრამ XX საუკუნიდან ამან განსაკუთრებული სახე მიიღო: ჯერ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის სახით გაბატონდა ათეიზმი, რომელიც კატეგორიულად და ძალმომრეობითად უარყოფდა ღმერთს და, ამასთან, სიცრუეზე დაყრდნობით, ქმნიდა თავისთვის სასურველი „სანიშნო, ზნეობრივი ადამიანების“ სახეებს; მათი საშუალებით კი გარკვეულ ორიენტაციის უსახავდა ცალკეულ პიროვნებებსაც და საზოგადოებასაც.

ახლაც კი, შეიძლება ითქვას, გამოცხადებულია სრული თავისუფლება როგორც მორწმუნე-

თა, ისე უზრუნველყოთ მიმართ, მაგრამ ამ სივრცეში მკვეთრად იგრძნობა დღის უარყოფითი სითამამე; ისინი სრული თავაშვებულების პროპაგანდას აქტიურად ეწევიან ყველა საშუალებით და ცდილობენ, ეს ქმედება სიმაართლისა და სიკეთის სახელს დაუკავშირონ, რათა თავისი გაუკუღმართებული შემთავაზებანი ხალხისთვის მისაღები გახადონ.

საერთოდ, ცოდვა როგორც მადლი, გადამდებია და ამის ნაყოფს უკვე ვიპოეთ საზოგადოების ყველა ფენაში.

თუმცა სიმაართლეს სივრცის მანქანა რეალურად ვერასდროს გაუსწორებს თავს, მოტყუებით კი, – მრავალთ აცდუნებს. ამიტომაც აუცილებელია საღვთო ჭეშმარიტების ცოდნა, თანაც ღრმა ცოდნა, რადგან ბოროტი ძალა ამ მხრივაც ფრიად მანიპულირებს.

დღეს მოზრუნე ადამიანს დიდი მოთმინება მართებს, რომ ამდენ ტყუილს, ცილისწამებასა და ღვაძლს გაუძლოს და თვითონაც არ გადაგვარდეს. ჩვენი შესაძლებლობებით ეს მიუღწეველია, ღვთის დახმარებით კი, – შესაძლებელია. აუცილებელია, უფალთან სულიერი, ლოცვითი ურთიერთობა, ბიბლიისა და წმინდა მამების დარიგებების კითხვა, რომ განვმტკიცდეთ და შეწევნაც ღვთისა მივიღოთ.

აღდგომა გამაერთიანებელია კაცობრიობის წარსულის, აწმყლის და მომავლისა. ჩვენს წინაშე ძველი აღთქმა წარმოჩინდება, როგორც დაფარული ახალი აღთქმა, ახალი აღთქმა კი, – როგორც განცხადებული, აღსრულებული ძველი აღთქმა.

ბიბლია იწერებოდა დაახლოებით 1400 წლის მანძილზე სხვადასხვა ავტორისაგან: ნასწავლთა და უსწავლელთა, მეფეთა და მიწათმოქმედთა, სახელმწიფო მოხელეთა, მწყემსთა და მეთევზეთა მიერ. იგი შედგება ისტორიის, წინასწარმეტყველებების, ეპისტოლეების, კანონებისა და რელიგიური ზნეობრივი დარიგებებისაგან. მაგრამ თავიდან ბოლომდე ამ შეუდარებელ წიგნს გასდევს ერთი და იგივე ღვთივგანბრძნობილი სულიერი სწავლება, ერთი და იგივე აზრი და დანიშნულება.

ნათქვამის ნათელსაყოფად მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიტანთ:

წმინდა ილია, ისაია და დანიელი, იონა, დავით მეფესალმუნე და სხვა წინასწარმეტყველნი პირდაპირ წერდნენ მაცხთვარზე, ახალ სჯულზე და მის მეუფებზე.

ჯერ კიდევ ძველი აღთქმის დასაწყისში ნაუწყებია ერთგვარება სამპიროვანი ღმერთის შესახებ, რომელიც ახალ აღთქმაშია განცხადებული.

იესო ქრისტე იწოდება ძედ დავითისა და აბრაამისა, რითაც საღვთო საკვრელით იკვრება ეს წმინდა წიგნი. ამასთან, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში ერთი და იგივე მცნებებია უმთავრესად მიჩნეული: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა, ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა“. ეს არის პირველი მცნება. მეორეა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“ (მარკ. 12, 30-31; შდრ. II სჯ. 6,5. ლევიტ. 19,18). შევნიშნავთ, რომ ქრისტეანისთვის მოყვასი არის ყველა ადამიანი, მათ შორის პირადი მტერიც.

სიყვარული ეს არის ყველაზე ამაღლებული გრძობა, სხვისადმი ერთგულად მსახურების თავისუფალი არჩევანი. თუ ჩვენს ქმედებაში ადგილი აქვს შიშს, ან სხვა რაიმე ზეწოლას, ანგარებას, პირფერობას ან ეგოისტურ გამოვლინებებს, ეს სიყვარული აღარ იქნება ღვთისსათნო, გულწრფელი, მართალი და თავისუფალი. მაგალითად: ვერასოდეს ვერ ვუწოდებთ სიყვარულს იმ ურთიერთობას, სადაც ადგილი აქვს ამპარტავნებას, შურს, ავტორიტეტს, ხელმძუდობას, ლოთობას, ნარკომანიას, ამ და სხვა მანე მიღრეკილებით გაერთიანებულ ადამიანთა კავშირს, რადგან სინამდვილეში ეს ყოველივე არის ვნებების მონობა და ჭაობივით ჩამორევი მანკიერებების ტყვეობა.

სიყვარული და თავისუფლება აუცილებელი პირობაა შენში ღმერთის სისავსის გამოვლენისთვის.

გვიყვარდეს ღმერთი ნიშნავს, მთელი აზრებით, გაცნობიერებულად და გულწრფელად გვიყვარდეს ყველაფერი მის მიერ ქმნილიც; ეს კი აუცილებელ პირობად, ასევე, გულისხმობს

ჩვენი „მეს“ ბატონობისაგან გათავისუფლებას, საკუთარ თავზე ორიენტირებულობის რადიკალურად შეცვლას და ამასი სინარჯისა და ბედნიერების პოვნას.

ეგოიზმისაგან თავის დაღწევა ადვილი არ არის. ბრძენი ადამიანები გვიჩვენებენ, რომ ჯერ უნდა შევიყვართთ ზოგადი ღირებულებები და ვიღვაწოთ ცხოვრებაში მათი დაძვინდობისთვის; მაგალითად, როგორცაა: სიმართლე, თავისუფლება, მშვიდობა, სოციალური სამართლიანობისთვის ზრუნვა, სამშობლოს კეთილდღეობა... და ა.შ.

ავიღოთ თუნდაც თაობათა შორის ურთიერთობა; იგი ყოველთვის გარკვეულ სინთულებებს შეიცავდა, რადგან უფროსებს ჰგონიათ, რომ მათ აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილება და უკეთესად იციან, რა უნდა აკეთონ შვილებმა. შვილებს მიაჩნიათ, რომ მათ თვითონ უნდა განსაზღვრონ თავისი ყოფა და პირობით, ბევრ რამეს უწუნებენ მშობლებს.

თაობათა ურთიერთობა მანამდე იქნება პრობლემაური, ვიდრე ორივე მხარე ერთმანეთში არ დაინახავს იმ უმნიშვნელოვანესს, რაც პირადად მათ აკლიათ და რაც შეიძლება და აუცილებელიცაა, ისწავლონ ერთმანეთისაგან. ის, რომ მშობლებს და ასაკოვან ადამიანებს ბევრი რამ უნახავთ და ადამიანური ურთიერთობების მხრივ მეტი ცოდნა აქვთ, ბუნებრივია, მაგრამ ანალოგიურად, რომ უფრო გაბედულნი, ზოგჯერ რადიკალურიც არიან, ამასთან, აქვთ ანალი იდეები, ანალი ხედვა, ანალი მისწრაფებები, – ესეც ფაქტია. უფროსების ვალია, მათი შემთავაზებებიდან სწორი არჩევანი გააკეთონ, დაინახონ მათში რეალური სასიკეთო შედეგები და მომავალ თაობას დაეხმარონ გზის გაკაფვაში. თანამშრომლობა და ურთიერთშეგნების საჭიროება უნდა იგრძნოს ორივე მხარემ. ეს ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა.

შემდეგ ეტაპზე კი უფრო ადვილია შევიყვართთ სხვა პიროვნებას; ეს კი ნიშნავს დავინახოთ მასში განუმეორებელი, განსაკუთრებული ღირებულებები და ეს დავაფასოთ. ადვილი არ არის შური, თავდაჯერებულობა, სხვისი დამცირებით თავის უპირატესად წარმოჩენის სურვილი, ამპარტყანება, და სხვა ამგვარი თვისებანი დამაბრკოლებელ გარემოებად არ გვექცეს; ამიტომაც სიკეთის ქმნასთან ერთად, აუცილებლად, უნდა ვიმუშაოთ ჩვენს თავზეც.

ეგოიზმის დაძვინდვის და სწორი სულიერი განვითარების მანქანებელია ისიც, თუ როგორია სამშობლოსადმი ჩვენი დამოკიდებულება.

დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით რამდენიმე სახის შეტევა ხორციელდება: ერთნი, გარეშე ძალებისაგან ხელმეწყობილი, ადვილებენ სეპარატისტულ სულს და ქვეყნის დანაწილების თეორიებს ქმნიან; მეორენი პატრიოტიზმის სახელით არასწორ მიმართულებებს ანვითარებენ და ამ გზით დაძვინდვებულ სახეს აძლევენ; სხვანი კი ზოგადად-მიანური ღირებულებებით გვესაუბრებიან და პატრიოტიზმს ჩამორჩენილობად თვლიან.

არ არსებობს აწმყო წარსულის გარეშე. ნებისმიერი ღირსეული პიროვნებისთვის სამშობლოს ისტორიის ცოდნა აუცილებელი პირობაა; სახელმწიფოსთვის კი, – სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი გარანტი, რადგან ეს ცოდნა, სწორ აზროვნებასთან შეერთებული, ადძრავს ისეთ გრძობებს, როგორცაა იდეისთვის უანგარო მსახურება, ერთგულება, ვაჟკაცობა, გონიერება, თავდადება... რაც ბოროტის მკდრობას, თავისთავად, წარუმატებელს ხდის; ამასთან, საზოგადოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ „ვისაც თავისი ქვეყანა არ უყვარს, მას არავისი სიყვარული არ ძალუძს“ (ჯ. ბაირონი), „სამშობლოს ნამდვილი სიყვარულის გარეშე კი კაცობრიობის ნამდვილი სიყვარული არ არსებობს“ (ა. ფრანსი).

ცხონების გზა ვიწროა და ძნელად სავალი, მაგრამ მეტად საინტერესო და მიმზიდველი. ეს არის მუდმივი გამოცდა და ბრძოლა ბოროტი ძალის სხვადასხვა გამოვლინებასთან: იგი შენს შესაძლებლობებს სულ სხვა კუთხით დაგანახებს და, სწორად მოქმედების შემთხვევაში, ღვთის მადლი იმდენად აღგავსებს, რომ მას ვეღარ განუშორები. ამასთან ისე შეიცვლება, რომ ყოველგვარი გაჭირვება შიშით კი არა, სულიერი სიმშვიდითა და სიძლიერით განგმსჭვალავს და ვე-

ღარაფერი დაგამარცხებს. მამინ შენი ღვაწლი, მაცხოვრის მაცხოვრებელ მადლს შეერთებული, ღვთის ნეტარებას დედამიწაზევე გაგრძობინებს და შენს უდიდეს მიზანსაც აღვასრულებინებს.

- და რაში მდგომარეობს იგი?
- განმტკბობაში, ძალისამებრ ჩვენისა, ღვთის მიბაძვაში!

ეს არის ნებისმიერი ადამიანის მთავარი დანიშნულება, ეს არის მოწოდება, რომლის წინაშე ყველა სხვა მიწიერი ზრუნვა, სურვილი და განსაცდელი უნდა გაუფერულდეს.

ღმერთი სრულყოფილია, ჩვენც გვმართებს, მუდამ ვისწრაფვოდეთ სრულყოფილებისაკენ და ვცდილობდეთ იმ ნიჭის სრულად გამოვლენას, რაც უფლისაგან მოგვეცა; იქნება ეს: მიწათმოქმედება, სხვა ფიზიკური შრომის უნარი, სწავლა, მეცნიერული აზროვნება, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მუშაობა, პედაგოგობა, ექიმობა, მშენებლობა, ქვეყნის მსახურება, ღვთის მსახურება... მოცოქული ამიტომაც გვარიგებს: ყველაფერი რასაც გააკეთებთ, გააკეთეთ როგორც ღვთისთვის, მთელი სულითა და გულით (კოლ. 3, 23).

რათღენ მადლიერნი უნდა ვიყოთ უფლისა, რომელმაც საოცარი, ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი, წყალობა მოგვცა, - თავისი უნაპირო სიყვარულის გამო ჩვენთვის დაითმინა ტანჯვა, წამება, შეურაცხყოფა, დამცირება, ჯვარცმით სიკვდილი და აღდგომითა და ამალეებით მოგვანიჭა სრულქმნის შესაძლებლობა. და რათღენ უგუნურნი და უმადურნი ვიქნებით, თუ ეს ვერ გავაცნობიერეთ და ამათებაში დაფინთქით?!

ბასექამდე, სვიმონ კეთროენის სახლში ყოფნისას, იესო ქრისტეს ერთი ცოდვილი ქალი მორიდებით მიუახლოვდა, ცრემლით დააღვთ მისი ფერხნი, დაასხა ძვირფასი ნელსაცხებელი და თავისი თმით დაუწყო შემშრალება.

ამის მხილველმა მოცოქულებმა გულისწყრომა გამოხატეს, რადგან ფიქრობდნენ, უმჯობესი იყო ეს სურნელოვანი ზეთი გაეყიდათ და საფასური გლახაკათათვის დაერიგებინათ.

ქალის გულწრფელი ქმედება კი მაცხოვარმა ასე შეაფასა: „მთელ ქვეყანაზე, სადაც იქადაგება ეს სახარება, ყველგან ითქვას..., რაც მან გააკეთა, მის მოსახსენიებლად“ (მათე 26, 13).

ინებოს ღმერთმა, ცოდვაში მყოფმა ყველა ადამიანმაც, ამ ქალის მსგავსად, ადრე თუ გვიან, შეიცნოს ღმერთი, თავისი ნელსაცხებელი მიახრთვას მას და, მამასთან დაბრუნებული უძლები შეილივით, შეიმოსოს სამოსელი ბირველი.

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იენიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ქისტნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, - ყოველნო მკვიდრნო საქართველოსა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, აღიდეთ და „უგალობეთ ღმერთს თქვენს გულებში მადლიერებით.“ (კოლას. 3, 16); და სასთებით „ჰმადლობდეთ მამას, რომელმაც გვიხსნა ბნელის ხელმწიფებისგან და შეგვიყვანა თავისი სიყვარულის სამეფოში, რომელშიც გვაქვს გამოსყიდვა და ცოდვების მიტვეება“ (კოლას. 1, 12-14).

მამ, „შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯარი და ხსნის იმედის მუზარადი.“ (თესალ. 1, 58), რადგან

ქრისტე აღდგა!

გინართდეთ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი

2019



## „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისა“ და „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ რედაქციისაგან

„ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი,“ კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ულოცავს სრულიად საქართველოს, ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. განსაკუთრებული მილოცვა ახალგაზრდობას, რომელთა მხრებზეც უნდა გადავიდეს ერის გაძლოლისა და გამთლიანების სიმძიმე. წარმატება იყოს მათი მეგზური ამ საშვილიშვილო საქმეში.

„სამშობლო არ დაივინყოთ, სამშობლო უმთავრესია“!

\* \* \*

ქალაქ თბილისში, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, გაიხსნა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ცნობილი ქორეოგრაფის, ანსამბლ „როკვას“ ხელმძღვანელის უჩა დვალისშვილის ვარსკვლავი.

ჩვენთვის, „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“, „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიისათვის ეს აღიარება მნიშვნელობას იძენს იმითაც, რომ ბატონი უჩა დვალისშვილი ვანელია, თანაც აქტიური შემოქმედი, იგი ერთ-ერთი დამფუძნებელია მითითებული „კვლევის ცენტრისა“ და ცენტრის კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრიცაა.

ესაა ბატონი უჩა დვალისშვილის დიდი აღიარებაც ქართველი საზოგადოების წინაშე, ქართულ ხელოვნებაში, კონკრეტულად, ქართულ ქორეოგრაფიაში მის მიერ შეტანილი წვლილიდან გამომდინარე, რომლითაც იგი ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც მეცნიერ-თეორეტიკოსი თავისი შრომების, სტატიებისა და ა.შ. მიხედვით და როგორც პრაქტიკოსი, რომელსაც თავისი ყოველდღიური საქმიანობით ამტკიცებს.

მივესალმებით ბატონ უჩას ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) საზოგადოების, ვანის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ჩვენი „კვლევის ცენტრისა“ და კრებულ „მატიანეს“ სახელით, ამასთან უდიდესი სურვილებით, რომ იყოს ჯანმრთელად და თავისი ნიჭი და გამოცდილება კვლავაც მოახმაროს ქართული ხელოვნების კიდევ უფრო სრულყოფისა და პოპულარიზაციის საქმეს.

# სამშობლოსაგან ალექსი დედის ალექსზე ტკბილია

(ხალხური)

სამშობლოს მიწის ნამცეცხი  
ყოველ სხვა განძზე ძვირია,  
მას მკერდით ჩავეფარები,  
თუნდ ვიქნე განაგმირია.  
მისთვის ვშობილვარ, გავზრდილვარ,  
სიცოცხლე მისთვის მჭირია,  
მისთვის ღვინად მიხნს ყოველი  
ტანჯვა და გასაჭირია,  
თუ გინდა გულში ჩამერჭოს  
მანვილი ამოწვდილია.  
არვის დაფუთობ სამშობლოს,  
ვარ მისი ღვიძლი შეილია.  
გულს მითობს მისი ალერსი,  
მისი სამარეც თბილია.  
სამშობლო ჩემი, ღამაში,  
დედის ძუძუზე ტკბილია.  
მე წინაპარი მყოლია  
მამაცო, სახელდებული,  
შოთა, ერეკლე, თამარი,  
დიმიტრი თავდადებული.  
სადაც ისინი შობილან,  
მეც იქ ვარ დაბადებული,  
მეც იმ ძუძუთი გავზრდილვარ  
და მით ვარ გასაკლდებული.  
რად მინდა სხვაგან დიდება,  
მწარეა, ვითა ნაღველი.  
რად მინდა გველის ალერსი,  
თვალთმაქცი, გულის მდაღველი...  
ჩემში უმანკო სისხლი სჩქეფს,  
გმირ-უმიმარი ქართველის,  
დე, მოვეკვდე, თღონდ სამშობლოს  
შუქს ჰფენდეს სხივი ნათელი.  
სამშობლო, ჩემი სამშობლო,  
დედის უბეზე თბილია,  
არვის დაფუთობ ამ უბეს,  
ვარ მისი გამზრდილია.  
მის სიყვარულით მარადის  
თვალი მაქვს ანახილია,  
სამშობლოსაგან ალერსი  
დედის ალერსზე ტკბილია.

თღესამე დიდი ყოფილას საქართველო

ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო,  
თღესამე დიდი ყოფილას საქართველო.

ყოფილას დავით-მეფე-აღმაშენებელი,  
ყოფილას თაბინები-გასამტკერებელი;

ყოფილას მოდრეკილი, ყოფილას ცურტაველი,  
ჩასაც მოჭყლიას შოთას რუსთაველი...

ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო,  
თღესამე დიდი ყოფილას საქართველო.

ყოფილას ნიკოფსით-დარუბანდამდე  
გაჭენებული და გამოჭენებული;

რტოებგაშლილი და გამჩინებული,  
ყოფილას თრ-ზღვას-შუა აღმოცენებული.

ფიე, საქართველოს ჰყლიას ვასლები!  
თამაზს უკრეფიას სულ თქროს ვაშლები!

ტევერი გვიწოდის, ისე გვიზარდის,  
რომ გაგმზადებულვართ ახალ ბიზანტიად.

მაგრამ უცაბედად მატლი არეულას,  
ბორბალი უკუღმას დატრიალებულას.

ჩვენთვის მონღოლის პირველი სასჯელი.  
მონღოლს მოჭყლიას თურქი და სპარსელი.

ტურფას საქართველო ყორნებს წაუღიასთ,  
სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიასთ.

ჩაშლილას თვალთ და ჯაჭვი ჩარღვეულას,  
იყალთო დაკეტილას, გელათი დანგრეულას.

თხ მუფეს სულ სისხლის ცრემლები უცრემლიას,  
თხივეს საბრალთ ლექსები უწერია,

- რა დროს ლექსიასთ, მოუკვდა პატრონი!  
ხმლით შემთვარდნილას ერეკლე-ბატონი...

ამას მოჭყლიას: „ვაპ, დრონი! ვაპ, დრონი!“  
ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო,  
თღესამე დიდი ყოფილას საქართველო!

ვანის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად სტრატეგიულ მონახაზთა შესახებ, მკითხველმა კრებულ „მატიანეს“ წინა ნომრის ფურცლებიდან შეიტყო, სადაც საუბარი იყო XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევრის შედეგებზე, რომელიც, უშუალოდ ეხებოდა აგრარულ სექტორს, ინფრასტრუქტურასა და სოციალურ მხარეს. ამჯერად, ვაგრძელებთ ტრადიციას, საჯარო გავხადოთ მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის რა გეგმები აქვს დასახული ადგილობრივ ხელისუფლებას მიმდინარე წელს, რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს და არის თუ არა სიახლე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ამა თუ იმ დარგის განვითარებასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ამ საკითხთა დღის სინათლეზე გამოტანა, ხელს შეუწყობს ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანის ინტერესის დაკმაყოფილებას ბიუჯეტის გამჭვირვალობის თაობაზე და 2019 წლისათვის დაგეგმილი, განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ, რომელიც მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა კეთილდღეობისთვისაა განკუთვნილი, და ქვემოთ შემოთავაზებულ მიმოხილვაში სრულადაა წარმოდგენილი.

### ვანის მუნიციპალიტეტის განვითარების პარამეტრული მონახაზები 2019 წლისათვის

ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N125 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7400,0 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოსულობები დაზუსტდა 10662,8 ათასი ლარის, გადასახდელები 14279,5 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 3616,7 ათასი ლარის მოცულობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	11,923.3	5,186.6	6,736.7	14,097.3	6,891.9	7,205.4	10,662.8	3,407.8	7,255.0
შემოსავლები	11,817.8	5,186.6	6,631.2	13,990.1	6,891.9	7,098.2	10,562.8	3,407.8	7,155.0
არაფინანსური აქტივების კლება	105.5	0.0	105.5	107.2	0.0	107.2	100.0	0.0	100.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	11,192.5	4,375.5	6,817.0	13,338.0	6,406.5	6,931.5	14,279.5	6,531.2	7,748.3
ხარჯები	5,779.3	558.5	5,220.8	6,350.6	372.1	5,978.5	7,323.1	856.8	6,466.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,374.8	3,813.2	1,561.6	6,987.4	6,034.4	953.0	6,956.4	5,674.4	1,282.0
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	38.4	3.8	34.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	730.8	811.1	-80.3	759.3	485.4	273.9	-3,616.7	-3,123.4	-493.3

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 10662,8 ათასი ლარია. ძირითად წყაროს გადასახადები შეადგენს, რომელსაც 6681,8 ათასი ლარით შემოსულობების 62,7% უჭირავს. მნიშვნელოვანი წყაროა ასევე გრანტები 3407,8 ათასი ლარით, 32%-იანი წილით. პრივატიზებიდან მისაღები შემოსულობების გეგმა 100,0 ათასი ლარითაა განსაზღვრული, ხოლო სხვა შემოსავლები 473,2 ათასი ლარით დაიგეგმა.

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	11,923.3	5,186.6	6,736.7	14,097.3	6,891.9	7,205.4	10,662.8	3,407.8	7,255.0
გადასახადები	927.4	0.0	927.4	654.7	0.0	654.7	6,681.8	0.0	6,681.8
საშემოსავლო გადასახადი	663.8		663.8	341.9		341.9	0.0		
ქონების გადასახადი	263.6	0.0	263.6	312.8	0.0	312.8	300.0	0.0	300.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	0.0			0.0			6,381.8		6,381.8
გრანტები	10,407.5	5,186.6	5,220.9	12,821.2	6,891.9	5,929.3	3,407.8	3,407.8	0.0
სხვა შემოსავლები	482.9	0.0	482.9	514.2	0.0	514.2	473.2	0.0	473.2
შემოსავლები საკუთრებიდან	162.9	0.0	162.9	341.7	0.0	341.7	363.2	0.0	363.2
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	49.1	0.0	49.1	44.5	0.0	44.5	40.0	0.0	40.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	48.7		48.7	49.3		49.3	50.0		50.0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	222.2		222.2	78.7		78.7	20.0		20.0
არაფინანსური აქტივების კლება	105.5	0.0	105.5	107.2	0.0	107.2	100.0	0.0	100.0

მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტით 6 ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებაა გამოკვეთილი:

**1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა (01 00).**

რაც მუნიციპალიტეტის მმართველობით ხარჯებს გულისხმობს, 2593,0 ათასი ლარითაა განსაზღვრული.

**2. თავდაცვა (02 00).**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებათა დელეგირების ფარგლებში ახორციელებს წვევამდელთა და რეზერვისტთა მობილიზებას და მათი განვების პუნქტებამდე გადაყვანას. პროგრამის დაფინანსებაზე 2019 წლის ბიუჯეტში 99,0 ათასი ლარი გამოიყო.

### **3. ინფრასტრასტრუქტურის განვითარება, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 00).**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და იგი ვანის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. აქედან გამომდინარე, 2019 წლის განმავლობაში გაგრძელდება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა. პრიორიტეტზე ჯამურად 7507,3 ათასი ლარი მიიმართა, რაც მთლიანი ბიუჯეტის 52,6%-ია.

**გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (03 02 01).** მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების, სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგზაო ინფრასტრუქტურის მონესრიგების ღონისძიებებს. წლის განმავლობაში რეგიონული პროექტების ფონდიდან განხორციელდება: ა) ზედავანი – გადიდის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (343,8 ათასი ლარი), ბ) სულორის ადმინისტრაციულ ერთეულში, შოშიტაშვილების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (79,2 ათასი ლარი), გ) ამაღლება-საპრასიის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ინაშაურის მიმართულებით (640,0 ათასი ლარი), დ) ბზვანის ადმინისტრაციული ერთეულის დაფნარი-ვანი-ბაღდათის მაგისტრალთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (499,8 ათასი ლარი), ე) ქ. ვანში ჩუგნაძის ქუჩისა და სოლომონ მეორის ქუჩის მეორე შესახვევის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 442,5 ათასი ლარი, ზ) ქ. ვანში თავისუფლების ქუჩის შესახვევების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია III-IV-V-VI ჩიხებში (317,5 ათასი ლარი). დასრულდება 2018 წელს რგპფ-ის დაფინანსებით დაწყებული ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში, ალფაიძეების უბანში, შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (649,5 ათასი ლარი) და სოფლების – შუაგორა-ზედაგორას შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (1468,7 ათასი ლარი). სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობს დიხაშხოს საავტომობილო ხიდის მშენებლობა.

2019 წელს მუნიციპალიტეტისადმი გამოყოფილი თანხა 2474,1 ათას ლარს შეადგენს. წლის ბოლომდე მოსალოდნელია გამოყოფილი თანხის 10000,0 მდე გაზრდა.

**დასუფთავების ღონისძიებები (03 02 02).** მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული და ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა. სანიტარული წესრიგის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტში მანანალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ზემოთაღნიშნულ ღონისძიებებს კომუნალური გაერთიანება ხელმძღვანელობს.

**გარე განათება (03 02 04)** წარმოადგენს ღამის პერიოდში საზოგადოების კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების აუცილებელ პირობას. გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირების მიზნით დაფინანსდება ქსელში მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურება. ახალი სანათები დამონტაჟდება შუამთისა და ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

**ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობის (03 03)** ფარგლებში დასრულდება ქალაქ ვანში, თავისუფლებისა და 26 მაისის ქუჩებზე, ასევე ცენტრალურ მოედანთან არსებული სკვერების რეაბილიტაციის სამუშაოები, მთისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული სკვერის რეკონსტრუქცია. განხორციელდება სულორში სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოები.

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის (03 04)** ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 570,0 ათასი ლარი გამოიყო. მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად განხორციელდება 130 სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი. ძირითადად გზების, მოსაცდელის, სანიღვრე არხების, გარე განათების, სპორტული მოედნების და წყლის თვითღინებითი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

#### **4. განათლება (04 00).**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 1750,1 ათასი ლარია.

**სკოლამდელი განათლება (04 01).** მუნიციპალიტეტში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების სტანდარტების და განათლების სფეროს ნორმატიული აქტების შესაბამისად, წარმართავს საბავშვო ბაღების გაერთიანება. გაერთიანების მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისთვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. ამჟამად, ვანში ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 700-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტი მთლიანად აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

**სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია (04 02).** საბავშვო ბაღების გამართულად და სათანადო დონეზე ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტი აგრძელებს საბავშვო ბაღების მშენებლობის და რეაბილიტაციის პროცესს. 2019 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით რეაბილიტირდება **ქალაქ ვანის №2 და მთისძირის საბავშვო ბაღები, დასრულდება შუამთის საბავშვო ბაღის მშენებლობა.**

**ზოგადი განათლების ხელშეწყობა (04 03).** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე, მუნიციპალიტეტი 2019 წლიდან იწყებს საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებას და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ღონისძიებებს. დაგეგმილია ქ. ვანის №1, შუამთის, ინაშაურის, სალომინაოს, ისრითის, სულორისა და ციხესულორის საჯარო სკოლების სველი ნერტილების მოწყობის სამუშაოები.

#### **5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (05 00).**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და სპორტის დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, კულტურისა და სპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის მონესრიგებას და გაუმჯობესებას.

**სპორტული ღონისძიებები (05 01 01).** ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით, **მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ქადრაკში, ჭიდაობასა და სპორტის სხვა სახეობებში ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებს.**

**საფეხბურთო კლუბი სულორი – ვანი (05 01 02)** ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფინანსებით ფუნქციონირებს. კლუბის მიზანია ბავშვთა, მოზარდთა, მოყვარულთა, პროფესიონალთა გუნდების ჩამოყალიბება, საფეხბურთო ტრადიციების შექმნა და განვითარება, მონაწილეობის მიღება ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში. საფეხბურთო კლუბის წევრ სპორტსმენთათვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა.

**სპორტული ინფრასტრუქტურის (05 01 04) გამუჯობების მიზნით, დასრულდება შუაგორასა და დიხაშხოს მინი სტადიონების რეაბილიტაცია. მომზადდება საპროექტო დოკუმენტაცია ცენტრალური სტადიონისა და ჭადრაკის სახლის რეაბილიტაციის მიზნით.**

**რაგბის (05 01 05),** როგორც მნიშვნელოვანი სპორტული ფენომენის პოპულარიზაციის და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სარაგბო კლუბ ვანის აიეტის რაგბის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას. მორაგბეთათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფას.

**სკოლისგარეშე სასპორტო დაწესებულებების (05 01 06) მეშვეობით ფუნქციონირებს ფეხბურთის, ჭიდაობის, ძიუდოს, სამბოს, მძლეოსნობის, რაგბის, კალათბურთის, ჭადრაკის და საბრძოლო ხელოვნების ასაკობრივი სექციები. ორგანიზაციის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება, მასობრივი სპორტის განვითარება, სასპორტო სკოლის მოსწავლეთათვის შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და სანვრთნელი ბაზის შექმნა.**

მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს **კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის (05 02 01)** დაფინანსებას, რომლის მიზანია ითანამშრომლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან და ცალკეულ ხელოვნებთან. შეიმუშაოს კულტურული პროგრამები თავისი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოს სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების მიზნით დააფინანსოს ხალხური სიმღერის ანსამბლები „ვანი“, „შუამთა.“

**კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის (05 02 02) მოწესრიგების მიზნით გათვალისწინებულია ცენტრალური ბიბლიოთეკის განთავსება თავისუფლების №63 მდებარე შენობაში და მისი რეაბილიტაციის მიზნით ბიუჯეტში გამოყოფილია შესაბამისი ასიგნება.**

**სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი (05 02 03) აერთიანებს სამუსიკო სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, ბიბლიოთეკებს, კორნელი კეკელიძის, კალისტრატე ცინცაძის, გიორგი ძიგვაშვილისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმებს, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს.** ორგანიზაციის მიზანია მიეცეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაბამისი საფეხურისა და სახელოვნებო პროფილის განათლება. ხელი შეუწყოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულ მოსწავლეებში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას. აგრეთვე მივიწყებული, ტრადიციული დარგების აღორძინებას, ხალხური მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობას. სამუზეუმო ფონდის შევსებისა და სრულყოფის მიზნით შეიძინოს ან შემოწირულობა-საჩუქრის სახით შეკრიბოს ნივთები, კულტურის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტალური, ეთნოგრაფიული მასალები; ფართო საზოგადოებას გააცნოს სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაცული ხელოვნების ნიმუშები, უზრუნველყოს ყველა ასაკის მკითხველი საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურებით, იზრუნოს საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნთგაცვლითი ურთიერთობის დამყარებაზე.

**„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ მიზანია გამოიკვლიოს, შეისწავლოს და გააანალიზოს ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც სხვადასხვა დროს განვითარდა ვანის ტერიტორიულ სივრცეში, ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის მონაკვეთში. მატთანის ფორმით შემოინახოს, გაასაჯაროს და გადასცეს მომავალ თაობას.**

**ახალგაზრდული და კულტურის ღონისძიებების (05 03) პროგრამის ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება ახალგაზრდობისთვის გასართობი, შემეცნებითი და სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები. აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.**



**რელიგიის (05 04)** მიმართულებით მუნიციპალიტეტი ახორციელებს ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსურ მხარდაჭერას.

**ვანის ტურიზმის ცენტრი (05 05)** საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ტურიზმის განვითარების საკითხებში. ცენტრის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და მერიასთან კოორდინაციით.

**6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00).**

საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახელმწიფო პროგრამების განხორციელების პარალელურად, ვანის მუნიციპალიტეტი კვლავ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარებების მიწოდებას მოსახლეობისთვის. ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ დაცვას.

**საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (06 01 01).** სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უზრუნველყოფს გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლის ღონისძიებებს, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და განხორციელებას, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლას, პარაზიტული დაავადებების პირველად კვლევას, დაავადებების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკურ მკურნალობას, სანიტარულ ღონისძიებებს, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობას და ხელშეწყობას.

**ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მხრივ (06 01 02)** გათვალისწინებულია სასწრაფო სამედიცინო ცენტრის ეზოს კეთილმოწყობისა და შენობის სეპტიკის მოწყობის სამუშაოების დაფინანსება.

**სოციალური პროგრამები (06 02).** მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტი ახორციელებს 17 სოციალურ პროგრამას, რომლებზეც ჯამურად 860,1 ათასი ლარია გამოყოფილი.

**მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (06 02 01)** ითვალისწინებს შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფას.

**სარიტუალო დახმარების ფარგლებში (06 02 02)** გათვალისწინებულია გარდაცვლილი ომის ვეტერანის, სოციალურად დაუცველისა და ჩერნობილის ავარიის მონაწილე პირის ოჯახის დახმარება 500 ლარის, ხოლო გარდაცვლილი დევნილის ოჯახის დახმარება 250 ლარის ოდენობით.

**ახალშობილთა ოჯახებს (06 02 03)** მუნიციპალიტეტი გაუწევს დახმარებას პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 350 ლარის, მესამეზე 400, მეოთხეზე და ყოველ მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარის, ხოლო ტყუპების შეძენისას თითოეულ ახალშობილზე 500 ლარის ოდენობით. თუ ახალშობილის ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000 მდე, მაშინ მისაღები ფინანსური დახმარების მოცულობა იზრდება 20%-ით.

**სტიქიით დაზარალებულთა დახმარების (06 02 04)** პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფულადი დახმარების განევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელებიც ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალდნენ. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარისა, შესაბამისი კომისიის გადანაცვებილების საფუძველზე.

**სამედიცინო დახმარების პროგრამის (06 02 05)** ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახ-

ურების ღირებულების თანადაფინანსება. დახმარების მოცულობა განისაზღვრება 750 ლარიანი ლიმიტით. პაციენტმა შეიძლება ისარგებლოს წლის განმავლობაში ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამონურვამდე შემდეგ შემთხვევაში: ა) მოქალაქეებმა, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 70 000-მდე სარეიტინგო ქულა. ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა, რომელთა სარეიტინგო ქულაა 100 000-ის ჩათვლით. გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირები. დ) ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებმა. ე) გულის დაავადებათა მქონე პაციენტებმა. ვ) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებულებმა. სხვა დანარჩენი კატეგორიის მოქალაქეების დაფინანსება განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50 %-ის და არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.

**დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება (06 02 06)** პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციარების ტრანსპორტის ხარჯის შემცირების მიზნით ყოველთვიური ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით.

**საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანთა დახმარების მიმართულებით (06 02 07)** გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა 500 ლარის, ხოლო სოციალურად დაუცველ ვეტერანთათვის 300 ლარის ოდენობით.

**ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა ოჯახების დახმარების მხრივ (06 02 08)** გათვალისწინებულია 18 წლამდე ასაკის არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით დაავადებული ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიური დახმარების განევა 200 ლარის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების განევა 500 ლარის ოდენობით.

**დღევრძელთა დახმარების ფარგლებში (06 02 09)** გათვალისწინებულია ასი და მეტი წლის უხუცესთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების განევა, თითოეულ ბენეფიციარზე 1000 ლარის ოდენობით.

**მეორე მსოფლიო ომისა და ჩერნობილის ავარიის მონაწილეთა დახმარება (06 02 10)** პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 9 მაისს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის 500 ლარის, ჩერნობილის ტრაგედიის თარიღთან დაკავშირებით სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის 300 ლარის და 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთათვის 500 ლარის ოდენობით ერთჯერადი ფულადი დახმარების განევა.

**მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების მიმართულებით (06 02 11)** გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი, ერთჯერადი ფინანსური დახმარების განევა თითოეულ შვილზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

**მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება (05 02 12)** პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა: ა) სოციალურად დაუცველ მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ამავე დროს რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000-მდე სარეიტინგო ქულა, ერთ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით. ბ) მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით. გ) დედ-მამით ობლებს, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით.

**სხვა სოციალური ღონისძიებები (06 02 13)** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მომსახურების დღის ცენტრის ფინანსური მხარდაჭერა.

**სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარება (06 02 14)** პროგრამის ფარგლებში

ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაენევა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სტუდენტებს, რომელთა ოჯახები მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას და სარეიტინგო ქულა არის 1-დან -100000-ჩათვლით. დახმარების მოცულობა განისაზღვრება თითოეულ სტუდენტზე 500 ლარის ოდენობით. დახმარებით ასევე ისარგებლებენ პირველი ჯგუფის ინვალიდი სტუდენტები, მიუხედავად სარეიტინგო ქულისა, 1000 ლარის ოდენობით.

**მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (06 02 15)** პროგრამა ითვალისწინებს მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით.

**ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება (06 02 16).** პროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე, რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების განევა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

**უსახლკაროთა დახმარება (06 02 17).** პროგრამა ითვალისწინებს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის ნესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირების/ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფას. ბინის ქირის ოდენობა უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე – არაუმეტეს 100 (ასი) ლარი თვეში; ბ) მთისძირის, შუამთის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, დიხაშოს, ბზვანის, ამალღების, ზეინდრის, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში – არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარი თვეში; გ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, ძულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინაოს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში – არაუმეტეს 60 (სამოცი) ლარი თვეში;

კოდი	საბიუჯეტო პროგრამა	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ვანის მუნიციპალიტეტი	11,192.5	4,375.5	6,817.0	13,338.0	6,406.5	6,931.5	14,279.5	6,531.2	7,748.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	145.0	7.0	138.0	169.0	7.0	162.0	169.0	7.0	162.0
	ხარჯები	5,779.3	558.5	5,220.8	6,350.6	372.1	5,978.5	7,323.1	856.8	6,466.3
	შრომის ანაზღაურება	1,432.3	57.8	1,374.5	1,726.0	56.5	1,669.5	1,844.0	67.0	1,777.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,374.8	3,813.2	1,561.6	6,987.4	6,034.4	953.0	6,956.4	5,674.4	1,282.0
	ვალდებულებების კლება	38.4	3.8	34.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	2,040.0	0.0	2,040.0	2,427.2	0.0	2,427.2	2,593.0	0.0	2,593.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	138.0	0.0	138.0	162.0	0.0	162.0	162.0	0.0	162.0

კოდი	საბიუჯეტო პროგრამა	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	2,009.3	0.0	2,009.3	2,404.5	0.0	2,404.5	2,550.9	0.0	2,550.9
	შრომის ანაზღაურება	1,374.5	0.0	1,374.5	1,668.0	0.0	1,668.0	1,775.0	0.0	1,775.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	26.9	0.0	26.9	22.7	0.0	22.7	42.1	0.0	42.1
	ვალდებულებების კლება	3.8	0.0	3.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	580.3	0.0	580.3	701.7	0.0	701.7	746.7	0.0	746.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	28.0		28.0	33.0		33.0	33.0		33.0
	ხარჯები	577.8	0.0	577.8	699.5	0.0	699.5	726.7	0.0	726.7
	შრომის ანაზღაურება	387.5	0.0	387.5	489.4	0.0	489.4	510.0	0.0	510.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.5	0.0	2.5	2.2	0.0	2.2	20.0	0.0	20.0
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1,456.6	0.0	1,456.6	1,725.5	0.0	1,725.5	1,746.3	0.0	1,746.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	110.0		110.0	129.0		129.0	129.0		129.0
	ხარჯები	1,431.5	0.0	1,431.5	1,705.0	0.0	1,705.0	1,724.2	0.0	1,724.2
	შრომის ანაზღაურება	987.0	0.0	987.0	1,178.6	0.0	1,178.6	1,265.0	0.0	1,265.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	24.4	0.0	24.4	20.5	0.0	20.5	22.1	0.0	22.1
	ვალდებულებების კლება	0.7	0.0	0.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	100.0	0.0	100.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	100.0	0.0	100.0
01 04	დავალიანების დაფარვის ფონდი	3.1	0.0	3.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	3.1	0.0	3.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 00	თავდაცვა	78.0	78.0	0.0	83.0	79.5	3.5	99.0	80.0	19.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0
	ხარჯები	77.7	77.7	0.0	81.8	79.5	2.3	99.0	80.0	19.0
	შრომის ანაზღაურება	57.8	57.8	0.0	58.0	56.5	1.5	69.0	67.0	2.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	1.2	0.0	1.2	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.3	0.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	78.0	78.0	0.0	83.0	79.5	3.5	99.0	80.0	19.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7.0	7.0		7.0	7.0		7.0	7.0	
	ხარჯები	77.7	77.7	0.0	81.8	79.5	2.3	99.0	80.0	19.0
	შრომის ანაზღაურება	57.8	57.8	0.0	58.0	56.5	1.5	69.0	67.0	2.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	1.2	0.0	1.2	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.3	0.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

კოდი	საბიუჯეტო პროგრამა	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5,330.6	3,595.2	1,735.4	7,286.5	5,917.2	1,369.3	7,507.3	5,922.7	1,584.6
	ხარჯები	952.2	414.8	537.4	650.9	107.6	543.3	817.8	282.8	535.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,344.9	3,176.9	1,168.0	6,635.6	5,809.6	826.0	6,689.5	5,639.9	1,049.6
	ვალდებულებების კლება	33.5	3.5	30.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 01	გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა	3,912.4	2,835.6	1,076.8	6,320.1	5,521.8	798.3	6,017.1	5,055.3	961.8
	ხარჯები	278.9	237.5	41.4	58.1	25.2	32.9	27.7	27.7	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,633.5	2,598.1	1,035.4	6,262.0	5,496.6	765.4	5,989.4	5,027.6	961.8
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	820.2	243.8	576.4	689.5	156.0	533.5	740.0	176.4	563.6
	ხარჯები	586.0	90.2	495.8	546.2	40.4	505.8	536.9	1.9	535.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	204.2	153.6	50.6	143.3	115.6	27.7	203.1	174.5	28.6
	ვალდებულებების კლება	30.0	0.0	30.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 01	სანიაღვრე-საწრეტი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	243.8	243.8	0.0	156.0	156.0	0.0	176.4	176.4	0.0
	ხარჯები	90.2	90.2	0.0	40.4	40.4	0.0	1.9	1.9	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	153.6	153.6	0.0	115.6	115.6	0.0	174.5	174.5	0.0
03 02 02	დასუფთავების ღონისძიებები	425.7	0.0	425.7	402.7	0.0	402.7	425.0	0.0	425.0
	ხარჯები	387.0	0.0	387.0	402.7	0.0	402.7	425.0	0.0	425.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8.7	0.0	8.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	30.0	0.0	30.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	14.1	0.0	14.1	2.5	0.0	2.5	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	14.1	0.0	14.1	0.2	0.0	0.2	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	2.3	0.0	2.3	0.0	0.0	0.0
03 02 04	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	136.6	0.0	136.6	128.3	0.0	128.3	138.6	0.0	138.6
	ხარჯები	94.7	0.0	94.7	102.9	0.0	102.9	110.0	0.0	110.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	41.9	0.0	41.9	25.4	0.0	25.4	28.6	0.0	28.6
03 03	ურბანული ტერიტორიის კეთილმოწყობა	305.7	223.5	82.2	228.7	191.2	37.5	173.2	114.0	59.2
	ხარჯები	13.0	12.8	0.2	4.7	0.1	4.6	38.2	38.2	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	292.7	210.7	82.0	224.0	191.1	32.9	135.0	75.8	59.2

კოდი	საბიუჯეტო პროგრამა	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	292.3	292.3	0.0	48.2	48.2	0.0	577.0	577.0	0.0
	ხარჯები	74.3	74.3	0.0	41.9	41.9	0.0	215.0	215.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	214.5	214.5	0.0	6.3	6.3	0.0	362.0	362.0	0.0
	ვალდებულებების კლება	3.5	3.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	1,788.4	581.8	1,206.6	1,241.8	106.5	1,135.3	1,750.1	376.9	1,373.2
	ხარჯები	888.1	0.0	888.1	1,108.2	0.0	1,108.2	1,639.9	342.4	1,297.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	900.3	581.8	318.5	133.6	106.5	27.1	110.2	34.5	75.7
04 01	სკოლამდელი განათლება	904.7	0.0	904.7	1,111.7	0.0	1,111.7	1,280.0	0.0	1,280.0
	ხარჯები	886.8	0.0	886.8	1,108.2	0.0	1,108.2	1,275.0	0.0	1,275.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	17.9	0.0	17.9	3.5	0.0	3.5	5.0	0.0	5.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია	883.7	581.8	301.9	130.1	106.5	23.6	105.2	34.5	70.7
	ხარჯები	1.3	0.0	1.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	882.4	581.8	300.6	130.1	106.5	23.6	105.2	34.5	70.7
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	364.9	342.4	22.5
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	364.9	342.4	22.5
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,191.5	54.5	1,137.0	1,304.0	0.0	1,304.0	1,470.0	0.0	1,470.0
	ხარჯები	1,088.5	0.0	1,088.5	1,235.1	0.0	1,235.1	1,386.9	0.0	1,386.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	102.2	54.5	47.7	68.9	0.0	68.9	83.1	0.0	83.1
	ვალდებულებების კლება	0.8	0.0	0.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	425.5	0.0	425.5	548.4	0.0	548.4	536.7	0.0	536.7
	ხარჯები	409.2	0.0	409.2	490.1	0.0	490.1	510.0	0.0	510.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16.3	0.0	16.3	58.3	0.0	58.3	26.7	0.0	26.7
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	4.7	0.0	4.7	11.7	0.0	11.7	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	4.7	0.0	4.7	11.7	0.0	11.7	10.0	0.0	10.0
05 01 02	სასპორტო და სახელოვნებო დაწესებულებების გაერთიანება	41.0	0.0	41.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	41.0	0.0	41.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 04	სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	9.4	0.0	9.4	52.8	0.0	52.8	26.7	0.0	26.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9.4	0.0	9.4	52.8	0.0	52.8	26.7	0.0	26.7
05 01 05	სარაგბო კლუბი ვანის აიეტი	70.0	0.0	70.0	128.0	0.0	128.0	135.0	0.0	135.0

კოდი	საბიუჯეტო პროგრამა	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	67.2	0.0	67.2	125.1	0.0	125.1	135.0	0.0	135.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.8	0.0	2.8	2.9	0.0	2.9	0.0	0.0	0.0
05 01 06	სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება	300.4	0.0	300.4	355.9	0.0	355.9	365.0	0.0	365.0
	ხარჯები	296.3	0.0	296.3	353.3	0.0	353.3	365.0	0.0	365.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.1	0.0	4.1	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	677.5	54.5	623.0	650.8	0.0	650.8	747.1	0.0	747.1
	ხარჯები	591.6	0.0	591.6	643.8	0.0	643.8	694.0	0.0	694.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	85.9	54.5	31.4	7.0	0.0	7.0	53.1	0.0	53.1
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი	329.4	0.0	329.4	327.4	0.0	327.4	375.0	0.0	375.0
	ხარჯები	326.4	0.0	326.4	324.4	0.0	324.4	375.0	0.0	375.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0	0.0	0.0	0.0
05 02 02	კულტურის სფეროს ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	87.5	54.5	33.0	0.0	0.0	0.0	52.1	0.0	52.1
	ხარჯები	4.8	0.0	4.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	82.7	54.5	28.2	0.0	0.0	0.0	52.1	0.0	52.1
05 02 03	სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი	260.6	0.0	260.6	323.4	0.0	323.4	320.0	0.0	320.0
	ხარჯები	260.4	0.0	260.4	319.4	0.0	319.4	319.0	0.0	319.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.2	0.0	0.2	4.0	0.0	4.0	1.0	0.0	1.0
05 03	ახალგაზრდული, კულტურული და ტურიზმის ღონისძიებების ხელშეწყობა	38.5	0.0	38.5	29.1	0.0	29.1	31.2	0.0	31.2
	ხარჯები	37.7	0.0	37.7	29.1	0.0	29.1	31.2	0.0	31.2
	ვალდებულებების კლება	0.8	0.0	0.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 04	ეპარქიის მხარდაჭერა	50.0	0.0	50.0	50.0	0.0	50.0	80.0	0.0	80.0
	ხარჯები	50.0	0.0	50.0	50.0	0.0	50.0	80.0	0.0	80.0
05 05	ვანის ტურიზმის ცენტრი	0.0	0.0	0.0	25.7	0.0	25.7	75.0	0.0	75.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	22.1	0.0	22.1	71.7	0.0	71.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	3.6	0.0	3.6	3.3	0.0	3.3
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	764.0	66.0	698.0	995.5	303.3	692.2	860.1	151.6	708.5

კოდი	საბიუჯეტო პროგრამა	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	763.5	66.0	697.5	870.1	185.0	685.1	828.6	151.6	677.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.5	0.0	0.5	125.4	118.3	7.1	31.5	0.0	31.5
06 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	65.5	65.0	0.5	190.4	183.3	7.1	100.5	65.0	35.5
	ხარჯები	65.0	65.0	0.0	65.0	65.0	0.0	69.0	65.0	4.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.5	0.0	0.5	125.4	118.3	7.1	31.5	0.0	31.5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	65.0	65.0	0.0	65.0	65.0	0.0	69.0	65.0	4.0
	ხარჯები	65.0	65.0	0.0	65.0	65.0	0.0	69.0	65.0	4.0
06 01 02	ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	0.5	0.0	0.5	125.4	118.3	7.1	31.5	0.0	31.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.5	0.0	0.5	125.4	118.3	7.1	31.5	0.0	31.5
06 02	სოციალური პროგრამები	698.5	1.0	697.5	805.1	120.0	685.1	759.6	86.6	673.0
	ხარჯები	698.5	1.0	697.5	805.1	120.0	685.1	759.6	86.6	673.0
06 02 01	მზრუნველობა-მოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	21.4	0.0	21.4	21.0	0.0	21.0	33.0	0.0	33.0
	ხარჯები	21.4	0.0	21.4	21.0	0.0	21.0	33.0	0.0	33.0
06 02 02	სარიტუალო დახმარება	39.7	1.0	38.7	32.0	0.0	32.0	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	39.7	1.0	38.7	32.0	0.0	32.0	30.0	0.0	30.0
06 02 03	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	113.4	0.0	113.4	106.0	0.0	106.0	100.0	0.0	100.0
	ხარჯები	113.4	0.0	113.4	106.0	0.0	106.0	100.0	0.0	100.0
06 02 04	სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	0.0	0.0	0.0	154.8	120.0	34.8	126.6	86.6	40.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	154.8	120.0	34.8	126.6	86.6	40.0
06 02 05	სამედიცინო დახმარება	242.4	0.0	242.4	244.1	0.0	244.1	250.0	0.0	250.0
	ხარჯები	242.4	0.0	242.4	244.1	0.0	244.1	250.0	0.0	250.0
06 02 06	დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება	42.2	0.0	42.2	38.8	0.0	38.8	41.0	0.0	41.0
	ხარჯები	42.2	0.0	42.2	38.8	0.0	38.8	41.0	0.0	41.0
06 02 07	საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე სოციალურად დაუცველ ვეტერანთა დახმარება	6.0	0.0	6.0	9.7	0.0	9.7	11.0	0.0	11.0
	ხარჯები	6.0	0.0	6.0	9.7	0.0	9.7	11.0	0.0	11.0
06 02 08	ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა ოჯახების დახმარება	34.0	0.0	34.0	34.0	0.0	34.0	34.0	0.0	34.0



კოდი	საბიუჯეტო პროგრამა	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	34.0	0.0	34.0	34.0	0.0	34.0	34.0	0.0	34.0
06 02 09	დღევანდელი დახმარება	9.0	0.0	9.0	5.0	0.0	5.0	7.0	0.0	7.0
	ხარჯები	9.0	0.0	9.0	5.0	0.0	5.0	7.0	0.0	7.0
06 02 10	მეორე მსოფლიო ომისა და ჩერნობილის ავარიის მონაწილეთა დახმარება	7.0	0.0	7.0	6.7	0.0	6.7	6.0	0.0	6.0
	ხარჯები	7.0	0.0	7.0	6.7	0.0	6.7	6.0	0.0	6.0
06 02 11	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	25.5	0.0	25.5	21.5	0.0	21.5	25.0	0.0	25.0
	ხარჯები	25.5	0.0	25.5	21.5	0.0	21.5	25.0	0.0	25.0
06 02 12	მარჩენალად დაცვლილ პირთა დახმარება	10.6	0.0	10.6	20.0	0.0	20.0	25.0	0.0	25.0
	ხარჯები	10.6	0.0	10.6	20.0	0.0	20.0	25.0	0.0	25.0
06 02 13	სხვა სოციალური ღონისძიებები	110.2	0.0	110.2	59.1	0.0	59.1	3.0	0.0	3.0
	ხარჯები	110.2	0.0	110.2	59.1	0.0	59.1	3.0	0.0	3.0
06 02 14	სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარება	4.0	0.0	4.0	14.5	0.0	14.5	15.0	0.0	15.0
	ხარჯები	4.0	0.0	4.0	14.5	0.0	14.5	15.0	0.0	15.0
06 02 15	მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება	33.1	0.0	33.1	37,9	0.0	37,9	40.0	0.0	40.0
	ხარჯები	33.1	0.0	33.1	37,9	0.0	37,9	40.0	0.0	40.0
06 02 16	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	3.0	0.0	3.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	3.0	0.0	3.0
06 02 17	უსახლკაროთა დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	10.0	0.0	10.0

## ნიკო ნიკოლაძის მოგზაურული ჟანრის ნარატივთა ეროვნული კონტექსტი

XIX საუკუნეში მოღვაწე იმ ქართველ მწერალთა შორის, რომელთაც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით ქართულ ლიტერატურაში მოგზაურული ჟანრის კიდევ უფრო მეტად დასამკვიდრებლად, უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ ნიკო ნიკოლაძე (1843–1928 წწ.). როგორც მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ნათლად ჩანს, მოგზაურულ შთაბეჭდილებათა გამოხატვა ჟანრობრივად მრავალფეროვანი მისი შემოქმედების ერთ-ერთ საგულისხმოდ მიმართულებას წარმოადგენდა და ჩვენი ქვეყნის, რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში მის მოგზაურობებთან დაკავშირებულ ამბავთა მოთხრობის დროს იგი თავისი დროის მრავალ აქტუალურ პრობლემასაც აანალიზებდა ფართოდ და მასშტაბურად.

პირველი ნაწარმოები, რომლითაც ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებაში ამ ჟანრობრივი სახეობის დამკვიდრებას დაუდო სათავე, იყო გერმანიაში მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებათა ამსახველი მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევი „ქვეითად და რკინის გზით (მგზავრის შენიშვნები)“, რომელიც 1869 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში.“ ამავე ჟანრობრივ სახეობას შეიძლება მივაკუთვნოთ 1870 წელს ასევე გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი „მანგლისის გზაზეც,“ რომელშიც თბილისიდან მანგლისში მიმავალი მწერლის მოგზაურული შთაბეჭდილებანია მოთხრობილი.

ამ დროიდან მოყოლებული, ნ. ნიკოლაძის შემოქმედებაში საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავა არა მარტო მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებათა გამოხატვამ, არამედ ამ შთაბეჭდილებათა საფუძველზე იმდროინდელ პრობლემათა განსჯა-გააზრებამ. მართალია, აღნიშნული ტენდენციის გამომხატველი მისი ეს ტექსტები მოგზაურული ჟანრისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელ ჩარჩოებში ნაკლებად არიან მოქცეული, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ეს გარემოება კი არ არის, არამედ ის ფაქტი, რომ არამშობლიურ გეოგრაფიულ გარემოში მყოფი მწერლისათვის იქ მიღებული შთაბეჭდილებანი შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ მძლავრ ძალად რომ იყო ქცეული.

აღნიშნული ჟანრული სახეობის ისტორიაში ნ. ნიკოლაძის ყველაზე დიდ მიღწევად 1873 წელს ჟურნალ „კრებულის“ IV ნომერში გამოქვეყნებული ვრცელი ნარკვევი – „სხვათა შორის (ნაგრძობი და განაგონი)“ უნდა მივიჩნიოთ. როგორც ხსენებულ ნარკვევთან დაკავშირებით XIX საუკუნის 70-იან წლებშივე გამოქვეყნებული გამომხატურებებიდან თვალნათლივ ჩანს, პრობლემათა მრავალმხრივობითა და აქტუალობით გამორჩეული ეს ნარკვევი იმთავითვე იქცა იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების ცხოველი ინტერესის საგნად. მაგალითად, გიორგი წერეთლის შეფასებით, ნ. ნიკოლაძის ეს „თხზულება სწორედ მოვლენა“ იყო ჩვენს ლიტერატურაში, „თილისმის ის შუშა, რომელშიც გაიხედავთ და მთელს ქვეყნიერებას ხელისგულივით დაინახავთ“ („დროება“, 1873, №44).

თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებები ნ. ნიკოლაძემ ამ ნარკვევში სამი უმთავრესი მიმართულებით გამოხატა – პირველ ნაწილში მან იმ დროისათვის ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფ ბათუმში მის ხანმოკლე ყოფნასთან დაკავშირებული ამბები მოგვითხრო, მეორე ნაწილში – პეტერბურგული შთაბეჭდილებანი, მესამეში კი ევროპის ქვეყნებში მისი მოგზაურობის შესახებ გვიამბო საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძის ნარკვევის სიუჟეტურ საფუძველად სწორედ ხსენებულ მოგზაურობასთან დაკავშირებულ ამბავთა მოთხრობა არის ქცეული, არ გადავაჭარბებთ, აქვე

იმასაც ხაზგასმით თუ ვიტყვით, რომ ეს ყველაფერი მწერალს უპირველეს ყოვლისა ამა თუ იმ პრობლემის დასასმელად და გასააზრებლად სჭირდება, მისი მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის უფრო შთამბეჭდავად და სიღრმისეულად წარმოსაჩენად.

ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“ ამ თვალსაზრისით არსებითად განსხვავდება წინამორბედ ქართველ მწერალთა უმეტესობის მიერ თავიანთი მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებებით დამკვიდრებული იმ ტრადიციისაგან, რომლის უმთავრეს მიზანსაც მათ მოგზაურობასთან დაკავშირებულ ამბავთა მოთხრობა წარმოადგენდა. მათგან განსხვავებით, უშუალოდ მოგზაურულ შთაბეჭდილებათა აღწერას და შესაბამისი ქვეყნების ღირსშესანიშნაობებზე საუბარს ნ. ნიკოლაძის მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებებში შედარებით ნაკლები ადგილი უჭირავს.

ამ შთაბეჭდილებების მოთხრობაზე უფრო მეტად მწერალი პრობლემათა განსჯა-გააზრებითაა დაინტერესებული. მიუხედავად იმისა, რომ პუბლიცისტურ ელემენტებს წინამორბედ ავტორთა მოგზაურული ჟანრის ტექსტებშიც ჰქონდა დამკვიდრებული მეტ-ნაკლებად საგულისხმო ადგილი, ნ. ნიკოლაძის შემოქმედება ამ თვალსაზრისით მათგან მკვეთრად განსხვავებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს და ახალ ტენდენციებს ამკვიდრებს ქართული მოგზაურული ჟანრის ისტორიაში.

როგორც უკვე ითქვა, ნ. ნიკოლაძის ზემოთ დასახელებული ნარკვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ავტორის ბათუმურ შთაბეჭდილებათა მოთხრობა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ეს მონაკვეთი მოცულობით არცთუ ისე დიდია, იგი არა მარტო ინფორმაციული თვალსაზრისითაა უაღრესად ფასეული, არამედ ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მოქცეულ ბათუმში იმხანად არსებული რეალობისადმი ავტორის დამოკიდებულებითაც.

ნ. ნიკოლაძის ნარკვევის აღნიშნული მონაკვეთის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ოსმალეთის დროინდელი ბათუმი და აჭარა თითქმის მთლიანად დარჩა უშუალოდ იმ პერიოდში მოღვაწე ქართველ მწერალთა ყურადღების მიღმა და მათ შესახებ თითქმის არაფერი შექმნილა არსებითად ფასეული და მნიშვნელოვანი. ამ სამწუხარო რეალობის სასიკეთოდ შეცვლის ტენდენციას სათავე რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ პერიოდში დაედო, დედასამშობლოსთან ხსენებული რეგიონის შემოერთების შედეგად.

მეტად გულსატკენია ის ფაქტი, რომ მანამდე ჩვენს მწერლობაში აჭარისა და მისი მთავარი ქალაქის შესახებ ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ოსმალეთის დროინდელი ამ რეგიონების ყოფა იქნებოდა ასახული, ფაქტობრივად არ შექმნილა. მართალია, მეფე თეიმურაზ პირველმა (1589-1663 წწ.) თავისი ცხოვრების გარკვეული პერიოდი (1616 (ან 1617)-1620 წლები) დევნილობის გამო აჭარაში მდებარე სოფელ გონიოში კი გაატარა, მაგრამ არც მის შემოქმედებასა და არც მეფე-პოეტ არჩილის პოემაში – „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, რომელშიც თეიმურაზის ცხოვრების ხსენებულ ეპიზოდზეცაა ნათქვამი რამდენიმე სიტყვა, თეიმურაზის ცხოვრების აჭარულ პერიოდზე არსებითად მნიშვნელოვანი არაფერია დაფიქსირებული.

პირველი მწერალი, რომელმაც ეს სამწუხარო რეალობა თითქოს დაარღვია, სულხან-საბა ორბელიანი იყო. კერძოდ, როგორც ცნობილია, თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს იგი აჭარაში იმხანად არსებული მდგომარეობის შესახებაც გვაწვდის მეტად მწირ ინფორმაციას. თუმცა, რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, დიდი მწერლის ამ მონათხრობში ერთი სიტყვაც კი არაა ნათქვამი იმაზე, ეს რეგიონი ქართული სახელმწიფოებრივი სივრცის იმ ნაწილს რომ წარმოადგენდა, რომელიც იმხანად ოსმალეთის იმპერიას ჰქონდა დაპყრობილი.

ამ დროიდან მოყოლებული, აჭარის, მით უფრო ბათუმის, შესახებ XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ქართულ მწერლობაში უკვე საერთოდ აღარ თქმულა რაიმე.

პირველი მწერლები, რომელთაც ქართულ ლიტერატურაში ამ სამწუხარო ტრადიციის დარ-

ღვევას დაუდეს სათავე, გიორგი ერისთავი და ივანე კერესელიძე იყვნენ. კერძოდ, გიორგი ერისთავმა – ევროპის ქვეყნებში თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების ამსახველი ნაწარმოებით – „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდან“ და ივანე კერესელიძემ – ჟურნალ „ცისკრის“ 1869 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნებული ნარკვევით – „აზიის ოსმალეთში“.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარასა და მის მთავარ ქალაქში მცხოვრები ჩვენი მოძმეების ეროვნული ტრაგედია, რაც არსებითად იყო განპირობებული დედასამშობლოსაგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათი იძულებითი მონყვევით, მოგზაურული ჟანრის ხსენებულ ნაწარმოებებში მეტად ფრაგმენტულად და ზედაპირულად იყო ასახული, აღნიშნულ ქმნილებებს, როგორც ამ ტრაგედიის გარკვეული ფორმით პირველნარმომჩენ მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტებს, მაინც უნდა მივანიჭოთ განსაკუთრებული მნიშვნელობა.

შემდეგი მწერლები, რომელთაც ამ მოვლენას ხსენებულ რეგიონში ოსმალთა ბატონობის პერიოდშივე შესძინეს კიდევ უფრო დიდი მასშტაბები და პატრიოტული თვალთახედვით წარმოაჩინეს აჭარაში მცხოვრები ჩვენი მოძმეების ეროვნული პრობლემები, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ბაქრაძე და გიორგი ყაზბეგი იყვნენ. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ნიკო ნიკოლაძის ზემოთ უკვე მოხსენიებული ნარკვევი – „სხვათა შორის,“ დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890 წწ.) მიერ აჭარასა და გურიაში 1873 წელს მონყობილი სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე დაწერილი და 1878 წელს სანკტ-პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი – „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიაში და აჭარაში“ და გიორგი ყაზბეგის წიგნი – „სამი თვე თურქეთის საქართველოში,“ რომელიც მან ე. წ. „ოსმალთა საქართველოში“ 1873 წელს განხორციელებული არალეგალური მოგზაურობის შედეგად შექმნა და 1875 წელს გამოსცა ასევე პეტერბურგში რუსულ ენაზე.

ვითარების სასიკეთოდ შეცვლის ამ ტენდენციამ კიდევ უფრო მეტი მასშტაბები შეიძინა რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1877-1878 წლების ომის წინარე ხანაში. კერძოდ, 1875 წლიდან მოყოლებული, არა მარტო აჭარისადმი მიძღვნილი წერილები მომრავლდა იმდროინდელ ქართულ პრესაში, არამედ ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონში ქართველ მამულიშვილთა (მათ შორის აკაკი წერეთლისაც) საიდუმლო სტუმრობის შემთხვევებმაც იმატა, რის უმთავრეს მიზანსაც ამ მხარეში ანტიოსმალური ბრძოლის გააქტიურება წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი, საიდანაც ნიკო ნიკოლაძე 1872 წელს გემით გამგზავრებულა ოდესაში, იმხანად კვლავაც ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში იყო მოქცეული, რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ქართული რეგიონებიდან (ამ შემთხვევაში ქალაქ ფოთიდან) იქ ჩასვლა განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა. ამაში არა მარტო ნ. ნიკოლაძის მონათხრობიდან ვრწმუნდებით, არამედ გ. ერისთავის ზემოთ ხსენებული „მგზავრობიდანაც,“ რომლითაც ირკვევა, რომ ევროპაში სამოგზაუროდ მწერალი სწორედ ბათუმის პორტიდან გამგზავრებულა 1862 წელს.

პირველ ყოვლისა აღნიშნულ გარემოებათა პირდაპირ შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ორივე მწერალი თავიანთ მოგზაურულ შთაბეჭდილებათა ამსახველ მხატვრულ-დოკუმენტურ ნარკვევებში ამ ქალაქში იმხანად არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებითაც გვანვდის მეტად მნიშვნელოვან ცნობებს.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოადგენა შეექმნეს ნ. ნიკოლაძის ბათუმურ შთაბეჭდილებათა არსზე, მოკლედ გავიხსენებ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ეპიზოდებს.

როგორც ითქვა, ნ. ნიკოლაძეს ფოთიდან ბათუმში წასვლა იმ მიზნით მოუხდა, იქიდან გემით რომ გამგზავრებულიყო ოდესაში. იმხანად ოსმალეთის დაქვემდებარებაში მყოფი აჭარის მთავარ ქალაქში თავის ამ მგზავრობას მწერალი ნაწარმოების დასაწყისშივე ასეთ შეფასებას აძლევს „ფოთი თან და თან თვალიდამ გვეკარგებოდა და მასთან ჩვენი სამშობლოც“ (ნიკოლაძე, 1963: 66).

აჭარისადმი მწერლის ამგვარი დამოკიდებულება შემთხვევით მოვლენას რომ არ წარმოადგენდა და ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონს ნ. ნიკოლაძე, იმხანად იქ არსებული რეალობიდან გამომდინარე, თავის სამშბლო მხარედ აღარ მიიჩნევდა, ამას ნაწარმოების ეს ფრაგმენტიც არაორაზროვნად ადასტურებს: „გემი მიმაფრენს, მაშორებს ჩემს საყვარელ ქვეყანას. თვალიდამ დამეკარგა ყველაფერი, რაც კი იმას მახსენებდა. სჩანს მარტო ნისლი, ნისლი და ნისლი... შევედით ოსმალეთში“.

თუმცა ამ განწყობით ბათუმში მისული მწერალი იქ გატარებული ხანმოკლე დროის შედეგად დაუეჭვებლად დარწმუნდა იმაში, რომ დედასამშობლოსაგან მრავალსაუკუნოვანი მოწყვეტისა და ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში ყოფნის მიუხედავად, მთელი აჭარაცა და მისი მთავარი ქალაქიც მაინც რჩებოდა უმთავრესად ქართველებით დასახლებულ რეგიონად.

ავტორისეული მონათხრობის ეს მონაკვეთი საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ ჩვენი ეროვნული პრობლემებისადმი მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება მხოლოდ ბათუმში არსებული მდგომარეობის შეფასებით არ შემოიფარგლება და მისი კრიტიკული თვალთახედვის არეალში ფაქტობრივად მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით არსებული რეალობაცაა მოქცეული.

მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევს ფოთიდან ბათუმისაკენ მიმავალი მწერალი იმ მკვეთრ შეუსაბამობას, რომელიც, მისი აზრით, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სილამაზესა და „ძლიერ შემაერთებელ სულს მოკლებულ“ ცალკეულ ნაწილებს შორის არსებობდა: „ფოთი დაიმაღლა თავის შნოიანათ გაღესილ, შეფერილ ქუჩებით და დამპალი შიგნეულობით. მაგრამ ჩემს თვალს წინ მაინც დიდხანს იდგა მისი სურათი, რომელიც მე ჩვენი ქვეყნის ნამდვილ და ჭეშმარიტ სურათად მიმაჩნია. ლამაზია ის, აყვავებული, ნარნარ ვარდივით გაშლილი, მაგრამ გარეგანი სილამაზის მეტი არაფერი ღვივის და აცხოველებს ამ საყვარელ ქმნილებას. იმას აკლია ძლიერი შემაერთებელი სული, აკლია ძალის მომცემი ერთობის სიცხოველე, ატყვია მომხიზვლელი გარს-განდგომის, განცალკევების ბეჭედი“ (ნიკოლაძე, 1963: 66).

ნ. ნიკოლაძის მონათხრობიდან ზემოთ დამონმებულ იმ ფრაგმენტთა მიუხედავად, რომელთა მეშვეობითაც მწერალი ბათუმსაც და მთელ აჭარასაც იმხანად ოსმალეთის ნაწილად მიიჩნევდა, ქალაქში გატარებული ხანმოკლე დროის განმავლობაში იგი დაუეჭვებლად დარწმუნდა იმაში, რომ სადმე, უცხო მხარეში, კი არა მისი “წინაპრების გაოხრებულ სამკვიდრებელში” იმყოფებოდა.

ამ აღმოჩენამ მწერლის გულში პირველ ყოვლისა სინანულისა და სინდისის ქენჯნის მძაფრი გრძნობა გააჩინა იმ უყურადღებობისა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, რასაც ის და მისი დროის ქართველობა იჩენდა უცხო სახელმწიფოს მიერ მიტაცებული ამ რეგიონისა და მისი მკვიდრი ჩვენი მოძმეების მიმართ. ნ. ნიკოლაძის მონათხრობში ყოველივე ამის შედეგად გაჩენილი შინაგანი პროტესტის გრძნობა ასეა გამოხატული: „ყოველი ნაბიჯი, თითოეული თვალის გადავლება, მთელი არე-მარე თითქო მეუბნება – „დახე, აქ რა სიმდიდრე და ძალა ყოფილა, შეხედე, რა გონიერათ დაუმზადებიათ და უხმარიათ ეს საუნჯე და როგორ დაცემულა ეხლა ძველი ძლიერება, როგორ აოხრებულა უპატრონობით ეს მშვენიერი სამკვიდრებელი. არ გრცხვენიაო!“ და მე მართლაც მრცხვენია. თითქო მე დამეფანტოს და დამეკარგოს სხვის ნაჭირნახულები, თითქო მე დამეზინოს ძვირფასი საუნჯე, თითქო უცხო ქვეყნელის დამკვირვებელი თვალის მერიდებოდეს, როგორც გამამტყუნებელი სინდისისა“ (ნიკოლაძე, 1963: 70).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ნ. ნიკოლაძის განსახილველი ნარკვევისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ავტორი მისი მეშვეობით მრავალ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანდის ოსმალეთის დროინდელ ლაზისტანის სანჯაყთან და მის ადმინისტრაციულ ცენტრად ქცეულ ქალაქ ბათუმთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ხსენებულ რეგიონში იმხანად არსებული რეალური მდგომარეობა არა მარტო იმდროინდელი ფართო საზოგადოებისთვის იყო სრულიად უცნობი, არამედ ქართველ მოღვაწეთა უდიდესი ნაწილისთვისაც. აქედან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძის ნარკვევი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა მივიჩნიოთ

მეტად ფასეულ წერილობით პირველწყაროდ შესაბამისი პერიოდის ბათუმისა და მთელი ლაზისტანის ისტორიის შესასწავლად.

ხსენებულ რეგიონზე საუბარს ნ. ნიკოლაძე ბათუმის, როგორც უნიკალური ადგილმდებარეობით გამორჩეული პორტის, დახასიათებით იწყებს. კერძოდ, მისი შეფასებით, შავ ზღვაზე ისეთი „ნავსაყუდარი ადგილი, სადაც თავის შეფარება და ტაროსის მოცდა შეეძლოს ხომალდს, ან სანდალს, სადაც შესაძლო იყოს ხეირიანი პორტის, ან ბოლაზის გამართვა, მეორე არსადაა. სტამბოლის და სევასტოპოლის გარდა შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი ადგილი არ ჰქონია და არა აქვს, და ეს ძვირფასი თვალი, რომლის გარშემო დღესაც ჩვენი ქართველი ხალხი ცხოვრობს, – დაკარგული და მივარდნილია“ (ნიკოლაძე, 1963: 70).

როგორც დამონშებული ფრაგმენტითაც ნათლად ჩანს, ბათუმის პორტის უნიკალურ ადგილმდებარეობასა და დიდ სამომავლო პერსპექტივებზე საუბრის დროს ნ. ნიკოლაძე იმ გარემოებასაც არაერთგზის უსვამს ხაზს, ეს ქალაქიცა და მთელი მისი შემოგარენიც უმთავრესად ქართველებით რომ იყო დასახლებული.

თავისი ეროვნული გულისტკივილის გამოხატვას განსაკუთრებით დიდი მასშტაბი მწერალმა მოარულ ამბად ქცეული შემდეგი ფაქტის გახსენებითაც შესძინა: ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში შემავალი ის ტერიტორია, რომელიც ჩოლოქსა და ჭოროხს შორის მდებარეობს, რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1829 წელს გაფორმებული ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ძალით ოსმალეთის დაქვემდებარებაში თითქოს მხოლოდ იმის შედეგად მოხვედრილა, რომ ამ მდინარეების სახელმწიფოებათა ნაკითხვის დროს დაშვებული შეცდომის გამო სიტყვები: ჩოლოქი და ჭოროხი ერთმანეთში არევიათ.

კერძოდ, აი, რას წერს მწერალი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით: „ამას წინათ „კაკვაზში“ დაბეჭდილი იყო იმ შემთხვევის მოთხრობა, თუ როგორ და რა მიზეზით შერჩა თათრებს ბათუმი. ადრიანოპოლის (1829) შერიგების დროს ოსმალეთი რუსეთს დათანხმებია თურმე, დაგითმობ ყველა იმ ადგილებს ლაზისტანისას, სადაც ქართველები სცხოვრობენ, **ჭოროხის** (ეხლანდელი ჩორუხ-სუ) მდინარემდო. მორიგების წერილში და მის რუსულ თარგმანში ეს მდინარე „**Чорокъ**“-ათ დაუნერიათ. და როცა ჩვენში ის „შეზავებული კომისია“ მოსულა, რომელსაც ახალი სამზღვარი ადგილზე უნდა დაენიშნა, თათრებს ჭოროხის მაგიერ ჩოლოქის „**Чолокъ**“ მდინარეზე მიუთითებიათ, გურიაში. შეცდომა მარტო ერთ რუსულ ასოზე ყოფილა დამოკიდებული, და ამ მიზეზით თათრებს მთელი ის მხარე შერჩენიათ, რომელიც ჩოლოქსა და ჭოროხს შუა მდებარეობს და რომელზედაც ჩვენი აჭარლები სცხოვრობენ“ (ნიკოლაძე, 1963: 71).

განსახილველი ნარკვევის ე. წ. ბათუმური ეპიზოდი უაღრესად მნიშვნელოვან წერილობით დოკუმენტს იმ თვალსაზრისითაც წარმოადგენს, რომ თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს ავტორი ლაზისტანის სანჯაყად სახელდებული იმ ტერიტორიული ერთეულის შესახებაც გვანვდის კონკრეტულ მონაცემებს, რომლის ცენტრსაც ბათუმი წარმოადგენდა.

აქედან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძემ არა მარტო ქალაქ ბათუმთან დაკავშირებით მოგვანოდა მნიშვნელოვანი ცნობები, არამედ ლაზისტანის სანჯაყად წოდებული იმ ტერიტორიული ერთეულის შესახებაც, რომელიც აჭარასა და ლაზეთის გარკვეულ ნაწილს მოიცავდა. ფაქტობრივად, ეს იყო ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია, რომლითაც მაშინდელი ჩვენი საზოგადოება უშუალოდ ამ რეგიონში ნამყოფი პიროვნებისაგან იღებდა კონკრეტულ ცნობებს იქ არსებული მმართველობითი ფორმის, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, საგანმანათლებლო სისტემის, რელიგიისა და იქაურთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

კერძოდ, ნ. ნიკოლაძის ინფორმაციით, ლაზისტანის სანჯაყი იმ დროისათვის (1872 წლისთვის) თერთმეტ ყაზად ანუ მაზრად ყოფილა დაყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული რეგიონი იმხანად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიულ ერთეულს

წარმოადგენდა, ე. წ. რუსეთის საქართველოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები (პირველ ყოვლისა – ვაჭრები და კომერსანტები) იქ ჩასვლას მაინც ახერხებდნენ განსაკუთრებულ სირთულეთა გარეშე. თავად ნ. ნიკოლაძე აღნიშნულ მოგზაურობამდეც არაერთხელ რომ ყოფილა ბათუმში ნამყოფი, ამას მისი ნარკვევიდან ციტირებული ეს სტრიქონებიც ადასტურებს: „საკვირველი სურათი მეხატება თავში ყოველთვის, როცა მე ბათუმის ბოლაზში შევყავარ „რუსული კომპანიის“ ხომალდს“ (ნიკოლაძე, 1963: 70).

ნ. ნიკოლაძის ხაზგასმით, 1872 წლისათვის, როცა იგი ბათუმში იმყოფებოდა, ეს ქალაქი ერთ პატარა, უბადრუკი იერსახის მქონე, დასახლებას წარმოადგენდა. აი, რა ინფორმაციას გვანვლდის ის ამასთან დაკავშირებით: „ბათუმის ქალაქი ასიოდე უბედურ სახლს და ქოხს ჰქვია. ზოგი იმათგანი დაბნნილი და შეტყეცილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია. ორიოდე შენობა ქვითკირისა ც მოიძებნება. მაგრამ ფაცხა, ფიცრული და ქვითკირი მგონი უფრო იმიტომაა გაშენებული, რომ ქარი, სიცივე და სიცხე შეუშვან, ვინემ კაცს თავი შეაფარვინონ“ (ნიკოლაძე, 1963, 76).

ბათუმის შესახებ ნ. ნიკოლაძის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია სიმართლეს რომ წარმოადგენს, ეს ფაქტი დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთების შემდეგ ამ ქალაქში ნამყოფ სხვა ქართველ ავტორთა პუბლიკაციებითაც არაორაზროვნად დასტურდება. მაგალითად, აი, როგორ აღწერს XIX საუკუნის 80-იანი წლების ბათუმში ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას დავით კლდიაშვილი: „ბათუმი მაშინ (1882 წელს – ა. ნ.) პატარა ქალაქი იყო ოთხი ათასი მცხოვრებით. ქალაქი, თუკი შეიძლებოდა მისი ქალაქად წოდება, მდებარეობდა ზღვის პირად; ზღვის პირადვე იყო ბაზარი, პატარა დაბალი ქოხმახები – ვითომ მაღაზიები; რამდენიმე ქუჩა, ვინრო და მოუკირწყლავი. ქალაქის გარშემო გაბნეული იყო ფაცხები, რომლებშიაც ცხოვრობდნენ აფხაზები და ზანგები. ახლა რომ რკინიგზა მიდის ქალაქში, ეს ისეთი მოშორებული ადგილი იყო, რომ მარტოდ იქ წასვლა საშიში და სარიდებელი იყო დღისით, საღამოთი კი პირდაპირ შეუძლებელი... ქალაქის გარშემო ადგილები ჭაობებით იყო დაფარული. ძლიერ ნაკლებად იყო სოფლებიც და რაც იყო, ისიც პატარები და მცხოვრებთა მცირე რიცხვით“ (კლდიაშვილი, 1988: 399).

ბათუმის ადგილმდებარეობის უნიკალურობითა და ბუნებრივი პირობებით მოხიბლული ნ. ნიკოლაძე ამ ქალაქის მკვიდრთა ეკონომიკური სიდუხჭირით განპირობებულ თავის გულისტკივილს ამგვარად გამოხატავს: „ცოდვა არ არის, ამისთანა ბუნებისგან მდიდრათ დაჯილდოებულ ბოლოზში, რომელიც ალებ-მიცემით აყვავებული და გაბიბინებული უნდა იყოს, ასე ღარიბათ და ღატაკად სცხოვრობდეს ხალხი, ასე გაჭირვებულ და დამშეულ მდგომარეობაში იყოს მცხოვრები?“ (ნიკოლაძე, 1963, 76).

როგორც ითქვა, ნ. ნიკოლაძის ხსენებული ნარკვევი ფაქტობრივად პირველი ქართულენოვანი პუბლიკაცია იყო, რომლის მეშვეობითაც ქართველმა მკითხველმა, ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებასთან ერთად, ლაზისტანის სანჯაყის სახელით ცნობილი მთელი რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებაც შეიტყო ბევრი რამ. კერძოდ, მისი ინფორმაციით, ლაზისტანის სანჯაყის იმდროინდელი მოსახლეობის მთლიანი რაოდენობიდან (79 988 ადამიანიდან) 72 026 ქართველი იყო, 5 765 – ჩერქეზი, დანარჩენები კი ბერძნები, სომხები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები (ნიკოლაძე, 1963: 71).

ავტორის ხაზგასმით, ლაზისტანის სანჯაყის ადმინისტრაციულ ერთეულში ქართველები არა მარტო ბათუმის, ქობულეთის, ზემო და ქვემო აჭარისა და მაჭახელის ყაზებში (მაზრებში) წარმოადგენდნენ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, არამედ მის შემადგენლობაში შემაჯავალ იმ დასახლებულ პუნქტებშიც (ხოფა, არხავე, ათინა...), სადაც მათი რაოდენობა შემდგომ პერიოდებში მკვეთრად შემცირდა.

მოსახლეობის ამგვარი ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძე იქვე იმ გარემოებასაც მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას, ლაზისტანის სანჯაყის მკვიდრთა ძირითად საკომუნიკაციო ენას ქართული და ლაზური რომ წარმოადგენდა. კერძოდ, მისი ინფორ-

მაცით, „ჭოროხის გამოღმა, გურიის სამზღვრამდი, ხალხი ქართულ ენას ხმარობდა გურული კილოს ცოტაოდნათ გადაჭარბებით. ჭოროხს გაღმა კი, ტრაპიზონისკენ, **ლაზურ** (მეგრულის მსგავს) ენას ხმარობდნენ, წერაში კი მიუღიათ არაბული ასოების ხმარება და სარწმუნოებითაც ისლამს აღიარებდნენ“ (ნიკოლაძე, 1963, 72).

ოსმალბობის დროინდელ ბათუმსა და, საერთოდ, მთელს აჭარაში ქართული ენის, როგორც მოსახლეობის უმთავრესი საკომუნიკაციო საშუალების, ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე ზოგადად მონოდებული მხოლოდ ამ ინფორმაციით არ კმაყოფილდება და აღნიშნულ საკითხს ნარკვევის სხვა ეპიზოდებშიც აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.

მაგალითად, ბათუმის ნავსადგურში მისული ნიკო შეეცდებოდა, იქ მყოფ აჭარლებს თვალნათლივ დაანახოს რეალურად არსებული ის საშიშროება, რაც ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფი მათი კუთხის მცხოვრებლებს მშობლიური ქართული ენის დაკარგვის შემთხვევაში დაემუქრებოდათ. მართალია, ამ საშიშროების შესახებ საუბრის დროს ჩვენი აჭარელი თანამემამულეები მწერალს დაბეჯითებით არწმუნებდნენ იმაში, ასეთ შემთხვევაში ისინი „მაჭახელა ფიშტოთი“ რომ გაუსწორდებოდნენ მათი ენის ხელმყოფთ, მაგრამ მოსალოდნელი საფრთხის გაცნობიერებით შემფოთებული ნიკო მათთან გამომშვიდობების დროს მაინც აუცილებლად მიიჩნევს, იქაურებს კიდევ ერთხელ შეახსენოს ამ საშიშროების არსი: „ენა მაგ თქვენ მაჭახელა ფიშტოზე უფრო გამოსადეგია, რადგანაც ის შეგაერთებს და ძალას მოგცემს იმ გაჭირვების თავიდან ასაცილებლად, რომელიც თათრებიდგან გადგიათ“ (ნიკოლაძე, 1963, 83).

სამწუხაროდ, განსხვავებით აჭარასა და თურქეთის სხვა ქართულ რეგიონებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისაგან, რომელთაც უცხო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ცხოვრების მიუხედავად მაინც შეძლეს თავიანთი ენობრივი და ეროვნული იდენტობის მყარად დაცვა და შენარჩუნება, ოსმალეთის იმპერიის სხვა რეგიონებში განსახლებული და მშობლიურ ენობრივ წიაღს მოწყვეტილ ჩვენებურთა დიდი ნაწილი დღესდღეობით მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობითაა დაკავშირებული წინაპართა ეროვნულ ფესვებთან.

ბათუმელ ქართველებთან შეხვედრების შედეგად გამძაფრებულ თავის პატრიოტულ სულისკვეთებას ნ. ნიკოლაძე განსახილველ ნარკვევში იმითაც გამოხატავს, რომ არა მარტო ქართულ და თურქულ ენებს უპირისპირებს ერთმანეთს მკვეთრად გამოხატული ტენდენციურობითა და რეალურ საფუძველს მოკლებული სუბიექტივიზმით, არამედ ქართველებსაც და ოსმალებსაც და ამ დაპირისპირების გზით ცდილობს ჰიპერბოლიზებული ფორმით წარმოაჩინოს ჩვენი მოძმეების აშკარა უპირატესობა თურქებთან შედარებით.

ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ ნაწარმოების ის ეპიზოდი, სადაც ავტორი ბათუმის ბაზარში ყოფნის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს მოგვითხრობს: „ქართული ენა, მისი გურული სულნასული სისწრაფით და დარდიმანდი დაუდგრომლობით, საკვირველათ განსხვავდებოდა თათრების წელმონწყვეტილი, ილაჯ-განწყვეტილი და სულ-ამომხდარი მუსაიფისაგან... როგორ მოხდა, რომ ეს ცოცხალი, დარდიმანდი, მოუსვენარი, თავგამომეტებული ხალხი დაუმორჩილებია ამ დაქანცულს ლეშის-მსგავს მომაკვდავს?

ეს კითხვა თავიდან არ სცილდება კაცს. ენასაც თავი რომ დავანებოთ და მარტო გარეგან შეხედულობას, სახეს, აგებულობას, ტანადობას დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ აჭარლებს ცოცხალი, ძალითა და სიმრთელით სავსე, ტალივით მაგარი, ლომური გვამი აქვთ, გონიერი და ალით სავსე თვალებით, მშვენიერი შუბლით, მარჯვეთ მოთლილი ყბით, ფართო მხარ-ბეჭით, წერწეტა წელით, გაპარული მუცლით და მარჯვე წვივებით. – ერთი სიტყვით, კაცი გრძნობს, რომ ეს ბრძოლაში გამოქნილი და გამარჯვებისთვის გამოჭრილი ხალხია. და ამ ლომ-კაცებს თავი დაუხრიათ ვის წინ? შეხედეთ თათრებს, დააკვირდით მათ მოხრილ წელს, მათ დაწვრილებულ ხელ-ფეხს, გამოფუშულ მუცელს, ჩაცვინილ თვალებს, წაწვრილებულ ყბებს და ნიკაპს, ვინრო შუბლს, ლურჯათ შეფერილ პირის კანს,... და გაიგებთ, რომ ეს დაღალული, უძლური,



მომაკვდავი ხალხია. მაშინ უფრო გულმომაკვდავით უდგება კაცს გონებაში უწინდელი კითხვა: როგორ და რით გაიმარჯვა ამ სამარეში ცალფეხჩადგმულმა ხალხმა იმ მარჯვე და ცხოველ, გონიერ და გამბედავ ხალხზედო“ (ნიკოლაძე, 1963, 75).

ვფიქრობ, მკითხველი უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ ნ. ნიკოლაძის მონათხრობიდან დამონმებულ ამ ფრაგმენტში მწერალი ტენდენციურად აფასებს რეალობას და არაადეკვატური ფორმით ცდილობს წარმოაჩინოს აჭარელ ქართველებსა და თურქულ ეთნოსს შორის არსებული განსხვავება.

ნ. ნიკოლაძის ნარკვევი მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ მწერალი ლაზისტანის სანჯაყისა და მისი ადმინისტრაციული ცენტრის ინფრასტრუქტურისა და სავაჭრო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებაც გვანვდის კონკრეტულ ცნობებს. კერძოდ, მისი ინფორმაციით, იმ დროისათვის „მთელ ლაზისტანში რვაასი (800) დიდი და პატარა სოფელი იყო, ათას ოთხასი (1413) წყლის წისქვილი, ათას რვაასზე მეტი (1806) დუქანი, ოთხას ორმოცდაშვიდი (447) მეჩითი. გამართული იყო ხუთიოდე ტყავსაკეთებელი ქარხანა, ხუთი სახერხავი, ორი ბუნებითი აბანო, რამდენიმე სკა და მეტი თითქმის არაფერი“ (ნიკოლაძე, 1963, 72).

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქართველები წარმოადგენდნენ, ნ. ნიკოლაძის ინფორმაციით, სავაჭრო-ეკონომიკური განვითარების პროცესს უმთავრესად სომხები და ავტორის მიერ თათრების სახელით მოხსენიებული ოსმალები წარმართავდნენ და პირველ ყოვლისა სწორედ ისინი ჰყიდდნენ უცხო ქვეყნებიდან, უწინარესად კი საფრანგეთიდან და ინგლისიდან სტამბოლის გზით შემოტანილ სავაჭრო პროდუქციას მათ კუთვნილ „წვრილ-წვრილ დუქნებსა და ბაზრებში.“

რაც შეეხებათ აჭარელ ვაჭრებს, ისინი მხოლოდ აქა-იქ თუ გამოერევოდნენ მათ შორის. ნ. ნიკოლაძის ხაზგასმით, ლაზისტანის სანჯაყი ეკონომიკურადაც ისე ღარიბი რეგიონი ყოფილა, რომ იქაურები თურმე ძალზე ცოტა რაოდენობით აწარმოებდნენ მათი სანჯაყიდან გასაყიდად გასატან პროდუქციას. კერძოდ, მწერლის ინფორმაციით, გატანით ამ მხარიდან მარტო სიმინდი გადიოდა გასაყიდად და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მისი კარგი მოსავალი იქნებოდა. ასევე ძალზე შეზღუდული რაოდენობით გაჰქონდათ ბრინჯი, თაფლი, თევზის ქონი და ცოტაოდენი ფიცარი და შეშა (ნიკოლაძე, 1963, 72).

ნ. ნიკოლაძე იქაური სწავლა-განათლების შესახებაც გვანვდის მნიშვნელოვან ცნობებს. ამ საკითხთან დაკავშირებით საუბრის დროს ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ განსახილველი ნარკვევის ამ ეპიზოდში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოწოდებული ავტორისეული ინფორმაცია არსებითად განსხვავდება იმ ცნობებისაგან, რასაც ამავე საკითხებთან დაკავშირებით გვანვდის იგი 1873 წელს გაზეთ „დროების“ 15 იანვრის ნომერში დასტამბულ წერილში – „სურათი ოსმალის საქართველოს ცხოვრებიდან.“

კერძოდ, აღნიშნულ საგაზეთო პუბლიკაციაში ნ. ნიკოლაძე გულისტკივილით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ იმდროინდელ ოსმალეთში სწავლა-განათლების საქმე ჩვენთან შედარებით გაცილებით უკეთ იყო მოგვარებული. ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად მას კონკრეტული მონაცემებიც მოჰყავდა ამასთან დაკავშირებით და აღნიშნულ მოვლენას ასეთ შეფასებას აძლევდა: „ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ თათრები ხეპრი და გაუნათლებელი ხალხია, განათლებაში და სწავლაში ჩვენზე დიდძალათ უკან ჩამორჩენილი, და იმას კი არ ვნიშნავთ, რომ ამ მხრით ისინი ჩვენზე უკან კი არა ბევრათ უფრო მალლა დგანან. ასე რომ არ იყოს, აჭარლები ჩვენებურ წერას და ასოებს როდი დაკარგავდნენ და მათი მიწერ-მოწერა უწინდელივით ქართული ანბანით იქნებოდა და არა არაბულით.“

ყოველივე ზემოთქმულს ნ. ნიკოლაძე მეტ დამაჯერებლობას იმითაც სძენდა, რომ მკითხველს ყაზების (მაზრების) მიხედვითაც აწვდიდა კონკრეტულ მონაცემებს იმ უმაღლესი და სახალხო სკოლების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც მთელი ლაზისტანის მასშტაბით ყოფილა გახსნილი. აი, ეს მონაცემებიც:

	„მაზრები:		სასწავლებელი:	
	სოფელი	აგარა	უმაღლესი	სახალხო
ბათუმი .....	48	14	3	28
ჭოროხი .....	16	6	10	16
ზემო აჭარა .....	27	85	30	28
ქვემო აჭარა .....	38	11	—	32
მაჭახელი .....	26	—	—	32
ლივანი .....	114	9	3	116
გუნია .....	50	43	8	48
ხოფა .....	22	28	?	?
არხევი .....	60	12	3	18
ხემშინი .....	43	67	2	39
ათინა .....	67	20	1	21
სულ .....	511	295	60	378

ესე იგი ორ სოფელს ერთი სასწავლებელზე მეტი მოდის. უმაღლეს სასწავლებელს აქ, როგორც დანარჩენ ოსმალეთში, მედრესე ჰქვია და სახალხოს – მექეთები“ (ნიკოლაძე, 1873, 19).

ოსმალეთის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შედგენილი ამ ინფორმაციის ბოლოს ნ. ნიკოლაძე იმ გარემოებასაც უსვამდა ხაზს, რომ „თათრულ სასწავლებლებში ჩვენებურებზე ბევრათ უფრო მეტი შაგირდი სწავლულობდა.“

დასახელებული საგაზეთო პუბლიკაციისაგან განსხვავებით, ნ. ნიკოლაძის განსახილველ ნარკვევში ოსმალეთის საგანმანათლებლო სისტემის ზემოთ აღნიშნულ პოზიტიურ მხარეზე საერთოდ აღარაა რაიმე ნათქვამი და ავტორი მას მხოლოდ ნეგატიურ შეფასებას აძლევს. კერძოდ, მისი ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთში საკმაოდ ბევრი სახალხო და უმაღლესი სასწავლებელი იყო, „ამ სასწავლებლებს ძლიერ მცირედი მნიშვნელობა“ ჰქონდათ, რადგანაც აღნიშნულ „სასწავლებლებში მარტო წერა-კითხვას ასწავლიდნენ და საკითხავ წიგნებათ მარტო ყურანი და ორიოდე მისი ახსნისათვის დაწერილი თხზულება“ იყო გამოყენებული. პირველ ყოვლისა სწორედ ამ გარემოებით ხსნიდა მწერალი იმ ფაქტს, რომ „წერა-კითხვის სწავლა ნამეტნათ ვერც ჭკუა-გონებაში აგდებდა ოსმალეთის ახალგაზრდობას და ვერც დიდ რასმე მატებდა სწავლაში და გამოცდილებაში. მედრესეში (ჩვენებურათ გიმნაზიებში) ასწავლიან არაბულ და პერსულ წერა-კითხვას, სხვა და სხვა გვარი თათრული ხელნაწერის გარჩევას, ლოგიკას, რიტორიკას, საღვთო წერილს და ცოტ-ცოტა ისტორიას, გეოგრაფიას, „ფილოსოფიას.“ ამ საგნების ჩამოთვლაც საკმაოდ აჩვენებს კაცს, რომ ამ სასწავლებლებში იმისთანა სწავლას აძლევენ ყმანვილს, რომელიც მის ტვინს ღალავს და ასუსტებს და იმ სწავლას კი კაცი არ აკარებს, რომელიც ყმანვილს ფეხზე აყენებს, ცხოვრებისა და შრომისთვის ამზადებს, სასარგებლო საქმის გზას უხსნის და ხასიათს და გონებას უმაღლებს და უძლიერებს“ (ნიკოლაძე, 1963: 79).

აღბათ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ოსმალური საგანმანათლებლო სისტემის ამგვარად შეფასების დროს ნ. ნიკოლაძე აშკარად ტენდენციური იყო და მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალური სწავლა-განათლების იმჟამინდელი სისტემა რელიგიური დოგმატიზმით მართლაც იყო მძლავრად შებოჭილი და მნიშვნელოვნად ზღუდავდა მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას, როგორც თავად ავტორისეული ინფორმაციითაც დასტურდება, იქაურ სასწავლებლებში ისეთი ფუნდამენტური საგნების სწავლებასაც ჰქონია არცთუ მცირე ადგილი დათმობილი, რომელთა დაუფლებაც მათ „გონებას აუმაღლებდა და გაუძლიერებდა“ (ლოგიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფილოსოფია).

ოსმალეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ნ. ნიკოლაძე სახელმწიფოებრივი მართვა-განმგებლობის არაეფექტურ სისტემას მიიჩნევდა და ქვეყანაში ამ თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას ამგვარ შეფასებას აძლევდა: „ხალხს

არც კანონის შემდგენლების ამორჩევის ნება აქვს, არც შემოსავალ-გასავლის ზედამხედველობისა, არც ადგილობრივ საქმეებზე მზრუნველობისა. იმას მართავენ, როგორც მწყემსი ჯოგს. არც ხმა, არც გავლენა, არც მნიშვნელობა ხალხს არა აქვს სახელმწიფოში, და იმას მარტო იმისთვის იხსენებენ, რომ ხარჯი მოთხოვონ და ჯარში გამოიწვიონ (ნიკოლაძე, 1963: 79).

ქვეყანაში არსებული ამგვარი უმძიმესი მდგომარეობის წარმოჩენის დროს ნ. ნიკოლაძე იმ ფაქტსაც მიაპყრობდა განსაკუთრებულ ყურადღებას, ყოველივე ამის გამო უკმაყოფილების სიტყვიერი ფორმით გამოხატვაც კი ხალხს უმკაცრესად რომ ჰქონდა აკრძალული. კერძოდ, მწერლის ინფორმაციით, ოსმალეთის იმპერიაში დამკვიდრებული მმართველობითი რეჟიმის ძალით, „იქ გაზეთები და ჟურნალები ვერც ოსმალეთის სახელმწიფო საქმეების მართვას შეეხებოდნენ, ვერც ადგილობრივი მთავრობის საქციელს და განკარგულებას, ვერც კანონების ნაკლულოვანებას, ვერც საზოგადოებრივი წესის უხეირობას, ვერც დიდ-კაცების უპირატესობას. ერთი სიტყვით, ისინი მუნჯად უნდა ყოფილიყვნენ ყველაფერზე, რაც კი ნამდვილათ ხალხისა და საზოგადოების ცხოვრებას შეადგენს.“

ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, სწორედ ამ მდგომარეობის შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ „მთავრობისგან გაძარცვილი, უპატრონოდ მიტოვებული და ყრუთ აღზრდილი ოსმალეთის საზოგადოება და ხალხი ამ მხრითაც თვალ-ახვეული და ბრმა რჩებოდა“ (ნიკოლაძე, 1963: 80).

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ განსახილველი ნარკვევის ბათუმურ მონაკვეთში მოთხრობილ მოგზაურულ შთაბეჭდილებათა მეშვეობით ნიკო ნიკოლაძე უაღრესად საინტერესო ცნობებს გვანვდის აჭარასა და მის მთავარ ქალაქში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ხსენებული ნარკვევის მნიშვნელობას ქართული მოგზაურული ჟანრის ისტორიაში არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ქრონოლოგიური თვალსაზრისით ეს იყო ქართულ პრესაში ე. წ. ოსმალის საქართველოსთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია, რომლის მიზანიც ქარველი მოსახლეობისათვის მშობლიურ წიაღს იძულებით მონყვეტილი ჩვენი მოძმეების შესახებ სათანადო ცნობების მიწოდება წარმოადგენდა.

ბათუმური მონაკვეთი ნიკო ნიკოლაძის განსახილველი ნარკვევის მხოლოდ ერთი ნაწილია და ნაწარმოების მომდევნო ეპიზოდებში მწერალი რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში მის მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებსაც გვიამბობს ვრცლად და შთამბეჭდავად. ავტორისეული მონათხრობის ამ ნაწილისადმი ინტერესს არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული შთაბეჭდილებანი მან უპირველეს ყოვლისა იმ მასალად გამოიყენა, რომლის საფუძველზეც მასშტაბურად ცადა მისთვის განსაკუთრებით საინტერესო პრობლემებთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებათა წარმოჩენა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ რამდენიმე მნიშვნელოვან ეპიზოდს ნაწარმოებიდან.

ოდესიდან პეტერბურგში მიმავალი მწერალი, დაწვრილებით აღწერს რა რუსეთის უკიდევანო ტრამალების სპეციფიკურ ლანდშაფტსა და ბუნებას, მისი ამ მონათხრობის საფუძველზე ცდილობს პირველ ყოვლისა რუსი ადამიანის პიროვნული ბუნების სპეციფიკური მხარეები რომ წარმოაჩინოს. ნაწარმოების ეს ეპიზოდი უაღრესად შთამბეჭდავი იმითაცაა, რომ რუსული ტრამალების ფიზიკურ-გეოგრაფიული განსაკუთრებულობა და ბუნებრივი სპეციფიკა ავტორს მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით აქვს წარმოსახული.

მაგალითად: „მარჯვნივ და მარცხნივ გადაშლილიყო ხელის-გულივით ტიტველი მინდორი. ბალახ-ბულახი რაა, ისიც იშვიათი სანახავი იყო... კაცისა და ქალის დანახვას ვინ სჩივის, თვალს ვერ მოჰკრავდით ვერც ხვადაგს, ვერც გარეულ ცხოველს, ვერც ჩიტს, – ერთი სიტყვით, სიცოცხლის მოძრაობის წარმომადგენელი იქ მარტო ჩვენი რკინის გზის მაშინა და ვაგონები იყვნენ...“

საზღვარგარეთელ მწერლებს და მოაზრებებს აკვირვებს რუსეთის ერთკილოიანი და უმოძრაო ცხოვრება... მობრძანდნენ და ნახონ აი ეს მინდვრები, მათი შიშველი ბუნება, მათი მოსვენებუ-

ლი, თითქო მკვდარი გამოხედულება, და ბრძანონ, რა გასაკვირველი უნდა იყოს, რომ ამ ბუნებას მცხოვრებლების ტვინზე ერთგვარი უმოძრაობის დალი დაუსვია“ (ნიკოლაძე, 1963: 103-104).

რუსული გეოგრაფიული გარემოსა და ბუნებრივი პირობების ამგვარი დახასიათება, რასაც ავტორისეულ მონათხრობში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი, მწერალს პირველ ყოვლისა მისი იმ თვალსაზრისის განსამტკიცებლად ჭირდება, რომლის მიხედვითაც რუსი ხალხი მას „ხალხების ოჯახში დაჩაგრულ და დავინწყებულ იმ ძმად“ მიაჩნია, ვისი „გული, ხასიათი და თვისება სწორედ დაჩაგრული და გულმოკლული ძმის“ ამ თვისებებს „ჩამოგავს ბევრი რამით“ (ნიკოლაძე, 1963: 104).

რუსეთის კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოსა და რუსი ადამიანის პიროვნულ ბუნებას შორის არსებული ამგვარი მსგავსების ხაზგასმით, რასაც ნ. ნიკოლაძის მონათხრობში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული, ავტორი თავისებური ფორმით ეხმიანება მეცნიერებაში დამკვიდრებულ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ბუნებრივი გარემოპირობები არსებით ზეგავლენას ახდენს იქ მცხოვრებ ხალხთა ფსიქიკისა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე.

კერძოდ, მწერლის ხაზგასმით, „უეჭველია, რომ ბუნების სასტიკი, მჩაგვრელი ძალა“ უდიდეს ზეგავლენას ახდენს იმ გარემოში მცხოვრებ ადამიანთა „ტვინზე და ხასიათზე, სადაც მზე ნიადაგ დამალულია, სადაც სითბო იშვიათ სტუმრათ ეწვევა კაცს, სადაც კაცის ცხოვრება ოთხ კედელს შუა გაგუდულ ჰაერში ილევა“.

ნ. ნიკოლაძის აზრით, უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთ გარემოში მკვიდრობის შედეგად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი განაპირობებს იმ ფაქტს, რომ თავისი ბუნებითა და ხასიათით რუსი კაცი არსებითად განსხვავდება იტალიელი, ესპანელი, ფრანგი, თათარი თუ შვეიცარიელი ადამიანებისაგან.

ნ. ნიკოლაძე ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ რუსული კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებით განპირობებული ზემოთ აღნიშნული მოვლენა არა მარტო ამ ქვეყნის პროვინციებში მცხოვრებთა ყოფას ასვამდა წარუხოცველ დაღს, არამედ მისი ისეთი დიდი კულტურული ცენტრის მკვიდრთა ადამიანურ ბუნებასაც განსაზღვრავდა არსებითად, როგორც პეტერბურგი იყო. კერძოდ, მწერლის შეფასებით, „პეტერბურგის ქუჩებზე გასეირნება... ერთ საოცარ შთაბეჭდილებას ბადებს კაცის გონებაში. აქ თქვენ არც ერთი მაღლიანათ მხიარული, ბედნიერი, იმედიანი პირისახე არ შეგხვდებათ, არც კაცისა და არც ქალის. სხვა ქალაქების ქუჩებზე, ტრიესტში, მაგალითად, ვენეციაში ან პარიჟში რომ კაცს ჯგუფ-ჯგუფათ მომცინარი, ქეიფიანი და ცოცხალ-ცოცხალი პირისახეები შეეყრება, იმისთანებს აქ სიზმარშიაც ვერ დაინახავ. აქ ყველას რაღაც გაბუტული, ცხვირჩამოშვებული, გამტერებული და ვითომ კმაყოფილი გამოხედულება აქვს, ყველას რაღაცა გაფშოკების დალი ასვია, ყველას სიცოცხლე და სიცხოველეც აკლია და ბუნებითი უბრალოებაც“ (ნიკოლაძე, 1963: 116).

ნ. ნიკოლაძის აზრით, იქაურთა ამგვარი სულიერი განწყობისა და ადამიანური ბუნების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს უპირველეს ყოვლისა „პეტერბურგის ჰავა და მდებარეობა“ წარმოადგენდა, ის გარემოება, რომ ამ ქალაქის მცხოვრებთ „ნიადაგ თავზე და მხრებზე ტყვიასავით მიძიმე, ტყვიისვე ფერი ნისლი აწევს და სულს უგუბებს, ტვინს ყინვით უციებს და იმედს წვიმით უწუნწყავს.“

თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს ნ. ნიკოლაძე იმ კოლონიური პოლიტიკის შესახებაც ამახვილებს ყურადღებას, რასაც რუსეთი კავკასიის დასაპყრობად ატარებდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნაწარმოების ის ეპიზოდი, სადაც ოდესიდან პეტერბურგში მიმავალი მწერალი რუს ოფიცერთან მის უნებლიე თანამგზავრობასთან დაკავშირებით გვიამბობს. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ნ. ნიკოლაძის მიერ წარმოსახული ეს ოფიცერი თავისი პიროვნული ბუნებითაც და სამხედრო მისწრაფებებითაც აშკარად ჰგავს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ დახატულ მის რუს კოლეგას.

კერძოდ, ნ. ნიკოლაძის მიერ დახატული რუსი ოფიცერიც თავისი ცხოვრების საამაყო მოვლენად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ იგი აქტიური მონაწილე იყო იმ დამპყრობლური პოლიტიკისა, რომელსაც რუსეთი ახორციელებდა კავკასიელ ხალხთა დასამორჩილებლად. მწერალთან საუბრის დროს იგი თავმომწონედ აცხადებდა, რომ მას დიდი დამსახურება მიუძღოდა ჩერქეზების დამორჩილებისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მათი მოქცევის საქმეში. ნ. ნიკოლაძის ხაზგასმით, იმჟამინდელი სამხედრო წესებით უკმაყოფილო „ძველი დროის“ ამ რუს მაღალჩინოსანს ის დრო ენატრებოდა, „როცა აფიცერი სალდათის ღმერთიც იყო და პატრონიც, როცა აფიცერს მისი გაროზგვაც შეეძლო, გალახვაც და გაუბედურებაც“ (ნიკოლაძე, 1963: 111).

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთაგან ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველია, ვინც უმაღლესი განათლება ევროპაში მიიღო და იქ გატარებული ხანგრძლივი დროის განმავლობაში საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად ერკვეოდა იქაური ვითარების არსში. ამ გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძე მრავალმხრივი ინტერესების მქონე სწავლული იყო და გარდა ლიტერატურისა და ჰუმანიტარული მეცნიერებებისა, მისი შესწავლისა და მეცნიერული კვლევის საგანს ასევე წარმოადგენდა ეკონომიკა, პოლიტიკური მეცნიერებები, ფილოსოფია და ა. შ.

ერთი სიტყვით, სულაც თუ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავისი ფართო განათლებითა და ინტერდისციპლინარული აზროვნებით იგი ნამდვილი ენციკლოპედისტი იყო, ფართოდ განსწავლული პიროვნება და ღრმად მოაზროვნე მამულიშვილი.

იმის გამო, რომ თავისი ცხოვრებისა და განსწავლის გარკვეული პერიოდი ნ. ნიკოლაძემ რუსეთში გაატარა და ახლო მეგობრული და პროფესიული ურთიერთობებით იყო დაკავშირებული იმდროინდელ რუს მოღვაწეებთან, მწერლებთან და მოაზროვნეებთან, იგი ღრმად და საფუძვლიანად იყო გაცნობილი როგორც რუსულ საგანმანათლებლო სისტემას, ისე ცხოვრების ყველა სფეროს. ეს კი მყარ შესაძლებლობას აძლევდა საიმისოდ, კრიტიკული თვალთახედვით შეედარებინა ეს სისტემა ევროპული საგანმანათლებლო სფეროსათვის. ამ შედარების საფუძველზე იგი ხაზგასმით აღიარებდა იმ დიდ უპირატესობას, რაც ევროპულ რეალობას გააჩნდა რუსულ სინამდვილესთან მიმართებით.

ნ. ნიკოლაძის „სხვათა შორის“ საინტერესო ნაწარმოებს იმ თვალსაზრისითაც წარმოადგენს, რომ თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების იმ ნაწილში, რომელშიც ავტორი ევროპაში მის ყოფნასთან დაკავშირებულ ამბებს გვიყვება, იგი სწორედ ამ უპირატესობის წარმოსახვას ისახავს ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად.

განსახილველი ნარკვევისთვის მკაფიოდ დამახასიათებელ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ მასში განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა ავტორის მიერ მოვლენათა პუბლიცისტური თვალთახედვით განსჯა-გააზრების ტენდენციამ. ეს მოვლენა იმდენად აშკარად ვლინდება, რომ ნაწარმოების ზემოთ განხილული მონაკვეთი მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება მივიჩნიოთ მოგზაურული ჟანრის ტექსტად, რადგანაც ავტორი ევროპულ ღირსშესანიშნაობებზე კონკრეტულად არც კი ამბობს რაიმეს. მათ ნაცვლად იგი იმ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით მსჯელობს კრიტიკულ-პოლემიკური პათოსით, რაც იმდროინდელი ევროპული ცხოვრებისთვის იყო განსაკუთრებით აქტუალური.

გარდა იმისა, რომ ნ. ნიკოლაძეს ამგვარი საუბრისათვის მყარ საფუძველს აღნიშნულ მოვლენათა ღრმად და საფუძვლიანად ცოდნა უქმნიდა, ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს ისიც წარმოადგენდა, რომ ევროპაში 1872 წელს მოგზაურობამდე, რაც აღნიშნული ნარკვევის დაწერის საფუძვლი გახდა, იგი 1864-1868 წლებში განსწავლის მიზნით უკვე იყო ნამყოფი მის რამდენიმე სახელმწიფოში (საფრანგეთში, ინგლისში, შვეიცარიასა და გერმანიაში). ნ. ნიკოლაძის ცხოვრების ეს პერიოდი მეტად მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ ევროპაში იმხანად ყოფნის დროს იგი ახლო მეგობრული ურთიერთობებით აღმოჩნდა დაკავშირებული ბევრ იქაურ პოლიტიკურ მოღვაწესთან, მწერალთან და მეცნიერთან (მაგალითად, ლუი ბლანთან).

პირველ ყოვლისა სწორედ აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობეს ის ფაქტი, რომ განსახილველი ნარკვევის ტექსტის ე. წ. ევროპულ ნაწილში მწერალი იქაურ ღირსშესანიშნაობებზე საუბრისგან ფაქტობრივად მთლიანად იკავებს თავს და ზემოთ ნახსენებ მოვლენათა კრიტიკულ-პოლემიკური თვალთახედვით განმსჯელ-შემფასებლის როლში გამოდის.

ევროპული რეალობისადმი, უპირველეს ყოვლისა კი იქაური საგანმანათლებლო სისტემისადმი, თავის პიროვნულ დამოკიდებულებას ნ. ნიკოლაძე ხსენებული ნარკვევის ე. წ. ევროპული ნაწილის დასაწყისშივე ამ სიტყვებით გამოხატავს: „ბედნიერია ის ახალგაზრდა, რომელიც სამზღვარს გარეთ იმ მიზნით გადის, რომ იქაური ცხოვრების, მეცნიერების და გონების ნაყოფი გაიცნოს და ირგოს. ბედნიერია, ვისაც ამის სურვილი, დრო და შეძლება აქვს. როცა ის პირველათ ევროპის კარს შეაღებს და მის გონებით ცხოვრებაში ფეხს შეადგამს, იმას უცნობი ჰაერი ეცემა, საამო და თავბრუს დამსხმელი“ (ნიკოლაძე, 1963: 121).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ნ. ნიკოლაძის ხსენებული ნარკვევის ევროპულ ნაწილში მწერალმა იქაურ ღირსშესანიშნაობებზე საუბრის ნაცვლად განსაკუთრებული ყურადღება იმდროინდელი ევროპული ცხოვრების რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მიაქცია. ერთ-ერთი მათგანია ამერიკაში ევროპელთა მიგრაციის ტალღის გაძლიერება. როგორც ავტორისეული მონათხრობის ამ ეპიზოდთან ცხადად ჩანს, ევროპული ცხოვრების მაღალი დონის მიუხედავად, ეს პროცესი იმ დროისათვის უკვე იქაც ხდებოდა დიდი მასშტაბების მომცველ მოვლენად. სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის შემთხვევა, რომლის უნებური თვითმხილველიც გამხდარა გერმანიიდან საფრანგეთში მიმავალი მწერალი.

კერძოდ, ქალაქ ბაზელის რკინიგზის სადგურზე შეკრებილი ელზასელები თურმე ატირებულნი აცილებდნენ ამერიკაში „სანადაგოდ მიმავალ“ (ავტორის სიტყვებია) თავიანთ შვილებს. ნ. ნიკოლაძის ინფორმაციით, ამ მოვლენის გამო ისინი იმდენად ყოფილან შეძრწუნებული, რომ „კაცმა შეუძლებელია აწეროს, ან წარმოიდგინოს ის სანყალი დედ-მამის ცოცხალ-მკვდარი პირისახე და განუზომელი ვაება და დარდი, რომელიც თითქმის ყველა იქ მყოფს აჩნდა... ამისთანა გულმოსაკლავი სანახავი მე ჯერ არ მინახავს. ყველა ამ დედ-მამას დასამარხი რომ ყოლოდა ყველა ეს წარმავალი ვაჟები, მეტი ვაება და მწუხარება არც მაშინ შეგროვდებოდა ერთად“ (ნიკოლაძე, 1963: 123).

მიუხედავად იმისა, რომ ავტორისეულ მონათხრობში დაკონკრეტებით არაა განმარტებული, ამერიკაში ამდენი ახალგაზრდის წასვლა რა გარემოებით იყო გამოწვეული, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მოვლენის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების სურვილი წარმოადგენდა. მართალია, ამ თვალსაზრისით არც იმდროინდელი ევროპა იმყოფებოდა არასასურველ მდგომარეობაში, მაგრამ ამერიკული ცხოვრების მეტად მზარდი ეკონომიკური დონის გამო ამ კონტინენტზე მიგრანტთა მასობრივი გადასახლების პროცესი იმხანად უკვე ევროპიდანაც იყო აქტიურად დაწყებული.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ევროპაში მრავალწლიანი ყოფნის პერიოდში ნ. ნიკოლაძემ ბევრი იქაური ქვეყანა მოიარა და საფუძვლიანად გაეცნო იქაურთა ცხოვრებას. ევროპული რეალობით მისი ამგვარი დაინტერესება უპირველეს ყოვლისა იმის მძაფრი სურვილით იყო განპირობებული, იქაურთა ცხოვრებისეული წარმატებების განმსაზღვრელი მოვლენები ჩვენს ყოფაშიც რომ გადმოეტანა და დაემკვიდრებინა.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ კეთილშობილური სურვილის პირდაპირ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძის მთელს შემოქმედებაში, მათ შორის განსახილველ ნარკვევშიც, სიღრმისეული განხილვის საგნადაა ქცეული ევროპული ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა. იმისათვის, რომ აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობას მეტი მასშტაბები შესძინოს, იგი ევროპელ მოაზროვნეთა შორის ამასთან დაკავშირებით არსებულ აზრთა სხვადასხვაობასაც და პოლემიკასაც მიაპყრობს ყურადღებას.

იქიდან გამომდინარე, რომ უცხოეთში სწავლის პერიოდში ნ. ნიკოლაძემ ყველაზე დიდი დრო

პარიზში გაატარა და ბევრ ფრანგ მოაზროვნესთან პირადმეგობრული ურთიერთობებითაც იყო დაკავშირებული, ამ ქვეყანასთან მას რამდენადმე მიკერძოებული დამოკიდებულებაც აქვს და სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან შედარებით, ერთმნიშვნელოვნად აღიარებს საფრანგეთის აშკარად უპირატეს როლს ევროპული ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებაში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა განსახილველი ნარკვევის ის ეპიზოდი, სადაც მწერალი ელზასის პროვინციასთან დაკავშირებით მსჯელობს. ამ რეგიონის გამო საფრანგეთსა და გერმანიას შორის ისტორიულად არსებული მწვავე დაპირისპირების შეფასების დროს ნ. ნიკოლაძე ერთმნიშვნელოვნად თვლის, რომ ელზასელებმა, მიუხედავად მათი დიდი ნაწილის გერმანელობისა, საფრანგეთის შემადგენლობაში მათი ცხოვრების პერიოდში ეს ქვეყანა გაცილებით უფრო მეტად შეიყვარეს, ვიდრე გერმანია, “როგორც კეთილის მყოფელი, გამათავისუფლებელი, ამბალღებელი დედა, და გერმანია დაივიწყეს, როგორც ის დედინაცვალი, რომელმაც მთელი საუკუნობის განმავლობაში გაჭირვებით და დამდაბლებით აცხოვრეს” (ნიკოლაძე, 1963: 126).

რადგანაც აღნიშნული საკითხის საფუძვლიანად გაანალიზება ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, ამ მიმართულებით მსჯელობას მეტად აღარ გავაგრძელებ; ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ელზასის პრობლემასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება განსახილველ ნარკვევში იმდენად სუბიექტურ ხასიათსაც კი იძენს, რომ ფაქტობრივად ავტორის ანტიგერმანულ თვალთახედვასა და საფრანგეთისადმი აღვლენილ ხოტბაში გადაიზრდება.

მაგალითად: „ჩემს თვალში ელზასი ყველაზე უფრო ცხადი დამტკიცებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ საფრანგეთის ხასიათი, განათლება, ცხოვრება და მდგომარეობა ყველაფერში უფრო მაღლა სდგას გერმანულ ხასიათზე, განათლებაზე, ცხოვრებაზე და მდგომარეობაზე...“

საფრანგეთის მეცნიერებას საშინელი გავლენა აქვს გერმანულზე და გერმანულს კი ძლიერ მცირედი – საფრანგეთისაზე. საფრანგეთის მეცნიერება არა თუ გასძლებს უგერმანულოთ, უწინდელივით წარმატებაშიაც იქნება, მაგრამ გერმანულ მეცნიერებას კი უფრანციულოთ ორ დღესაც გაძლება გაუჭირდება...“

...მაგრამ აქედამ არავინ ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს, ვითომ გერმანულ გონებას კაცობრიობისათვის დაუვინყარი სარგებლობა არ მოეგნოს... გერმანიასაც ჰყოლია იმისთანა მეცნიერები, რომელთაც მთლათ ერთიანათ დაუტრიალებიათ თავიანთი ნაწილი, მისთვის ახალი, მარჯვე გზა მოუძებნიათ და მტკიცე საფუძველი მიუციათ. მაგრამ ამათი რიცხვი შედარებით მცირეა... მეცნიერების იმ რიცხვთან შედარებით, რომელნიც საფრანგეთს ჰყოლია და ყავს კიდევ“ (ნიკოლაძე, 1963: 126-128).

ასეთია უმთავრესი შტრიხები ნიკო ნიკოლაძის ნარკვევისა – „სხვათა შორის.“ მიუხედავად იმისა, რომ 1872 წელს დაწერილი და ჟურნალ „კრებულის“ 1873 წლის IV ნომერში გამოქვეყნებული ამ ნაწარმოების შექმნის საფუძველი ის მოგზაურობა გახდა, რომლის შედეგადაც ავტორმა ფოთიდან დაწყებული ბათუმის, ოდესისა და პეტრბურგის გავლით პარიზამდე იმოგზაურა, ხსენებული მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტი მოგზაურული ჟანრის ქმნილებას მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მივაკუთვნოთ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

ბექირიშვილი ი. აჭარა ქართველი მწერლების შთაგონების წყარო, ბათუმი, 1999 წ.  
 გაზეთი „დროება,“ 1873 წ. №44.  
 კლდიაშვილი დ. მოთხრობები, ჩემი ცხოვრების გზაზე. იხ: ქართული პროზა, წიგნი XVI, თბ. 1988 წ.  
 ნიკოლაძე ნ. სურათი ოსმალს საქართველოს ცხოვრებიდამ, გაზ. „დროება,“ 1873 წ. 15 იანვარი.  
 ნიკოლაძე ნ. სხვათა შორის (ნაგრძნობი და განაგონი), ჟურნ. „კრებული,“ 1873 წ. №4.  
 ნიკოლაძე ნ. თხზულებანი, ტ. III, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, თბ. 1963 წ.

**ოზარ კაპანაძე** – „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, კრებულ „მატიანეს“ რედაქტორი

## **„საჩინოს“ ფეოდალურ-ტერიტორიულ საკუთრებათა ლოკალიზაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ**

ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ფეოდალური ხანის კვლევის მიმდინარეობიდან გამომდინარე ჩვენ, ამ მხარის გარკვეული დიდი სეგმენტის ადრეული მფლობელის, „ჩიჯავაძეთა სათავადოს“ თაობაზე კრებულ „მატიანეს“ მე-14 ნომერში მკითხველს შევთავაზებთ მასალები პროფესორ ოლღა სოსელიას შესანიშნავი წიგნიდან – „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“ და აღვნიშნეთ: ვიკვლევთ რა, ვანის რაიონის ფეოდალური ხანის ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებს, საუბრები ამ საკითხზე არ იქნებოდა სრულყოფილი, თუ მსჯელობის პროცესში არ შემოვიტანდით ზემოთ მითითებულ კვლევას, თუმცა უნდა ვთქვათ იმაზეც, რომ ვანის ფეოდალური ხანის ცხოვრებაზე წერილობითი მასალები სამწუხაროდ მწირადაა დაცული და ამის ნაკლებობა საკმაოდ საგრძნობია.

პროცესები, რომელსაც ჩვენ „ვანის სივრცეში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ამჟამად განვიხილავთ ღრმად და საფუძვლიანადაა დაკავშირებული საქართველოს ერთიანი სამეფოს პოლიტიკურ დაშლასთან XII-XV საუკუნეებში, რომელსაც თავის მხრივ ერთიანი სამეურნეო ეკონომიკური ინსტიტუტის დიფერენცირებაც მოჰყვა უარყოფითი რეალური შედეგებით, ქვეყნის საერთო დასუსტებით. სიტუაციები ლოგიკურად მიბმული იყო მოვლენათა ერთობლიობასთან, რომელსაც საშინაოსთან ერთად საგარეო ფაქტორები, მტერთა ინტენსიური შემოსევებიც არყევდა და მოჰყვა პოლიტიკურ-ეკონომიკური დეგრადაცია. „ამ პირობებში შესუსტდნენ ხელისუფლების საყრდენი ელემენტები“, ამას დამატება მსხვილ ფეოდალთა ბრძოლა მეფის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და დიდგვაროვანთა გავლენის სფეროების გაფართოებისთვის, რაც ხშირ შემთხვევაში შეიარაღებული დაპირისპირების სახესაც ატარებდა. ამის მაგალითად, შემდეგში, მარტო იმერეთის სამეფოს ისტორიაც იკმარებდა და საბოლოოდ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, ცალკეულ სათავადოთა აღმოცენებაზე ხელშეწყობის სახით.

როგორც მკითხველს დავპირდით მოცემულ მე-15 ნომერში ვაქვეყნებთ ზემოთ ხსენებული ავტორის კვლევას – „ლორთქიფანიძეთა სათავადოს“ შესახებაც, რომ უფრო სრულყოფილი სახე მიეცეს ვანის ისტორიულ სივრცეზე საუბარს, რადგანაც ამ გვარის წარმომადგენლები საუკუნეთა მიღმა დასახლდნენ აქ და წარმომადგენდა ლორთქიფანიძეთა სათავადოს ერთ შტოს. თუმცა, პროფესორი ოლღა სოსელია თვლის, რომ ვანელი ლორთქიფანიძეები წარმომადგენენ ჩიჯავაძეთა აზნაურებს, ამასთან რეალობაა ვანში მცხოვრებ ლორთქიფანიძეთა ყველა ოჯახი არ მიეკუთვნებოდა არც თავადაზნაურთა ჯგუფს და ამის დამადასტურებელი მასალებიც იყო დაცული ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. საინტერესოა, რომ ამ გვარის გარკვეული ნაწილი თავადებისა ვანიდან, ცხოვრების მთელი ისტორიის მანძილზე გამოირჩეოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებისეული აქტივობით.

საერთოდაა ცნობილი, ერთიანი საქართველოს დაშლისა და სათავადოთა ჩამოყალიბების პროცესებში, კონკრეტულად, იმერეთის სამეფოს ამ ტერიტორიულ ერთეულში, რომელსაც დღეს ვანი ჰქვია, გარკვეულ საკუთრებას ფლობენ სხვადასხვა ქართული ფეოდალური დროისა და გვარის წარმომადგენლები.

ვანის ტერიტორიულმა სივრცემ სახელი „საჩინო“ შეინარჩუნა ხანგრძლივად, თითქმის XX საუკუნის ათიან წლებამდე მაინც და იგი ოფიციალურ წყაროებშიც მაგალითად ქუთაისის გუბერნიის, ხელმძღვანელთა მიმართვებსა და განკარგულებებში, ასევე სხვა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მითითებულია სახელით „в районе Сачино“. ეს ინერცია იმდენად მყარად იყო გამჯდარი, რომ ტერმინ „საჩინოში“ მოიაზრებოდა და დღესაც აქა-იქ მოიაზრებენ მთლიანად ვანის რაიონის (დღეს მუნიციპალიტეტის) ტერიტორიალურ სივრცეს, რაც არასწორად გვეჩვენება.

როგორც ჩანს სახელწოდება „საჩინო“ უკავშირდება ამ მიწაზე ფეოდალური გვარის ჩიჯავაძეთა ჩამოსახლებას და სახელწოდება „საჩინოც“, საჩიჯავაძო, ამ გვარის შესატყვისად



წამოვიდა, რასაც არგუმენტირებულად ამტკიცებდა დიდებული პიროვნება ბუჭუნა (სიმონ) ჩიჯავაძეც და ამის გარეშეც, რიგ ოფიციალურ კვლევებში ასეცაა დაფიქსირებული.

ის, რომ დღევანდელი ვანის მუნიციპალიტეტის ძველი ტერიტორიალური სივრცე, მხოლოდ ჩიჯავაძეთა სამფლობელოს არ წარმოადგენდა, ამაზე მტკიცებულებითი ფორმით საუბრები არის ვახუშტი ბატონიშვილთანაც და გერმანელი მოგზაურისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის კვლევებშიც, რომლებსაც დიფერენცირებულად აქვთ განხილული თავადების – ჩიჯავაძეთა და ბარის ერისთავთა მფლობელობაში შემავალ სოფელთა დასახელებები, რომლებიც დღევანდელი ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სივრცეს წარმოადგენენ. მინიშნებებს ვხედავთ, ჟაკ ფრანსუა გამბას ჩანანერებშიც. თანამედროვეობაში საკითხს გაკვრით შეეხო პროფესორი, არქეოლოგი თამაზ ბერაძე თავის კვლევაში – „ვანის ისტორიული გეოგრაფია“, რომელიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეს“ მე-2 ნომერში, მაგრამ ავტორს ტერიტორიულ საკითხთა ლოკაცია რასაც კონკრეტული საკითხი არ ითხოვდა, არ გაუკეთებია და აღნიშნავს:

„დღეისათვის მიჩნეულია, რომ საჩინო (მხარე) მთელ დღევანდელ ვანის რაიონს მოიცავდა. ამ ერთეულის ასე ფართოდ შემოხაზვას პირველად ექვთიმე თაყაიშვილთან ვხვდებით, მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ვახუშტი საჩინოს აღმოსავლეთ საზღვრად მდინარე კვინისწყალს დებს<sup>1</sup>, დასავლეთ საზღვრად საჯავახოს მხარეს“... ასე, რომ ვახუშტის ლოკალიზაცია აშკარად დასტურდება. აღმოსავლეთით საჩინოს ბარის ერისთავთა სამფლობელო ესაზღვრება, ხოლო დასავლეთით საჯავახო, საიდანაც მას საჯავახოს მთების აღმოსავლეთის კალთები გამოყოფს. ხოლო დაბლობის ვიწრო ზოლში კაპიტონას ლელე, რომელიც გომსა<sup>2</sup> და მთისძირს<sup>3</sup> ერთმანეთისგან გამოყოფს.“ შედარებით ვრცელი ციტირება მოგვიწია, მაგრამ საკითხის სიზუსტისათვის, ვფიქრობთ, ასე სჯობს. დაახლოებით ამ საზღვრებში აკონკრეტებს კრავეიჩიკი საჩინოს ტერიტორიალურ სივრცეს: Страна к востоку от Саджавахо до верхних частей Романети и Дзулухи известно под именем Сачино. Далес востока до персодских гор и р. Корисцкали лежит Саеристо.“ ქართულად: „მხარე (ქვეყანა) აღმოსავლეთით საჯავახოდან სოფ. რომანეთისა და ძულუხის ზედა ნაწილებამდე ცნობილია საჩინოს სახელით. შემდეგ აღმოსავლეთით ფერსათის მთებისა და კორისწყალამდე მდებარეობს საერისთაო.“<sup>4</sup>

კრავეიჩის შეფასებაზე შეიძლება გაკეთდეს მოკლე შენიშვნა: „მხარე, რომელიც მდებარეობს რომანეთისა და ძულუხის ზედა ნაწილებამდე, ნიშნავს, რომ საჩინოს ტერიტორია ვრცელდებოდა ამ მიმართულებით რომანეთისა და ძულუხის ზედა ნაწილებამდე. ამ ზედა ნაწილებში უნდა მოიაზრებოდეს არა ძულუხი და რომანეთი მთლიანად, არამედ ძულუხიდან მელოურის დასახლება, სადაც ადრეულ პერიოდში სოფელი არსებობდა, აქვე იყო განთავსებული მელოურის ციხე, რომელსაც სამხედრო-საფორტიფიკაციო დანიშნულება ჰქონდა და რომანეთიდან ხელაძის (ხელიძის) ქედი. ორივე ეს ტერიტორია იმ დროისათვის და უფრო გვიანაც, დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა, ტერიტორიები დღეს განეკუთვნებიან სოფლების ძულუხის და რომანეთის ტერიტორიულ ფარგლებს, თუმცა უფრო გვიანი მასალებით ჩანს, რომ მითითებული სოფლები ბარის ერისთავთა გამგებლობაშია ჩართული.

საკითხის კიდევ უფრო დაზუსტებისათვის ისევ უნდა დავუბრუნდეთ პროფესორ თამაზ ბერაძეს – „საჩინო ეწოდებოდა არა მარტო მთელ მხარეს, არამედ ერთ პუნქტსაც. შემორჩენილია ერთი საეკლესიო საბუთი, რომელიც აშკარად მოწმობს, რომ საჩინო, როგორც პუნქტი, სინამდვილეში არსებობდა. იგი (ე.ი. საბუთი ო.კ.) არა უგვიანეს 1778 წელსაა შედგენილი. ვანის მონასტრისათვის აზნაურ ქაიხოსრო აბულაძეს შეუწირავს „საბეკას უჩასტკას – სოფელ საჩინოს მოსახლე გაიოზ და იესე რატიძეები.“ ასე, რომ საჩინო იმ დროისთვისაც არსებობდა, დაასკვნის ავტორი.<sup>5</sup>

1. კვინისწყალი გაედინება ვანის რაიონის სოფ. ამაღლებაში, გიულდენშტედტთან - კუნია (რაც არასწორი დასახელებაა) (რედ).  
 2. გომი - დღეს სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში. ადრე სოფელი იწოდებოდა მუხალრუად და წამოადგენდა ჩიჯავაძეთა სამფლობელოს (რედ).  
 3. მთისძირი - სოფელი ვანის რაიონში (რედ).  
 4. Краевич военный обгор районского края  
 5 თამაზ ბერიძე - „ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფია.“

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, საქართველოს ტერიტორიაზე სათავადოთა ინსტიტუტების წარმოქმნა განპირობებულია კონკრეტულ დროს, სივრცესა და მოქმედებაში, რომელიც, როგორც ითქვა, უკავშირდება ერთიანი საქართველოს დაშლის პროცესებს, სხვადასხვა მიზეზთა გამო იგი იწყება XII-XV საუკუნეებში, ხოლო „ქვეყნის ფეოდალური დაშლილობის შემდგომ გაღრმავებას წარმოადგენდა ამ სამეფოსა და სამთავროებში სათავადოების აღმოცენება, რომელიც დასავლეთ საქართველოში XV საუკუნის დასასრულს დაიწყო და გაგრძელდა XVII საუკუნეშიც“.

ჩვენთვის საინტერესოა რა დროიდან და როგორ სიტუაციებში დასახლდნენ ჩიჯავაძეთა გვარის წარმომადგენლები ვანის მიწაზე თუ ჩავთვლით, რომ აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია ამ გვარს X საუკუნეში ზემო ქართლშიც დამკვიდრებულებად მიიჩნევდა. (დეტალებისათვის იხ. კრებული „მატიანე“ №14).

პროფესორი ოლა სოსელია, რომლის კვლევასაც ჩვენ ამ საკითხთა განხილვისას ვეყრდნობით<sup>1</sup> მიიჩნევს: „აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის პერიოდში (თუ უფრო გვიან) დასავლეთ საქართველოდან ზემო ქართლს გადმოსული „გალმა მხარეში (ე.ი. ზემო ქართლში) დამკვიდრებული ჩიჯავაძეები რჩებიან აქ XV საუკუნის შუა წლებამდე, სანამ ტაოდან<sup>2</sup> მოსული ციციშვილები არ დაისაკუთრებენ „გალმა მხარეს“ და არ გამოაძევენ მათ (ე.ი. ჩიჯავაძეებს) იქედან უდავოა, რომ გალმა მხრიდან წამოსული ჩიჯავაძეები იმერეთში დამკვიდრდნენ... შეიძლება აქ დამკვიდრებულ ჩიჯავაძეთა მამამთავარი როსტომ ჩიჯავაძე იყო, რომელსაც იმერეთის მეფე ალექსანდრე თავის კარის ვაზირთა შორის მოიხსენიებს 1413-1444 წლებში, ხოლო 1585-1587 წლებში გიორგი იმერთა მეფე ჩიჯავაძეს იმერეთის დარბაისელთა შორის მოიხსენიებს.

ასე იცნობს გვიან ხანაში ჩიჯავაძეს ვახუშტი ბატონიშვილი და იქვე „ჩიჯავაძეთა სათავადოს ჩამოყალიბება XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე სავარაუდებელი. ყოველ შემთხვევაში XV საუკუნის მიწურულს მთელი საჩინო (დღ. ვანის რაიონი) ჩიჯავაძეთა ხელშია (ო.ს.გვ.12).

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი საჩუქარი ჩიჯავაძეთა გვარის წარმომადგენლებმა მიიღეს იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესში გამართულ ბრძოლაში ტახტის პრეტენდენტისათვის აქტიური მხარდაჭერის შედეგად. იმ განწყობების საფუძველზე, რომელიც აუცილებლად მოყვებოდა მათ სამკვიდრო ადგილიდან ციციშვილთა მიერ შევიწროებასა და მათ „გალმა მხრიდან“ გამოძევებას. ეს ის დროა, როდესაც იმერეთის სამეფო ყალიბდება. მიმდინარეობს ბრძოლა ლიხთიმერეთსა და ამერეთის მეფეებს შორის. ქართლში შევიწროებული ჩიჯავაძეები იმერთა მეფეს მიემხრნენ და გადმოვიდნენ იმერეთში. ამდენად ჩიჯავაძეთა სათავადოს მფლობელობაში „მთლიანად ან ნაწილობრივ“ გადავიდა დაფნარი, დაბლა გომი, (მუხალრუა), რომელიც შემდეგში მეფემ შეწირა გაენათს) – ვანი-მთისძირი, შუამთა, სებეკა, საპრასია (უნდა იყოს რომანეთი ო.კ), ისრითი, დვალიშვილები (ნაწილობრივ), ზენობანი, ციხესულორი, (ნაწილობრივ) გადიდი, ბზვანი, (ნაწილობრივ) ინაშაური, (ნაწილობრივ) ყუმური (საპაიჭაო), საყულია, (ნაწილობრივ) სალომინაო, ონჯოხეთი, აქედან დიხაშხოს, დვალიშვილების, ციხისუბნის დასახლებული პუნქტების ტერიტორიულ ნაწილებს ფლობდნენ ლორთქიფანიძეები. ამ მონაცემებში შეიძლება შევიდეს დაზუსტება, რადგან გამორჩენილია ძულუხი და რომანეთი – ძველისძველი სოფლები, რომლებიც უფრო მოგვიანებით „ბარის ერისთავთა“ ხელში გადავიდა.

საინტერესოა ამ მხრივ გიულდენშტედტისგან საჩინოს მდებარეობისა და მისი სოფლების აღწერილობაც: „იმერეთის მხარე საჩინო მდებარეობს ჩუანთიდან (შუამთიდან) მდ. სებეკაზე (როგორც ჩანს აქ გულისხმობს მდ. ჭიშურას) მთისწინეთის ძირას, ქვევით რიონამდე და აქვს შემდეგი სოფლები: ჩუანთა, დანგრეული ციხე სებეკა,<sup>3</sup> ციხისუბანი, პატარა ციხე სებეკი-

1. ოლა სოსელია – ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. გ II  
 2. ტაო - ერთიანი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (რედ).  
 3. ეს ციხე დაანგრის ოსმალებმა შემოსევების შედეგად

დან 6 – ვერსზე (ვერსი – 1,06 კმ. რედ), აღმოსავლეთით მთაზე დიხაშხო, ვანი, ონჯოხეთი, დვალიშვილები, გადიდი კარგი ეკლესიით, სულორი (ალბათ ციხესულორი, რადგან სულორი ამ დროს ცნობილი იყო დვალიშვილების სახელით, და ჩამონათვალში მოხსენიებულია კიდევაც ან თარგმანშია შესწორება შეტანილი – რედ), მუქედი, საფაჩაუ-საპაიჭაო – (დღ. ყუმური – რედ) ციხე ჩუანთიდან სამხრეთით 4 ვერსზე მთაში, ტობანიერი, ჭყვიში, ისრითი ანუ ისრიზა, სადაც თბილი წყაროებია (მხედველობაშია დღევანდელი სოფ. სულორის სამკურნალო აბანოები – რედ.) მას შემდეგ რაც თავადები დაიხოცნენ მხარე, ისე როგორც საჯავახო ეკუთვნის მეფეს“

ამდენად ჩიჯავაძეთა მფლობელობაში ყველა აღწერილობის მიხედვით გადავიდა 23 – სოფელი. ჩიჯავაძეთა საზღვრები დასავლეთით საჯავახომდე აღწევდა, აღმოსავლეთით კორისწყლამდე, ჩრდილოეთით მდ. რიონამდე, სამხრეთით ახალციხემდე, რომლისგანაც საჩინოს ყოფდა მთიანი მასივი – ალპური ზონა და ა.შ. როგორც ითქვა სულ 23 დასახლებული ადგილი – 23 სოფელი. აქედან დაფნარი, დაბლა გომი დღეს სამტრედიის (რაიონის – მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია). დანარჩენი განეკუთვნება ვანის რაიონს (მუნიციპალიტეტს).

ამდენად, ეს ტერიტორია დაბლა გომისა და დაფნარის გამოკლებით დღევანდელი გაგებით მოიცავს 557,9 კვ. კილომეტრს, ალპური ზონის ჩათვლით 58 ათასამდე ჰექტარს. ეს იყო თავისი განზომილებით უზარმაზარი ტერიტორია, უდიდესი მოცულობის სათავადო.

ჩანს, რომ ჩიჯავაძეთა გვარს იმ მომენტისათვის იმერეთის მეფისადმი გვერდით დგომა დაუფასდა, თუმცა მეფის მიერ ნაჩუქრობის სიგელში ყოველთვის იწერებოდა... „თუ თქვენ ჩვენი ერთგული და ჩვენის სიტყვისა და ბრძანების ერთგული, მორჩილი ყმანი იყოთ ეს ჩვენგან ბოძებული წიგნი და სიგელი არასდროს არ მოგიშალოთ.“ რაც იმასაც ნიშნავს, რომ თავადს, მეფე ყმა-მამულს პირობით აძლევს, რა დროსაც სიუზერენი უფლებას იტოვებს თავადისაგან გადაცდომის ან პირობის დარღვევის შემთხვევაში მისგან დამსჯელობითი ზომებიც არ დააყოვნებს, ეს პროცესი ამ გვარმა თავისთავზე ძალიან მკაცრად იწვინა და ამის საფუძველი იმერეთის მეფეებს სხვადასხვა დროს მისცეს კიდევაც, ვიდრე იმერეთში გამეფდებოდა სოლომონ მეორე. თუმცა, ჩიჯავაძეთა გვარის საერთო „დამცრობა“ განხორციელდა იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის მეფობისას და ეს პროცესი ფესვებს იღებს ჯერ კიდევ იქედან, როდესაც ჩიჯავაძეები აღმოჩნდნენ შოშიტა რაჭის ერისთავისა და ბეჟან ლორთქიფანიძის გვერდით გურიელის მხარდასაჭერად, რომლის გეგმაში მეფის დასუსტება შედიოდა. „შეყარეს ჯარი და შეუერთდნენ გურიელს, რომელსაც გეგმებში იმერეთის ტახტის დაკავება ჰქონდა.“ „მასვე შეუერთდნენ ჩიჯავაძენიც“ (ქართლის ცხოვრება – 847) ეს მოხდა 1684 წელს. მსგავს პროცესთა განმეორებას შემდეგშიც ჰქონდა ადგილი, რაც ქართულ თავადურ გვართა უმრავლესობის დამახასიათებელ თვისებად იქცა, რადგანაც „საქართველოს დარბაისელნი ერთმანეთის მტერნი და ქიშპში იყვნენ, არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა – თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ ვერც მტერნი აწყენდათ რასმე. ამათ საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოიშლიან და არც მოუშლიათ“ (ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია გვ.21) ამ საკითხზე რეალურია ფარსადან გორგიჯანიძის შეფასება. როგორც ჩანს ამ პროცესებთან კავშირშია შემდეგში ჩიჯავაძეთა გვარის წამომადგენლების (ვახუშტი, ქაიხოსრო და გიორგი) მიერ სოლომონ II-სადმი მირთმეული არზაც – „ჩვენი ოჯახი დამდაბლებული, წამხდარი იყო, ჩვენ სამკვიდრებლისგან უნაწილო ვიყავით... და ა.შ. ჩანს, რომ ეს პროცესი, თავის დროზე კიდევ უფრო გააღრმავა იმერეთის მეფის ალექსანდრე V ძმის მამუკას მოქმედებამ, რადგან დროთა სვლის შედეგად და განვითარებული პროცესებიდან გამომდინარე, რაც დამახასიათებელი იყო მაშინდელი ფეოდალური საქართველოსათვის, იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ძმამ, მამუკა ბატონიშვილმა დაიპყრო საჩიჯავაძეო (1734-1735 წ.წ.) და როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს „შემდგომად მოადგა მამუკა ციხესა ბეჟან ჩიჯავაძისას და მოპარვით აღიღო ციხე სებეკა, მერმე აღიღო

ციხე ბეჟანისა და დაიპყრო საჩიჯავაძეო მამუკამ“ („ქართლის ცხოვრება“, ტომი IV, გვ. 889), როგორც მკვლევარი ოლღა სოსელია გიულდენშტედტზე დაყრდნობით ასკვნის, ეს სათავადო ამ დროისათვის არ არსებობს და მისი გაუქმება იმერეთის მეფის ალექსანდრე V -ის ადმინისტრაციული ღონისძიებების შედეგია. ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იმერეთის დიდი მეფის, სოლომონ პირველის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად „საჩინოს მხარემ“ მიიღო რამდენადმე ახალი კონფიგურაცია. მეტიც, უფრო გვიან, „სოლომონ I-ის მეფობაში ჩიჯავაძეებს ჩამორთმეული აქვთ მათი საგვარეულო სამფლობელო „საჩინოს მხარე“ და ის მეფეს უჭირავს“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში), როცა საჩინოს მხარის მფლობელებმა მოგვიანებით, სოლომონ მეორის დროს, რამდენადმე შეძლეს საკუთარი მდგომარეობის რეაბილიტირება, სათავადოს ტერიტორიული მთლიანობა მაინც ვერ აღადგინეს და საბოლოოდ ერთ სათავადო სახლად არ გაერთიანებულან.

მეფისგან ჩიჯავაძეზე მიკუთვნებულ ტერიტორიასთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს არაერთი ლოგიკური კითხვა, რომლის ახსნაც დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით იქნება შესაძლებელი, მაგრამ როგორც ითქვა საუბედუროდ ამ საკითხთა ირგვლივ და ე.წ. საჩინოს ფეოდალური ხანის სოციალური-პოლიტიკური ისტორიიდან მასალები იმდენად მწირია და შემონახული არაა, რომ მიუხედავად ინტერესისა, კვლევისას ყოველთვის ტოვებს უკმარისობის გრძნობას. მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგიერთ მიმართულებებზე მაინც შეიძლება გაკეთდეს აქცენტი.

საქმე იმაშია, რომ ეს უზარმაზარი სივრცე, სანამ მითითებული გვარის ხელში გადავიდოდა, მანამდე წარმოადგენდა თავისუფალ ზონას, ან იყო თუ არა ვინმეს მფლობელობაში? რომ, თუ გავითვალისწინებთ ამ დროისათვის განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთქმედობას, რომელიც ხშირად შეიარაღებული დაპირისპირებით ვლინდებოდა თანაც იმერეთის სამეფოში, სადაც XVII საუკუნის მეორე ნახევარში მკაცრ შინაფეოდალურ ომებსა და უსასტიკეს დაპირისპირებებს ჰქონდა ადგილი „40 წლის მანძილზე 1660-1701 წლებში ჩვიდმეტჯერ ჩამოაგდეს ტახტიდან მეფე, მათგან ორი მოკლეს, ცამეტი გააძევეს... ქვეყნის ბატონ პატრონად მთავართა (გურია, სამეგრელო, სვანთა, აფხაზთა და რაჭის ერისთავთა) თავადთა სახლები გვევლინებიან და აქედან უპირველესი იყვნენ ლიპარტიან – დადიანი, გურიელი, აბაშიძე, რაჭის ერისთავი, ამათ მოსდევდნენ: მიქელაძე, წერეთელი, ნულუკიძე, ჩხეიძე, ჩიჯავაძე და სხვანი, სადაც მეფის ხელისუფლება უკიდურესად დაცემული იყო, სამეფო – სახასო ქვეყნები, ციხესიმაგრეები მთავრებსა და თავადებს მიეტაცნათ... „გურიელს მიტაცებული ჰქონდა საჯავახო და ჩიჯავაძენი მარადის იყვნენ წინაშე მისსა...“ გამორიცხული არაა ჩიჯავაძეთა გვარის აღნიშნულ მინაზე ჩამოსახლებისას, მიუხედავად იმისა ვისი პროტექტორობითაც არ უნდა განხორციელებულიყო ეს პროცესი, ფეოდალურ ურთიერთობათა პრაქტიკიდან გამომდინარე პრობლემები აუცილებლად დახვდებოდათ. აქ მხედველობაშია მისაღები ის, რომ მითითებულ სივრცეს უფრო ადრე ფლობდნენ ქვაბულიძენი დიდაზნაურნი და როგორც ვანის ეკლესიის მარმარილოს ქვაზე შემონახული წარწერა გვამცნობს – „ერისთავთ-ერისთავი“ ზვიადი. ქვაბულიძეთა შესახებ ჩვენ პროფესორ თორნიკე ეფრემიძის კვლევის მასალები გამოვაქვეყნეთ „ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის“ კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეში“ (№2), სადაც ჩანს მითითებულ ტერიტორიალურ სივრცესა და ქვაბულიძეთა ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი. ხოლო რაც შეეხება „ერისთავთ-ერისთავ ზვიადს, მართალია დროში ამ ორი პიროვნების გავლენა ვერ დაემთხვევა ამ მინაზე ჩიჯავაძეთა ჩამოსახლებას – მათ შორის საუკუნოვანი ინტერვალია, მაგრამ აქ სულ სხვა მიმართულებით გვსურს ყურადღების გამახვილება და განსაკუთრებულად ერისთავთ-ერისთავზე, რომელიც იმ დროისათვის უაღრესად მაღალი თანამდებობრივი მოვალეობაა. მის ხელქვეითაა მოქცეული მხარის ადმინისტრაციული მართვა-გამგებლობა, ადგილობრივი მოსახლეობიდან საჭიროების დროს მებრძოლთა (ლაშქრის) შეკრება და საბრძოლველად გამოყვანა, რომელიც, მანამდე სალაშქრო

წვრთნებთანაც იქნებოდა დაკავშირებული და ეს უმაღლესი ადმინისტრაციული სახელო პირდაპირ პასუხისმგებელი იყო თვით მეფის წინაშე. ამდენად, ასეთი მძლავრი სუბიექტები თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ფლობდნენ დიდ საკუთრებასაც და პასუხისმგებლობასაც. ეს შენიშვნა კეთდება იმისათვის, რომ წარმოდგენა გვექონდეს ჩიჯავაძეებამდე, როგორც ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიალურ სივრცეს ფლობდნენ და განაგებდნენ ქვაბულიძეები, ერისთავთ-ერისთავი ზვიადი და შემდგომში ალბათ მათი შთამომავლები. გარკვეულ დროში ერთდროულად ან კონკრეტულ ინტერვალში. აქედან, ფეოდალურ გვართა წარმომადგენლები საკუთრებას იოლად არ თმობდნენ რომ მათ ეს ქმედება განეხორციელებინათ ჩიჯავაძეთა სასარგებლოდ. მითუმეტეს XV საუკუნის მიჯნაზე ან შუალედში, როდესაც იმერეთის მეფის ხელისუფლება არც ისე მყარად გრძნობს თავს.

თუ ქვაბულიძეთა ირგვლივ მივდივართ შედარებით მარტივად გაგებამდე, ასე არაა ერისთავთ-ერისთავის ზვიადთან დაკავშირებით. საინტერესოდ ჩანს ისიც, რომ ესაა დღევანდელი და მაშინდელი გაგებითაც უმაღლესი თანამდებობის პირი, მაგრამ რომელ ქართველ დიდებულთა გვარს ეკუთვნის იგი?

აკადემიკოსი აკაკი შანიძე ამ პრობლემას ასე განმარტავს: „...გვარსახელ ლოლობერიძეს საფუძვლად უდევს პირის სახელი ლოლა (ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საბუთი №59 – დაკარგულია), რომლისგანაც წაწარმოებია გვარები ერთი მხრით ქართული ლოლაისძე და მეორე მხრით ქანური ლოლა (იშ) ბერე. უკანასკნელ გვარს გაქართულების პროცესში დართვია ქართული გვარების დაბოლოება – ძე და იგი გადაქცეულა ლოლაბერი(ს)ძედ, შემდეგ კი ხმოვანთა ასიმილაციის გამო ლოლობერიძედ. „ამ წარწერას აკადემიკოსი აკაკი შანიძე ასე კითხულობს: წმიდაო გიორგი, მთავარმონაშემო, გუიოხე წინაშე ღმერთისა ლოლაიძეთა ერისთავთ-ერისთავისა ზვიადსა და უღირსსა გიორგის“ (ოლა სოსელია 29).

„ლოლაიძე თუ ლოლაძე დასახელებულია ვანის მარმარილოს ასომთავრულ წარწერაში, წარწერა XI საუკუნეს მიეკუთვნება. ამავე საუკუნეში მოღვაწეობდნენ მასში მოხსენებული ლოლობერიძეები – ესენი არიან ლოლობერიძეთა გვარის ჩვენთვის ცნობილი წარმომადგენლები, რომელთაგან ზვიადის, აღნიშნული წარწერებიდან ვგებულობთ, ფრიად მაღალი საერო ხელისუფლება – ერისთავთ-ერისთავობა აქვს (ოლა სოსელია გვ.29) და განაგებს ამ მხარეს.“ და არა მარტო ამ მხარეს.

ამდენად, აქ იკვეთება ზემოთ მითითებული ორი დიდი პიროვნების დამოკიდებულება იმ ტერიტორიებთან, რომლის იმდროინდელი დასახელება (ნამდვილი სახლი) ჯერჯერობით უცნობია, რომელზედაც შემდეგში შეიქმნა ჩიჯავაძეთა სათავადო და არაერთი სხვა, რადგან იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბების გარკვეული დროის პერიმეტრზე თითქმის თანმიმდევრულად ჩნდებიან ცალკეული სამფლობელოები. აქედან იმის თქმაც შეიძლება, რომ აქ, ჩიჯავაძეთა ჩამოსახლების პროცესში, ეს საკმაოდ დიდი ტერიტორიული სივრცე ან არავის საკუთრებაში არ არის და მასზე ხელი არავის მიუწვდება გარდა იმერეთის მეფისა, ან და ქვაბულიძეთა და ერისთავთ-ერისთავი ზვიადის შთამომავლები ამ სივრცეზე არ სახლობენ. ან თუ სახლობენ იმდენად არიან დაუძღვრებულნი, რომ მათ ტერიტორიული სამფლობელოს დაკარგვის გამო, წინააღმდეგობის განევა არ ძალუძთ. თორემ, როგორი მხარდაჭერაც არ უნდა ჰქონოდათ ჩიჯავაძეთა თავადურ გვარს მეფისგან, ეს პროცესი წინააღმდეგობის განევის გარეშე ვერ დამთავრდებოდა. მსგავსი მაგალითები უამრავია საქართველოს ისტორიაში. ყოველ შემთხვევაში ჩიჯავაძეები მათთვის ბოძებულ ტერიტორიაზე დასახლდნენ და მოქმედებდნენ გარკვეული, ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამდენად, ერთიანი საქართველოს დაშლილობის სანყის ეტაპზე აქ ფუნქციონირებას იწყებს ჩიჯავაძეთა სათავადო სრული იურიდიულ-ადმინისტრაციული სტატუსით, ხოლო მოგვიანებით იმერეთის მეფის ალექსანდრე V პოლიტიკური ინტერესითა და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა შედეგად მოქმედებაში შედის „ბარის ერისთავთა“ სათავადოც, რომელიც აქ ფლობდა და განკარგავდა ტერიტორიალურ სივრცეს. ამდენად, იმ

ტერიტორიალურ სივრცეზე, რომელსაც დღეს ვანი ჰქვია, ერთიანი საქართველოს დაშლისა და იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბების გარკვეული დროის პერიმეტრზე თითქმის თანამიმდევრულად ჩნდებიან ცალკეული სათავადოები ან თავადთა გვარის ცალკეული დასახლებანი თავიანთი სამფლობელოებით.

ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ საჩინოს გიულდენშტედტისეულ აღწერილობაში არის უზუსტობა იმაში, რომ საჩინოს თავადები არ დახოცილან. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ ალექსანდრე V-ისა და სოლომონ I-ის მიერ სხვადასხვა დროს გატარებულმა ღონისძიებებმა ისინი გვარიანად ჩამოაქვეითა და იგივე გიულდენშტედტი, როდესაც ჩამოთვლის იმერეთის თავადთაგან თხუთმეტ გვარს, ბოლო ხუთს, მათ შორის ჩიჯავაძესაც, მოიხსენიებს მატერიალურად ყველაზე ნაკლებად შეძლებულს. აქ გასაკვირი არაფერია, რადგან ამ პერიოდში მათ ყოფილ სამფლობელოს მთლიანად ფლობდა და აკონტროლებდა მეფე სოლომონ პირველი. როგორც ჩანს იმერეთის მეფეთა განაწყენების ხარისხი იმდენად ღრმა და დიდი იყო დაწყებული ალექსანდრე V-დან, სოლომონ პირველის ჩათვლით, არც ერთს არ უცდია მდგომარეობის გაჯანსაღება და პირიქით, თუკი ადრე ჩიჯავაძეთა სათავადო წარჩინებულთა და შემძლებელთა პირველ ხუთეულში იყო, როგორც უკვე ითქვა, მას მოიხსენიებენ ბოლო, ნაკლებად შეძლებულ თავადთა ხუთეულში. მდგომარეობა იცვლება მეფე სოლომონ II-ის დროს, მაგრამ არც ისე მნიშვნელოვნად. თუმცა ჩიჯავაძეთა გვარის წარმომადგენლებმა სოლომონ II დროიდან დაწყებული კვლავ შეინარჩუნეს ჯეროვანი აქტიურობა, ფლობენ სხვადასხვა სამეფო სახელოებს, ხოლო რუსეთის იმპერიული მფლობელობისას სარგებლობენ პატივისცემით. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: ნიკო ვახუშტის ძე ჩიჯავაძე მიიწვიეს იმ კომისიის მუშაობაში, რომელსაც ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებული ურთულესი საკითხები უნდა განეხილა. ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრში დაცულია მიმართვის ასლი, რომელიც გუბერნიიდან გამოგზავნილია ნიკო ჩიჯავაძის სახელზე, რომლითაც დასტურდება უდიდესი პატივისცემა ამ პიროვნების მიმართ.

– დღევანდელი რაიონის (მუნიციპალიტეტის) აღმოსავლეთ მხრეს, აქ განთავსებულ გარკვეულ ტერიტორიებს ფლობდნენ რაჭის ერისთავთა ერთი შტოს წარმომადგენლები. საქმე იმაშია, რომ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, იმერეთის მეფე ალექსანდრესთან რაჭის ერისთავთა გაუთავებელი შუღლისა და იმის გამო, რომ „ალექსანდრემ ვერ შეძლო ამ ძლიერი თავადის (რაჭის ერისთავის) დამორჩილება, მან ერისთავის დასუსტება მის სახლის წევრთა შორის მტრობის ჩამოგდებით სცადა. მეფის ჩაგონებით 1732-1733 წელს გრიგოლ ერისთავის ბიძამ გაენათელმა ეპისკოპოსმა გედევანმა თავი დაანება მღვდელმთავრობას, „ნაგვარა ცოლი“ თავის ძმიშვილს პაპუნას „შეირთო თვით და მიენდო ალექსანდრე მეხუთეს, მეფემ მისცა მას „საერისთოს მამული“ იმერეთს შინანი და ეწოდეს ბარის ერისთავად (ვახუშტი საქ. ოსტორია გვ. 232) ამგვარად, ვანის, საჩინოს, ტერიტორიულ სივრცეში გაჩნდნენ ბარის ერისთავები.

საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით საინტერესო და მართებულ ვერსიას გვთავაზობს ამ საკითხთან დაკავშირებით პროფესორი მიხეილ რეხვიაშვილიც თავის მონოგრაფიაში – „იმერეთის სამეფო“: „ბარის ერისთავი გედევანი იყო შოშიტა რაჭის ერისთავის ძმა, გენათელი ეპისკოპოსი, მას ვახტანგ მეფის ასული ცოლად უნდოდა თავის ძმისწულ პაპუნასათვის, მაგრამ სარძლო შეუყვარდა. მღვდელმთავრობას თავი გაანება და თვითონ შეირთო ცოლად. ამიტომ რაჭაში ველარ ნავიდა, მივიდა იმერთა მეფესთან თხოვნით... მეფემ შეინყალა. რაჭის ერისთავის საწინააღმდეგოდ მისცა მას „საერისთავო“ მამული იმერეთს და უწოდა ბარის ერისთავად“ (მიხეილ რეხვიაშვილი, გვ.163), თუმცა ბარის ერისთავის ქცევაში, როგორც აღვნიშნა იყო მეფე ალექსანდრე V ნაბიძგებაც, ხოლო რაც შეეხება ბარის ერისთავთა გამგებლობაში გადაცემულ საკუთრებას ბატონი მიხეილ რეხვიაშვილის ხსენებულ საინტერესო ნაშრომში საჭიროებს დაზუსტებას, რადგან სცდება, როგორც ბატონიშვილ ვახუშტის, ასევე გიულდენშტედტის მიერ ჩამოთვლილ ტერიტორიებს.

რეალურია, რომ ბარის ერისთავთა ინსტიტუტი რაჭის ერისთავთა საპირისპიროდ იქნა დაარსებული, მაგრამ როგორც ისტორიული ლიტერატურა გვამცნობს ამით არც რაჭის ერისთავთა მძლავრობა ჩამცხრალა დიდად და არც ბარის ახლადშექმნილ სათავადოს გამოუჩენია თავი იმერეთის მეფის სასარგებლოდ. თუმცა მათ მიიღეს საკმაოდ დიდი ტერიტორია, ეს „მამულია“ სალომინაო-ამაღლების მიმდებარე ტერიტორიები, რომელსაც შემდეგში საერისთავო ეწოდა. რომელ სოფლებს ფლობდა იგი დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიიდან, ამას ცოტა ქვემოთ ვნახავთ. თუმცა ეს სივრცე მოიცავდა დღევანდელი რაიონის სამხრეთ აღმოსავლეთის სოფლებსა და დასახლებებს „ამაღლების საზღვრიდან ვარციხის სახელმწიფო საზღვრამდე.“ უნდა ვივარაუდოთ, მათ რეზიდენცია ჰქონდათ სალომინაოშიც (ამას ადასტურებს შესაბამისი წყაროებიც) და ბარის ერისთავთა „ერთ-ერთი ციხედარბაზი სოფელ ზეინდარშიც იდგა. „სერზე მდინარე ფერეთას მარცხენა სანაპიროზე.“ ნინმსწრებად რომ ვთქვათ – რომლის ტერიტორიაც დროთა ცვლის შედეგად XX საუკუნის მიჯნაზე ინტენსიურ გაყიდვაშია მოქცეული. როგორც ითქვა ამ სივრცეზე განლაგებული სოფლები და დასახლებანი ხსენებულ ერისთავთა საკუთრებაშია. კონკრეტულად ესაა „სალომინაოს“ მხარე, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი საჩინოსაგან ხაზგასმით ცალკე მოიხსენიებს „საჩხეიძეოს საზღვრებისა და სალომინაოსი (და არა საჩინოსი), „საჩიჯავაძოსთვის – დასავლით ზღვრის საჩინო-სალომინაოს საზღვრის ხაზი,“ „ხოლო საჩიჯავაძოს სალომინაოს, რიონს გაღმით სამხრეთს არს ვაკე“ (ვაკის საზღვრისათვის) და ასე შემდეგ არაერთგზის.

აღნიშნულ მხარეს – ცალკე გამოჰყოფს გიულდენშტედტიც, რომელმაც იმერეთში იმოგზაურა სოლომონ I-ის მეფობისას 1772 წელს. ჰქონდა მასთან შეხვედრაც და მეფის დავალებითვე მეგზურობას უწევდნენ მხარის მცოდნე წარჩინებული პირებიც. იგი ამ მხარეს „ფთის ცახლს“ უწოდებს და მის ადმინისტრაციულ აღწერას შემდეგნაირად ახდენს: „...მხარე ფთის ცახლი (მთის სახლი) ეს არის საერთო სახელი იმერეთის ყველაზე უფრო სამხრეთი მხარისა...სახელი ნიშნავს „სახლი მთაზე.“ შემდეგ აგრძელებს – „მხარე საერისთავო მდებარეობს წინა მხარის აღმოსავლეთ მთის ძირას მდ. კუნიაზე.<sup>1</sup> მისი სოფლებია: ამაღლება, (თუმცა ამ სოფლის ნაწილს ფლობდნენ ჩიჯავაძენიც) სადემეტრო,<sup>2</sup> სალომინოვო, ნასაგორევი, (გარკვეული დასახლებებია) ბაბოთი, გორა, სვანი (ბზვანი), ოკუთი (უხუთი), რომანეთი, გორმალაი<sup>3</sup> ინაშაური და დანგრეული ციხე პადალაური<sup>4</sup> მდ. კუნიაზე მთაში. ეს მხარე ეკუთვნის რაჭის ერისთავს და ახლაც იქ ზის მისი ბიძაშვილი.“ ორივე მხარის მოსახლეობა (ე.ი. საჩინოსა და საერისთავოს ფთის სახლის) იმერლებია.

საკმაოდ მყარი და დეტალური აღწერაა, თუმცა ოდნავ განსხვავებული აღწერილობითაა იგი მოცემული კრავეირის ინფორმაციაში, რომელიც ჩვენ ზემოთ დავიმომხმეთ. რომელშიც პრაქტიკულად დაკონკრეტებულია დასავლეთით საჩინოს საზღვარი საჯავახომდე და სამხრეთ აღმოსავლეთით სოფლები რომანეთიც და ძულუხიც, როგორც აღინიშნა, ჩართულია საჩინოს შემადგენლობაში. ვახუშტი ბატონიშვილიც საჩინოს დასავლეთ საზღვრად საჯავახოს მიიჩნევს. როგორც არ უნდა იყოს ბარის ერისთავთა საკუთრებაში გადავიდა დაახლოებით 4794 ჰექტარი

1. კუნია - კვინწყალი. ავტორს არასწორად აქვს დასახლებული.

2. სადემეტრო - დღევანდელი ნითელხევი.

3. გორმალაი - ამ სახელწოდებაში უნდა მოიაზრებოდეს სოფელი ძულუხიც, რადგან ეს სოფელი ადრეულ პერიოდში შედგებოდა ორი დასახლებისაგან: ა — ძულუხი, სადაც ამჟამინდელი სოფელია განლაგებული. ბ — გორმალაი, რომელიც მელოურის ქედის თხემიდან იწყებოდა (მდ. ძულუხურას მარჯვენა სანაპირო) და გრძელდებოდა კილანჯაურის ან (კილანჯვარის) გავლით ე.წ. ნაკლე-სივამდე. სახლობდნენ უმეტესად ხელაძეთა და ხურციძეთა გვარები, რომლებიც შემდეგში ჩამოსახლებას იწყებენ მდ. ძულუხურას მარჯვენა-მარცხენა სანაპიროზე და გრძელდებოდა XX საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე. ამასთან, გიულდენშტედტიც ამ სამ სოფელს; რომანეთს, გორმალასა და ინაშაურს ასახელებს თანამიმდევრულად, რაც მათ ტერიტორიალურ მოსაზღვრეობას ადასტურებს. იხ. „მატიანე“ №13 ო.კაპანაძე, სოფელი ძულუხი.

4. პადალაური - „დანგრეული ციხე პადალაური“ - გაურკვეველი სახელწოდება, როგორც წინის სარედაქციო შესავალშია მითითებული, „ზოგიერთი სახელი იმდენად დამახინჯებულად არის ტექსტში მოტანილი, რომ ყოველთვის არ ხერხდება ზუსტი შესატყვისის მოძებნა“ (გვ. 9-12) თუმცა უცხოელ აღმწერთაგან ზოგიერთი ასეთი ლაფსუსი დასაშვებია. ასეთი სახელწოდების ციხე მდ. კუნიაზე ინაშაურში არ არსებობს.

მინის ფართობი პლუს ალპური საძოვრები, რომელსაც გვიან ხანამდე ჩამოთვლილ სოფელთა მოსახლეობა იცნობდა ერისთავის მთების სახელით. თუმცა მისი სიდიდე, როგორც ჩანს უცნობი იყო თვით მფლობელთათვისაც, რადგანაც, როდესაც ამ გვარის წარმომადგენელი ნესტორ ერისთავი საუბრობს პროცესზე, როდესაც ეს ტერიტორიები გაყიდვაში მოაქციეს, მიუთითებს, რომ ზომები არ ვიცოდით და ვყიდდით პირდაპირ – „ამ გორიდან, იმ გორამდე“. როგორც ჩანს ჩიჯავაძეთა საგვარეულოს წევრები საჩინოს მინაზე ერისთავთა სათავადოს დაარსებას ვერ შეეგუენ, ვრცელი მინა-წყლის მქონე ჩიჯავაძეები ტერიტორიების უფრო მეტი გაფართოებისთვის ისწრაფვოდნენ. ამიტომაც ერისთავებს გზადაგზა ავინროებდნენ „სამანსა და ჭადარს შუა ადგილსა და მათ მთაშიდ პარტახებს ეცილებოდნენ ამ ნიადაგზე მათ შორის დავა იყო“ ეს დავები გრძელდებოდა უფრო გვიანაც, როდესაც რუსეთის იმპერიული გავლენა ვრცელდებოდა საქართველოზე. ქუთაისის გუბერნიის მაღალი რანგის მოხელენი და თვით გუბერნატორიც ცდილობდა მათი დავა მორიგებით დასრულებულიყო.

ადრე ფეოდალური ხანის დანგრეული ე.წ. „მელოურის“ (და არა პადალაურის) ციხე ნამდვილად არსებობს სოფ. ძულუხის ტერიტორიაზე, როგორც ითქვა მდ. ძულუხურას მარჯვენა სანაპიროზე, რომანეთი – ძულუხის გასაყარზე. მელოურის მთის თხემზე და როგორც განლაგება უჩვენებს ჰქონდა სამხედრო-საფორთიფიკაციო დანიშნულება. ვფიქრობთ გიულდენშტედტი გულისხმობს ამ ციხეს. (იხ. ო.კაპანაძე – „ვანი – ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან“ ან კრებული „მატიანე“ სოფელი ძულუხი).

ბარის ერისთავთა სამფლობელოს ტერიტორიული კონფიგურაცია (ისე როგორც ჩიჯავაძეთა და ზოგიერთ ფეოდალთა) ხისტად იცვლება 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში გატარებული რეფორმის შემდეგ, რადგან მათი მფლობელობიდან დაგირავებულია ან ხაზინის საკუთრებაშია გადაცემული, მთიანი მასივის დიდი ნაწილი, ჭოკიანის აბანოს მიმდებარე ვრცელი ტერიტორია, აბანოც (სამკურნალო-ბალნეოლოგიური) და რიგი სხვა სავარგული ნაკვეთები. როგორც თავადი ნესტორ ერისთავი თავის მოგონებებში (დაცულია ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში) მიუთითებს მათი სიმდიდრის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი შეეწირა თავადთა დროსტარების ზოგიერთ მომენტებს.

ამდენად, როგორც ვხედავთ, საჩინოს მხარის, ასევე მდ. „კუნიაზე და მის აღმოსავლეთით განლაგებული რაჭის ერისთავთა“ ერთი შტოს სოფლების აღწერილობა მთლიანობაში არ ემთხვევა დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიალურ სივრცეს და არც ისაა სწორი, როდესაც (ზოგჯერ) „საჩინოს მხარეში“ მოიაზრებენ ასევე ვანის რაიონის მთლიან ტერიტორიას, მასში შემავალ ყველა სოფელს და დასახლებას. რადგანაც დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიალური მთლიანობა ჩამოყალიბდა „საჩინოს მხარის“, „სალომინაოს მხარის“ და რიგ სხვა სამფლობელოთა (ნაწილთა) თემებისა და სოფლების გაერთიანების საფუძველზე.

სათავადო ტერიტორიათა ფლობის სიდიდით ჩიჯავაძეთა და ბარის საერისთავოს შემდეგ მომდევნო ადგილი განეკუთვნება ლორთქიფანიძეთა გვარს. ანალიზებს რა „ქართველ თავადნაზნაურთა გვარების აღწერაში დაცულ ცნობებს პროფესორი ოლა სოსელია, აღნიშნავს – ლორთქიფანიძეები (მითითებული ცნობების მიხედვით) ციხე ლორიქანის მეციხოვნეები... „მუნებურნი მეციხოვნენი მოვიდნენ იმერეთში წელსა 1656-სა და იმ ციხის გამო მიიღეს სახელად ლორქნის მაგიერ ლორთქიფანიძეობა“-ო. დაასკვნის, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ ასახავს და ეყრდნობა რა აკადემიკოს პავლე ინგოროყვას კვლევას – „სვანეთის საისტორიო ძეგლები,“ მიდის დასკვნამდე, რომ ლორთქიფანიძეები 1656 წელზე ბევრად ადრე იყვნენ იმერეთში ცნობილნი. მათი გვარსახელი ციხე ლორიქანიდან კი არა მათი მამამთავრის (ლორთქიფანის) სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ამავე საკითხზე უფრო დანვრილებით შეგიძლიათ იხილოთ კრებულ „მატიანეს“ წინამდებარე მე-15 ნომერი, რომელშიდაც განთავსებულია მასალები პროფესორ ოლა სოსელიას წიგნიდან „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან – „ლორთქიფანიძეთა სათავადო“, რომელიც დაიბეჭდა სპეციალურად.



„ლორთქიფანიძეთა გვარი პირველად იხსენიება „ერთობელთა“ ქალდეშელთა და გიორგი და დემეტრე ლორთქიფანიძეების XIV-XV საუკუნეების დასაწყისში ამ დროს ლორთქიფანიძეები ხალდეშის ხევში (სვანეთი) ბინადრობენ. მომდინარეობდნენ იმერეთის ლორთქიფანიძეები ხალდეშელ ლორთქიფანიძეთაგან თუ არა არ ვიცით. მაგრამ XV საუკუნეში ლორთქიფანიძეები იმერეთში ცოტა იყვნენ!...

ლორთქიფანიძეთა სათავადოში, საერთოდ 20 სოფელი შედიოდა, მათ შორის ლორთქიფანიძეები დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიაზე ფლობდნენ სოფლებს: 1. დვალიშვილები (სულორი), ამ სოფლის სახნავას უბანს მდ. შაშხაპამდე ფლობდნენ ჩიჯავაძენი.

2. ციხისუბანს ნაწილობრივ – (II ნაწილს ფლობდნენ ჩიჯავაძენი). 3. დიხაშხოს ნაწილობრივ, ამათ გარდა ლორთქიფანიძეები ყმა-მამულს ფლობდნენ ჭყვიშს (ვანი), გადიდს, ონჯოხეთსა და ვანში – დღეს ქალაქ ვანის გარკვეული ტერიტორია. ამავე სივრცეზე მდებარეობდა ნიკო ჩიჯავაძის მიერ კირილე ლორთქიფანიძისადმი ნაჩუქარი მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი (როგორც ცნობილია თავად ნიკო ჩიჯავაძეს მემკვიდრე არ ჰყავდა და საკუთარი ქონება გადასცა (აჩუქა) დისშვილებს კირილე და გრიგოლ ლორთქიფანიძეებსა და ბიჭია მიქელაძეს. მაგრამ ეს ხდება შედარებით გვიან, ხოლო მანამ, ლორთქიფანიძეებს მიწები აქვთ სოფელ უხუთშიც (ვანის რაიონის მუნიციპალიტეტი), რომელიც დიხაშხოელმა მიხეილ ლორთქიფანიძემ მიიღო მზითევში, ბარის ერისთავთაგან, როდესაც იგი მათი სიძე გახდა (ჩაესიდა), მასზე მოაწყო ორგანიზებული მეცხოველეობა და ტყის მცირე ნაწილს რენვა<sup>2</sup>. აი, ამ ტერიტორიებს ფლობდნენ საჩინოს მიწაზე ჩამოსახლებული ლორთქიფანიძეები, რომელთა საკუთრებაში არსებული ტერიტორიული მოცულობა დაახლოებით უტოლდება 1800 – ჰექტარს. გამომდინარე აქედან და მათი აქტიურობიდან, რომ ვანელი (საჩინოელი) ლორთქიფანიძეები წარმოადგენდნენ ჩიჯავაძეთა აზნაურებს, რომელზედაც მითითება გაკეთდა ზემოთ, თუ ეჭვქვეშ არ დგება, შედარებით განსხვავებულ რაკურსს მაინც იძლევა საჩინოელ აზნაურთა დანარჩენი ნაწილისგან.

„დიხაშხოელ ლორთქიფანიძეთა წარმომადგენლები იყვნენ როსტომ, ტატუ, ბეჟან და ბესო ლორთქიფანიძეები, რომლებიც დიხაშხოს ეკლესიისადმი მათ მიერ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში შეწირულ კანკელში იხსენიებიან“ (აქ პროფესორი ოლლა სოსელია ეყრდნობა ექვთიმე თაყაიშვილის ინფორმაციას). აღსანიშნავია, რომ ვანის სივრცეზე დასახლებულ ლორთქიფანიძეთა ნაწილი, როგორც უკვე ითქვა, არ მიეკუთვნება თავადურ გვარს, არიან გლეხებიც. ეს დასტურდება ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული არაერთი მასალითაც. მხოლოდ ერთი მაგალითი: როდესაც გლეხი ლორთქიფანიძე..., თხოვნით მიმართავს თავად ჩიჯავაძეს, რომ გარკვეული საფასურის გადახდით იჯარით გამოუყოს ვანის ურიების ბაზართან მიწის ნაკვეთი სახელოსნოს აშენებისათვის. ფაქტთა შეჯერებით დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ასეთი – ლორთქიფანიძეთა სახლის შტოს ადგილსამყოფელი თუ უფრო ადრე არა XVII-XVIII საუკუნიდან მაინც სოფელი დიხაშხო იყო. „აქ ქონდათ მათ საცხოვრებელი სასახლე და ეკლესია“ (ო.ს.გვ.136) სოლომონ II მეფობის დროს ლორთქიფანიძეებმა „მიიღეს საჯავახოსა და საპაიჭაოს (დღეს ყუმური) საჩინოს (დღეს ქ. ვანი) მოურაობა, რაც ამ გვარის წარმომადგენელთა აქტიურობასა და ნდობაზეც მიუთითებს და აქვე შეიძლება ითქვას ვანელ ლორთქიფანიძეთა წარმომადგენელზეც ბეჟან ლორთქიფანიძეზე, რომელიც 1832 წელს რუსეთს საწინააღმდეგოდ მიმართულ ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულების ერთი არც თუ უმნიშვნელო მონაწილეა, როგორც საგამოძიებო მასალებიდან ჩანს, დავალებული ჰქონდა ქუთაისის მაზრის თავადაზნაურთა ჩართვა შეთქმულებაში, რის გამოც შეთქმულთაგან ყველაზე მკაცრად დასაჯეს. ვანელ ლორთქიფანიძეთა შტოს წარმომადგენლები არიან „თერგდალეული“ კირილე ლორთქიფანიძე,

1. აკადემიკოსი პავლე ინგოროყვა - სვანეთის საისტორიო ძეგლები.  
 2. ბოლო საკითხზე მასალები მიკვლეულია არც თუ დიდი ხნის წინ და დაცულია ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრში.  
 4. მატიანე

სიკო ლორთქიფანიძე პოლკოვნიკი, რომელიც მონაწილეობას იღებდა კოჯორთან გამართულ (XI არმიის სანაღმდეგო) ბრძოლაში, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ერთ-ერთი ლიდერი მენშევიკურ ხელისუფლებაში და ა.შ.

ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის შედეგია „ვანის“ მიწაზეკიდევ ერთი ე.წ. მცირე სათავდოს აღმოცენება, რომელიც პაიჭაძეთა გვარს უკავშირდება და შემდეგში დასახლებულმა პუნქტმაც გარკვეულ დრომდე ამის მიხედვით მიიღო სახელწოდება – საპაიჭაო, ამ სახელით იცნობს მას გიულდენშტედტიც. მდებარეობდა იგი მდინარე ყუმურის ზემო წელში, რომელიც დღევანდელი სოფელი ყუმურია და აერთიანებდა რამდენიმე სოფელს: ყუმურს (ძველად საპაიჭაო) მაისოურს, დუცხუნს, გაილოურს, მუქედ-კაკასუბანს, ნიქოურს, ვერხვანს, ნაწილობრივ თხილოგანს, ყველა ეს დასახლებული პუნქტი წარმოადგენდა საპაიჭაოს. „ეს ტერიტორია გეოგრაფიულად კარგად იხაზება. აღმოსავლეთით ძველ საპაიჭაოს ესაზღვრებოდა მთაწმინდის გორა, ჩრდილო-აღმოსავლეთით მუქედის გორა, ჩრდილოეთით ქენიათის ქედი, დასავლეთით საჯავახოს ქედის აღმოსავლეთი კალთები, სამხრეთით მდინარეების ყუმურისა და სუფსის წყალგამყოფი ქედი.“<sup>1</sup> ყველა ეს ტერიტორია თუ არ ჩავთვლით დღევანდელ ყუმურის საკუთრებაში არსებულ ტყის მასივსა და მთის საძოვრებს, შეადგენს 900 ჰექტარზე მეტს. ყოფილ საპაიჭაოს ერთ დასახლებაში, კონკრეტულად სოფელ მაისოურში მდინარე ყუმურიდან 1,5 კილომეტრამდე დაშორებით დგას ციხესიმაგრე, რომელსაც საპაიჭაოს (პაიჭაძის) ციხეს უწოდებენ. ეს ციხე იყო უკანასკნელი ციტადელი, რომელიც იმერეთის სამეფოს გაუქმების წინ დაანგრის რუსულმა სამხედრო ნაწილებმა და იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს ბოლო სიმაგრეც და საყრდენიც მოუსპეს. ციხე, როგორც ჩანს შედგებოდა დედა ციხისა და ორი კოშკისგან. დედაციხის ფართობი 600 მ2-მდეა. ციხის სამხრეთი კედელი, რომელიც შემორჩენილია დღესაც, ძირიდან 20-მეტრის სიმაღლისაა.

ვანის ტერიტორიაზე არსებული ციხე-კოშკები ყუმურის (საპაიჭაოს) გვირაბიან ციხესთან ერთად შუა საუკუნეების პერიოდისათვის მნიშვნელოვან სათვალთვალო პუნქტებსა და სტრატეგიულ ფორპოსტებს წარმოადგენენ, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ იმერეთისა და სრულიად საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო თავდაცვითი ცხოვრების ისტორიაში. ასეთი ძეგლებიდან გარდა ყუმურის ციხისა ჩვენამდე მოაღწია ისრითის X საუკუნის ციხეკოშკმა, ინაშაურის „თამარის ციხემ, შუა საუკუნეების ძულუხის „მელოურის ციხემ, „შუაგორას ციხეკოშკმა.“ შუაფეოდალური ხანიდან დღემდე მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები მონაშობენ, რომ, როგორც ჩანს, ვანის რაიონის მაშინდელი სივრცე ამ პერიოდშიც შედარებით მონესრიგებულ „ქვეყანას“ წარმოადგენდა. ამის დამატებითი მტკიცებულებაა ციხედარბაზი ინაშარსა და ბზვანის ტერიტორიაზე, გადადის XI საუკუნის ეკლესია და ა.შ.

„ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე სოფელი ყუმურის ადგილას ნაჩვენებია დაბა-სახელწოდებით „სოფელა“. რუკა 1745 წელს მოსკოვშია გამოცემული, მაგრამ მასალები ვახუშტის მოსკოვში გამგზავრებამდეა (1724 წ.) შედგენილი. შემდეგდროინდელ რუკებზე ყუმურის ადგილას გვხვდება სხვა ტოპონიმიც „საპაიჭაო“, „ხემური.“<sup>2</sup>

ამდენად, საპაიჭაო (ძველი მნიშვნელობით) მცირე ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. ფეოდალებმა – პაიჭაძეებმა აქ დაიმკვიდრეს ბატონობა. საპაიჭაოს ცალკე „ქვეყნობა“ XVIII ს-ის 80-იანი წლების ერთი დოკუმენტით დასტურდება.<sup>3</sup>

ვანის (საჩინოს) ტერიტორიაზე აშკარად დასტურდება, სხვა ფეოდალურ გვართა საკუთრების ფაქტები, ჩვენი აზრით, ისინი ცალკე ფეოდალურ სათავადოებს არ წამოადგენდნენ, მაგრამ გავლენითა და ტერიტორიათა ფლობით ანგარიშგასაწევ ძალებს (სუბიექტებს) ნამდ-

1. თამაზ ბერიძე – ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფია.  
 2. პროფესორი თეიმურაზ ადვიშვილი – „სოფელი ყუმური“.  
 3. პროფესორი თამაზ ბერიძე – ვანის ისტორიული გეოგრაფიიდან.

ვილად მიეკუთვნებოდნენ. ამჯერად, ვერ ხერხდება ამ გვარების „ვანის მინაზე“ დასახლების ზუსტი განსაზღვრა, რადგან ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალები აღნიშნულ საკითხთა ირგვლივ მოპოვებული ვერ იქნა, ხოლო ზეპირი გადმოცემები იმდენად ჭრელი და მრავალფეროვანია, თანაც სუბიექტური, რომ მათზე დაყრდნობა ობიექტურ რეალობას ვერ მოგვცემს.

ჩხეიძეთა გვარზე შეიძლება საუბარი – პროფესორი ოლღა სოსელია თავის წიგნში „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“ მყარ წარმოდგენას ქმნის მითითებული გვარის შესახებ, ამ გვარს შეეხო საქართველოს ისტორიის მეცნიერ-მკვლევართა კონკრეტული ნაწილიც და საგულისხმოა ფაქტი იმაზე, რომ ეს გვარი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე ვიდრე რუსეთის იმპერია განახორციელებდა კონტროლს საქართველოზე, ქართული სახელმწიფოს, კონკრეტულად, დასავლეთ საქართველოს ცხოვრების ისტორიაში სხვადასხვა პერიოდების მანძილზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ამ გვარის წარმომადგენელთა შემხებლობა ე.წ. ვანურ დასახლებებთან.

როგორც ჩანს, ჩხეიძეთა სათავადოს ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო XV საუკუნეში. ვახუშტი ბატონიშვილი საჩხეიძეოს საზღვრებს ასე განმარტავს: „– ფერსათიდან ჩამოსული მცირე მთა,“ დასავლეთით – საჩინო-სალომინაოს საზღვრის ხაზი, რიონიდან ფერსათამდე, სამხრეთით მთა ფერსათისა ანუ ლადოთი ანუ ლომსიათ ნოდებუღი, ჩრდილოეთით – მდ. ჩხერიმელა, ძირულა, ყვირილა და რიონი. მდ. ჩხერიმელა-ძირულა-ყვირილა ჰყოფდა საჩხეიძეოს არგვეთისაგან, რომლის ნაწილს ის წარმოადგენდა, ხოლო მდ. რიონი ვაკისაგან.“

ჩხეიძეები, ვანის მინაზე ზოგიერთ სოფლებში ფლობდნენ ტერიტორიათა ნაწილებს. სოფელთა ჩამონათვალში ქალბატონ ოლღა სოსელიას შეტანილი აქვს უხუთი და ზეინდარი, რაც დასტურდება კიდევაც, ოღონდ ჩხეიძეები უხუთსა და ზეინდრის ტერიტორიათა მხოლოდ გარკვეულ ნაწილებს ფლობდნენ, რადგანაც ზეინდრისა და უხუთის ძირითად სივრცეს ფლობდნენ ბარის ერისთავები, მაგრამ, როგორც ირკვევა ეს გვარი ფლობდა ასევე სოფელ ჭყვიშის გარკვეულ ტერიტორიას, ბზვანის ან ბზვანში მიწების ნაწილსაც და ეს დასტურდება ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გაცემული მიწის მიჩენილობის აქტებითაც: – „დროებით ვალდებულ გლესს მახარა თუთაშვილს მებატონისა კუთვნილის აზნაურის, კნიაზის (შემდეგ მითითებულია გვარი – ჩხეიძე) სოფელ ბზვანში (ბზვანი იკითხება მხოლოდ იმავე აქტის რუსულ ტექსტში)... „საფუძველსა ზედა დებულებისა 13-ის ოქტომბრის 1864 წლისა კანონთა გლესთათვის გამოსულთა ყმობით დამოკიდებულებისგან ქუთაისის გუბერნიაში დარჩა აღნიშნულს – თუთაშვილს სარგებლობაში“... შემდეგ მითითებულია გასაცემ მინათა რაოდენობაზე და ა.შ. ყველა ამათვის დროებით ვალდებულმა გლესმა თუთაშვილმა უნდა შეიტანოს გარდასახადნი.... და ა.შ.<sup>1</sup> როგორც აღინიშნა რამდენიმე აქტია ჩხეიძეთა გვარის მიერ გაცემული. ამდაგვარი აქტები მიმანიშნებელია არა მარტო იმისა, რომ ამ გვარის წარმომადგენლები საკუთრებაში ფლობდნენ ბზვანის ტერიტორიაზეც მინათა გარკვეულ რაოდენობას,<sup>2</sup> არამედ იმაზეც, რომ ასეთ მფლობელობაში არსებული მიწათა რაოდენობა მოცემულ ტერიტორიაზე აღემატებოდა სამოც დესეტინას (სამოც ჰექტარზე მეტს). რადგანაც თუ მიწისმფლობელ ფეოდალს მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები მიწის ნაკვეთი ექნებოდა, იგი არ იყო ვალდებული გლესებისათვის მიწის მიჩენილობის აქტით გადაეცა მიწა. 1864 წლის ოქტომბრის კანონი მათ ამ ვალდებულებისგან ანთავისუფლებდა.

ვანის (საჩინოს) ტერიტორიაზე დასტურდება აგიაშვილთა გვარის წარმომადგენლების მიერ მიწათა გარკვეული ნაწილის მფლობელობაც. აგიაშვილები (ომათმათიძე) საჩიჯავაძო

1. მიწის მიჩენილობის აქტი - ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალები საქმე №1230.

2. „საჩინოს“ – ვანის მინაზე მცხოვრებ ჩხეიძეთა ნაწილი იყვნენ გლესებიც.

მინაზე XVIII საუკუნის პერიმეტრზე სახლობდნენ. ეს ტერიტორია მათ მიღებული აქვთ იმერეთის მეფისადმი ერთგული მსახურების გამო „თუმცა 1778 წლის წინარეხანაში „ცოტა რამე საქმეზედ“ იმერეთის მეფე სოლომონ პირველი შეწყვიტა“ და მინა-წყალი, რომელიც აგიაშვილებს გადაეცათ (ანუ საჩინოს მცირე ნაწილი) ჩიჯავაძეთა ერთ-ერთი ოჯახის ამონყვეტის შემდეგ და რომელსაც მემკვიდრე არ დარჩენია (ო. სოსელია გვ.24), სოლომონ პირველის მიერ კვლავ ჩამოერთვათ, თუმცა მეფეს მალევე დაუბრუნებია მათთვის ეს ჩამორთმეული მიწები. ეს გვარი საკმაოდ გავლენიან ფეოდალთა, თავადთა ჯგუფს მიეკუთვნება, რასაც ამტკიცებს მათ მიერ იმერეთის მეფის კარზე დაკავებული მაღალი თანამდებობები, რომელიც მეფის ერთგულებისა და გაკეთებულ კეთილსაქმეთა გარეშე ვერ მიიღწეოდა. ამასთან აგიაშვილები, თითქმის სხვა ფეოდალებისაგან განსხვავებით, ბოლომდე ინარჩუნებენ იმერეთის მეფის ერთგულებას.

თავად ნიჟარაძეთა წარმომადგენლებიც ფლობდნენ საჩინოში მიწებს, რა ვითარებაში დაეუფლნენ ნიჟარაძეთა გვარის წარმომადგენლები სოფელ ჭყვიშში (ვანის რაიონი), მიწის ნაკვეთებს, დღემდე მასალების არარსებობის გამო ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ მათ მიერ გარკვეული მცირე ტერიტორიების ფლობა დასტურდება. ნიჟარაძეთა რამდენიმე ოჯახის არსებობა დასტურდება სოფელ სალომინაოს ტერიტორიაზეც.

არც თუ მცირე ზომის მიწის მფლობელებს წარმოადგენდნენ აზნაურ „ქვარიანთა ოჯახის“ წევრებიც ტობანიერის თემსაზოგადოებაში. როგორც ჩანს, ეს გვარი აქ ცხოვრობდა მანამდე, სანამ 1865 წელს იმერეთში ბატონყმობა გაუქმდებოდა და მინათმფლობელობაზე ახალი იმპერიული წესები შევიდოდა მოქმედებაში, მაგრამ ის, რომ ისინი ნამდვილად ფლობდნენ აქ მიწებს და მატერიალურ ღირებულებებს, ეს დასტურდება ხსენებული რეფორმის შემდეგ გაცემული „მიწის მიჩენილობის აქტებითაც“ (ჩვენ ზემოთ განვმარტეთ, რომ პირი (ფეოდალი), რომელიც ფლობდა 60-დესეტინზე ნაკლებ მიწას, არ იყო ვალდებული გლეხებისათვის მიწა გადაეცა). მოგვეყავს ეს მაგალითიც:

– „ადგილმამულის მიჩენილობის წიგნი აზნაურ ქვარიანსა და ადგილმამულზედ დაბინავებისათვის დროებითვალდებულ გლეხს იორდანე მინაშვილს შორის“ – აქაც საუბარია 1864 წელს 13 ოქტომბრის კანონზე

– „საფუძველს ზედა დამატებითი დებულებისადმი... კანონთა გლეხთათვის გამოსულთა ყმურის დამოკიდებულებისგან ქუთაისის გუბერნიაში დატოვებულია გლეხის მინაშვილის სარგებლობაში“... შემდეგ მოდის ჩამონათვალი, გადაცემული მიწების დასახელებისა და რაოდენობის შესახებ და მითითებულია გლეხის ვალდებულება ფულად გადასახადთან დაკავშირებით (ვიდრე გადაცემულ მიწას გამოისყიდდეს) ნატურპროდუქტების ქვარანზე მიწოდების შესახებ და ა.შ.

ამდენად, ზემოთ მოტანილი მაგალითების საფუძველზე აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის პროცესიდან დღევანდელი ვანის მინაზე (ე.წ. საჩინოში) როგორ ჩნდებიან ცალკეული ფეოდალური გვარების გაბატონებული ოჯახები, რომელთა ხელშიც თავს იყრის მატერიალურ საკუთრებათა თითქმის განუსაზღვრელი რაოდენობა და ეს ხდება ძირითადად იმერეთის მეფეთა დასტურით, მისადმი ერთგულების გამოჩენის პრინციპის კვალობაზე. აქ უცნაური არაფერია. ფეოდალური საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაცია ძალზედ მდიდარია მსგავსი ფაქტებით და იგი საერთოა ფეოდალური ქვეყნების ოსტორიის მაგალითებისათვის.

გამომდინარე აქედან, დღევანდელი ვანის რაიონის სივრცეზე (ვიხმართ ტერმინი „საჩინოს მინაზე“) მსხვილ და საშუალო დონის მინათმფლობელთა დომინირება გარკვეულ დრომდე ნაწილდებოდა იმ თავადურ და აზნაურულ გვართა შორის, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, რომელთა მიერაც კონტროლდებოდა მთლიანი მიწების ფონდის (საერთო ტერიტორიათა) ტყითა და ალპური საძოვრებით აბსოლუტურად დიდი ნაწილი, მინიმუმ 80%-ზე მეტი. ამაზე არსებულ მინათმფლობელთა მისამართით ჩვენ მიახლოებული ციფრებითაც ვისაუბრეთ, რომელიც შეიძლება ითქვას ხელშეუხებლად გამოიყურება, მანამ სანამ ცალკეული მფლობელი

სამშობლოს ან მეფის ღალატში არ იქნება დადანაშაულებული, ან რიგ გარემოებაში სხვა ქვე-გამხედურობაშიც არ იქნება შემჩნეული.

ცხოვრების დინებამ, განსაკუთრებულად, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, აქაური ფეო-დალები აიძულა მიწა, წარმოების ძირითადი საშუალება მოექცია ინტენსიურ ვაჭრობაში. ამის ძალიან ბევრი მაგალითია, მაგრამ ერთ-ერთი და წამყვანი გახდა ცოცხალ სანარმოო ძალებზე ფეოდალთაგან საკუთრებისა და კონტროლის, აქედან შემოსავლების დაკარგვა. რომელსაც დაემატა ბანკებიდან აღებული კრედიტების სანაცვლოდ ფეოდალთა განკარგულებაში არსე-ბული მიწების გირაოში ჩადება და რომელიც აღებული სესხის გადაუხდელობის გამო გადადის ბანკის, სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში.

საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საიჯარო გარიგებები უშუალოდ იყო მოქცეული მაზრის ხელისუფლების მხედველობის არეში, ამას ითხოვდა კანონიც. პროცესი კონტროლდებოდა ქუთაისის გუბერნიის მინათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსგან, სათანადო ჩინის მქონე პიროვნების მეშვეობით (ზედამხედველი ვინმე დო-დაევი) აღებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებელი რეალურად იყო ორივე მხარე მეიჯარეც და მოიჯარეც. ურთიერთვალდებულებითი ნორმები ექვემდებარებოდა აუცილებელ შესრულე-ბას (ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალები, საქმე №1260).

საგულისხმოა, რომ ვიდრე კერძო მსესხებლისაგან (თავადაზნაურთაგან) ვალების გადახ-და მოხდებოდა, ბანკებს, როგორც წესი დაუნყიათ გირაოში ჩადებული მიწების გაიჯარებაც, ხოლო თუ მსესხებლები ველარ ახერხებდნენ სესხის გადახდას მანამდე პროცენტის დაფარვა-საც, ბანკი უშურველად ახდენს ყადაღადადებული მიწების რეალიზაციას.

ანალოგიურად მოქმედებს ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. სოფელ ციხესულორიდან კონკრეტულ მფლობელთა, თავადაზნაურთა მიერ გირაოში ჩადებული მი-წების მიმართ. დაგირავებულია დიხაშხო-სალხინოს მიწების დიდი ნაწილი, რომელიც ჩი-ჯავაძეთა საკუთრება იყო და იგი „ბანკის მიწებად“ მოიხსენიება. ხაზინამ თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია ვრცელი ტერიტორია ბარის ერისთავთა სამფლობელოდან, ალპური საძოვრები ტყისა და ჭოკიანის აბანოც, მიმდებარე ტერიტორიებიც. პროცესები გრძელდება რეფორმიდან 50 წლის შემდეგაც, ვიდრე XX საუკუნის 10-იან წლებამდე, სანამ საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციამ ვითარება რადიკალურად არ შეატრიალა.

როგორც ითქვა მთავარი მწარმოებელი ძალის (გლეხობის) დაკარგვა ხდება მიზეზი მიწის ფონდის დაუმუშავებლობისა და ვანელ ფეოდალთათვის შემოსავლის წყაროს საგრძნობლად შემცირების, მითუმეტეს ამ დროისათვის შრომითი პროცესის ტექნიკურ პროგრესზე საუბარი ზედმეტია, ქვეყანა ძირითადად ჩარჩენილია არქაულ მდგომარეობაში. მიწებს ეუფლებიან ახ-ლადფეხადგმული ბურჟუაზიული ფენები, შეძლებული გლეხებიც, როგორც ითქვა მოგვი-ანებით ბანკები, სახელმწიფო ხაზინა და ადგილობრივი ფულად-საკრედიტო ამხანაგობებიც.

შეჯამების სახით საკითხის ირგვლივ რამდენიმე წინადადებით შეიძლება ითქვას:

ამ დროისათვისაც ვანის სივრცეში მსხვილ მიწათმფლობელებად იყვნენ და (დაახლოებით XX საუკუნის მიჯნამდე მაინც) კვლავ რჩებიან:

1. ჩიჯავაძეთა თავადური გვარი, თუმცა მათ ერთ თავადურ სახლად გაერთიანება ვერ მოახერხეს. ზემოთ ნათქვამზე დასტურს იძლევა მათ საკუთრებაში არსებული (დარჩენილ) მიწის ფონდების და მათზე განერილ გადასახადთა ნუსხა, რომელშიც მოცემულია მიწების აღ-წერითი მონაცემების ღირებულება და ნატურგადასახადთა რაოდენობა. ეს მონაცემი ეხება ვანის 11-ი სოფელს.<sup>1</sup>

2. ბარის ერისთავთა თავადური გვარი, რომლებიც ფლობდნენ ტერიტორიებს ვანის რვაზე მეტ სოფელში, პლუს ალპურ ზონას, რომელსაც ერისთავის მთების სახელით იცნობდა ად-გილობრივი მოსახლეობა, რომელზედაც ამ გვარის წარმომადგენელი ნესტორ ერისთავიც

1. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მასალები. ასლები დაცულია ვანის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრში.

საუბრობს, – რომ არ ვიცოდეთ რა მოცულობის ტერიტორიებს ვფლობდით, როდესაც ვყიდ-  
დით მიწებს, ამას ვაკეთებდით ყოველგვარი აზომვის გარეშე, „ამ გორიდან იმ გორამდეო ან  
ამ მთიდან იმ მთამდეო.“<sup>1</sup>

3. მიწების ჯეროვან რაოდენობას ფლობდნენ – ლორთქიფანიძეები, ჩხეიძეები, აზნაური  
ქვარიანი და ა.შ. რომლებზედაც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მაგრამ „ამ სივრცეზე იკვეთება  
მიწის ფლობის თავისებურებანიც არამარტო თავადაზნაურების, არამედ გლეხთა მფლობელო-  
ბაში არსებული მიწები შექრილი და არეულია ერთმანეთში და ეს როგორც ჩანს მკვეთრად  
დამახასიათებელია იმ დროში ქუთაისის მაზრისათვის, რაც განპირობებულია არაერთი ფაქ-  
ტორით და კარგად ჩანს ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალების ანალიზ-  
ითაც, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოსათვის მიწების ყიდვა-გაყიდვის აქტებითაც ირკვევა  
და რომლის შესახებაც თავისი გაკვირვება საკითხთა განხილვისას არ დაუმაღავს ქუთაისის  
მაშინდელ გუბერნატორს (სვიატოპოლოკ მირსკისაც), როდესაც განიხილებოდა 1864 წლის  
რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები<sup>2</sup>.

ამ მხრივ შეიძლება მოტანილ იქნეს მაგალითი იმაზე, რომ „ვანის“ სივრცეში ზემოთ მითითე-  
ბულ გვართა გარდა მიწებს ფლობენ აბაშიძეთა, ჭილაძეთა, და ა.შ. ოჯახები, მიწებს ფლობენ –  
საჯავახოელი, ჯიხაიშელი, კულაშელი, ოზურგეთის მაზრის, ქუთაისის და ა.შ. ზოგიერთი კერ-  
ძო პირები, რომლებიც კონკრეტული ფაქტორებით აიხსნება და ამ შემთხვევაში ამ ფაქტორე-  
ბზე დანვრილებით არ ვსაუბრობთ, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ მიერ მიწების დაუფლება  
განხორციელებულია 1865 წლამდე ქუთაისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმებამდე.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლილობის და-  
საწყისის ვანის მიწაზე მოჰყვა ცალკეული ფეოდალური გვარების სათავადოთა და სამკვიდრე-  
ბელთა ჩამოყალიბება და როგორც არსებული წყაროებითაც ჩანს ეს განხორციელდა დროის  
გარკვეულ ინტერვალში თანამიმდევრულად. ეს ასე შეიძლება დალაგდეს: 1. ჩიჯავაძეთა სათა-  
ვადო. 2. ლორთქიფანიძეთა სამფლობელო. 3. ბარის ერისთავთა სათავადო. მომდევნო ინტერ-  
ვალში აგიაშვილთა, ნიჟარაძეთა სამფლობელოები, მიქელაძეთა სამფლობელო, რომელიც  
წარმოიშვა მიწისა და ქონების ნაჩუქრობის პრინციპით, რაც უმემკვიდროდ დარჩენილმა თა-  
ვადმა ნიკო ჩიჯავაძემ განახორციელა თავისი დისშვილების, მათ შორის მიქელაძის მისამარ-  
თით და როგორც წყაროდან ჩანს ცხოვრობდა იგი დღევანდელი საგრენაჟო ქარხნის (სა-  
ბეკას) ტერიტორიაზე<sup>3</sup>. ფაქტია, რომ რადგან ჩიჯავაძეთა თავადური სახლი „საჩინოს“ მიწაზე  
ფლობდა ტერიტორიათა ძალიან დიდ მასივებს, ხსენებული მიქელაძის საკუთრებაშიც მოექცა  
გარკვეული რაოდენობის ტერიტორია, რომელიც სისტემის რეფორმისა და დროთა დინების  
გავლენით გაყიდვაშია მოქცეული<sup>4</sup>.

4. ჩხეიძეთა სამფლობელო აზნაურების ქვარიანისა და არდიშვილის სამფლობელო. ჩვენ  
აქ არ ვსაუბრობთ იმ ტერიტორიალურ სივრცეზე, რომლებიც ჩიჯავაძეთა, ბარის ერისთავთა  
აზნაურების სამფლობელოების სახით გვევლინებიან.

„საჩინოსა“ და ბარის ერისთავთა სათავადოს მიწებს დროთა განმავლობაში ფლობდნენ  
მითითებული გვარებიდან გათხოვილი მანდილოსნებიც, რომელიც მათ, როგორც ჩანს მზ-  
ითევში აქვთ მიღებული<sup>5</sup>. ეს დასტურდება დაცული მასალებით, როდესაც მიწები გაყიდვაში  
მოუქცევიათ, მაგრამ ამჟამად ეს საკითხი განხილვაში არ შემოგვაქვს.

უნდა ვაღიაროთ, რომ დომინანტს დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიალურ სივრცეზე  
წამოადგენდნენ:

1. ჩიჯავაძეთა სახლის წევრები – იმერეთის მეფის ალექსანდრე V მიერ გატარებულ ად-  
მინისტრაციულ ღონისძიებამდე, ვიდრე ეს გვარი საფუძვლიანად არ ჩამოაქვეითეს, თუმცა

1. ნესტორ ერისთავი მოგონებები – ასლი დაცულია ვანის ისტორიის კვლევის ცენტრში.

2. ომარ კაპანაძე – ვანი – „ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან“.

3. შიო გიორგაძე – „ვანი და ვანელები.“

4. ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შესაბამისი მასალები.

5. ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალები.

ნაწილობრივ რეაბილიტაციის შემდეგ, როგორც ზემოთ ითქვა, ეს გვარი კვლავ დაეუფლა მნიშვნელოვან პოზიციებს.

2. ბარის ერისთავთა თავადური გვარის წევრები – რომელთა სათავადოს შექმნითაც არც რაჭის ერისთავთა შფოთიანი ცხოვრება მოშლილა იმერეთის სამეფოში და არც ახლადამოცენებულ სათავადოს გამოუჩენია თავი იმერეთის მეფის სასარგებლოდ.

3. ვანის ლორთქიფანიძეები, რომელთა სახლის სამფლობელოებზე ჩვენ თხრობისას ვილაპარაკეთ უნდა ითქვას, რომ ეს გვარი უფრო ადრე იჭერს „ვანის სივრცის“ გარკვეულ ნაწილს ვიდრე სხვა თავადურ ან აზნაურთა წარმომადგენლები და მათი მფლობელობა ან თანხვედრილია ჩიჯავაძეთა თავადური სახლის ჩამოყალიბებასთან „ვანის მიწაზე“, ან დიდი ინტერვალით არ განსხვავდება ამისგან.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ დღევანდელი ვანის ტერიტორიაზე დაახლოებით XI საუკუნიდან ვიდრე ერთიანი საქართველოს დაშლის დასაწყისამდე, ვრცელდებოდა ქვაბულიძეთა (დიდაზნაურთა) გვარისა და ერისთავთ-ერისთავის (ლოლობერიძის) „ზვიადის“ გავლენა, თუმცა ნაკლებად ვიცით რა მოხდა მათ შემდეგ დროის ხანგრძლივ პერიოდში. მაგრამ ვიცით ის, რომ ერთიანი საქართველოს ფარგლებში ამ სივრცეს მინიჭებული აქვს წამყვანი ადგილი.

4. ამდენად, ტერმინ „საჩინოში“ გავაერთიანოთ მთლიანად დღევანდელი ვანის ტერიტორია არ იქნება მართებული. ერთი რამ შეიძლება დავუშვათ – იმ დროს, როდესაც ჩიჯავაძეთა თავადურ გვარს იმერეთის მეფისგან მადლიერების ნიშნად გადაეცა ხსენებული სივრცე, საწყის ეტაპზე, არ გამოირიცხება, ეს გვარი შეიძლება მართლაც ფლობდა აქაურ მთლიან ტერიტორიას, მაგრამ ეს კონფიგურაცია საფუძვლიანად ირღვევა შემდეგ პერიოდში და ამაზე მკაფიოდაა საუბარი ვახუშტი ბატონიშვილის, იოჰან ანტონ გიულდენშტენდტის, კრავეჩის შრომებში, ასევე ქართულ ისტორიოგრაფიაში სადაც დეტალურად მინიშნებულია ვანის სივრცეში შემავალი სოფლების დასახლებული პუნქტების კუთვნილების საკითხები, რომლებიც ჩვენ ძირითადად გარკვეულ პერიოდამდე უდაოდ გვეჩვენება.

5. XX საუკუნის ათიან წლებში მსოფლიოში განვითარებული მოვლენებისა და რუსეთის იმპერიაში (რომლის შემადგენლობაში საქართველოც შედიოდა) განხორციელებული რევოლუციების შედეგად, ასევე, საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების არსებობისას თავადურ მიწისმფლობელობის საკითხებს საფუძვლიანად შეურყიეს ფუნდამენტი. მიწის ნაციონალიზაციას დაექვემდებარა 1,5 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა, რომელიც განხორციელა მასშინდელმა მენშევიკურმა ხელისუფლებამ, ხოლო 1921 წლიდან ბოლშევიკური ხელისუფლების მმართველობისას საკითხს საბოლოოდ დაესვა წერტილი, რადგანაც საზოგადოებრივ-ეკონომიკურ-პოლიტიკური წყობილების მთლიანი ცვლის შედეგად განხორციელდა მიწების ფონდის თითქმის სრული ნაციონალიზაცია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ქართლის ცხოვრება ტ. IV
2. ვახუშტი ბატონიშვილი – აღწერა სამეფოსა საქართველოსა (1941 წლის გამოცემა).
3. ნიკო დადიანი – ქართველთ ცხოვრება
4. ფარსადან გორგიჯანიძე – ისტორია
5. ოლღა სოსელია – ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან ტ. I-II
6. მიხეილ რეხვიაშვილი – იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ.
7. მიხეილ გიანიკიშვილი – იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე.
8. ჟაკ ფრანსუა გამბა – მოგზაურობა ამიერკავკასიაში
9. ო. კაპანაძე – ვანი – ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან.
10. ქუთაისის ცენტრალური არქივის შესაბამისი მასალები
11. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შესაბამისი მასალები
12. ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული შესაბამისი მასალები
13. ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში დაცული ზოგიერთი მასალა.

## ლორთქიფანიძეთა სათავადო

ლორთქიფანიძეთა გვარი პირველად იხსენიება „ერთობილთა“ „ჯალდეშელთა“ და გიორგი და დემეტრე ლორთქიფანიძეების XIV-XV საუკუნეების „დანერილში“. ამ დროს ლორთქიფანიძეები ხალდეშის ხევში (სვანეთი) ბინადრობენ.

მომდინარეობენ თუ არა იმერეთის ლორთქიფანიძეები ხალდეშელ ლორთქიფანიძეებისაგან არ ვიცით, მაგრამ XV საუკუნეში ლორთქიფანიძეები იმერეთშიც უნდა იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, თუაღია ლორთქიფანიძე ბაგრატი იმერეთის მეფის მონმეთა შორის გვხვდება ყიფიანების აღნიშნულ საუკუნის სასისხლო სიგელში და იმერეთში უნდა იჯდეს.

თუაღიას შემდეგ ლორთქიფანიძეები დიდხანს არ ჩანან ისტორიის სარბიელზე. 1573 წელს, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ვხედავთ თუაღიას სახლიკაც ქექაოზ ლორთქიფანიძეს. ქექაოზი სათავადო ადგილ-მამულის შემოკრებისათვის იღწვის. იგი „აჯით“ მიმართავს გიორგი მეორის საგვარეულო საძვალეს განწესების შესახებ. მეფე აკმაყოფილებს „დიდად ერთგულ“ თავადის თხოვნას. აღნიშნულ წელსვე აძლევს მას „გელათის დასავლეთის კარსა სასაფლაოს“ და „მხეციძისა“ და გენათელი საყვარელიძისეულ ადგილ-მამულსა და გლეხებს.

გელათს სამეფო მონასტერში ქექაოზისათვის საძვალეს განწესება მის რაღაც დიდ დამსახურებაზე მეტყველებს, მაგრამ მეფის მიერ ფეოდალის ასეთი შეწყალება ერთგულება-დამსახურების გარდა, ჩვეულებრივ დიდ „ქრთამსაც“ მოითხოვდა. ჩანს, ქექაოზს საამისო მატერიალური სახსარიც ჰქონდა: მეფეს მან შესაფერი „ქრთამიც“ მიართვა.

ახლად ნაბოძებ სასაფლაოში ქექაოზმა ულუხანი დაასაფლავა. მეფემ მას წირვა-ლოცვა და მდიდრული ალაპი „გაუჩინა“, შემდეგ ქექაოზიც იქ დაასაფლავეს.

ქექაოზი უნდა იყოს ლორთქიფანიძეთა თავკაცი. მის დროს, XVI საუკუნეშია სავარაუდებელი სათავადოს ჩამოყალიბება.

გვიანდელი ცნობებით ლორთქიფანიძეთა სათავადოში 20 სოფელი შედიოდა მთლიანად თუ ნაწილობრივ: 1. ჩუნეში, 2. ცხუკური (ცხუნკური), 3. ყუმისთავი, 4. მელიური, 5. დედახვთისა, 6. ნამოხვანი (ნამახვანი), 7. ოსუნელა (ოსურნელა), 8. გვიშტიბი, 9. ციხისუბანი (ნაწილობრივ), 10. დვალშიველები (ახლა სულორი, ნაწილობრივ), 11. დიხაშხო (ნაწილობრივ)<sup>1</sup>, 12. ციხისგვერდი, 13. ციხე, 14. ახალბედისეული (ახალბეცოული), 15. ძეძილეთი, 16. გელავერი (გელავერდი), 17. ურაგვეთი, 18. მუსალორი, 19. ჩიკააური, 20. აბჟანაგერი, 21. ქვიშილეთი, 22. საქესვირია (საქსურია).

ამ სოფლების შემცველ ტერიტორიას „სალორთქიფანიძეო“ ეწოდება. აღმოსავლეთით მას მდინარე რიონი საზღვრავდა, დასავლეთით და ჩრდილოეთით – მდინარე ცხენისწყალი, სამხრეთით – წყალტუბო-გვიშტიბ-გუბისწყალი.

ზემოჩამოთვლილი სოფლების გარდა, ლორთქიფანიძეები ყმა-მამულს ფლობდნენ **ჭყვიშს, გადიდს, ონჯოხეთს, ჯიხაიშს, ისრითსა და ვანში**<sup>2</sup>.

ლორთქიფანიძეთა რეზიდენცია სოფელ ჩუნეშში იყო. აქ ჰქონდათ სასახლე, კარის ეკლესია და ციხესიმაგრე. ციხესიმაგრე ჰქონდათ მათ, როგორც აღვნიშნეთ, გვიშტიბში და აგრეთვე ქვიშილეთშიც.

1. ციხისუბანი, დვალშიველები, მელიური (დღეს ნასოფლარი) დიხაშხო (ვანის სოფლებია), ამას გარდა ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში დაცულია მასალა, ბარის ერისთავ წარმომადგენლის ნესტორ ერისთავის მოგონებების სახით, რომელშიდაც საუბარია, რომ გიორგი ლორთქიფანიძე (წარმოშობით დიხაშხოდან) გარკვეულ ტერიტორიებს ფლობდა ამაღლებასა და უხუთში, რომელიც მან სიმამრისაგან ბარის ერისთავთა წარმომადგენლისგან მზითევად მიიღო (რედ).

2. ჭყვიში, გადიდი, ონჯოხეთი, ისრითი, ვანი (მაშინდელი სოფელი ვანი, დღეს ქალაქი ვანი) – ვანის რაიონის შემადგენელი სოფლებია (რედ).



თავდაპირველად ლორთქიფანიძეთა სამკვიდრებელი ცხუკურს უნდა ყოფილიყო. აქედან უნდა იყოს ეს საგვარეულო გადასული ჩუნეშში. გვიან დრომდე ლორთქიფანიძეები სალოცავად სწორედ ცხუკურს მიდოდნენ და ჩუნეშიდან იქ მოჰქონდათ შესანიშნავი.

ლორთქიფანიძეთა სახლის ერთი შტოს ადგილსამყოფი, თუ უფრო ადრე არა XVII-XVIII საუკუნეებიდან მაინც დიხაშხო იყო. აქაც ჰქონდათ ლორთქიფანიძეებს სასახლე და ეკლესია (სამების). დიხაშხოს ეკლესიის შიგნით კედელზე – აღნიშნავს ამ ეკლესიის აღწერილობაში ექვთიმე თაყაიშვილი, დახატულნი არიან ლორთქიფანიძეთა გვარეულობის პირნი. ერთ მათგანს ხელში უჭირავს გეგმა ეკლესიისა, რაც გვანიშნებს, რომ იგია ეკლესიის აღმშენებელი.

დიხაშხოელ ლორთქიფანიძეთა წარმომადგენელნი იყვნენ როსტომ, ტატუ, ბეჟან და ბესო ლორთქიფანიძეები, რომელნიც აღნიშნული ეკლესიისადმი მათ მიერ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში შეწირულ კანკელის წარწერაში იხსენიებიან.

ლორთქიფანიძეების ყმა-გლეხები იყვნენ: შერაძენიძეები, ორმოცაძეები, ბიბილაშვილები, დვალიშვილები, საღარეიშვილები, ხონელიძეები, ნარჩომაშვილები, ქუთათელაძეები, ლაგაძეები, კიკუტაძეები, ვაშაყმაძეები, მალლაკელიძეები, მსხილაძეები, გაბუნიები, ჩახუნაშვილები, კიკალიშვილები, (ყველა ესენი კიკალიშვილებამდე ვანში დასახლებული გვარებია) ქათამაძეები, კახაძეები, ახალაძეები, ვაშაკიძეები, ხაჭაპურიძეები, გუბელაძეები, გვანცელაძეები, ომიადეები, მეგენიშვილები და სხვა.<sup>1</sup>

ლორთქიფანიძეების აზნაურები იყვნენ: ნიქაბერიძეები, ყიფიანები, მხეიძეები, მესხი და სხვა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების ცნობით, ლორთქიფანიძეების ყმათა საერთო რიცხვი 400 კომლს უდრიდა, მაგრამ უფრო ადრე მათი ყმათა რაოდენობა ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო.

ლორთქიფანიძეთა სათავადო საგადასახადო შეუვალობით სარგებლობდა. შეუვალობა ამ სათავადოს ფაქტიურად ქექაოზის ან ბეჟან I ლორთქიფანიძის დროს (XVI-XVII სს) მოეპოვებინა. ის გარემოება, რომ ლორთქიფანიძეების ყმათა დიდ ნაწილს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ამოუკვეთეს საურის გადასახადი, ეს ლორთქიფანიძეთა მიერ ფაქტიურად ადრე მოპოვებულ საგადასახადო შეუვალობის მხოლოდ ფორმალურ აღიარებაზე ლაპარაკობს. საუდიეროსაგანაც მათი ყმები ადრევე (XVI-XVII სს) უნდა განთავისუფლებულიყვნენ. ყოველ შემთხვევაში 1810 წლის ცნობით ამ საგვარეულოს 400 კომლი ყმათაგან საურს იხდიდა მხოლოდ 20 კომლი. საუდიეროს კი სალორთქიფანიძეო, სამიქელაძეო, სალოლობერიძეო, საჩხეიძეო და სანიჟარაძეო ყმათა საერთო რიცხვიდან მხოლოდ – 100 კომლი. აქედან ლორთქიფანიძეების ყმებად თუ 1/5-ს ვივარაუდებთ, საუდიეროს გადამხდელიც სალორთქიფანიძეოში მხოლოდ 20 კომლი ყოფილა.

სათავადოს მართვაში ლორთქიფანიძეები თავიანთ მოხელეებს იყენებდნენ. ლორთქიფანიძეთა მოხელეებიდან წყაროებში ვხვდებით მხოლოდ სახლთუხუცეს იოსებს. სასულიერო მსახურთაგან მოძღვარ-მღვდელ ლაზარე გოგორიშვილს, მაგრამ სახლთუხუცესს გარდა, სალორთქიფანიძეოში სხვა მოხელეებიც უნდა ყოფილიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, მოურავის, მდივნისა და ხელოსნის თანამდებობათა არსებობა აქ უეჭველად სავარაუდებელია. ასევე სავარაუდებელია აქ ეკლესიის სხვა მსახურთა არსებობაც.

ქექაოზის შემდეგ ლორთქიფანიძეთა ხსენება წყაროებში ერთ ხანს წყდება. მხოლოდ 78 წლის შემდეგ ალექსანდრე III 1651 წლის ფიცის წიგნში იხსენიება ქექაოზის თანამოგვარე, ან იქნებ შვილიშვილი, ოტია ლორთქიფანიძე. ამიერიდან ლორთქიფანიძეები ხშირად ჩანან იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ვხედავთ ქექაოზის მეორე შვილიშვილს, გედეონს. იგი სასულიერო სფეროში მოღვაწეობს და ამ დროს ფრიად დაწინაურებული პირია. 1660 წელს გედე-

1 ვანში მცხოვრები ყველა ლორთქიფანიძე, როგორც ჩანს, არ განეკუთვნებოდა თავადურ კასტას. არიან აზნაურებიც და გლეხებიც, ამის მხოლოდ ერთ მაგალითს შევხებით: „ათას რვაას სამოცდა თოთხმეტსა წელსა ნოემბრის ოცდაექვს დღესა მე ქვემოთ ხელის მომწერელმა სოფელს ვანს მცხოვრებელმან გლეხმან დათა ლორთქიფანიძემ გთხოვთ თქვენ შტაბს კაპიტანს თავადს ნიკოლოზ ვახუშტის ძეს ჩიჯავაძეს თქვენდამი კუთვნილს ამავე სოფელსა შინა მდგომარეს ერთი დუქნის ადგილი მაქირავოთ, რომელშიც გაძლიო თქვენ ჩიჯავაძეს ყოველს წლობით ოცდაათი შაური“ ხუთი წლის ვადით. ანალოგიური მაგალითები არაერთია. (რედ).

ონი (იგივე გედევანი) უკვე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ზის. ნიკორწმინდლობასთან ერთად ამავე წლიდან მას გენათლობაც აქვს. 1664 წელს იგი გენათელ-ნიკორწმინდელ ეპისკოპოსის ხარისხით გვხვდება.

ამ მღვდელთმთავრის მიერ არის აგებული მდინარე ჭიშურაზე, ქუთაის-ჩხარის ძველ მაგისტრალურ გზაზე, ორთალიანი ქვის ხიდი, რომლის ბურჯებში დატანებულ წარწერაში ვკითხულობთ: „...ალვაგე ხიდი ესე მე, გენათელმა ლორთქიფანიძემ გედეონ სულისა ჩემისა საოხად ქორონიკონსა ტნვ“ (1668 წ.).

ასეთი საქმიანობის გამოა, უთუოდ, რომ ის ერთი გულანის ანდერძ-მინაწერში „დიდ გედევან გენათელად“ არის წოდებული.

ეს მაღალხარისხოვანი სასულიერო ფეოდალი პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობს. გედეონისა და სხვათა მხარდაჭერით იბრუნებს მტრებისაგან დევნილი ბაგრატ IV 1663 წელს იმერეთის სამეფო ტახტს.

1669 წელს ბაგრატ მეფემ გედეონ გენათელი დიპლომატიური დავალებით მოსკოვს გაგზავნა. ამ დროს რუსთ ხელმწიფის კარზე მყოფი კახთ ბატონიშვილის ერეკლეს „ინტრიგების გამო“ იმერთა მეფის ელჩი დააპატიმრეს. მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოხერხდა ტყვეობიდან მისი გამოხსნა. 1675 წელს გედეონი გაათავისუფლეს პატიმრობიდან და ამავე წლის სექტემბერს მოემგზავრება საქართველოში.

გედეონის რუსეთში ყოფნისას შეიძლება გელათის საეპისკოპოსოს საქმეებს დროებით ნიკოლოზ ლორთქიფანიძე მართავდა, მაგრამ გენათელის ხარისხი კი მან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უფრო გვიან მიიღო.

გედეონ გენათელი გარდაიცვალა 1682 წელს. დასაფლავებულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთის მინაშენში „დასავლეთის კარსა“, იქ, სადაც მისმა პაპამ ქექაოზმა საძვალე „იშოვნა“.

**XVI-XVII საუკუნეების შემდეგ ჰქონდათ თუ არა ლორთქიფანიძეებს საგვარეულო სასაფლაო გელათის ეკლესიაში წყაროებიდან არ ჩანს. ვიცით მხოლოდ, რომ გვიან ამ გვარის წევრებიდან ზოგი იმარხებოდა ჩუენუმის ფერისცვალების ტაძარში, ზოგი – აბჟანაგერში და ზოგი კიდეც – დიხაშხოს სამების საყდარში.**

გედეონის გარდაცვალების შემდეგ მისი ძმისწული ნიკოლოზ ლორთქიფანიძე 1683 წელს ალექსანდრე მეოთხემ გენათლად დასვა.

გედეონის თანამედროვეა ვახტანგ ლორთქიფანიძე, რომელიც მონმედ გვხვდება 1661-1663 წლებში ერთ ბატონყმობის წიგნში. სახლიკაცობის გარდა რა ნათესაობა იყო მათ შორის არ ვიცით.

გედეონზე უფრო მეტ ხანს ჩანს ისტორიის ასპარეზზე მისი ძმა (ქექეოზის შვილიშვილი) ბეჟანი. იგი პირველად გვხვდება 1667 წელს, მაგრამ მისი მოღვაწეობა ბევრად უფრო ადრიდან არის საგულისხმებელი.

ბეჟანი იმ ძლიერ თავადთა რიგებშია, რომელნიც XVII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფოს საქმეებს თავიანთი ნებისამებრ წარმართავენ.

აღნიშნულ პერიოდში ბეჟანი უკვე ფრიად წარჩინებული თავადია. მას მოლარეთუხუცესისა და „ქუთაისის ქალაქის მოურავის“ სახელოები აქვს. სათავადო სახლის უფროსადაც იგი ზის. ბაგრატ IV მიერ 1669 წელს რუსთ ხელმწიფის ალექსისათვის გაგზავნილ წიგნში ბეჟანი „დიდი ბაიარად“ (დიდებულ თავადად) არის წარმოდგენილი. ლორთქიფანიძეთა გვარი ამ დროს თავისი პატივით აგიაშვილების, ნულუკიძეების, წერეთლების, აბაშიძეებისა და იაშვილების საგვარეულობაზე წინ დგას.

მოლარეთუხუცესისა და ქუთაისის მოურავის სახელოები ბეჟანს ბაგრატ IV-საგან უნდა ჰქონდეს მიღებული. ბეჟანიც დიდად ერთგულობს მას. სეხნია ჩხეიძის გამცემლობით 1666 წელს ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქუთაისის ციხე ბეჟანმა გაათავისუფლა უცხოელი ოკუპანტებისაგან: „იცა ჟამი მოურავმან ბეჟან ლორთქიფანიძემან, შეეცყუა ქუთაისს ციხესა, მოსრნა ოსმალნი“ 1667 წელს და ეს ციხე ბაგრატ IV გადასცა.

ბეჟანის ასეთ თავგანწირულ მოქმედებას მისი პირადი თავადური ინტერესები მოითხოვდ-

ნენ (იგი, როგორც ვნახეთ, ქუთაისის მოურავი იყო, რაც მას დიდ შემოსავალს აძლევდა), მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ინტერესები უცხო მოძალადეთაგან ქვეყნის დაცვის საერთო, „ყოველთა იმერთა“ ინტერესებს ემთხვევა და ეს ძლიერი თავადი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირად გვევლინება..

XVII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფო კარზე ჩხეიძეებთან ერთად ლორთქიფანიძეებიც პირველობენ. უკანასკნელნი, ჩანს, მეფემ წამოსწია ამ დროისათვის უკვე განდიდებულ ჩხეიძეთა დასაპირისპირებლად. მართლაც, ჩხეიძეთა ძლიერების დამხობაში ლორთქიფანიძეებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

ბაგრატ IV გარდაცვალების შემდეგ (1681 წ.) ბეჟან ლორთქიფანიძე თავისი სახლიკაცებით იმერეთის კანონიერი მეფის ალექსანდრე IV წინააღმდეგ იბრძვის გიორგი ლიპარტიანთან და რაჭის ერისთავთან ერთად. რაჭის ერისთავის ჯგუფში ბეჟანი იმიტომაც უნდა ყოფილიყო, რომ მისი ასული გულქანი პაპუნა II ერისთავზე იყო გათხოვილი. ასეთი ძლიერი „მოკიდებული“ ზურგამაგრებული ბეჟან ლორთქიფანიძე იმერეთის სამეფოში დიდ ძალას წარმოადგენდა.

ალექსანდრე IV ამ ნათესაური კავშირის დარღვევით სცადა მოწინააღმდეგეთა გათიშვა. „განატყვევებინა ერისთავს ცოლი, ასული ბეჟან ლორთქიფანიძისა“ და თავისი და დარეჯანი შერთო, მაგრამ ამან ვერ იხსნა მეფე. ბეჟან ლორთქიფანიძე და რაჭის ერისთავი ამის შემდეგაც ერთად იბრძვიან ალექსანდრე IV წინააღმდეგ და არაერთხელ აძევებენ მას იმერეთიდან. უკანასკნელად ვხედავთ ბეჟანს 1690 წელს გოდოგანთან ბრძოლაში. ამის შემდეგ იგი, ალბათ, მალე გარდაიცვალა.

ლორთქიფანიძეების გავლენა იმერეთის სამეფოში ერთ ხანს დიდად გაძლიერდა, როცა პაპუნას სიკვდილის შემდეგ (1696 წ.) რაჭის ერისთავად ბეჟან ლორთქიფანიძის შვილიშვილი შოშიტა III დაჯდა და პაპუნას ქვრივი ბეჟანის ასული გულქანი გიორგი აბაშიძეს მითხოვდა. სწორედ, ამ ნათესაობამ უზრუნველყო ბეჟანის ძის გრიგოლის კათალიკოსად კურთხევა: „შენეწითა აბაშიძეთა“ მიიღო მან ეს უმაღლესი სასულიერო ხარისხი 1696 წელს და ჰქონდა 1742 წლამდე.

მაგრამ გიორგი აბაშიძის „შენეწით გაკათალიკოსებული გრიგოლ ლორთქიფანიძე მალე ამ განდიდებული თავადის მოწინააღმდეგეთა ჯგუფში გადავიდა და იმერეთის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის გიორგი VI გამეფებას შეუწყო ხელი. თავადთა მძლავრობის პირობებში კათალიკოსის მიერ ცენტრალური ხელისუფლებისათვის მხარის დაჭერა სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო.

გრიგოლ კათალიკოსს აფხაზეთის კათალიკოსებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს. თავისი დროისათვის იგი მოწინავე პიროვნებაა. ამ ენერგიულმა საეკლესიო მოღვაწემ კათალიკოსობა მაშინ დაიწყო, როცა ლიხთ-იმერეთში გავრცელებული იყო „ტყვის ყიდვა... მაჰმადიანთა ზედა“ და „ოხრება ქვეყანათა“. ასეთ ვითარებაში ყველაზე მეტად ეკლესია დაზარალდა. გრიგოლ კათალიკოსის ღონისძიებები ამ მდგომარეობის გამოსწორებისა და საეკლესიო წესრიგის აღდგენისაკენ იყო მიმართული.

„მრავალი გარჯით“ გამოიხსნა მან „რომელიმე საყდრისა მამული სხვათაგან დაჭერილი“, „რომელიმე“ ყმანი „ოცისა და ათის წლითგან დაკარგული“ და ისევ ეკლესიას შესწირა. ეკლესიასვე შესწირა საკუთრივ მის მიერ „ნაშოები“ ზოგი გლეხი, „სასახლე“ და სოფელიც.

გრიგოლ კათალიკოსმა სასტიკი პროტესტი გამოუცხადა თავადთა აშლილობას, ოსმალთა მომხრეობას, ტყვეთა ყიდვას. „ფიცის წიგნი“ ჩამოართვა მან იმერეთ-ოდის თავადებს, რომ „იმერეთის წასახდენად და ასაოხრებლად... თათარს პირს“ არ მისცემდნენ, არ „უწინამძღვრებდნენ“.

კათალიკოსმა საეკლესიო ყმათა ბეგარა-გამოსაღების ერთგვარი რეფორმაც გაატარა: „მოკითხული“ ქნა „იმერეთს, ოდიშს, გურიას, ბიჭვინთას“ და აღმოჩნდა, რომ მონასტრები სანთლის ნაკლებობას განიცდიდნენ. ამიტომ საკათალიკოსო ყმათა დიდ ნაწილს, რომელსაც „ბეგრის თეთრი ემართა“, თეთრის ნაცვლად მან „სანთლის ბეგარა“ გაანერა: „ცხენისწყალს გამოღმა, იმერეთის ქვეყანას – თითო შამახური და გაღმა, ოდიშის ქვეყანას – ხუთ-ხუთი

ლოლარიკონი“, ეკლესიის ცალკეულ ყმათა საგადასახადო ვალდებულებაც გარკვეული „შელავათით“ მონესრიგა.

გრიგოლ ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1742 წელს.

გრიგოლ კათალიკოსის დროინდელი მოღვაწე ჩანს მისი სახლიკაცი, თუ ძმა, ოტია, რომელსაც ალექსანდრე V დიდად წყალობს. 1733 წლის ახლო ხანს მეფე აძლევს მას ორ კომლ აზნაურს (ხოსია ყიფიანსა და ბუჭუა მესხს) „მათის კეთილის ყოფით“, გლეხებითა და მამულით. როგორც წყალობის ნიგნიდან ჩანს, ეს აზნაურები „ძუელათაც ოტიას მამა-პაპას ეკუთვნოდნენ. რალაც მიზეზის გამო ოტიას ისინი „სააჯო“ და „საქრთამო“ გაუხდა, მაგრამ მაინც დაეუფლა მათ.

ოტია უნდა იყოს ამ დროს ლორთქიფანიძეთა სათავადოს მეთაური, მასვე უნდა ჰქონდეს მოლარეთუხუცესისა და ქუთაისის მოურავის სახელოებიც. ან, იქნებ ბეჟანის შემდეგ ამ სათავადოს უფროსს მხოლოდ მოლარეთუხუცესობა ჰქონდა, ქუთაისის მოურავობა კი, ლორთქიფანიძეების სახლის სხვა წევრს.

XVIII საუკუნის შუა წლებიდან ლორთქიფანიძეები ქვეითდებიან. მათ საგვარეულო სახელოებს „ქრთამით“ თუ სხვა გზით, გაძლიერებული აბაშიძეები და წულუკიძეები იკავებენ. 1755 წელს მოლარეთუხუცესობა უკვე ბერი აბაშიძეს აქვს. ქუთაისის მოურაობა 1766 წლის ახლო ხანს ჯერ კიდევ ბერი ლორთქიფანიძეს უჭირავს, მაგრამ უკანასკნელად. 1773 წელს კი ეს სახელო პაატა წულუკიძეს უკავია.

რა მიზეზით მოხდა სოლომონ I მიერ ლორთქიფანიძეთა დამცრობა, ჩვენთვის უცნობია. ერთი კი ცხადია: აბაშიძეებისა და წულუკიძეების დანიწაურება ნაწილობრივ ლორთქიფანიძეთა ხარჯზე ხდება.

სოლომონ I დროს ზემოხსენებული ბერი ლორთქიფანიძის გარდა, ცნობილი პიროვნებაა მისი სახლიკაცი თავადი თეიმურაზიც. მას იხსენიებს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი, რომლისთვისაც 1772 წელს მეფეს გაუყოლებია იგი, დავით მესხსა და ნიკოლოზ წერეთელთან ერთად, სხარტალიდან ოკრიბამდე.

დავით გიორგის ძის მეფობაში (1784-1789 წწ და 1790 წლის მეორე ნახევრის მცირე მონაკვეთი) ლორთქიფანიძეთა გვარის წევრებიდან გამოირჩევა ბერი. იგი ამ მეფის ერთგულია მისი იმერეთიდან გაძევების შემდგომაც. ახალციხეში „გადავარდნილ“ მეფეს ბერი ეახლა „შერჩა და ემსახურა“.

დავითის სიკვდილის შემდეგ (1795 წ), სოლომონ II, როგორც ჩანს, ბერი შემოირიგა. უკანასკნელს 1810 წლის ამბებში სოლომონის ერთგულ თავადთა რიგებში ვხვდავთ და მისი უახლოესი „მრჩეველია“. სოლომონის ერთგულნი ჩანან აგრეთვე ნიკოლოზ, ოტია, თამაზა და როსტომ ლორთქიფანიძეები.

**სოლომონ II მეფობის პერიოდში (1789-1810 წწ.) ლორთქიფანიძეებმა მიიღეს საჯავახოსა და საპაიჭაოს მოურავობა. მათვე ჰქონდათ საჩინოს მოურავობაც. ბოლოს კიდევ ტახტიდან გადაყენებულმა სოლომონმა 1810 წლის 5 აგვისტოს ბეჟან და თამაზა ლორთქიფანიძეებს „ხვეისთავობა“ უბოძა. ბერი, ოტია, როსტომ, თამაზა და ნიკოლოზ ლორთქიფანიძეები ამ მეფის „დარბაზის ერში“ და ამაღლიც იხსენიებიან, მაგრამ იმერეთის სამეფო კარზე ლორთქიფანიძეთა როლი ახლა მაინც მეტად უმნიშვნელოა.**

იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებასთან დაკავშირებით ლორთქიფანიძეთა სათავადო ადმინისტრაციულად გაუქმდა.

ლორთქიფანიძეთა სახლი მაინც ერთობას განაგრძობდა. „ერთობის ნიგნში“ მისცეს 1812 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძეს მისმა ძმამ როსტომმა და ძმისწულმა ტატუამ. ამ ნიგნებიდან ჩანს, რომ ლორთქიფანიძეებს ამაზე ადრეც, 1804 წელს „აღწერილი“ „ერთობის წერილი“ ჰქონდათ დადებული.

ლორთქიფანიძეების 1812 წლის ერთობის ნიგნი ძალაში დარჩა 11 წელს. 1823 წლის 26 აპრილს ამ საგვარეულოს წევრები გაიყარნენ.

## „მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?“

(ნაწილი მეორე)

გაგრძელება. დასაწყისი „მატიანე“ №7

წერილების ავტორისგან – ვინაიდან წინამდებარე წერილობითი საუბრები მხოლოდ მოკლე საგაზეთო ვერსიას საქართველოს გაყალბებულ-მიჩქმალული ისტორიის შეძლებისდაგვარად ამეცხველებისა, შესაბამისად, მხოლოდ საინფორმაციო-შემეცნებით ხასიათს ატარებს. ზღვაში წვეთადაც კი ვერ ჩაითვლება ის გაბნეულ-დანანევრებული ინფორმაცია, რის შეკრებასაც შევეცადეთ. ამდენად, ცალკეულ მოსაზრებებს, მტკიცებულებებს, ვერსიებს, მიგნებებს და ა.შ, რომელიც იქნება გამოყენებული წერილობითი ფორმით თხრობისას, არ ექნება სქოლიოები. დაინტერესებულ მკითხველს ამავე თემაზე ვრცელი ინფორმაცია შეუძლია მოიძიოს ინტერნეტსა და ბეჭდური მედიით გავრცელებულ საშუალებებში, კონკრეტული ავტორების ნიგნებში, ნაშრომებში, ბროშურებში, ინტერვიუებში და ა.შ). რუბრიკა გახლავთ მათი შემკრების ე.წ „პოპულარული ენით“ თხრობა და არა პრეტენზია მოცემული მასალების ავტორობაზე, თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთი თემის ახსნის ვერსია კონკრეტულად შემკრებს ეკუთვნოდეს.

თხრობისას, ზოგჯერ, შესაძლოა, მითითებული იყოს წყაროც და ავტორიც, მაგრამ ყველა იმ ლიტერატურის ჩამოთვლა, რაც აღნიშნულ თემას ეხება ან მასთან ერთად განსახილველია, ვთქვათ, ჰეროდოტედან დღემდე, მოქმედი მკვლევარების (არქეოლოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, მოგზაურები, გეოგრაფები, ზღვაოსნები და ა.შ) ჩათვლით, წარმოუდგენელი და არაფრის მომცემი შრომაა როგორც რიგითი ადამიანისთვის, ასევე, გაზეთისა თუ ჟურნალის შეზღუდული სივრცისთვის, ამდენად, მოგვიტევეთ თუ ეს შრომა არ გაგწიეთ...

საუბარი რომ გასაგები იყოს, ანუ მკითხველმა არ მოიწყინოს მეცნიერული ტერმინების სიმრავლის გამო, შევეცდებით, მაქსიმალურად მარტივი ენით გადმოგცეთ გარკვეული ინფორმაციები, თუნდაც სადავო, ან მავანთათვის მიკერძოებულიც კი.

### „ელოი, ელოი, ლამა საბაქთან“

წერილების ციკლის „მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?“ პირველი ნაწილი დავასრულეთ ინფორმაციით, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სამეცნიერო სამყაროს აუწყეს, „ღმერთის გზავნილის“ აღმოჩენის შესახებ, რომელიც ჩანერილია ადამიანის გენომში ანუ ორგანიზმის უჯრედში შენახული მემკვიდრული მასალის ერთობლიობაში; რომ დნმ-ის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ნაწილში ნამყვანმა გენეტიკოსებმა აღმოაჩინეს 22 სიტყვიერი ფრაგმენტი არამეულ ენაზე, რომელიც, მათი აზრით, ამტკიცებს ღმერთის არსებობას და მის როლს დედამიწაზე. „ღმერთის გზავნილი“ აღმოაჩინეს მას შემდეგ, რაც მკვლევარებმა შეამჩნიეს უცნაური მათემატიკური მოდელები რომელიც ჩნდებოდა გენომის გარკვეულ ნაწილში. „ჩვენ ვიცოდით, რომ ეს მოდელები ბუნებაში არ გვხვდება, გადავწყვიტეთ, ჩაგვეტარებინა ჯვარედინი ანალიზი გზავნილების სხვა და სხვა ენის მონაცემთა ბაზის მიხედვით და ჩვენ გავვოგნდით, როცა აღმოჩნდა, რომ ეს მოდელები შეესაბამება არამეულ ენას. როგორც ჩანს, უფალმა დაგვიტოვა დაფარული გზავნილი, რომელიც ჩვენ შევძელით აღმოგვეჩინა ასეულობით წლის შემდეგ, როდესაც მივალნიეთ ტექნოლოგიების უმაღლეს განვითარებას. ამ აღმოჩენამდე მე შეუვალი ათეისტი ვიყავი, ახლა ჭეშმარიტი ქრისტიანი ვარ. ეს ის მტკიცებულებაა, რომელიც მე მჭირდებოდა, რათა გამეფანტა ჩემი ეჭვები. მეცნიერული გავლენის დამატება რელიგიაზე გამოიწვევს რევოლუციურ ცვლილებებს მსოფლიოში“, – წერდა ჩარლზ უოტსონი, პროექტის ნამყვანი მეცნიერი.

ქართველებს რატომღაც გვჯერა თუ ჩვენს შესახებ უცხოელი ამბობს რამეს, თუნდაც არას-

ნორს, მაგრამ ეჭვის თვალთ ვუყურებთ თუ ქართველი ამბობს ჭეშმარიტებას – აბსოლუტურად არაადექვატური მიდგომა გვაქვს საკუთარი ერისა და მისი ისტორიის მიმართ.

ჯერ კიდევ 1994 წელს დანერა დანიელ სავანელმა წერილი „იესო ქრისტეს დროინდელი გალილეელები მიეკუთვნებოდნენ იბერიულ-კავკასიურ მოდგმას, შესაძლებელია, „დიაოხურ შტოს“, მაგრამ რა – მოუსმინა ან უსმენს ვინმე?

„ძვ. წ მეორე ათასწლეულის ბოლოს, იწყება ინდო-ბერძნული (ინდო-ევროპული) ტომების მიგრაცია აღმოსავლეთ ევროპიდან ბალკანეთისკენ, რომელთა წინარე სამშობლო ოდესღაც ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა.

პირველად ბალკანეთში მცხოვრები პელაზგები, დანაიდები (დანაიდებს ზოგჯერ არგოსელ დანაიდებსაც უწოდებენ) და სხვა იბერიულ-კავკასიური აბორიგენი მოსახლეობა დუნაის მხარეში მცხოვრებმა ნარევი ტიპის ხალხმა, აქაველებმა შეავინროვეს. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ამტკიცებდნენ, რომ პელაზგები, არგოსელები, იგივე დანაიდები, კოლხებს ენათესავებიანო. აქაველების მიერ ხდება როგორც ბალკანიზე მცხოვრები ხალხების, ისე კრეტა-მიკენისა და ტროელთა დაპყრობა-დამორჩილება. ამის შემდეგ გამოჩნდნენ ინდო-ბერძნული ტომები, დორიელები, შემდგომ ელინთა ანუ ბერძენთა უშუალო წინაპრები. ეს დორიელები ისტორიაში ცნობილი არიან აგრეთვე კიმირიელების სახელწოდებით, როგორც დიდი კიმირიული ოჯახის ერთ-ერთი შტო. კიმირიელები, ანუ ასურულად „გიმმარაი“, ბიბლიური ტრანსკრიფციით „გომერ“. სწორედ ამ დორიელებისგან განდევნილმა „აქაველებმა“, „პელაზგებმა“, „დანაიდებმა“ და სხვებმა მცირე აზიისკენ გადაინაცვლეს. ამ ხალხს ეგვიპტელებმა „ზღვის ხალხები“ უწოდა. ამ ხალხებიდან ეგვიპტელებმა განსაკუთრებით გამოჰყვეს „აქავაის“, „დონოს“ და „პელესტის“ ტომები.

„ზღვის ხალხებმა“ დაარბიეს ხეთის სამეფო. მათი დედაქალაქი ხათუსა დაანგრის, დაიმორჩილეს „დიაოხი“ და აიძულეს დაპყრობილი ხალხის ნაწილი რომ მათთან ერთად ელაშქრათ ეგვიპტისკენ. ფარაონ რამზეს III-ემ გაჭირვებით დაამარცხა ისინი, მაგრამ ბოლომდე ვერ მოახერხა მათი განდევნა და ისინი დამკვიდრდნენ ქანაანისა და სირიის ნაყოფიერ მიწებზე. „ზღვის ხალხებს“ შორის იყვნენ პელაზგები, მათ შორის კრეტელი პელაზგები, რომელთაც ბიბლიაში ფილისტიმელები (ეგვიპტურად „პელესტ“) ეწოდებთ, ხოლო შემდგომ, ჰეროდოტემ ქანაანის იმ ტერიტორიას, სადაც დასახლდნენ ფილისტიმელები (პელაზგები) პალესტინა უწოდა. „პელესტ“ – პელაზგთა ანუ შემდგომ ფილისტიმელთა ეგვიპტური სახელწოდებაა.

ბიბლიაში ებრაელი ფილისტიმელებს ქაფთორელებს ანუ კრეტელებს უწოდებს და ქაფთორიდან მოსულებად მოიხსენიებს (კუნძული კრეტა ბიბლიაში ქაფთორად მოიხსენიება). ფილისტიმელები, ისევე როგორც ებრაელები, შემდგომ ეპოქებში გასემიტდნენ. (სხვათაშორის, აბრაამიდების სატომო სახელიც „ებრაები“, მომდინარეობს სუბერიდან, რომლებიც თავდაპირველად ქალდეური ტომები იყვნენ და ქალაქ ურიდან გადასახლდნენ ქანაანში) ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, როგორც „დაბადებაშია“ აღნიშნული, „ურ-კაშდომ“, სადაც ცხოვრობდა მამამთავარი აბრაამი, არა სამხრეთ მესოპოტამიაში მდებარე შუმერული ქალაქი ური, არამედ, ის ადგილიაო აღნიშნული, სადაც ვითომ თქმულების მიხედვით ნოეს კიდობანი გაჩერდაო, ე.ი არარატის სანახებო და შემდეგ ამბობს: „მაშასადამე, დაბადების (ბიბლია) „კაშდომ“ ქართველსა ნიშნავს, ხოლო „ურ-კაშდომ“ „ურარტუს ქართველს“. ჩემის მხრივ, დავამატებ, რომ აბრაამიდების ქალდეური ტომი ურ-კარდუს სანახებიდან გადასახლდა ქანაანში, ანუ შემდგომი დროის ისრაელში და პალესტინაში, ამიტომაც ვუწოდებთ მათ ჰურიანებს, ჰურიები, ურიები... ამიტომაც გვხვდება ებრაულ სატომო სახელებში და მათ ეთნარქებში ხშირად სუბერიდან წარმოებული სახელები: ებერი, ყებერი, თავად ებრაები, აბრაამიდები – „ებრაელი“ პირდაპირ უკავშირდება „ებერს“ და „იბერს“. ებრაელები თანდათანობით, დროთა განმავლობაში გასემიტდნენ და ამიტომაცაა მათი ენა ივრითი დღეს სემიტური ენა.

ახლა განვიხილოთ ბიბლიური ეთნოლოგია ჩვენთვის საინტერესო იაფეტთან მიმართებაში. ძველ აღთქმაში წერია, იაფეტის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი (მიდია), იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი (ანუ თირამი). შემდეგ, იავანის ძენი: ელიშა, თარშიში, (ანუ თარში), ქითიმი, და

დოდანამი. გომერის (კიმერის) ძენი: ასკენაზი, რიფათი და თოგარმა. (დაბადება. თავი 10 მ. 2-4) როგორც ვხედავთ, ბიბლიური ეთნოლოგია არის ებრაელი ქურუმების მიერ დაწერილი მაშინდელი ხალხისა და სახელმწიფოების გეოგრაფიული განლაგება, რასაც სწვდებოდა მათი მაშინდელი მონაცემები.

როგორც ვხედავთ, ისრაელიდან ჩრდილოეთით მდებარე ხალხთა თავკაცებად მოიხსენიებიან გომერი და იავანი თავიანთი შთამომავლობით, შთამომავლობითი შტო იაფეთის ძეთაგან მხოლოდ იავანსა და გომერს გააჩნია. „გომერი“ სიმბოლოა, კრებსითი სახელია მთელი ინდო-ევროპული მოდგმის ხალხებისა, განსაკუთრებით კი კიმერიელებისა. ბიბლიური ეთნონიმი „გომერ“ (ასურული „გიმარაი“) იგივეა რაც ინდოევროპული ტერმინი „კიმირიელი“.

ეთნარქი იავანი ბიბლიაში ნიშნავს არარატის სანახებში მდებარე „ვანის სამეფოს“, რომელიც გამოცხადებულია ბიბლიაში იბერიულ-კავკასიური მოდგმის თავკაცად. მის ძმებად არის მოხსენიებული იბერიულ-კავკასიური ტომები თუბალი და მეშექი (მესხები), რომელთა წარმომავლობაზე ბევრი ითქვა.

იაფეთის სხვა ძეა „მაგოგი“. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი „მაგოგს“ მაშინ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სკვითებთან აკავშირებდა. შემდეგ „მაგოგი“ სლავური ტომების მისამართით გამოიყენებოდა და საბოლოოდ, იოანე მოციქულის აპოკალიფსში რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს დაუკავშირდა, ანუ თანამედროვე რუსეთს.

საერთოდ, „მაგოგი“ არაებრაული სიტყვაა. ზოგი თეოლოგის აზრით, მისი ეტიმოლოგია მონღოლური რასის ხალხს უკავშირდება, მათგან იღებს სათავეს; ზოგი – ჩინურ სიტყვა „მონგ-ს“ უკავშირებს, რომელიც ნიშნავს ბარბაროსს, დამპყრობს. სწორედ ძველმა ჩინელებმა, რომლებიც თავადაც მონღოლოიდურ რასას ეკუთვნიან, „მონგი“, ბარბაროსი უწოდეს მონღოლური წარმოშობის თურანულ-მონღოლურ ხალხებს, ჰუნებს, რომლებიც მაშინ ჩინეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთით სახლობდნენ. ეს იყო მომთაბარე ხალხი და მათგან თავდასაცავად, მათი გაუთავებელი თავადასხმების გამო ააგეს ჩინელებმა ჩინური კედელი.

ეზეკიელის დროს „მაგოგი“ უკვე თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების მისამართით გამოიყენებოდა.

„მადაი“ მიდიელებს ნიშნავს, ხოლო „თირასი“ ანუ „თირამი“, იგივე „ხირამი“ კი ხირამელებს ე.ი ძველ ფინიკიელებს, თუმცა იოსებ ფლავიუსი იაფეთის ძე თირასს ბალკანეთის აღმოსავლეთით მცხოვრებ ინდო-ევროპულ ფრაკიელებთან აიგივებდა, იგივე თრაკიელებთან (დაახლოებით, დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორიები).

გომერის ძე არის ასკენაზი. „ასკენაზი“ – გერმანული ტომების ბიბლიური სახელწოდებაა, რომელიც თავისი ეტიმოლოგიით ასევე დიდი სკვითური ტომების ერთ-ერთი შტოს, ირანო-გერმანელების სკვითური ტომებიდან უნდა იღებდეს სათავეს.

„რიფათი“ – იოსებ ფლავიუსი მას ინდო-ევროპულ ტომებთან, პაფლაგონიელებთან აკავშირებდა, რომლებიც მცირე აზიაში გამოჩნდნენ. ზოგი ვერსიით, ანგლო-საქსური ტომები იგულისხმება, სადაც ერთ დროს კელტები ცხოვრობდნენ.

„თოგარმა“ სომეხთა წინაპარ კიმირიელებს ნიშნავს. ეს ტომები ევროპიდან, თრაკიის ტერიტორიებიდან გადასახლდნენ მცირე აზიაში, ფრიგიის ტერიტორიაზე და აქ გაბატონდნენ. სწორედ ამ ფრიგიის ტერიტორიებიდან არიან სომეხთა წინაპრები მოსული არარატის სანახებში და თანამედროვე სომხეთის ტერიტორიებზე.

იაფეთის ძე იავანში, როგორც უკვე ითქვა, „ვანის სამეფო“, ანუ ვანის ტბისა და არარატის სანახები იგულისხმება და არა ძველ საბერძნეთში მცხოვრები, შეცდომით ბერძნულ ტომებად მიჩნეული იონიელები. იონიელები იბერიულ-კავკასიური პელაზგებისა და დანაიდების მონათესავე ტომები იყვნენ.

ბიბლიის მიხედვით, იავანის ძე არის ელიშა. „ელიშა“ – აქ ნამდვილად დორიელ-კიმირიელთა შთამომავალი ელინები იგულისხმება, რომლებიც პელაზგების, დანაიდებისა და სხვა არაბერძნული ტომების ტერიტორიებზე დასახლდნენ ბალკანეთში.

„თარში“ – აქ კილიკიის თარში იგულისხმება, სადაც ერთ დროს სახლობდნენ თუბალე-

ბი. სწორედ ამ კილიკიის ტერიტორიებზე მცხოვრები თუბალების გამო დაუკავშირა ლეონტი მროველმა მის მიერ ახლად გაჟღერებული ეთნონიმი „თარგამოსი“ ქართულ ტომებს და მათ წინაპრად გამოაცხადა. თარშიში (თარში) ძველად მთელ ტავროსის მთიანეთთან არსებულ ტერიტორიას ეწოდებოდა და შემდეგ კილიკიით შემოისაზღვრა. თარშიში (კილიკია), სწორედ აქედან იწყებოდა ერთ დროს თუბალების საცხოვრისი. ამიტომაც აღნიშნავს ლეონტი მროველი თარგამოსიანთა თავდაპირველ საცხოვრისად სწორედ „ორთა მათ მათა შუა კაც შეუვალსა არარატსა და მასისსა“. („არარატი“ – თავისთავად არარატის მთებს გულისხმობს ლეონტი მროველი, ხოლო აქ მასისის მთებში გულისხმობს არა არარატს. სომხები, როგორც ვიცით, არარატს მასისს ეძახდნენ და მცირე აზიის აღმოსავლეთით, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე და სირიის ჩრდილოეთით არსებულ ტავროსის მთიანეთსაც ერთ დროს მასისს ეძახდნენ). სწორედ არარატის სანახებიდან, მასისის (ტავროსის) მთების მიდამოებამდე იყვნენ განსახლებულები თუბალები ერთ დროს. აგრეთვე, სწორედ ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა იავანიც და თარშიც.

„თარ-გამოს“ – ეს ლეონტი მროველის შემოქმედების ნაყოფია. მისი ფუძე „თარ“ პირდაპირ უკავშირდება ბიბლიურ „თარშიშს“. „თარ-გამოს“, აგრეთვე ნიშნავს „თარ“ ტოპონიმ და ეთნარქ „თარშიშს“, ხოლო „გა“, „გამ“ – მინა ე.ი თარშის მინა. საინტერესოა „თარგამოსის“ მეორე ეტიმოლოგია – „თარ“-მთავარი, „გამ“ – „მინის მთავარი“, „მინის ბატონი“.

როგორც „ქართლის ცხოვრებიდან“ არის ცნობილი, ლეონტი მროველის ვერსიით, იაფეტის ძეა იავანი, იავანის ძეა თარგამოსი, ხოლო თარგამოსის ძეები არიან: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლეკოს, ჰეროს, კავკასოს და ეგროს. ლეონტი მროველის „თარგამოსის“ დანერილობა ძალიან ჰგავს ბიბლიური „თოგარმას“ სახელის დანერილობას. რა თქმა უნდა, მან სახელი „თარგამოსი“ სპეციალურად მიამსგავსა ეთნარქ „თოგარმას“.

იავანის ძე ქითიმი – კვიპროსელებს ნიშნავს, „დოდანამი“ – ზოგი დარდანებსა და ტროელებს უკავშირებს, ზოგი – კუნძულ როდანიმთან (როდოსი). საინტერესოა ტოპონიმი დოდონე, სადაც იყო ზევსის უძველესი ტაძარი დოდონეში.

რაც შეეხება ებეკიელთან ეთნონიმებს „გოგს“ და „როშას“. ებეკიელი ამბობს: „უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენზე ვარ გოგ, როშის, მეშექის და თუბალის მთავარო! გაგაბრუნებ და ყბაში ჩანგალს ამოგდებ... თოგარმას სახლს ჩრდილოეთის კიდეებიდან მთელი თავისი ურდოთი, ურიცხვი ხალხითურთ შენთან ერთად“ და კიდევ ებეკიელი: „ადამიანის ძევ! იწინასწარმეტყველე გოგზე და თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთო: აჰა, შენზე ვარ როშის, მეშექის და თუბალის მთავარო... ისრაელის მთებზე დაეცემი მთელი შენი ურდოიანად და ხალხთან ერთად, შენ რომ გახლავს...“ (ებეკიელი თ 39 მ 1-3)

ებეკიელის დრო სწორედ ის პერიოდია, როდესაც კოლხეთში ჩრდილოეთიდან სკვითები (კიმირიელთა ერთ-ერთი შტო) შემოდინან, რომელთაც აგრეთვე ბიბლიაში „მაგოგიდან“ წარმომდგარ „გოგს“ უწოდებენ – „გოგ-ი“, „მაგოგის“ წინამძღოლი.

სწორედ სკვითურ-კიმერიული და ნაწილობრივ მონღოლოიდური წარმომავლობის ხალხებმა, აგრეთვე „თოგარმას სახლის“ ურდოებმა გომერის მოდგმიდან – ებეკიელი ამბობს: „გომერს თავისი ურდოთი, თოგარმას სახლს...“ (ებეკ.თ.38მ.6), სწორედ ამ ტომებმა: „გოგმა“, „გომერმა“, „თოგარმა“ და „როშმა“, რომლებმაც დაიმორჩილეს კოლხები, მესხები, თუბალები. აიძულეს ისინი, რომ მათთან ერთად ელაშქრათ ისრაელის მთებზე. ამიტომაც მოიხსენიება „გოგი“ თუბალისა და მეშექის მთავრად ე.ი გოგის მიერ დაპყრობილად. „როშა“ – სლავი, ინდო-ევროპელებისა და ერთ-ერთი მონღოლოიდური ტომის, ნარევი ტიპის ტომია, რომლებმაც შემდეგ საერთო სახელი მისცეს შემდგომ ჩამოყალიბებულ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ერთობას, „როშა“ ანუ „რუს-ეთი.“

ახლა განვიხილოთ რა კავშირი არსებობს დიაოხის (ასურული წყაროების, დაიანი, დანი) სამეფოს, პელაზგ-დანაიდებს, ებრაულ დანის ტომსა და მოციქულთა დროის გალილეელებს შორის. იაკობის ძენი (დაბადება თ.35 მ 23): ლეას ძენი იყვნენ რეუბენი-იაკობის პირმშო: სიმონი, ლევი, იუდა, ისაქარი და ზებულონი.



(მ. 24) რახელის ძენი იყვნენ იოსები და ბენიამინი.

(მ. 25) ბილჰას ძენი რახელის მხევლისა: გადი და აშერი. ესენი არიან იაკობის ძენი რომელნიც შეეძინა მას ფიდან-არამში.

აქვე საგულისხმოა ინფორმაცია, რომელიც შემდეგ დაგვჭირდება, რომ იოსების ტომი გაიყო ორ ნაწილად. ესენია: (დაბადება თ. 46 მ. 20): „შეეძინა იოსებს ეგვიპტის ქვეყანაში ვაჟიშვილები... მენაშე და ეფრემი.“ ე.ი დაბადების თორმეტი ტომი, ესენია: რეუბენი, სიმონი, ლევი, იუდა, ისაქარი, ზებულონი, იოსები, ბენიამინი, დანი, ნაფთალი, გადი და აშერი. იოანეს „გამოცხადების“ გადარჩენილთა თორმეტი ტომი, ესენია: (გამოცხადება თ.7 მ.4-8) იუდა, რუბენი, გადი, აშერი, ნეფთალი, მენაშე, სიმონი, ლევი, ისახარი, ზებულონი, იოსები, ბენიამინი“. ე.ი ლევის ტომი ყოველთვის იყო თორმეტ ტომში, ხოლო იოანემ დანის ნაცვლად აპოკალიფსში შეიყვანა იოსების ერთ-ერთი ძე – მენაშე.

რატომ არ არის „აპოკალიფსში“ დანის ტომი? – ისმის კითხვა. ზოგმა სასულიერო პირმა ამას პრიმიტიული პასუხი გასცა, რომ აპოკალიფსური 666 ანუ ბოლო ჟამის ანტიქრისტე დანის ტომიდან იქნებოდა და ამიტომაც დანის ტომი ვერ შევა ცათა სასუფეველშიო, რაც როგორც ქრისტიანული მორალით, ისე თეოლოგიური აზროვნებით და ყველანაირად, დიდი აბსურდია.

დავინყოთ იმით, რომ ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ ებრაული თორმეტი (ზოგჯერ ცამეტ ტომსაც ახსენებენ, რადგან იოსების ტომი ორად გაიყო) ტომი დასახლდა ქანაანის, ანუ პალესტინის ტერიტორიაზე, ბიბლიის მიხედვით, სამხრეთით დასახლდნენ იუდას ტომები. მათგან ჩრდილო-დასავლეთით, ფილისტიმელთა სიახლოვეს კი დანის ტომი განსახლდა. იუდეის ჩრდილოეთით ისრაელიტელთა დანარჩენი ტომები დასახლდნენ. ლევის სამღვდლო ტომს მიწა არ ერგო, რადგან რელიგიური სამსახური ერგოთ წილად. იუდეის უკიდურეს ჩრდილოეთით გალილეის ტერიტორიაზე კი თავდაპირველად ნეფთალის ტომი დასახლდა, რომელიც დანის ღვიძლ ძმად არის მოხსენიებული ბიბლიაში, რახელის მხევალ ბალასგან (ბილჰასგან) შეეძინაო იაკობს შვილები დანი და ნეფთალიო. დროთა განმავლობაში დანის ტომი, რომელიც შევიწროებას განიცდიდა ფილისტიმელებისგან, რადგანაც ფილისტიმელები მათ მეზობლად ცხოვრობდნენ, გადასახლდა სწორედ ნეფთალის ტერიტორიაზე. მათი კულტურული ცენტრი იყო უძველესი ქალაქი დანი. სწორედ ამ ტერიტორიაზე, სადაც დანის ტომი გადასახლდა, მდებარეობდა გალილეას ისტორიული მხარე.

ისრაელის უდიდესი არქეოლოგი იგაილ იადანი, რომელიც პირადად იღებდა მონაწილეობას გალილეის ტერიტორიაზე მიმდინარე გათხრებში და აკვირდებოდა დანის ტომის საცხოვრისის კულტურულ ფენას გალილეაში, ანუ დანის ისტორიულ საცხოვრისში, ამტკიცებდა, რომ ებრაული დანის ტომი არაებრაული წარმოშობისაა და უფრო ძვ. ბერძნული ტომები, არგოსელი დანაიდების შთამომავლები უნდა იყვნენო.

როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, არგოსელი დანაიდები პელაზგ-ფილისტიმელებთან ერთად ლაშქრობდნენ პალესტინის ტერიტორიაზე და შემდეგ საბოლოოდ დამკვიდრდნენ ქანაანის ამ ტერიტორიაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არგოსელი დანაიდები პროტოიბერები იყვნენ; ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით, ცნობილია, რომ არგოსელი დანაიდების ნაწილი აპენინებზე გადასახლდნენ და ეტრუსკებთან ერთად შექმნეს სახელმწიფოო. მე მაინც მიმაჩნია, რომ დანის ტომი უფრო დიაოხის დანელები იყვნენ და სწორედ დიაოხიდან გადმოსახლდნენ გალილეაში მაშინ, როდესაც დიაოხი კიმირიელებმა დაიმორჩილეს. დანის ტომი დიაოხის სამეფოს ძვ. ლაზური ტომი უნდა ყოფილიყო. დანის ტომელთა და გალილეველთა თავის ქალის ორი ხაზის კუთხის ანალიზი მიუთითებს სწორედ იმას, რომ გალილეველებს სწორედ ისეთი კუთხე აქვთ, მართ კუთხესთან მიახლოებული, როგორც კავკასიელებს და იბერიულ-კავკასიურ ხალხებს და ეს კუთხე განსხვავებული აქვთ იბერიულ-კავკასიელებს ყველა სხვა რასასთან შედარებით.

წინასწარმეტყველი ეზეკიელი „ფინიკიის ტვიროსის“ გოდებაში როცა მიმართავს ვანის სამეფოს და მის მეზობელ ქვეყანას, დიაოხს, მათ იავანისა და დანის ქვეყანას უწოდებს. ეზეკიელი როცა მიმართავს ფინიკიელთა ცნობილ ტვიროსს, ამბობს (თ 27 მ 13): „იავანი, თუბალი და

მეშეკი იყვნენ შენი გამსაღებლები, ტყვეებს და სპილენძის ჭურჭელს გიხდიდნენ საქონელში... და იავანი, უზალიდან სანაცვლოდ რკინის ნახელავს, სტახსა და ლერწამს გაძლევენ შენს საქონელშიო.“ ე.ი ეზეკიელის მიხედვითაც, იავანი, თუბალისა და მეშეკის მახლობლად მდებარეობს – თუნდაც ამიტომ ვერ იქნება იავანის სამეფო იონიელი ბერძნების ქვეყანა. იავანისა და თუბალის მეზობლად სწორედ ურარტუ, იგივე ვანის სამეფო მდებარეობდა. ეზეკიელი დანის სამეფოსაც იავანის გვერდით მოიხსენიებს. როგორც ცნობილია, ვანის სამეფოს ჩრდილოელი მეზობელი სწორედაც დიაოხი, იგივე დანი იყო თავისი ძველი ლაზური მოსახლეობით – სპილენძისა და რკინის ნახელავით ცნობილი ხომ ისედაც იყვნენ ეს ქვეყნები.

ებრაული დანის ტომს და ნეფთალის ტომს, რომლებიც გალილეაში ცხოვრობდნენ, ბიბლიის გადამწერები რომ ერთმანეთთან აიგივებენ ხშირად კარგად ჩანს მისტიური არქიტექტორის, ხირამის შემთხვევაში. ფინიკიის დიდი მეფის, ხირამის შესახებ ის არის ცნობილი, რომ იგი იყო დავითის და სოლომონის თანამედროვე და კარგი ურთიერთობა ჰქონდა მათთან. ფინიკიელი ხირამი დაეხმარა სოლომონ მეფეს ე.წ. სოლომონის ტაძრის, იგივე იერუსალიმის ტაძრის მშენებლობაში, როგორც ოქროთი, ისე მასალებითა და მშენებლებით, მადლიერების სანაცვლოდ კი სოლომონმა ხირამს გალილეის ოცი ქალაქი აჩუქა. ამავე დროს, ფინიკიის მეფე ხირამმა სოლომონს ამ მისტიკური ტაძრის მშენებლობის ორგანიზატორად და მთავარ არქიტექტორად თავისი სეხნია ხირამ-აბუფი გაუგზავნა, წარმოშობით დანის ტომიდან. ტერიტორიულადაც, ამ ხირამის სამშობლო გალილეა იყო, სადაც ცხოვრობდა ნეფთალის ტომიც. ასე რომ, დავითისა და სოლომონის ეპოქაში დანის ტომის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი უკვე ჩანს გალილეის ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობს მათივე მონათესავე ნეფთალის ტომი. დანი და ნეფთალი გენეტიკურად უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან განსხვავებით სხვა ებრაული ტომებისგან, ამიტომაცაა, რომ ზოგ ძველ ისტორიკოსს, მაგალითად, იოსებ ფლავიუსს ეს ხირამი ნეფთალის ტომის წარმომადგენლად მიაჩნია, ფინიკიის მეფე ხირამი კი დანის ტომის წარმომადგენლად. ნეფთალისა და დანის ტომის ფაქტობრივად ერთი და იგივეობის გამო ხდებოდა ეს აღრევა, თანაც ეს ტომები უკვე გალილეაში ცხოვრობდნენ. შუა და მე-19 საუკუნის მასონთა საზოგადოებები, სხვათაშორის, არქიტექტორ ხირამს მოიაზრებდნენ თავიანთ დიდ არქიტექტორად და მისტიურ სულიერ ლიდერად...

სოლომონის იმპერიის დაცემის შემდეგ დანელები ჩამოშორდნენ სამხრეთით მდებარე იუდეას, მათ პროტოიბერიული კულტურისთვის დამახასიათებელი ხარის კულტი კვლავ აღადგინეს და ელოჰიმის მიწიერ გამოხატულებად აცხადებდნენ. ამ მიზეზით გადაიმტერეს სამხრეთელი იაჰვისტი იუდეველები, ამიტომაცაა, რომ დანის ტომზე ბიბლიაში მრავალი უარყოფითი გამოთქმა არსებობს – დანელებს ყოველთვის უცხო ტომად თვლიდნენ. მათი გაუცხოება იქამდეც მივიდა, რომ შემდგომ, ბიბლიის გადამწერმა იუდეველებმა მთლად გარიყეს დანის ტომი თავიანთი რელიგიური არეალიდან და საბოლოოდ მათ ალტერნატივაც კი მოუძებნეს. რადგან ქალდეური ტომი ასტროლოგიით თორმეტი სისრულის ნიშანია (12 ტომი, 12 თვე, ზოდიაქოს 12 ნიშანი და ა.შ.), ამიტომ დანის ტომის სახელი რომ გადაეფარათ, იოსების ტომი ორად გაყვეს, მენაშედ და ეფრემად. აი, ასე, კვლავ მიიღეს 12 ტომი დანის ტომის გარეშე..

„დანი“ ივრითზე „მსაჯულს“ ნიშნავს. ისრაელის მსაჯული ოცი წელი იყო დანის ტომელი სამსუნი ნაზაროველი (ღვთისადმი შეწირული), რომელიც წინასახეა ძველ აღთქმაში იესო ნაზარეთელისა (იგივე ნაზაროველის). სამსუნ ნაზაროველმა სწორედ თავი განირა მთელი მაშინდელი ებრაული სამყაროს გამო, მათ გადასარჩენად და მათი ხსნისთვის. იესო ნაზაროველმა (ნაზარეთელმა) კი თავი განირა მთელი კაცობრიობის ხსნისთვის. ამიტომაც ითვლება იესო ნაზარეთელის წინასახედ ძველ აღთქმაში სამსუნ ნაზაროველი; ამიტომაც არსებობდა ძველ აღთქმაში ქალაქი ნაზარეთი გალილეაში სადაც ცხოვრობდა იესო ნაზარეთელი...

დანიელ წინასწარმეტყველი აგრეთვე დავითის ფესვია, ამავე დროს დანის ტომიდან იყო, მაგრამ ბიბლიის გადამწერები არ ამხელდნენ ამას. „დანიელი“ ივრითზე ნიშნავს „მსაჯული ღმერთი“, ანუ შინაარსობრივად „ღმერთია ჩემი მსაჯული“. იესეს და დავითის ტომობრივი წარმომავლობაც საკმაოდ ბურუსითაა მოცული. დავითი, რწმენით, რა თქმა უნდა, იუდეველი

იყო, სწორედ იუდაველობის წყალობით მოახერხა გამეფება ჯერ იუდეაში, შემდეგ – მთელ ისრაელში...

ებრაული ტომების ბაბილონში გადასახლების შემდეგ, თქმულების მიხედვით, დავითის ფესვის წარჩინებული გვარის წარმომადგენლები დიაოხის ტერიტორიაზე გადმოსახლდნენ და აქ გამეფდნენ ტაოში, სპერში და მათ ბაგრატიონები ეწოდათ, აგრეთვე, ამ შტოს წარმომადგენლები გამეფდნენ ყოფილ ურარტუს ტერიტორიაზე.

ტოპონიმ გალილეთის ეტიმოლოგია უკავშირდება ხურიტულ ენას, რადგანაც, როგორც ისტორიიდან უტყუარად არის დადასტურებული, გალილეთის ტერიტორიაზე ჩვ.წ II ათასწლეულში ხურიტები გამოჩნდნენ და გაბატონდნენ ამ ტერიტორიაზე და ეს ტოპონიმიც აქედან მოდის.

კიდევ, იყო პერიოდი ჩვ.წ. აღ-მდე მე-7 საუკუნიდან, როცა გალილეაში ხალდეები (ქალდე) გამოჩნდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ძველი კოლხების, იგივე ხურიტების საცხოვრისში დასავლეთ საქართველოში გვხვდება უძველესო ტოპონიმი „გალი“, რომელიც შემონახულია „გალი-ს“ რაიონის სახელით; აგრეთვე, მეგრული სიტყვა „მარ-გალი“ და ა.შ

ესაიასთან უკვე ვხვდებით წარმართულ გალილეთს; მაკაბელთა დროშიც გალილეელები კვლავ წარმართებად მოიხსენიება... დანის ტომის შთამომავალი გალილეელები, თვით იესოს დროსაც კი არაებრაულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ზოგი მეცნიერის აზრით, არამეულ და რაღაც ინდოევრუპულის მსგავს ნარევი ტიპის ენაზე, თუმცა არამეული ენა მაშინდელ გალილეაში, ისე, როგორც წინა აზიურ სამყაროში, ასრულებდა ლინგვა-ფრანკას როლს, ანუ საერთაშორისო ენა იყო და არამეული გალილეაშიც ფართოდ გამოიყენებოდა.

ჩემი აზრით, უშუალოდ გალილეური ენა საკმაოდ ახლოს უნდა მდგარიყო ძველ ლაზურ ენასთან და იბერიულ-კავკასიურ დიდ ენათა ჯგუფში შემავალი, ძველი ხურიტულ-ქალდეური ენის ერთ-ერთი განშტოება უნდა ყოფილიყო.

ებრაული ტომები, უკვე დავითისა და სოლომონის ეპოქაშიც გასემიტებულები იყვნენ; მათი ენა უკვე სემიტური იყო, გამონაკლისი, მხოლოდ დანი და ნეფთალის ტომები და შემდგომი გალილეა იყო. ასურელებისა და ბაბილონელების ბატონების შემდეგ იყო დიდი გადასახლება და მოციქულთა დროისთვის და მანამდეც, ბიბლიის მიხედვით, ყველა ტომი გადაშენდა, რომლებსაც ებრაელი სწავლულები „გადასახლებაში დაკარგულ ათ ტომს“ უწოდებენ. გადარჩა მხოლოდ იუდას ტომი და ლევის სამღვდლო ტომი.

იუდეის ჩრდილოეთით გალილეა მდებარეობდა, რომელიც ასევე გადაურჩა სრულ ასიმილაციას. მოციქულთა დროისათვის ამ ტერიტორიაზე გალილეაში დანის ტომს უკვე აღარ იხსენიებენ, იქაურ მოსახლეობას მხოლოდ ერთ ეთნიკურ სახელს „გალილეელებს“ უწოდებდნენ. მაკაბელთა დროიდან გალილეა შედიოდა იუდეის სამეფოში, რომლებიც უკვე დიდი ხნით ადრე, დავითის მეფობამდეც გასემიტებულები იყვნენ. გასემიტებულები იყვნენ ფილისტიმელებიც და პალესტინის სხვა მოსახლეობაც გარდა გალილეთის მხარის მოსახლეობისა. თუ ესპანეთის ბასკებმა კატალონიელებისგან და გალისიელებისგან განსხვავებით დღემდე მეტად შეინარჩუნეს იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ხალხების ენა, რატომ არ შეიძლებოდა რომ გალილეელებს თუნდაც მოციქულთა დრომდე შეენარჩუნებინათ წინარექართულის მსგავსი, ძველი ხურიტულ-ქალდეური ენის მონათესავე ენა.

სახარების მიხედვით, დავითის ფესვი, მარიამი, გალილეელი იყო; ყველა მოციქული გალილეელი იყო, ხოლოდ იუდა იყო იუდას ტომის შთამომავალი და წარმოშობით იუდას ისკარიოტიდან. საკრალურია ისიც, რომ სწორად მან გასცა იესო, ვინც არ იყო გალილეელი და წარმოშობით გალილეთის სამხრეთით მდებარე იუდას ქვეყნიდან იყო. ჯვარცმის შემდეგ მოციქულებმა კვლავ შეავსეს თორმეტამდე თავიანთი რიცხვი და მეთორმეტედ კვლავ გალილეელი, მათათა აირჩიეს. იესოსადმი იგრძნობა ის გაუცხოება რაც იუდაველ სწავლულებს ახასიათებს სახარებაში: „შენ გალილეელი არა ხარო, კვერითხუროს, იოსების შვილიო,“ ანუ შენ მესია როგორ იქნებიო, რადგან მესია იუდას ტომიდან და დავითის ფესვი უნდა ყოფილიყო. ალბათ, კიდევ ამიტომაც არ აღიარეს და არ მიიღეს იესო ნაზარეთელი იუდაველებმა; ან როგორ დაუმტკიცებდა, რომ დავითის ფესვიდან და თანაც იუდას ტომიდან იყო, მითუმეტეს,

იუდაველი სწავლულები მესიას ელოდნენ როგორც ძლევამოსილ მმართველს ან წინასწარმეტყველს, რომელიც რომაელთა ბატონობისგან იხსნიდა ებრაელ ხალხს.

იესომ უთხრა პეტრე მოციქულს, ჯვარცმის შემდეგ მამლის ყვილამდე სამჯერ უარყოფო. ჯვარცმის შემდგომ, იმავე დღეს, როცა იუდაველებმა პეტრეში ეჭვი შეიტანეს და დაელაპარაკნენ, იმწამსვე ამოიცნეს რომ გალილეველი იყო, რადგან მკვეთრი გალილეური აქცენტი ჰქონდა, ასეთი აქცენტით ლაპარაკობდნენ ივრითზე გალილეველები. ამ შემთხვევაში პეტრემ იმით გადაირჩინა თავი, რომ უარჰყო იესოს მოწაფეობა. მაშინდელი რელიგიური სექტის წინამძღოლებს ასე სასტიკად არ უსწორდებოდნენ, როგორც გალილეველ იესოს გაუსწორდნენ, ასე უფრო მეამბოხეებსა და ავაზაკებს სჯიდნენ, ჯვარზე გაკვრიტ...

სახარების მიხედვით, ჯვარზე გაკრულმა იესომ მისი სულის ამაღლებამდე უკანასკნელი სიტყვები მშობლიურ, გალილეურ ენაზე წარმოთქვა. ეს სიტყვები არ იხსნება არც ივრითზე, არც არამეულზე და არც ძველ სემიტურ ენებზე, აგრეთვე, არც ძველი ბერძნულით. მისი ახსნა ძველ ხურიტულ (ხურიტულ-სუბარული, იგივე იბერიულ-კავკასიური) ენებში უნდა ვეძებოთ. „ელოი, ელოი, ლამა საბაქთანნი?“ რაც თარგმანით ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე? ზოგიერთმა იქ მდგომმა გაიგონა ეს და თქვა: აჰა, ელიას უხმობსო.“ იქ მყოფმა იუდეის ებრაელებმა, ვერც ერთმა ვერაფერი გაიგეს იესოს ნათქვამიდან რადგან ეს არ იყო ებრაული დიალექტი, არამედ, გალილეური დამოუკიდებელი ენა იყო.

იესოს ჯვარცმას მოციქულებიდან მხოლოდ იოანე მოციქული ესწრებოდა, დანარჩენები ფრთხილობდნენ, რათა იუდეველებს არ ამოეცნოთ ისინი. სწორედ იოანე იყო ის მოციქული, რომელსაც არასოდეს შემციირებია იესოსადმი რწმენა. ოთხი სახარებიდან მხოლოდ მის სახარებაშია გადმოცემული ქრისტეს მეგობარ, გალილეველი ლაზარეს მკვდრეთით აღდგომის მისტერია. რალაც წყაროთი სარგებლობდა ბერი იოანე ზოსიმე როცა აცხადებდა, ქართულ ენასა სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიაო. მისი აზრით, სწორედ იოანეს სახარებაში გალილეველი ლაზარეს ამბავი არის ქართული ენის და ქართველი ერის სიმბოლო.

რატომ არ მოიხსენია იოანემ აპოკალიფსში დანის ტომი? იქნებ, გალილეველმა იოანემ სწორედ იმიტომაც არ შეიტანა თავის აპოკალიფსში გადარჩენილთა (რომლებიც, იოანეს მიხედვით იქნებიან ცათა სასუფეველში, რა თქმა უნდა, სხვა ხალხთან ერთად, ოღონდ როგორც მღვდლები ქრისტესი) ებრაელთა თორმეტ ტომში დანის ტომი, იცოდა რა მათი არაებრაული წარმოშობის შესახებ და ამით მან არ დაარღვია ებრაული ტომების ბიბლიური შემდგომდროინდელი სიმბოლური ერთობა აპოკალიფსში. იოანემ თავის „აპოკალიფსში“ ებრაული თორმეტი ტომის ჩამონათვალში დანის ტომის ნაცვლად შეიყვანა იოსების ერთ-ერთი ძე, მენაშ (რატომღაც მენაშე და არა მეორე ძე – ეფრემი), ხოლო თავად იოსები ამ სიაში კვლავ მოიხსენია. (1994 წელი)“

ჯერ კიდევ როდიდანაა გაყალბებული ისტორია...

პრესაში გადავანყდი – „რა ისტორიები იმალება დავით აღმაშენებლის საიდუმლო სახელის „მეფე – ხუცესი იოანეს“ მიღმა? წერილი იწყება ინფორმაციით, რომ ზვიად გამსახურდიამ „საქართველოს სულიერ მისიაში“ შუა საუკუნეების გერმანელი მწერლის ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალზე“ დაყრდნობით სენსაციური რამ განაცხადა – დავით აღმაშენებელს იმდროინდელ ევროპასა და ტამპლიერთა ორდენის წრეებში იოანე მეფე-ხუცესის საიდუმლო სახელით იცნობდნენ; რომ მსგავსი ცნობები აქა-იქ თანამედროვე უცხოელ ავტორებთანაც ჩანს, მაგრამ ამ მიმართულებით არაფერია გამოკვლეული, რაც გასაკვირია, რადგან ისტორიულ წყაროებში იოანე ხუცესთან დაკავშირებით არა ერთი პირდაპირი მინიშნება და განმარტება გვხვდება.

ერთ-ერთ ინფორმაციად მოყვანილია იოანე ხუცესის მიერ მიწერილი წერილი ბიზანტიის იმპერატორ მანუელ კომნენოსისადმი (1165 წლით დათარიღებული). ამ პერიოდისთვის საქართველოს მეფე არის გიორგი III. მისი უმცროსი ქალიშვილი, რუსუდანი, თამარ მეფის და, ხსენებულ უფლისწულზეა გათხოვილი. წერილში იოანე ხუცესი (თითქოს, ბრიყვულად ჩანს შეკითხვა, მაგრამ მაინც ვიკითხოთ, ვინ წერს ამ წერილს?) ბიზანტიის იმპერატორს სხვა ინფორმაციებთან ერთად ატყობინებს რომ მის ქვეყანაში ცხოვრობენ მისდამი დამორჩილებული

ხალხები, რომლებიც ადამიანის ხორცს ჭამენ და სრულებით არ აქვთ სიკვდილის შიში; რომ, როდესაც რომელიმე მათგანი მოკვდება, მის სხეულს მისი მეგობრები და ნათესავები ხარბად შეექცევიან, რადგან ადამიანის ხორცის ჭამა თავიანთ უმაღლეს მოვალეობად მიაჩნიათ; რომ მსგავს დახასიათებას ვხვდებით „ქართლის ცხოვრებაშიც“ ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის აღწერისას. ჩამოთვლილია ამ ხალხების სახელები და იქვე ნათქვამია, რომ ეს ხალხები მაღალი მთების გადაღმა გამოუმწყვდევია ალექსანდრე დიდს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში იოანე ხუცესი თავისი მტრების წინააღმდეგ საომრად მოუხმობს ხოლმე და მათ წინ ვერაფერი აღუდგებათ. როდესაც მტერს უკლებლივ გადასანსლავენ, მეფის მოწოდებისთანავე კვლავ მაღალ მთებს უბრუნდებიან.

იქვე ყოფილა დამწყვედელი ებრაელთა 10 დაკარგული ტომი, რომლებიც ალექსანდრე დიდს გამოუკეტია კასპიის მთების გადაღმა რათა მსოფლიო აღსასრული არ გამოეწვიათ.

როგორც ჩანს, კაციჭამია ტომების არსებობამ დააინტერესა „ვილაცები“... ყოველ შემთხვევაში 1250 წელს დასრულებულ „ისტორიულ ანარეკლში“, რომლის ავტორი დომენიკელთა ორდენის ბერი ვინსენტ ბოვეელია, უარჰყოფს მსგავს ინფორმაციას ტრიფელისში (ტიფლისი) არსებული დომენიკელთა მონასტრის ბერების მონათხრობებზე დაყრდნობით. ქალაქის ცხოვრებაში მონაწილე გავლენიანი ბერების შესახებ კვლავ „ქართვის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ XI საუკუნის მიწურულიდან თბილისს მართავდნენ „ტფილელი ბერები“, მაგრამ მათი ვინაობის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი.

ქრონოლოგიურად, დომენიკელთა ორდენი „ტფილელი ბერების“ მმართველობიდან ერთი საუკუნის შემდეგ დაარსდა. თუ ასეთი გავლენიანი და მნიშვნელოვანი პირები იყვნენ „ტფილელი ბერები“, მაშ, რის არევაზეა საუბარი, ან რატომაა არეული, სულაც, ვინ – ვინ არის? შემდეგ უკვე ვერსიებია...

როგორც ვხედავთ, ისეა არეულ-დარეული ერთმანეთში ჭეშმარიტება, სიცრუე, ლეგენდები თუ გაყალბებები, ურთულესია სანყისთან მივიდნენ მეცნიერები, მითუმეტეს, რომ ამას თან ერთვის დაშიფრული ტექსტები თუ ასო-ნიშნები...

რისამე გაყალბება კონკრეტული მიზნით ხდება, მაგრამ როდესაც მსოფლიო მასშტაბის გაყალბებასთან გვაქვს საქმე, სწორედ რომ იმავე მსოფლიოს ვნებს, მითუმეტეს, თუ გამყალბებელი მაქსიმალურად ცდილობს მოსპოს ჭეშმარიტების კვალი – ანგრევს, წვავს, სპობს დოკუმენტურ მასალას, „საუკეთესო შემთხვევაში“ – სათავისოდ ახდენს ფაქტების დამახინჯებას, თხზავს, იგონებს...

სიტყვამ მოიტანა და მივდიოთ – ვის ინტერესშია 25 დეკემბრის (7 იანვრის) შობის საკრალური თარიღის უმტკივნეულო ფორმით გაბიაბურება? ან სულაც, ვინ თქვა, რომ კონკრეტულად 25 დეკემბერს იშვა ქრისტე?

წინა საუბრებში მამა ავთანდილმა აგვისხნა მელქისედეკიანობის შესახებ, ანუ ქრისტეს შობამდელ დროზეა საუბარი. ის, რაც მამა ავთანდილის ნათქვამშია, არ იცის ძალიან ბევრმა ადამიანმა და არც აინტერესებს, ან, თუ გარკვეული კუთხით დაინტერესდა, არსის სიღრმისკენ ველარ მიდის, იმ „სწავლებებშია“ დატყვევებული, რაც შავით თეთრზე ჩაუბეჭდეს გონებაში, უპირველესად, ბერძნული და რომაული მითოლოგიის სახით; უფრო ხშირად კი, უცოდინარობიდან გამომდინარე, აგრესია მოდის – ვერაფრით დაითანხმებ „ფანატისკოს მორწმუნეს“, რომ სამყარო იესო ქრისტეს შობამდეც არსებობდა.

„მითოლოგიურ არგუმენტებს“ უკვე კარგა ხანია აღარ მიმართავენ ავტორიტეტულ წრეებში, რადგან მრავალ მაგალითზე აღმოჩნდა, რომ „რალაც მთლად ისე არ არის“. სწორედ რომ, „რალაც“ სიმართლე არის, მაგრამ დამახინჯებულად, სახეცვლილებით – არეული დროში, ადგილზე, ერთმანეთში... ფაქტი არ არსებობს, მტკიცებულებად კი რალაცას გვაზეპირებინებენ „ვილაცები“ მხატვრული, დოკუმენტური თუ უბრალოდ, მრავლისმომცველი შემეცნებითი ხასიათის ფილმებიდან ან წერილობითი „ნაღვანიდან“, რაც შემდეგ პირუკუ, ფაქტად მოგვყავს...

მამა ავთანდილის მიერ ახსნილ მელქისედეკიანობას მივყვით და ქრისტეს შობასთან მივიდეთ. „სახარებაში“ მითითებული არ არის იესო ქრისტეს დაბადების ზუსტი თარიღი კი არა,

ნელინადის დროც კი. საუბარია, მწყემსებზე, რომლებიც ამ დროს ღამეულ ფარას მწყემსავდნენ, ანუ უნდა ვიგულისხმოთ რომ იესოს დაბადება ზაფხულში მოხდა, მაგრამ საიდანლაც გვაქვს ზუსტი თარიღი – 25 დეკემბერი. ეს ის დროა, როცა უკვე არიან როგორც ქრისტეს დაბადების მომლოდინეები (ძირითადად ქალაქის მცხოვრებლები), ისე მათი მონინაალმდეგეებიც, ეს უკანასკნელნი – უდიდესი უმრავლესობით და დევნიდნენ კიდევ ქრისტიანებს. ქრისტიანობა, ანუ ქრისტეს მიმდევრობა ქადაგებით, ანუ იდეოლოგიით უნდა გაზრდილგავრცელებულიყო და ისეთნაირად, რომ ამ ახალი რწმენის (ფაქტობრივად ძველის, ახალი ფორმით, განსხეულებული ღმერთის ეგიდქვეშ) ხსნის მომტანი ჭეშმარიტება წარმოჩენილიყო.

იმ დროს „მზის დაბადებას“ ზეიმობდნენ და სწორედ ამ დროს დაიწყეს ქრისტეს მიმდევრებმაც (ქრისტიანებმაც) იესოს შობის აღნიშვნა, როგორც ნამდვილი, სულიერი მზის დაბადება, სამყაროში სინათლის შემოსვლის აღნიშვნა. დღესაც ვისმენთ საგალობელში: „შობამან შენმან, ქრისტე, ღმერთო ჩვენო, ამოუბრწყინა სოფელს ნათელი გონებისა... გვასწავლა ჩვენ თაყვანისცემა შენი, მზისა ჭეშმარიტებისა...“ ანუ, ქრისტიანობამ „ლამაზად“ მიიღო მთელი ქრისტიანობამდელი კულტურისთვის ჩვეული „მზის თემა“, როგორც სინათლის, სიცოცხლის დასაბამისა და იგი ქრისტეს მიმართ თავისი რწმენის გამოხატულებად აქცია. ამრიგად, ქრისტეს შობის დღესასწაული იმის აღსრულება გახდა, რასაც მანამდე ზეიმობდნენ ე.წ. „წარმართები“. ყველაფერს, რასაც ადამიანი მზის თაყვანისცემაში გულისხმობდა, რომ ის სამყაროს საზრისის მქონე, სინათლის მატარებელი, გონიერი და ღვთაებრივია, ქრისტიანობამ სახელი დაარქვა – ქრისტე! (სხვათაშორის, ქრისტიანული იდეების „წარმართულთან“ გაიგივებისა, წარმოიშვა მე-18 საუკუნეში ვოლნიეს მიერ) მზის რელიგიის მთავარი დღესასწაული ე.წ. ზამთრის ბუნიობის, მზებუდობის, ანუ დეკემბრის ბოლო დღეები იყო, როცა დედამიწასთან ყველაზე დიდი მანძილით დაშორების შემდეგ, მზე კვლავ იწყებს მოახლოებას და შესაბამისად, იმატებს სითბო და სინათლე, ჩნდება ახალი სიცოცხლე და დაიწყო ახალი რელიგიური ეპოქის დასაწყისი თარიღით 25 დეკემბერი. მზის თაყვანისცემა იყო ქრისტიანობის მთავარი მოქიშპე...

რაც შეეხება „აღდგომის იდეას“, ის მომდინარეობს არა რომელიმე მითოლოგიიდან, არამედ კიბელეს ხუთდღიანი რიტუალიდან, რომელიც 22 მარტიდან 27 მარტამდეა.

**„რეა-კიბელე – ნაყოფირების ფრიგიული ქალღმერთი, რომლის კულტი მცირე აზიიდან საბერძნეთში გადავიდა“ – ასეა განმარტებული და არსად არავინ ახსენებს, რომ რეა-კიბელე ეს არის კოლხური დედა-ღვთაება, ნანა. ფრიგია კოლხ-მესხთა ქვეყანა იყო. დედა-ღვთაება, ნანა, იგივე რეა-კიბელე, ფრიგიული ღვთაებაა. მხატვრები ზოგჯერ მედეასაც ფრიგიული ქუდით ხატავდნენ. ფრიგია ძველი კოლხეთის ერთ-ერთი კუთხე იყო. ერთი ცივილიზაცია ჰქონდა დღევანდელ სამეგრელოს, გურიას, ლაზეთს, მთელ თურქეთის ტერიტორიას, ჩრდილოეთ ეგვიპტეს, კრეტის ხალხებს (ბერძნებს)... ისიც დამტკიცებულია, რომ მეფე აიეტს თესალიის (დღეს საბერძნეთის) ტერიტორიაზე ჰქონდა სამეფო და შემდეგ გადმოიტანა კოლხეთში...**

ვისი წამხედურებითა და ვინ დაიბადა 25 დეკემბერს, რაო, რა საერთოს გამონახვა უნდათ ვილაცებს?

„რალაც“ შედარებისთვის ერთად გამოსახვენ ღვთისმშობელ იზიდას ყმანვილი ჰორუსით ხელში და ღვთისმშობელ მარიამს ყრმა იესოთი ხელში. განმარტება კი ასეთი ერთვის „იესოც და ჰორუსიც 25 დეკემბერს დაიბადნენ და ორივე ქალწულებისგან“.

იზიდა, რა-ს შვილიშვილი – ოსირისის მეუღლეს ქალწულებრივად არ ჩასახვია ჰორუსი, პირიქით... თუ იზიდას დაფენძიმების ლეგენდას მიყვებით, საქმე ასე იყო – მას შემდეგ, რაც სეთმა ოსირისი დაანანევრა 14-ნაწილად, იზიდამ და ოსირისის დამ მოაგროვეს ეს ნაწილები და შეაერთეს, თუმცა ერთი ნაწილი აკლდა – სასქესო ორგანო, რომელიც თევზებმა შეჭამეს. იზიდამ სასქესო ორგანოს მსგავსი გამოძრწა თიხისგან (მეორე ვერსიით – ხისგან), მიამაგრა საჭირო ადგილზე, დაამყარა მასთან სექსუალური აქტი და ასე ჩაისახა ჰორუსი. მეორე და უმთავრესი – ჰორუსის შობას ეგვიპტელები აღნიშნავდნენ აპრილში.

ღვთაება მიტრა ასეა განმარტებული: „დაიბადა 25 დეკემბერს უმანკო ჩასახვით. ის არის მზის სპარსული ღვთაება. მას მესიასაც უწოდებენ და 12 მონაფე ჰყავდა. მიტრამ კაცთა

ცოდვები საკუთარ თავზე აიღო და მას შემდეგ, რაც მოკლეს, აღდგა. აღდგომის შემდეგ მას თაყვანს სცემდნენ. მიტრას კულტი სცნობს ზიარებისა და ნათლობის ლიტურგიებს“.

მიტრას წარმოშობასთან (არავითარი შობა!) დაკავშირებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ წარმოიქმნა კლდისგან. არანაირი ფრაგმენტი არ არსებობს იმისა, რომ მიტრას ჰყავდა 12 მონაფე და იყო რისამე მასწავლებელი (მოდღვარი). მხოლოდ ერთ რელიეფზეა გამოსახული 12 ზოდიაქოს ნიშანი და არა მონაფეები. ასევე, არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმისა, რომ მიტრა ჯვარს აცვეს და გარდაიცვალა. ლეგენდის მიხედვით, როდესაც მიტრამ თავისი მისია შეასრულა, გამართა დიდი ნადიმი ღმერთებისთვის და შემდეგ ცეცხლოვანი ეტლით აფრინდა ცაში. აქვე აღვნიშნოთ, რომ არსებობს ერთი მონუმენტიც, სადაც გამოსახულია მიტრას შობა მწყემსების გარემოში, მაგრამ ეს მონუმენტი დათარიღებულია ჩვ. წ. აღ-ით IV საუკუნეში.

ადონისის (ფრიგიის ყურის მოსახლეობისთვის – ატისი) შესახებ ვკითხულობთ – სამყაროს მოევლინა ქალწული დედისგან. ის აწამეს ტყეში, ფიჭვის ძირში 24 მარტს და აღდგა 25-ში. ატისის კულტის აუცილებელი რიტუალია ზიარება და ნათლობა.

რაც შეეხება ატისს (ადონისს), ის სრულებითაც არ იყო ღვთაება და არც ეთაყვანებოდა ფრიგიის (ძველი კოლხეთის სამფლობელო) ყურის მოსახლეობა. ის იყო ჭაბუკი, რომელიც შეუყვარდა ქალღმერთ რეა-კიბელეს. რაც შეეხება ატისის სიკვდილს, რამდენიმე ვერსია არსებობს. ლეგენდის მიხედვით, როდესაც ატისმა მოკვდავი ქალი ამჯობინა ქალღმერთს, განრისხებული კიბელე ქორწილში გამოჩნდა და ყველა გადაიყვანა ჭკუიდან. გადარეული ატისი მთაში გაიქცა და თავი მოიკლა. მისი მოსაგონებელი დღესასწაულები თვით კიბელემ დაანწესა. ერთ ვერსიაში, ატისი ნაძვად გადაიქცა; ერთი ვერსიით – ნაძვის ხის ქვეშ კასტრაცია გაიკეთა და თავი მოიკლა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ისტორია იქნება, მითოლოგია თუ სხვადასხვა ე.წ წყარო, სიყალბე იმდენია, რამდენიც გნებავთ, **თუმცა უმნიშვნელოვანესი მსოფლიო გაყალბება სახეზეა ძველი კოლხური ცივილიზაციის დაფარვით, მიჩქმალვით, მოსპობით და საერთოდ, ყველანაირი სახით, რაც-კი მსოფლიო მასშტაბის მავნებლობაზე მეტია...**

იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოთქვა პეტრე ქორაკიძე-ჭალადიდელი (ამონარიდი): – „ვინ მოიპარა საქართველოს ოთხი ათასწლოვანი ისტორია?“ დიახ, რა თქმა უნდა, ისე კარგად და ლამაზად მოგვპარეს, მეტი რომ არ შეიძლება და ალბათ, უნდა მოპარულიყო კიდევ. ზურაბ რატიანი ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძვის იმისთვის, რომ ერს თავისი მოპარული ისტორია დაუბრუნდეს, რომელიც ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა დაწერეს – სამმა წმინდა მთის წმინდა მამამ. ესენი ერის მნათენი არიან. მათ გაგვინათეს სიმართლე, თუ როგორი იყო ქართველთა წარმოშობა, მაგრამ ბევრისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა.

ჩვენნაირი ისტორიის ერი მეორე არაა. არც ძველ ეგვიპტეს, არც ძველ რომს, არც ძველ საბერძნეთს მსგავსი ისტორია არ ჰქონია და რა თქმა უნდა, ეს ისტორია უნდა დამალულიყო, რათა ერს საკუთარი წარმომავლობა არ გაეგო.

## საგვინალო კრამიტები და მათი წარმოება კველ ვანში

ვანში აღმოჩენილ უამრავ მასალათა შორის, არქეოლოგიური გათხრების ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით გამოვლინდა კრამიტი. კრამიტს, როგორც სამშენებლო მასალას, მთელი ელინისტური პერიოდის განმავლობაში ფართოდ იყენებდნენ ძველ ვანში.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე კრამიტის წარმოების ნაშთები არ არის აღმოჩენილი, მაგრამ სავარაუდოა, ის, სადღაც შორიანლო იყო, ვინაიდან ვანი წარმოადგენდა კრამიტისა და სხვა კერამიკული წარმოების საკმაოდ დიდი მოხმარების ცენტრს.

ვანში კრამიტის წარმოებისა და მოხმარების ისტორია შეიძლება ორ პერიოდად დავყოთ: პირველი პერიოდი – ძველი ნელთალრიცხვის მე-4 საუკუნის მეორე ნახევარი, ძველი ნელთალრიცხვის მე-3 საუკუნის პირველი ნახევარი. მეორე პერიოდი – ძველი ნელთალრიცხვის მე-3 საუკუნის შუა წლები. ამ პერიოდში კრამიტები უმეტესად მშენებლობისათვის გამოიყენებოდა, მაგრამ დაბლა გომში აღმოჩნდა სამარხები, რომელიც სინოპური ბრტყელი კრამიტით იყო გადახურული.

საინტერესოა კრამიტის წარმოების საკითხი. არქეოლოგიურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ კრამიტის ზომები დროთა განმავლობაში თანდათან მცირდება, მაგრამ ეს შემცირება არ არის გამოწვეული, როგორც ეს ადრე ეგონათ, სახურავის შემსუბუქების მიზნით.

თანამედროვე კრამიტის წარმოებით ვიცით, რომ ასეთი კრამიტი უფრო მოსახერხებელია მშენებლობისათვის, მაგრამ, რაც უფრო მეტია კრამიტის ფართობი და ნაკლები მისი სისქე, მით უფრო ძნელია მისი დამზადება. აქედან დასკვნა – ვანში აღმოჩენილი დიდი ზომის კრამიტები უფრო მოსახერხებელია მოხმარებისათვის, სამაგიეროდ ძნელია მისი წარმოება.

კრამიტის წარმოების ტექნოლოგია მაშინდელ მსოფლიოში ერთნაირი უნდა ყოფილიყო. ელინისტურ ეპოქაში ერთი ცალი კრამიტის ღირებულება დაახლოებით ერთი ობოლიდან სამ დრაქმამდე მერყეობდა. კვლევების გათვალისწინებით, წელიწადში მარტო ერთი ხელოსანი 200-300 კრამიტს ამზადებდა, ამიტომ დიდი მშენებლობა მეკრამიტეს არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა, საჭირო იყო საწარმოო ძალთა კოოპერირება.

ვანის ტერიტორიაზე მდებარე „დიდი ტაძრის“ ერთი ნაწილი ბრტყელი კრამიტით იყო გადახურული, ღარისებრი კრამიტის რაოდენობა უმნიშვნელოა. ამ კომპლექსში აღმოჩენილი კრამიტების რაოდენობის დასადგენად დაითვალეს აკეცილი გვერდის თავის და ბოლოს ფრაგმენტები. სულ აღმოჩნდა მარცხენა აკეცილი გვერდის თავის – 107, ბოლოს – 128, მარჯვენა აკეცილი გვერდის თავის – 127, ბოლოს – 135, გარდა ამისა ბრტყელი კრამიტის 44 ნიშნიანი ფრაგმენტი. ნაგებობის შესასწავლი ნაწილი 150 კვ. მ ფართობისა იყო, რომლის გადასახურად 600 ბრტყელი კრამიტი იქნებოდა საჭირო (1კვ.მ-ზე 4 კრამიტი). შენობის ეს ნაწილი ძალიან დაზიანებული იყო, ამიტომ კრამიტის დიდი ნაწილი აქ არ დაფიქსირდა. გამოთვლებით დადგინდა, რომ შენობა 490 ერთნაირ ნიშნიანი კრამიტით იყო გადახურული. მეორე ნაწილი გადახურული იყო ბრტყელი კრამიტით. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაგებობა ორი ხელოსნის ნაწარმით იყო გადახურული. მათ შეეძლოთ დამზადებინათ დაახლოებით 500 ცალამდე კრამიტი. გარდა ამისა მათ, როგორც ჩანს, ჰყავდათ დამხმარე პერსონალიც, ამიტომ შრომის ნაყოფიერებაც უფრო მაღალი იქნებოდა.

ვანში აღმოჩენილი კრამიტები თავისი წარმოშობის ადგილის მიხედვით შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:



1 – ადგილობრივი კოლხური კრამიტი, 2 – სინოპური კრამიტი და 3 – არაიდენტიფიცირებული სანარმოო ცენტრი.

კოლხური კრამიტი წარმოადგენს თიხის სწორფერდა ფილას აკეცილი გვერდებით. კრამიტის კეცი ყავისფერია, ასეთი კრამიტები აღმოჩენილია ვანის ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე: დაბლა გომი, ამაღლება, მთისძირი, საყანჩია, აგრეთვე კოლხეთის სხვა ტერიტორიებზე: ნოქალაქევი, ეშერა, გეგუთი, საყულია და სხვა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ კოლხური კრამიტი სინოპური კრამიტის მიბაძვითაა დამზადებული.

ვანში აღმოჩენილი კოლხური კრამიტები ორ ჯგუფად იყოფა: დამლიანი და ნიშნიანი. ერთ ფრაგმენტზე დატანილია როგორც დამლები, ასევე ნიშანი. განვიხილოთ ყველა ეს სახეობა ცალ-ცალკე.

დამლები დატანილია ბრტყელ კრამიტზე. დამლები ორნაირია – დიდი და მცირე. დიდი ზომის დამლა დაიტანებოდა კრამიტის თავთან, მცირე ზომის დიდი დამლის პერპენდიკულურად. დამლები შეიცავენ ბერძნულ წარწერებს. (მაგ. სახელები „ორაძო“ და „მელაბრესი“). ეს სახელები არ გვხვდება ბერძნული სახელების ონომასტიკონში. მეცნიერი გ. გამყრელიძის მოსაზრებით, ეს კრამიტები ადგილობრივად არის დამზადებული. წარმოების თარიღად იგი ჩვ. წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეს მიიჩნევს. სახელი „მელაბრესი“ მისი აზრით მეფეს უნდა ეკუთვნოდეს. მკვლევარი რუსუდან ფუთურიძე არ იზიარებს ამ მოსაზრებებს და მას მეფის მოხელედ მიიჩნევს. ასეთი სამეფო დამლიანი კრამიტები 48 ცალი იქნა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარზე. აქედან ნაწილს შემორჩა ორ-ორი დამლა, ორი დამლა. ნიშნიანი და დამლიანი კრამიტები ერთ სანარმოო ცენტრს განეკუთვნებოდა. ამ კრამიტზე დასმული ნიშანი მისი უშუალო დამამზადებლის მეთუნესი უნდა იყოს, დამლაზე კი მეფის მოხელის სახელია მოხსენიებული. ამ კრამიტის წარმოება ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნის პირველი ნახევრით შეიძლება დათარიღდეს. დამლებში მოხსენიებული სახელები შეიძლება არც კი იყოს სრულად დაწერილი. განსაკუთრებით კი, ეს ეხება მცირე ზომის დამლაზე შესრულებულ წარწერებს.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნიშნიანი კრამიტის დიდი ნაწილი მითრიდატე პონტოელის მიერ კოლხეთის დაპყრობის ხანაში უნდა იყოს დამზადებული. ასეთი კრამიტით იყო გადახურული „დიდი ტაძარი“. ამ კრამიტებზე ორი ძირითადი ნიშანი იყო დასმული.

ნიშნიანი კრამიტის წარმოება ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნის შუა წლებიდან, ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის შუა წლებამდე მიმდინარეობდა. კრამიტზე დატანილი ნიშნები ხელოსნის ნიშნებია. ვანის ნაქალაქარზე გვხვდება სხვადასხვა ასეთი ნიშნიანი კრამიტები. კრამიტებზე ნიშნების შეცნობას მიუძღვნა ნაშრომი პროფესორმა გურამ ყიფიანმა. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ნიშნები შეიცავენ ასტანდარტს. მასში იგულისხმება კრამიტის თვისებები, განზომილებათა ერთობლიობა და მოდულთან დამოკიდებულება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვანის ნაქალაქარზე ადგილობრივ დამზადებულ კრამიტთან ერთად აღმოჩენილია სინოპში დამზადებული კრამიტი, სულ 22 ცალი. მისი შემოტანა კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში იწყება. კრამიტი წარმოადგენდა ოთხკუთხა ჩარჩოში გაკეთებულ წარწერას, რომელიც შეიცავდა ასტრონომის დასახელებას და საკუთარ სახელს. სინოპური კრამიტის დამლები ძირითადად აღმოჩენილია ვანის გათხრების ცენტრალურ ტერასაზე. სინოპური კრამიტებით იყო გადახურული სამარხებიც.

სინოპური კრამიტების დამლებს ექვს ქრონოლოგიურ ჯგუფად ყოფენ. მკვლევარმა ფედოსეევმა უარი თქვა ასტრონომთა დამლების ქრონოლოგიურ დაყოფაზე და გამოყო 164 ასტრონომი. პროდუქციის დასაწყისად ძველი წელთაღრიცხვის 365 წლის ბოლო მიიჩნია.

არაიდენტიფიცირებული სანარმოო ცენტრის კრამიტი ძირითადად ორი ტიპის კრამიტით შემოიფარგლა. პირველ ჯგუფში გაერთიანებულია დამლიანი ბრტყელი კრამიტის ფრაგ-

მენტები, ხოლო მეორეში – ბრტყელი ღარისებური კრამიტის ფრაგმენტები, რომლებსაც დამლა არ გააჩნიათ და პირველისაგან თიხის შემადგენლობით განსხვავდებიან.

დამლიანი ბრტყელი კრამიტების თიხის შემადგენლობა ისეთივეა, როგორც ადგილობრივი კრამიტი. ეს კრამიტები საკმაოდ დამახასიათებელია ბერძნული სამყაროსათვის. კერძოდ, ბრტყელ კრამიტს ზედაპირზე გარდიგარდმო ქედი მიუყვება, ღარისებური კი დანახნაგებულია, კეცი ნაცრისფერია. ზედაპირზე წითელი საღებავის კვალიც შეიმჩნევა. აშკარაა, რომ კრამიტები იმპორტს განეკუთვნება. არაიდენტიფიცირებული საწარმოო ცენტრის კრამიტის წარმოების თარიღის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ვანში აღმოჩენილ კრამიტებზე კვლევები კვლავ მიმდინარეობს.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- დ. ახვლედიანი – „კრამიტი ვანის ნაქალაქარიდან“.
- გ. გამყრელიძე – „ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარი“.
- გ. ყიფიანი – „ნიშანთა ფუნქციის შეცნობისათვის კოლხურ და იბერიულ კრამიტებზე“.

## კრებულ „მატიანეს“ რედაქციისაგან

არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამოვიდა პოლიტოლოგ არჩილ ტაკიძის საინტერესო ნაშრომი „სტალინი“ – დაფუძნებული დოკუმენტურ მასალათა და იმ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, რომელიც მკვლევარს, დაუგროვდა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პროცესში და ხელიც მიუწვდებოდა მათზე. წიგნის რედაქტორ-რეცენზენტებიც, უმაღლესი რანგის მეცნიერები, პროფესორები არიან და მათ მიერ დადებული შეფასებები მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია.

ამჟამად, კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგია მკითხველს თავაზობს ამ წიგნიდან ამონარიდს, „ებრძოდა თუ იცავდა სტალინი რელიგიას?“ ჩვენ კი უდიდეს მაღლიერებას გამოვხატავთ ან გარდაცვლილი ავტორის მიმართ, რომ ასეთი „ტაბუდადებულობის“ პირობებში შესანიშნავი ნაშრომი დაუტოვა ქართველ განათლებულ საზოგადოებას.

**არჩილ ტაკიძე** – პოლიტოლოგი

### ებრძოდა თუ იცავდა სტალინი რელიგიას?

სტალინის რელიგიასთან დამოკიდებულების საკითხი წინა პლანზე წამოიწია მისი გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ. ეს მეტად მნიშვნელოვანია სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი ფენომენის შესწავლისა და სწორად გააზრებისათვის. ეს არის სტალინზე არსებული წარმოდგენების გადატრიალება. მანამდე იგი ყველას მიერ აღიქმებოდა, როგორც მებრძოლი ათეისტი, რომელიც სხვა ბოლშევიკ რევოლუციონერებთან ერთად არბევდა და ანადგურებდა ეკლესიებსა და ღვთისმსახურებას.

უკანასკნელ პერიოდში აღმოჩენილი საარქივო დოკუმენტები და მასალები უცილობლად ადასტურებენ, რომ სტალინისადმი წაყენებული ბრალდებები იმის შესახებ, რომ თითქოს ის რელიგიის მოძულე და ერთპიროვნული დიქტატორი იყო, არ შეესაბამება სინამდვილეს. სხვა საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობისგან განსხვავებით, იგი მართალია ათეისტი იყო, მაგრამ რელიგიას შემწყნარებლურად უყურებდა. მას ესმოდა რელიგიისა და ეკლესიის მნიშვნელობა საზოგადოების, ხალხის, ქვეყნის ცხოვრებაში და ბევრს აკეთებდა იმისათვის, რომ სახელმწიფოში სინდისის თავისუფლება უბრალო დეკლარაციად კი არ დარჩენილიყო, არამედ პრაქტიკულად განხორციელებულიყო.

პროფესორ ვახტანგ გოგუაძის თქმით, სტალინი მკაცრი საიდუმლოებით იცავდა ათეისტიური სახელმწიფო მეთაურის გარეგნულ სახეს. იგი ყველასათვის იგულისხმებოდა როგორც ათეისტი. ახლა ცხადი ხდება, რომ სტალინი ერიდებოდა ქმედით ანტირელიგიურ ღონისძიებებს, მორწმუნეებისა და ღვთისმსახურების მიმართ მკვეთრ გამოთქმებს. კიდევ მეტი, მან იხსნა ეკლესია და ეკლესიის მეშვეობით ააღორძინა ეროვნული სული, სამშობლოს სიყვარული, ნამდვილი პატრიოტიზმი, რამაც დიდი როლი შეასრულა ფაშიზმზე გამარჯვებაში“ (ვ. გოგუაძე, სტალინი და საშინელი სამსჯავრო, თბილისი, 2007, გვ. 41-42).

რელიგიისადმი სტალინის ამგვარ დამოკიდებულებას ბევრი იმით ხსნის, რომ სტალინს სასულიერო, კერძოდ, სემინარული განათლება ჰქონდა. ზოგი იმასაც კი ამტკიცებს, სტალინი მორწმუნე იყო და ათეიზმს ფორმალურად აღიარებდაო. ასეთი მსჯელობა, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამება. რელიგიისა და ეკლესიისადმი მისი დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, ნაკარნახევი იყო მისი ფართო პოლიტიკური დიაპაზონით. ის მთელი საბჭოთა ხალხის კონსოლიდაციისათვის იბრძოდა, ამ მიზნის განხორციელება კი მორწმუნეთა და ურწმუნოთა შერიგებისა და გაერთიანების გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომაც, სტალინმა ეკლესია და რელიგია ხალხისა და სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენა.

ფაქტები და დოკუმენტები თვალნათლივ მოწმობს, რომ იგი ეკლესიას მხარს უჭერდა 20-იანი წლების დასაწყისში, როცა ვ. ი. ლენინის მითითებით, ტროცკის, ზინოვიევის, კამენევისა და რელიგიასთან სხვა მებრძოლების მცდელობით, ქვეყანაში ტაძრებს, ეკლესიებს არბევდნენ, ხოლო რელიგიური პროპაგანდა კონტრრევოლუციურს უთანაბრდებოდა და მკაცრად ისჯებოდა. ასეთ პირობებში, 1923 წლის 16 აგვისტოს, პარტიის საგუბერნიო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტის მდივნებს დაეგზავნათ ცირკულარული წერილი პარტიის ც. კ-ის გენერალური მდივნის – სტალინის ხელმოწერით, რომელიც მათ ავალდებულებდა, „საგანგებო ყურადღება მიაქციონ ზოგიერთი ორგანიზაციის მიერ მორწმუნეთა და მათი კულტის მიმართ დაშვებულ მთელ რიგ სერიოზულ დარღვევებს“. ამ ცირკულარით სტალინი მკაცრად მიუთითებდა: „1. აიკრძალოს ეკლესიების დახურვა, ხოლო იქ, სადაც ამას ადგილი ჰქონდა, დაუყოვნებლივ გაუქმდეს. 2. აიკრძალოს სალოცავი შენობების ლიკვიდაცია და მათი გადაქცევა სანყოფემად ან სამეურნეო მნიშვნელობის სხვა ადგილებად. 3. აიკრძალოს რელიგიური ხასიათის დაპატიმრებები, თუ ისინი პირდაპირ არ უკავშირდება ეკლესიის მსახურთა და მორწმუნეთა კონტრრევოლუციურ ქმედებებს“.

საგულისხმოა, რომ სტალინის ასეთი პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი დირექტივა ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს დაეგზავნა ლენინის სიცოცხლეში, როცა მოქმედებდა მითითება საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ფ. ძერჟინსკისადმი, რომელიც ავალდებულებდა მას, „რაც შეიძლება სწრაფად მოელო ბოლო ხუცებისა და რელიგიისათვის“. ამასთან, ილიჩი გადაჭრით მოითხოვდა, „დაეპატიმრებინათ მღვდლები, როგორც კონტრრევოლუციონერები და საბოტაჟის მომწყობები, უმოწყალოდ დაეხვრიტათ და რაც შეიძლება მეტი“. ეკლესიებთან დაკავშირებით მისი განკარგულება ასეთი იყო: „ეკლესიები დახურვას ექვემდებარება. ტაძრების შენობები დაილუქოს და სანყოფემად გადაკეთდეს.“

როგორც ვხედავთ, ლენინისა და სტალინის მითითებები რელიგიისა და ეკლესიებისადმი დამოკიდებულებაში დიამეტრალურად განსხვავებული იყო, რაც რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. პოლიტიუროს ერთ-ერთ სხდომაზე სტალინს მოსთხოვეს ახსნა-განმარტება მიეცა ადგილზე დაგზავნილი, თავისი ცირკულარული წერილის შესახებ. სტალინმა მშვიდად განმარტა, რომ რელიგიასთან და სასულიერო პირებთან უხეში ბრძოლა დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში ცუდ რეაქციას იწვევს ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ. ამასთან ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მორწმუნეთა და რელიგიისადმი უსულგულო დამოკიდებულება მათ განაწყენებს გამოიწვევსო. ისტორიული დოკუმენტები, საარქივო მასალები და მეცნიერთა გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეკლესიებისა და ტაძრების ნგრევა, ღვთისმსახურთა დაპატიმრება, დახვრეტა, წამება და ეკლესიების ძარცვა მთლიანად ებრაელი ლ. ტროცკის გეგმით, ხელმძღვანელობითა და კონტროლით ხორციელდებოდა. სტალინი არათუ არ იზიარებდა ტროცკის ანტიქრისტიანულ იდეებს, არამედ ებრძოდა მათ, შეძლებისა და ისტორიული პირობების გათვალისწინებით მხარს უჭერდა მართლმადიდებლურ ეკლესიას, ამით კი – საერთოდ ეკლესიების საქმიანობის განახლებას, განმტკიცებასა და კონსოლიდაციას.

როგორც ცნობილია, პეტრე პირველის რეფორმებმა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ფაქტობრივად რუსეთის სახელმწიფოს მუხრუჭების ქვეშ მოაქცია, გადაიქცა მის ერთ-ერთ სტრუქტურულ დანაყოფად, ახორციელებდა მის დაკვეთებს და მორწმუნეთა კურსს, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა უფლებებს, ღირსებასა და თავისუფლებას.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რუსულმა ეკლესიამ თავი დააღწია სახელმწიფოს დაქვემდებარებას, მაგრამ მისდამი ხელისუფლების მტრულმა დამოკიდებულებამ, სხვადასხვა საეკლესიო დაჯგუფებების ურთიერთდაპირისპირებამ, პატრიარქ ტიხონის დევნამ და დაპატიმრებამ, უდიდესი ზიანი მიაყენა რუსულ ეკლესიას, როგორც ეკონომიკურად, ისე ორგანიზაციულად, ფაქტიურად ჩამოაშორა ის ეროვნულ საქმეს.

მართალია, სამოქალაქო ომის დროს ეკლესიამ მთლიანად მხარი დაუჭირა თეთრგვარდიე-

ლებს, რითაც საბაბი მისცა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ 1917-1929 წლებში საკმაო სიმკაცრე გამოეჩინა ეკლესიისადმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „სახელმწიფოს ღმერთმებრძოლობა საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა იყო. ამასთან დაკავშირებით სტალინის გამოცდილება განსაკუთრებით აქტუალურია სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმეში“ – წერს მღვდელი დიმიტრი დუშკო, რომელმაც პატრიარქების – სერგისა და ალექსის მსგავსად, სტალინს „ღვთითობოძებული ბელადი“ უწოდა. მან 1995 წელს დაწერა: „ღიას, სტალინი ღმერთმა მოგვცა“.

„გენერალსიმუსის“ ორტომეულის ავტორი, ცნობილი მწერალი ვ. კარპოვი დოკუმენტებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ ლენინური ანტირელიგიური დოკუმენტების მომზადება, მათი ხელმოწერის ორგანიზაცია და განხორციელება იუდა ტროცკის სიონისტური პოზიციებიდან მოხდა. მართალია, ამ დოკუმენტების ადრესატი რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ფ. ძერჟინსკი იყო, მაგრამ მის შესრულებაზე კონტროლი სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს, ანუ ლ. ტროცკის ევალეზობდა. საგულისხმოა, რომ ამ კომისარიატის შემადგენლობაში 43 კაციდან 34 ებრაელი, 8 ლატვიელი და ერთი გერმანელი იყო. რუსეთის კომისარიატი რუსის გარეშე ! გასაგებია, თუ როგორ დაიცავდა იგი რუსი ხალხისა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესებს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები უსაშინელესი პერიოდი იყო ქრისტიანობის დევნის მთელ ისტორიაში. ლ. ტროცკი 1922 წლის 30 იანვრის, 11 მარტისა და სხვა წერილებით პარტიის ც. კ-ის პოლიტიბიუროსაგან დაჟინებით მოითხოვდა საეკლესიო ფასეულობათა ამოღებას. ტროცკის ხელმძღვანელობით დაიწყო ეკლესიების გაუფონარი ძარცვა, ღვთისმსახურების მასობრივი დაჭერები და დახვრეტები. მარტო 1922-1923 წლებში მოეწყო 500-ზე მეტი სასამართლო პროცესი. რეპრესიების შედეგად 320 ათასი მღვდელმსახური დაიღუპა (!?)

რუსი მწერალი ვ. უსპენსკი ნიგნში „ბელადის საიდუმლო მრჩეველი“ წერს, რომ „ათასობით სასულიერო პირი განადგურებულ იქნა ფიზიკურად, მათ შორის, მონაზონი ქალები. ვის სინდისზეა ყოველივე ეს? პასუხისმგებლობა ეკისრებათ ლენინს, სვერდლოვს, ტროცკის და მათ უახლოეს დამქაშებს. მსგავს საშინელებებთან სტალინს დამოკიდებულება არ ჰქონდა. (ვ. უსპენსკი, „ბელადის საიდუმლო მრჩეველი“, ნან. 2, გვ. 496, რუსულ ენაზე).

1923 წელს ლ. ტროცკი კრემლის დიდებული სამონასტრო კომპლექსის დანგრევას ცდილობდა, რასაც სტალინმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია.

1922 წლის 26 აპრილს ქ. შუეში, ლ. ტროცკის მითითებით უნდა დაეხვრიტათ 24 სასულიერო პირი. სტალინთან მოლაპარაკების შემდეგ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ი. კალინინმა ამ განკარგულებას ვეტო დაადო და ისინი დახვრეტას გადაურჩნენ. ტროცკიმ კალინინის უდისცაპლინობის საკითხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროში დააყენა და საკითხის განხილვის დროს სტალინს ნიშნის მოგებით ჰკითხა: „ნუ გრუზინ, ჩტო სკაჟემ?“ – ღირსია, იხუმრა სტალინმა, ჭკუა რომ ჰქონოდა ამხელა კაცს, ბოლშევიკურ პარტიაში რა უნდოდაო“ (ყურნალი „თბილისელები“, №20, 2008 წ).

ტროცკიმ თავისი მიზნებისთვის გამოიყენა ახლადშექმნილ ქვეყანაში ხალხის მასობრივი შიმშილობა და შეთხზა ეკლესიებიდან ოქრო-ბრილიანტის და სხვა ძვირფასეულობების ამოღებით შიმშილობის დაძლევის ლეგენდა, რომლის შედეგად დაიტაცეს დიდძალი საეკლესიო ქონება, ძვირფასი ხატები, ჯვრები, სინმინდეები, ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი და სხვა. ნაძარცვი თანხა არ მოხმარებია შიმშილობის დაძლევის, მისი დიდი ნაწილი ტროცკიმ მიითვისა, მნიშვნელოვანი ნაწილი კი უცხოეთში გაიგზავნა. 1923 წელს ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა, რომ მხოლოდ ამერიკაში რუსეთიდან 460 მილიონი დოლარის ოქრო შევიდა, აქედან 102,9 მილიონი დოლარი მიიღო „კუნ, ლებ და კოს“ ფირმამ, რომლითაც სიონისტური ბოსები ტროცკის ბატონებს – გიფსა და ვარბუგს აფინანსებდნენ.

ტროცკი თვალმაქცურად იყენებდა ლენინის ანტირელიგიურ მითითებებს, რაც აძნელებდა მის წინააღმდეგ რაიმე სახით გამოსვლას. ეს აღიქმებოდა ლენინის წინააღმდეგ გამოსვლად, რომელიც უთუოდ მარცხით (შესაძლოა, სტალინის ფიზიკური განადგურებით) დამთავრდებოდა.

ამის შესახებ სამართლიანად წერს მკვლევარი სერგეი სიმონოვი თავის ნიგნში „სტალინი – ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაკვეთილები“: ...ოცდაათიან წლებში სტალინი ყოვლისშემძლევ რომ ყოფილიყო, ვერ განახორციელებდა ამ დარგში (იგულისხმება რელიგიისა და ეკლესიისადმი დამოკიდებულება) მკვეთრ ცვლილებას. მას ვერ გაუგებდნენ ვერც ცენტრალური კომიტეტის მომხრეები და ვერც პარტიის რიგითი წევრების უდიდესი უმრავლესობა“.

ტროცკის განადგურების შემდეგ სტალინი უფრო აქტიურად მოქმედებდა მართლმადიდებლური ეკლესიის, ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამას ცხადყოფს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 12 სექტემბრის №1013/19 დადგენილება „ეკლესიების ნგრევის აკრძალვისა და პატიმრობაში მყოფი ღვთისმსახურების გათავისუფლების შესახებ“. ამ დადგენილებაში აღნიშნული იყო: „1920-1930 წლების მანძილზე მოსკოვში და მიმდებარე რაიონების ტერიტორიაზე მთლიანად განადგურდა 150 ტაძარი. 300 დარჩენილი ეკლესია გადაკეთდა ქარხნების საამქროებად, კლუბებად, საერთო საცხოვრებლებად, საპატიმროებად, იზოლატორებად და მოზარდთა და უპატრონოთა კოლონიებად.

არქიტექტურული განაშენიანების გეგმებით გათვალისწინებული იყო 500-ზე მეტი დარჩენილი ეკლესიის დანგრევა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ცენტრალურმა კომიტეტმა შეუძლებლად მიიჩნია განაშენიანების დაპროექტება ტაძრებისა და ეკლესიების ნგრევის ხარჯზე, რომლებიც „ძველი რუსული ხუროთმოძღვრების არქიტექტურის ძეგლებია“.

ტროცკიზმის, როგორც იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობის, საბოლოო განადგურებამ სტალინს საშუალება მისცა მიეღო პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 11 ნოემბრის დადგენილება ეკლესიებთან დაკავშირებით, რომელმაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი მართლმადიდებლობის გაძლიერებასა და განმტკიცებას სსრ კავშირში.

დადგენილებაში ნათქვამია: 1. „ამიერიდან მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული სსრკ შინსახკომის პრაქტიკა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა დაპატიმრების ნაწილში, მორწმუნეთა დევნა. 2. ამხანაგი ულიანოვის (ლენინი) 1919 წლის პირველი მაისის №1366-2 მითითება: „მღვდლებთან და რელიგიასთან ბრძოლის შესახებ“, საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ძერჟინსკის და საგანგებო კომისიის გაერთიანებული მთავარი პოლიტიკური სამმართველოს – შინსახკომის ყველა შესაბამისი ინსტრუქცია, რომლებიც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა და მართლმორწმუნეთა დევნას შეეხება – გაუქმდეს. 3. შინსახკომმა ჩაატაროს ღვთისმსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმეებზე მისჯილ და დაპატიმრებულ მოქალაქეთა საქმეების რევიზია და მითითებული მოტივებით მსჯავრდებულებს სასჯელი თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი ზომებით შეუცვალოს, თუ კი ამ მოქალაქეთა საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ზიანი არ მოუტანია.

საკ.კპ.(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს 1939 წლის 11 ნოემბრის №1697/13 დადგენილების მიღებიდან 42-ე დღეს სტალინის სახელზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1939 წლის 22 დეკემბრის №1227 „6“ ცნობაში, რომელსაც ხელს აწერდა სახკომი ლ.ბერია ნათქვამი იყო, რომ პოლიტბიუროს ამ დადგენილების შესასრულებლად გულაგის ბანაკებიდან გათავისუფლებულია სხვადასხვა დროს სასამართლოს მიერ სასჯელმისჯილი 12860 ადამიანი. დაკავებულებიდან გათავისუფლებულია 11223 ადამიანი. სისხლის სამართლის საქმეები მათ მიმართ შეწყვეტილია. დანაშაულისთვის სასჯელს იხდის 50 000-ზე მეტი ადამიანი, რომელთა საქმიანობამ საბჭოთა ხელისუფლებას საგრძნობი ზიანი მიაყენა. ამ მოქალაქეების საქმეები გადაიხედება. სავარაუდოდ, გათავისუფლებული იქნება კიდევ დაახლოებით 15000 ადამიანი.

სამამულო ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე სტალინმა პოსკრებიშევს სთხოვა დაერეკა საპატრიარქოში და გაეგო: „როდის ექნებოდა თავისუფალი დრო კათალიკოს პატრიარქს და რომელ საათებში მიიღებდა სტალინს“. საპატრიარქოდან უპასუხეს: „დიდ სტალინს ნებისმიერ დღეს, ნებისმიერ საათს შეუძლია მოზრძანდესო.“ სტალინი მივიდა საპატრიარქოში და სამღვდლოებას რელიგიური წესისამებრ მიესალმა. მათ გაუკვირდათ ასეთი მისალმება. სტალინმა უთხრა: „მე აქ არ მოვსულვარ იმის გასარკვევად მარქსისტული იდეოლოგია სჯობს თუ თქვენი რელიგიური, ეს ცხოვრებამ გაარკვიოს. ჩემი მოსვლის მიზანია ის რომ, ჩვენ ყველანი

ჩვენი ქვეყნის შვილები ვართ. რამდენიმე დღეში მოსალოდნელია გერმანელი ფაშისტების მხრივ ჩვენს დედასამშობლოზე მოულოდნელი თავდასხმა. თუ ეს მოხდება, გაიმართება არნახული მანამდე გაუგონარი სისხლისმღვრელი ომი. ჩვენს სამშობლოს ეკონომიურად უჭირს, ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ მოვამზადეთ და ვერ აღვჭურვეთ საკმაო საბრძოლო იარაღებით, ტანკებით, თვითმფრინავებით. ვიცი თქვენი პატრიოტული შემართება და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული. უმორჩილესად გთხოვთ სამშობლოს დაეხმაროთ მატერიალურად და ფიზიკურად. ეს იქნება თქვენს მიერ სამშობლოსადმი სიყვარულის გამოვლენა“.

სამღვდელოებამ გამოყო 3 მილიონი მანეთი, დიდძალი ოქრო, ვერცხლი და სხვა ფასეულობანი. ჩამოხსნეს დიდი ზარები ზარბაზნებისა და ტანკებისათვის. ომის შემდეგ სტალინმა მათ დაუბრუნა ყველა ფასეულობანი. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აღინიშნოს, რომ 1961 წლის ზაფხულში ხრუშჩოვმა თავის თანაშემწეს უბრძანა, რომ კრემლში მასთან მოენვია სრულიად რუსეთის კათალიკოს პატრიარქი. გავიდა სამი თვე და კათალიკოს პატრიარქი არ გამოჩნდა. ხრუშჩოვმა გაბრაზებით უთხრა თანაშემწეს რატომ არ შეასრულეთ ჩემი ბრძანება კათალიკოს პატრიარქის კრემლში მოსვლასთან დაკავშირებითო. თანაშემწემ უპასუხა: „თქვენი ბრძანება დიდი ხანია მოვახსენეთ კათალიკოს პატრიარქს, რამდენჯერმე შევახსენეთ, მაგრამ თქვენთან სასაუბროდ არ მოდისო“. განაწყენებულმა ხრუშჩოვმა იკადრა და დაურეკა პატრიარქს და უთხრა: „სტალინს რომ ებრძანებინა კრემლში ხომ ჩოქვით მოხვიდოდითო“. ამაზე კათალიკოს პატრიარქმა უპასუხა: „ნურას უკაცრავად, სტალინს როცა დავჭირდით თვითონ გვეახლა საპატრიარქოშიო“.

საჭიროებისას, სტალინი თავისთანაც ინვევდა მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელებს საჭირობოროტო საკითხების გადასაწყვეტად. ერთ-ერთი ასეთი მინვევის შესახებ ვლადიმერ კარანაძე წერს ჟურნალ „თბილისელების“ 2008 წლის 37 ნომერში: „ომის დაწყების წინ სტალინმა რუსეთის მიტროპოლიტი სერგეი სტაროგონსკი დაიბარა, რომელმაც შეწუხებულმა იკითხა, უნდა გავიპარსო და ისე მოვიდო? როცა სტალინს მოახსენეს, გაიკვირვა: რას ბრძანებთ, ისე როგორც მიტროპოლიტს ეკადრებაო. დანიშნულ დროს ბელადმა ყველა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მიიწვია. უცებ დიდი დარბაზის კარი გაიხსნა და მიტროპოლიტი 12 ეპისკოპოსთან და სხვა სასულიერო პირებთან ერთად შებრძანდა. პარტიული მუშაკები გაოგნებული უყურებდნენ ანაფორაში გამონწყობილ ადამიანებს. საკმევლის დანახვაზე სტალინი წამოდგა, მარცხენა ხელისგულზე მარჯვენა ხელის ზურგი დაიყრდნო დაიხარა და მაღლის მიღების საეკლესიო ლიტურგიული წესი შეასრულა ისე როგორც ჭეშმარიტმა მორწმუნემ. ამ ჟესტის დანახვას მიტროპოლიტი არ ელოდა, აღფრთოვანება ვერ დამალა და მას ღვთისმცემ ნარმოგზავნილი უწოდა. შემდეგ დასხდნენ და ისაუბრეს. სტალინმა მოიკითხა ეკლესია, ბოდიშიც მოიხადა ჯეროვან ყურადღებას ვერ ვაქცევო. ამ შეხვედრის მეორე დღესვე მიტროპოლიტმა სტალინის დასალოცი დღე დაანესა, ომის დროს კი მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა როგორც მატერიალური (დიდი სიმდიდრე შესწირა სახელმწიფოს არმიისთვის), ისე სულიერი და ფიზიკური თვალსაზრისითაც.“

პროფესორი დ. გეგეშიძე წერს: „1941 წლის ზამთარში სტალინმა თავისთან მოიხმო სასულიერო პირები და მათ რეკომენდაცია მისცა, საერთო ლოცვა აღევლინათ ომში გამარჯვებისთვის. როგორც ლეგენდადქცეული გადმოცემა გვაუწყებს თვითმფრინავით მოსკოვს შემოატარეს ტიხვინის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი, რომელმაც იხსნა მოსკოვი, 9 დეკემბერს კი სასწაულის ძალით გაათავისუფლეს ქალაქი ტიხვინი.“

ლენინგრადელების ღრმა რწმენით ქალაქის ბლოკადაში მსოფლიო ისტორიაში არნახული გამძლეობა განპირობებული იყო ყაზანის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატის ძალით. მისმა ლენინგრადში ყოფნამ იხსნა ქალაქი (არც ის იყო შემთხვევითი, რომ ლენინგრადის ბლოკადის გარღვევა მოხდა წმინდა ნინოს ხსენების დღეს).

ამის შემდეგ ყაზანის სასწაულმოქმედმა ღვთისმშობლის ხატმა დაიწყო „მოგზაურობა“ ფრონტის წინა ხაზზე. სტალინგრადის, კალინგრადის და სხვა ფრონტებზე იერიშების დაწყების წინ ტარდებოდა ყაზანის ღვთისმშობლის ხატის წინ საერთო ლოცვა. მკვლევარი თვლის, რომ

ყველაფერი ეს ხდებოდა სტალინის ნებითა და თანხმობით. იგი ხშირად იყენებდა გამოთქმებს: „ღმერთმა ქნას“, „ღმერთმა ინებოს“, „ღმერთმა გვიშველოს“ და სხვა.

სტალინმა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მაღალი პირების თავისთან მიწვევის საჭიროება იგრძნო აგრეთვე ტროცკისტ-ზინოვიეველთა და მართლმადიდებლური სამღვდლოების სხვა მტრების განადგურებისა და ფაშიზმთან სამკვედრო-სასიცოცხლო ომის სასწორის საბჭოთა კავშირის მხარეს გადახრის შემდეგ, როცა საჭირო პირობები მომზადებული იყო რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისადმი საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულების შესახებ „გადამწყვეტი“ გადაწყვეტილების მიღებისთვის.

ჯერ კიდევ 1943 წლის დასაწყისში დაიწყო სტალინსა და მიტროპოლიტ სერგის შორის მიმონერა, ამავე წლის 25 თებერვალს მიტროპოლიტი სერგი სტალინს წერდა წითელი არმიისადმი ეკლესიის დახმარებისა და დიმიტრი დონსკოის სახელობის სატანკო კოლონის აშენების სურვილის შესახებ. სტალინმა იმავე დღეს მიწერა სერგის: „გთხოვთ გადასცეთ მართლმადიდებელ რუსულ სამღვდლოებასა და მორწმუნეებს ჩემი გულითადი სალამი და წითელი არმიის მადლობა დიმიტრი დონსკოის სახელობის სატანკო კოლონის ასაშენებლად 6 000 000 მანეთის ოქროსა და ვერცხლის ნივთების შეგროვებისთვის.“

დონბასში წითელი არმიის მძაფრი შეტევის დროს 1943 წლის 4 სექტემბერს სტალინმა თავის აგარაკზე სათათბიროდ მიიწვია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე ცნობილი მიტროპოლიტები – სერგი, ალექსი და ნიკოლოზი, რომლებიც მიიღო ვ.მ. მოლოტოვთან და გ.მ. კარპოვთან ერთად. სტალინმა დაწვრილებით გამოიკითხა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა, მოუბოდიშა – საჭირო ყურადღებას ვერ გაქცევო. მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება რუსული ეკლესიის პრობლემებზე.

მიტროპოლიტმა სერგიმ დააყენა სასულიერო კადრების ნაკლებობის საკითხი. სტალინმა იკითხა – რატომ არ გყავთ კადრები? სად წავიდნენ? რატომ არ ამზადებთო. სერგიმ უპასუხა, ვამზადებთ მაგრამ ჩვენი მომზადებული კადრები მარშლები ხდებიანო. სტალინს ჩაელიმა და უთხრა: კიდევ მოამზადეთ, რა გჭირდებათ ამისთვისო? – სერგიმ კურსების გახსნა მოსთხოვა. სტალინმა უთხრა კურსები არ გეყოფათ გახსენით სასულიერო სემინარიები და აკადემიებიო. მიტროპოლიტთან სტალინის ამ შეხვედრაზე ბევრი საკითხი გადაწყდა. მთავარი კი ის იყო, რომ ამ დღეს მოხდა „მკვეთრი შემობრუნება რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სრული რეაბილიტაციისა და მისი უფლებების აღდგენისათვის. ეკლესიას მიეცა დიდი უფლებამოსილება, სასულიერო კადრების მომზადებისა და სულიერების ქადაგების მრავალნაირი საშუალებები. ამ შეხვედრისთანავე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნა რელიგიის საქმეთა საბჭო, რომელსაც სტალინმა ღვთისმსახურთა ყოველგვარი დახმარების განწევის ამოცანა დაუსახა.

მიტროპოლიტმა სერგიმ სტალინის წინაშე დააყენა საპატიმრო ადგილებში მყოფი ღვთისმსახურების საკითხი. სტალინმა დაავალა მათი სიის დაზუსტება. მიტროპოლიტს აღუთქვა ამ საკითხის გულდასმით განხილვა და შესაძლებლობების მიხედვით გადაწყვეტა. იგი აგრეთვე მატერიალურ დახმარებასაც შეპირდა.

სტალინი ამ შეხვედრაზე მიტროპოლიტს მოულოდნელად შეეკითხა: „არ გსურთ რომ რუსეთში პატრიარქობა აღგდეს?“ სიხარულით დაბნეულმა იერარქებმა დიდი მადლიერებით თანხმობა განაცხადეს. მალე სრულიად რუსეთის სასულიერო კრება მოიწვიეს, აღადგინეს პატრიარქატი და პატრიარქად მიტროპოლიტი სერგი აირჩიეს. ასე აღადგინა სტალინმა ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს გაუქმებული რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქობა.

მან დაავალა ვ.მ. მოლოტოვს ეკლესიის იერარქებთან შეხვედრის პრესაში გაშუქება. დამშვიდობებისას ხელი შეაშველა მიტროპოლიტ სერგის, რომელიც საკმაოდ დაილაღა, გააცილა და ასეთი სიტყვით მიმართა: „მეუფევი! აი ყველაფერი რაც მე შემეძლო დღევანდელ დღეს თქვენთვის გამეკეთებინა“. ამ სიტყვებით ის დაემშვიდობა იერარქებს.

ინგლისელი დიპლომატი ბიკენბრუკი თავის მემუარებში წერს, რომ პირადად სტალინი ატარებდა ღონისძიებებს რელიგიური უფლებისა და რწმენის დაცვის ხაზით და სწორედ მისი



პირადი ინიციატივით მოხდა პატრიარქების კურთხევა და სინოდის აღდგენაც. შუა ომის დროს სტალინის ბრძანებით მოსკოვს თვითმფრინავით შემოატარეს ტიხვინის ღვთისმშობლის ხატი. მოსკოვი საფრთხეში იყო, გერმანელებს ვოლოკოლამსკის გზით თავისუფლად შეეძლო ქალაქში შესვლა, ისინი კი უკან იხევდნენ. ექსპერტებს დღესაც უჭირთ ახსნა თუ რატომ ვერ შევიდნენ გერმანელები მოსკოვში. ყაზანის ღვთისმშობლის ხატი შემოატარეს ლენინგრადს და ქალაქმა რომელიც ყოველწუთს უნდა დაცემულიყო გმირულად გადაიტანა ბლოკადა. მთელი ბრძოლის განმავლობაში მიმდინარეობდა წირვა და ჯარისკაცებს ნაკურთხ წყალს აპკურებდნენ. სტალინმა მათ უთხრა, მსოფლიო ისტორიის განმავლობაში რუსები ორჯერ იყვნენ ბერლინში და მესამედაც იქნებიანო, ეს ხდებოდა პანიკური კრიზისული მდგომარეობის დროს. სხვა საოცრებაც მოხდა: ბრძოლის მთელ ხაზზე ღვთისმშობლის ხატის წინაშე ლოცვის შემდეგ წირვა ჩატარდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო საერთო შეტევა, რომელმაც საბოლოოდ გამარჯვება განაპირობა. საოცრება 1944 წელსაც განმეორდა, კენიგსბერგში (ამჟამად კალინინგრადი), რომელიც გერმანელთა აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა ფრონტზე მისული მღვდლები ხატებით ხელში დაიძრნენ მონინავე ხაზისკენ. გერმანელთა ცეცხლი სწრაფად შეწყდა საბჭოთა ჯარების შეტევა დაიწყო. გერმანელები იხოცებოდნენ, მტრებმა კი თქვეს, რომ შეტევის წინ ცაზე მადონა გამოჩნდა და სროლა შეუძლებელი გახდა. იარაღი აღარ ისროდაო...“ (ყურნალი თბილისელები №34, 2008 წელი).

სტალინი შემდგომ წლებშიც არ ანელებდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისადმი კეთილგანწყობილ პოლიტიკას, ყოველმხრივ უჭერდა მხარს ეკლესიის ღონისძიებების შესრულებას და ავლენდა მართლმადიდებლობისადმი პატივისცემასა და თანაგრძნობას. მისი მითითებით, რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გადაეცა სამსართულიანი კეთილმოწყობილი შენობა, რომელიც წინათ გერმანიის ყოფილ ელჩს შელენბერგს ეკავა. ეს იყო საბჭოთა შენობა მდიდარი ავეჯით და სხვა ქონებით. სტალინმა მღვდელმსახურთა კვების პროდუქტებით მომარაგებაზეც იზრუნა მტკიცე სახელმწიფო ფასებით, რომ მათ ბაზრებში პროდუქტები ძვირად არ ეყიდათ.

1945 წელს, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით, ეკლესია, მისი ორგანიზაციები და სამწყსოები იღებდნენ იურიდიული პირის უფლებას, რომელიც მათ 1821 წელს ჩამოერთვათ საკანონმდებლო დებულებით. მათ ნება მიეცათ, გაეხსნათ საფინანსო ანგარიშები, დაედოთ გარიგებები, შეესყიდათ ნაგებობები, დაექირავებინათ მუშაკები. 1946 წელს მთავრობის ნებართვით მოსკოვის ღვთისმეტყველების ინსტიტუტი გადაკეთდა სასულიერო სემინარიად, ხოლო მალე სასულიერო აკადემია გაიხსნა ლენინგრადში, სემინარები – კიევში, ოდესაში, ლუცკში, სტავროპოლსა და სარატოვში. პატრიარქი ალექსი მხურვალე მადლობას უხდოდა საბჭოთა მთავრობას, განსაკუთრებით, პირადად მთავრობის თავმჯდომარეს – სტალინს ეკლესიის საჭიროებებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის.

სტალინისთვის გაგზავნილ ალბომზე პატრიარქმა წაანერა: „დიდად პატივცემულ იოსებ ბესარიონის ძეს, სახსოვრად ლავრისადმი მისი პირადი დაუფინყარი ყურადღებისა, რაც გამოიხატა ლავრის ეკლესიის გამგებლობაში გადაცემაში. დიდი მადლობით მოგართმევთ ლავრის ხედების ამ ალბომს. სამების ლავრის წინამძღვარი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი.“

პატრიარქი შემდგომშიც უგზავნიდა სტალინს მადლიერების წერილებს. 1946 წლის აგვისტოში ალექსი სტალინს უგზავნიდა დეპეშას, რომელშიც გამოხატულია უდიდესი მადლიერება მისი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების გამო. ყველა სახელმწიფო და რევოლუციურ დღესასწაულთან დაკავშირებით ალექსი პირადად უგზავნიდა სტალინს გულთბილ ბარათებს, რომლებშიც მას გულწრფელად უწოდებდა „ყველა დროისა და ხალხების დიდ ბელადს.“ მაშინ სტალინისადმი ასეთი პატივისცემა საყოველთაო რიტუალი გახლდათ.

„რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ისეთი უდიდესი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ მოსკოვისა და კოლონების მიტროპოლიტი სერგი, სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი პირველი, ლუკა და სხვები, სტალინს „ღვთივბოძებულ ბელადს“ უწოდებენ იმიტომ, რომ

მან გადაარჩინა რუსეთი და უჩვენა, თუ რას ნიშნავს ის მსოფლიოსათვის“ (ა. მარტიროსიანი, 200 მითი სტალინის შესახებ, ტ. მე-3, გვ.6).

არც სტალინი რჩებოდა ვალში. მოსკოვის 800 წლისთავთან დაკავშირებით, 1947 წელს, მისი თხოვნით, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას კრემლის მუზეუმიდან მიტროპოლიტ ალექსის გადაეცა წმინდა ნივთები, რომლებიც იქ დიდხანს ინახებოდა. ამასთან დაკავშირებით პატრიარქი წერდა: „რუსეთის ეკლესიის მატრიანეში ეს მოვლენა აღიბეჭდება, როგორც უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ფაქტი და იმის კიდევ ერთი დადასტურება, თუ როგორ კეთილგანწყობილებით ეპყრობა ეკლესიის საჭიროებას ჩვენი სახელმწიფოს მეთაური, ჩვენი დიდი ბელადი სტალინი.“

იმავე წლის სექტემბერში სტალინმა პატრიარქი ალექსი თავისი ამალით სოჭის სანატორიუმში მიიწვია სამკურნალოდ და დასასვენებლად, საჩუქრად გადასცა „ზიმ-100“ მარკის ავტომანქანა, რამაც დიდად გაახარა პატრიარქი. ისტორიკოსი ალექსეევის თქმით, „სტალინს ეხერხებოდა ადამიანის სისუსტეებზე თამაში.“

**პატრიარქ სერგის გარდაცვალების შემდეგ, 1945 წლის 31 იანვარს გაიმართა სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა 47 მღვდელმთავარი და საზღვარგარეთელი რუსი იერარქები. კრებაზე მიწვეული იყო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დელეგაცია. ამ კრებაზე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მონწევა და დასწრება ოფიციალურად ამ ეკლესიის ავტოკეფალიის სრული აღიარება და საერთაშორისო არენაზე მისი დაბრუნება იყო.**

ალექსანდრიის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ქრისტეფორემ პატრიარქ ალექსისადმი მისალოც სიტყვაში ხაზგასმით წარმოსახა სტალინის როლი და მნიშვნელობა რუსული ეკლესიის წარმატებაში: „მარშალი სტალინი ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანია, ეკლესიისადმი იჩენს ნდობას და კეთილგანწყობილია მისადმი... ამისათვის მას უხვად აქვს მომადლებული ღვთიური მადლი და კურთხევა.“

პატრიარქი სისტემატიურად ხვდებოდა იოსებ სტალინს, მეგობრობდა მასთან. ისინი ერთობლივად იღვნოდნენ ეკლესიის აღდგენისა და მისი გავლენის გამტკიცებისთვის. მათი ძალისხმევით, 1946 წელს არსებული 10544 ეკლესიიდან სამი წლის შემდეგ მათი რიცხვი 14477-მდე გაიზარდა.

ღვთისმსახურება განახლდა ყველა დიდ ეკლესიასა და ტაძარში. მუშაობა დაიწყო მოსკოვისა და ლენინგრადის სასულიერო აკადემიებმა. მოსკოვის საპატრიარქოსთან ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება. გააქტიურდა უცხოეთის ეკლესიებთან ურთიერთობა, გამოდიოდა ყოველთვიური ჟურნალი „მოსკოვსკოი პატრიარხი“. თითქმის შეწყდა ანტირელიგიური ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, შეწყდა რელიგიის დევნა-შევიწროება.

ქრისტიანული სოციალიზმის ერთ-ერთი მქადაგებელი ვენტერბიელი არქიეპისკოპოსი ჰიულეტ ჯონსონი თავის გახმაურებულ წიგნში „კომუნისტები და ქრისტიანობა“ იოსებ სტალინს წარმოაჩინდა, როგორც ქრისტეს პროტოტიპს, რელიგიურ პიროვნებას, მის სწავლებას კი – ქრისტიანობის სახედ. ის რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირში. პირადად შეხვდა სტალინს.

ჰიულეტ ჯონსონს და მის მიმდევრებს სწამდათ, რომ ისე სტალინის შექმნილი სახელმწიფო სანიმუშოა, რომ საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანთა თავისუფლების პრინციპების მიღწევა შესაძლებელია სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელიც აშენებული იქნებოდა ბიბლიის მოთხოვნების შესაბამისად, რადგან სოციალიზმის ყველა მოთხოვნა და პრინციპი თავდაპირველად ბიბლიაში იყო მოცემული.

ასევე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატეც ცდილობს ადრინდელი ქრისტიანობისა და სოციალიზმის პრინციპების მსგავსებისა და, ხშირ შემთხვევაში, მათი იდენტურობის დასაბუთებას. მისი აზრით, ქრისტიანობასა და სოციალიზმს შორის საერთოა შემდეგი პრინციპები: 1. ყველა ადამიანი წარმოშობილია ერთისაგან სისხლისა; 2. არა აქვს მინიჭებული უპირატესობა რომელიმე რასას და ეროვნებას; 3. ყველა ადამიანს გვევალება შრომა; 4. ყველას, ქალსა თუ კაცს, თანასწორი უფლება აქვს განათლების მიღების, შრომისა

და დასვენებისა. ჩანს, სახელმწიფოს ძირითად კანონებსა და ქრისტიანობას შორის სადავო და შეუთანხმებელი არა არის რა.

პროფესორი დ. გეგეშიძე წერს: „ძნელია იმის მტკიცება, კათალიკოს-პატრიარქის აღნიშნული მტკიცებანი მისი შეხედულებების არსს გამოხატავს, თუ იგი ოფიციალური გარკვეული ხარკის გაღების ნათელი მაგალითია.“

„ერთი რამ ცხადია, იოსებ სტალინის პიროვნულმა თვისებებმა, ქრისტიანობასთან (მართლმადიდებლობასთან) მისმა დამოკიდებულებამ, კეთილგანწყობამ განაპირობა ქრისტიანული სოციალიზმის წარმოშობა და რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობად მისი ჩამოყალიბება,“ – ასკვნიდა დ. გეგეშიძე.

გრიგოლ ლიპარტელიანი წერს: „მე არ მესმოდა სტალინის ისე, როგორც საჭირო იყო და ჩემს ლექსებში ვწერდი: „და მე მგონი ხართ ჯალათი, ისინი დალუპეთ, პირველები.“ ამჟამად მზად ვარ სიკვდილის შემდეგ ვთხოვო მას პატიება და შენდობა. არა, ის არ იყო ჯალათი. მან ბევრს შეუნარჩუნა სიცოცხლე, ისეთებს, როგორც იყო შოლოხოვი, ის უკვე უნდა მოეკლათ და მხოლოდ სტალინის დროულმა ჩარევამ იხსნა იგი. ასევე მან გადაარჩინა შესაძლო სიკვდილისაგან ბულგაკოვიც, პასტერნაკიც და სხვა მრავალი. ეს სია ძალზე გრძელი შეიძლება იყოს. საბოლოოდ, მიუკერძოებელი ისტორიკოსები უნდა გაერკვნენ ამაში. და მე, რომელიც სტალინისა და ბრეჟნევის დროს ციხეში ვიჯექი, როგორც ვლადიკო ლუკა, მზად ვარ წამოვიძახო: „სტალინი რუსეთის ღვთის ბოძებული ბელადია!“

საგულისხმაოა, რომ რწმენისათვის ორჯერ გადასახლებული მწერალი და პროფესორი დიმიტრი დუდკო, რომელიც სტალინს ღმერთისგან ბოძებულს უწოდებს, წერს: „ყველა ჩვენ – სოლჟენიცინიც და სახაროვიც – დამნაშავენი ვართ რუსეთის წინაშე... ჩვენ უნდა დავიჩოქოთ და ვთხოვოთ მას პატიება. ამჟამად დადგა დრო სტალინის რეაბილიტირების, თანაც მხოლოდ სტალინის კი არა, არამედ თვით სახელმწიფოებრიობის ცნების. ახლა ნათლად ვხედავთ, რა დანაშაულიცაა სახელმწიფოებრიობის უქონლობა და რა სიკეთეცაა მისი ქონება! რამდენადაც არ უნდა გაჰკიოდნენ, რომ საბჭოთა დროს ბანაკებში ბევრი იღუპებოდაო, არავითარი შედარება არ შეიძლება იმასთან, რამდენიც დღეს იღუპება ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, განუკითხავად, უსახელოდ. ახლა მთელი გაძარცვული და მოტყუებული ხალხი ოხრავს: „სტალინი რომ ყოფილიყო, არ იქნებოდა ასეთი გაპარტახება... არა, ბატონებო, დემოკრატიის სისასტიკის წინაშე ყოველგვარი დესპოტიზმი უფერულდება.“ მანვე შეგვახსენა, რომ პატრიარქები „სერგი და ალექსი სტალინს ღვთის ნაბოძებ ბელადს უწოდებდნენ... დიდი მეცნიერი და ღვთისმეტყველი არქიეპისკოპოსი ლუკა ვოინი-იასინეცკი სტალინის დროს ციხეში იჯდა, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი ღვთისაგან ბოძებული დაერქმია მისთვის... სტალინმა შეინარჩუნა რუსეთი, დაანახა მსოფლიოს მისი მნიშვნელობა... ამიტომ მე, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი და რუსი პატრიოტი, ქედს ვიხრი სტალინის წინაშე“ (ნიგნიდან „თანამედროვენი სტალინის შესახებ“, ბათუმი, 2000, გვ.498-499).

მართლმადიდებელი ეკლესიის დიაკვანი ვ.პ. პიშუჟკინი მეოცე საუკუნის ბოლო წლებში გამოქვეყნებულ თავის შესანიშნავ პუბლიკაციებში მკვეთრად იცავს სტალინს ყველა იმ საძაგელი ცილისწამებისგან, რომლებიც შეთხზეს მის წინააღმდეგ ხრუშჩოვმა და მისმა თანამზრახველებმა და რომლის შეთხზვასაც დღეს აგრძელებენ მათი „დემოკრატი“ და ათასი ჯურის სხვა მემკვიდრენი. პიშუჟკინმა სტალინის ფენომენი თვით იესო ქრისტეს შეადარა. მის სულსა და ნამოღვანარში ღვთიური მადლი და ნათელი დაინახა. სტალინის შეხედულებებისა და მოღვაწეობის ქრისტეს მოძღვრებისა და საქმიანობის იდენტურობის არა ერთი დამაჯერებელი მაგალითია გადმოცემული ცნობილი ქართველი მეცნიერის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, ვახტანგ გოგუაძის ნიგნში „სტალინი და „სამინელი სამსჯავრო.“ ამ ნიგნში იგი გულისტკივილით წერს: ანტიქრისტე სტალინს ქრისტესგან განუყოფლად იმიტომ სდევნის, რომ იგი ქრისტესგან გამოგზავნილი დიდი სასწაულმოქმედი გახლდათ, რომესაც დაეკისრა უფლის მისია „გლახაკთა სასარგებლოდ.“ ვ. გოგუაძე პირდაპირ ამბობს „...ლარიბ-ლატაკის, ჩაგრული კაცის გასათავისუფლებლად არ გარჯილა არც ერთი ჩვენთვის ძვირფასი კაცობრიობის ისტო-

რიის მაშინდელი მეფე – არც მეფე დავით წინასწარმეტყველი, არც სოლომონი, არც პეტრე დიდი, არც დავით აღმაშენებელი, ან ერეკლე... ასე, რომ მეოცე საუკუნემდე კაცობრიობას არ ჰყოლია ქრისტიანი-სოციალისტი მეფე, რომელიც უპასუხებდა იესო ქრისტეს დავალებას „ჩაგრულთა გასათავისუფლებლად.“

...ამაღ ღმერთმა „ძე კაცისას დააკისრა უკეთილშობილესი მისია და მისცა მას უზენაესი მცნება „ჩაგრულთა გასათავისუფლებლად.“ დეკემბერში მოვლენილმა იესომ ამ დავალების საკაცობრიო ხორცშესხმა დეკემბერში მოვლენილ იოსებს დააკისრა. ამ ყველაზე წმინდა თვეს ქრისტიანობის თვე ჰქვია. ცხრამეტი საუკუნე ამზადებდა იესო ქრისტე კაცობრიობას და იოსებს სტალინს. ადამიანს რომ ადამიანი ადამიანად ეცნო“ (ვ. გოგუაძე, „სტალინი და „სამინელი სამსჯავრო“, თბილისი, 2006, გვ. 185-187).

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე სტალინის უდიდესი დამსახურება კარგადაა შეფასებული რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერის – გენადი ზიუგანოვის ნაშრომში „სახელმწიფოს მშენებელი“, მ., 2005.

აღნიშნულ წიგნში გ. ზიუგანოვი აღნიშნავს, რომ სტალინმა სახელმწიფო და ეკლესია ბუნებრივ მოკავშირეებად აქცია ხალხის სულიერ-ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

სტალინმა კარგად იცოდა, რომ რუსეთში სახელმწიფოსა და ეკლესიას საერთო მტრები ჰყავთ: „ესაა გარყვნილება და ძალაუფლების კულტი, გამდიდრების, გამორჩენის, მოგების აღვირახსნილი პროპაგანდა, კოსმოპოლიტიზმი და ზნედაცემულობა. თვით ცხოვრება ადასტურებს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირი დროის მოთხოვნაა, ქვეყნის ნორმალური განვითარების აუცილებელი პირობაა“ (გ. ზიუგანოვი, „სახელმწიფოს მშენებელი“, გაზეთი „ზავტრა“, 2005).

**ცნობილია, რომ ი.ბ. სტალინი დიდ პატივს სცემდა და აფასებდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს, რასაც ადასტურებს მისი ოფიციალური, ძირითადად, მადლობის ბარათები დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს ეკლესიის აქტიური დახმარებისა და პირადი ლოცვა-კურთხევისათვის.**

ამ ურთიერთობისა და ეკლესიისადმი სტალინის დამოკიდებულება კარგადაა გაშუქებული პროფესორ დ. გეგეშიძის საინტერესო ნაშრომში – „ეკლესიისათვის მოღვაწე სტალინი“. თუმცა, აქ დაშვებულია უზუსტობა სტალინისა და კალისტრატე ცინცაძის შეხვედრის შესახებ. ფაქტობრივად, კალისტრატე ცინცაძე არ შეხვედრია სტალინს, რაც ნათლად ჩანს გაზეთ „სავალ-დასავალის“ 2010 წლის 15-21 თებერვლის ნომერში კალისტრატე ცინცაძისადმი მიძღვნილ საინტერესო სტატიაში. მასში გადმოცემულია კალისტრატე ცინცაძის 1949 წლის 21 ივლისის მრავლისმთქმელი წერილი სტალინისადმი: „**კაცთა შორის რჩეულო. ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო საკუთარი თვალით მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება. ალბათ, ამისი ღირსი არ ვარ. მიიღეთ ძვირფასო იოსებ, საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურის გულწრფელი მადლობა მშობელ საბჭოთა კავშირში არსებულ სარწმუნოებრივ ორგანიზაციათა სიაში შეყვანისათვის, ხოლო ჩემი კადნიერი მამაშვილური სიყვარულის გამომხატველად მოგართვათ წინაპართა მიერ შექმნილი და ნაანდერძევი ქართული კულა წარწერით: „იოსებ ქართველს, მსოფლიოში უცალღალატო ადამიანს, მაშვრალთა წინამძღვარს, მადლობით გულსავსე მართლმადიდებელი მწყემსი კალისტრატე კათალიკოს-პატრიარქისაგან“.**

ამავე სტატიაში ნათქვამია: „რუსეთის ეკლესიამ რომ საქართველოს ავტოკეფალია აღიარა, ამაში სტალინის დამსახურებაც არის“. ეს ასე მოხდა: სტალინის ჩარევით, 1940 წელს საქართველოში სპეციალური დავალებით ჩამოვიდა რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლობა და დაჩქარდა საქართველოს ეკლესიის აღიარება. რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ მიღებულ განჩინებაში აღდგენილია ლოცვითი და სხვა ურთიერთობა ქართულ და რუსულ ეკლესიებს შორის. 1943 წლის 31 ოქტომბერს სიონის საკათედრო ტაძარში აღდგა ლოცვითი თანაზიარობა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურ და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის. ამით რუსეთის ეკლესიამ სცნო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური

ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, 1814 წელს გაუქმდა. ამ აღიარებაში დიდი როლი ითამაშა 1943 წლის სექტემბერში ეკლესიისადმი საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულების კარდინალურმა შეცვლამ და სტალინის ქართულმა წარმომავლობამ აიძულა რუსული ეკლესიის ხელმძღვანელობა, ქართულ ეკლესიასთან დაემყარებინა ძმური ეკლესიური დამოკიდებულება. შედეგად, საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა თავისი ღირსეული ადგილი ავტოკეფალურ ეკლესიათა დიპტიხში.

საქართველოს პატრიარქი მელქისედეკ III (ერობაში მიხეილ ფხალაძე) 1952 წლის მაისში მონაწილეობდა მოსკოვში, კრემლში ჩატარებულ მშვიდობის დაცვის საეკლესიო კონფერენციაში, რომელსაც სხვადასხვა კონფესიის უმაღლესი იერარქები, ისლამური და სხვა სარწმუნოებათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ეს რელიგიისადმი სტალინის დამოკიდებულების კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია.

კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა მოსკოვში ყოფნით ისარგებლა, სსრკ მინსაბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე გ. კარპოვი ინახულა და დიდხანს ესაუბრა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე, იმაზე, რომ არ ყოფნით სახსრები სასულიერო სკოლების გახსნის, გადასახადების გადახდის, დელეგაციების მიღებისა და სხვა საეკლესიო ღონისძიებების ჩატარებისთვის. ამასთან მიუთითა, რომ ეკლესიებში, რომლებსაც მეტ-ნაკლებად შემოსავლები აქვთ, შემოსული თანხები ღვთისმსახურებაზე ვერ აღწევს, მათ ტაძრებთან მოპარპაშე მოხულიგნო ელემენტები ისაკუთრებენ და მოითხოვს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსგან დახმარება ხულიგნებთან ბრძოლაში. პატრიარქმა მიანიშნა, რომ ხელმოკლეობის გამო გაჭირდა მისი ინტრონიზაციასთან (აღსაყდრება) დაკავშირებით რუსული ეკლესიის დელეგაციისა და ჰოლანდიელი პასტორის მიღების ხარჯების დაფარვა. გ. კარპოვმა აღნიშნული საკითხი დააყენა საკავშირო მთავრობის წინაშე. სულ რაღაც ექვს დღეში საქართველოს ეკლესიის ანგარიშზე აუცილებელი თანხა გადაირიცხა. თბილისში რუს ღვთისმსახურთა და ჰოლანდიის დელეგაციის ვიზიტებმა წარმატებით ჩაიარა. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ და ეკლესიის საქმეთა რესპუბლიკურმა საბჭოებმა მკაცრი განკარგულება მიიღეს.

ყოველივე ამას დამაჯერებლად მოგვითხრობს ცნობილი ჟურნალისტი გიორგი ბეზირგანი, რომელიც თავისი სტატიის დასასრულს აღნიშნავს: „გაივლის სულ რამდენიმე თვე და ხელისუფლებაში ხრუშჩოვის ხროვის მოსვლისთანავე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვლება. კვლავ დაიწყება ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა დევნა, ტაძრებს დახურავენ და საწყობებად გადააქცევენ და ბუნებრივია, სამღვდლოებას აღარავინ დააფინანსებს“ (გაზეთი „გენერალ-სიმუხი“, №11 (49), 2004 წლის 15-21 მარტი).

მართლმადიდებლური ეკლესიისადმი სტალინისა და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება შეუდარებლად განსხვავებულია. ათეისტური სახელმწიფოს მეთაური, სტალინი, უფრო ქრისტიანობდა და იცავდა მართლმადიდებლობას, ვიდრე ამას დღეს აკეთებენ ჩვენი ქვეყნის ხელისუფალნი.<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუციაში, მართალია, აღიარებულია მართლმადიდებლობის განსაკუთრებული როლი სახელმწიფოში, მაგრამ ქვეყანაში შემოსული იელოველები და სხვა ათასი ჯურის სექტები თავისუფლად დათარეშობენ და ლამის უნდათ მოახრჩონ უძველესი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. 15 წელია საქართველო, სხვა 17 ქვეყანასთან ერთად, მართლმადიდებლობის ევროპული საპარლამენტაშორისო ასამბლეის წევრია, მაგრამ, თითქმის არ მონაწილეობს მის მუშაობაში. ამ ასამბლეის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს „მართლმადიდებლობის გამაერთიანებელი სულისა და ძალის მხარდაჭერა“ და ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება. სამწუხაროდ, საქართველოს არ უცდია მათთვის ფეხის აწყობა.

ნიშანდობლივია, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად, სტალინი ზრუნავდა სხვა რელიგიებზეც. 1943 წელს მან ხელი მოაწერა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დად-

1 შენიშვნა: ეს წიგნი დაიწერა იმ დროს, როდესაც საქართველოში ნაციონალური ხელისუფლება მოღვაწეობდა.

გენილებას სომხეთის სახკომსაბჭოსთან სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის საქმეთა საბჭოს შექმნის შესახებ. 1944 წლის მაისში იგი დაეთანხმა ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანთა სასულიერო სამმართველოს შექმნას. შემდგომ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან რელიგიური და კულტურის საქმეთა საბჭოს შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა განეხორციელებინა კავშირი ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა რელიგიურ ორგანიზაციასა (გარდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისა) და საკავშირო მთავრობას შორის. მაგრამ სტალინი მაინც უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა და ენდობოდა მართლმადიდებლურ ეკლესიას.

მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მივიდა ფსკოვ-პეჩორის მონასტერში, სადაც ერთ-ერთი იერარქისგან ზიარება მიიღო. ცხადია, რელიგიური წესის შესაბამისად, სტალინმა რაღაც ცოდვები მოინანია. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვი შეეცადა დაეზუსტებინა თუ რა ცოდვები მოინანია, რომ შემდეგ მთელი მსოფლიოსთვის ეცნობებინა სტალინის სახელის გატეხისა და დაკნინებისათვის, მაგრამ იერარქმა კატეგორიული უარი თქვა საეკლესიო საიდუმლოებების გაცემაზე, რისთვისაც „დემოკრატი“ ხრუშჩოვისგან დევნა და შევინროება განიცადა.

როგორც ბ. ბელინსკი წერდა „ყველა ადამიანს საკუთარი ისტორია აქვს, ამ ისტორიას კი – საკუთარი კრიტიკული მომენტები. ადამიანის შესახებ შეუცდომლად მსჯელობა ძნელი იყო იმ მომენტებში, როცა მისი სიცოცხლე, ღირსება და ბედნიერება ბედის სასწორზე ეკიდა“. ასეთი კრიტიკული მომენტები ბევრი იყო სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, რომელიც მიმდინარეობდა განსაკუთრებულად რთულ და წინააღმდეგობრივ პერიოდში. სტალინი გაუკვალავი გზით ახალ ცხოვრებას, ახალ ყოფას აშენებდა. ბევრი იყო დაბრკოლება, წინააღმდეგობა, აუცილებელი იყო მათი დაძლევა. უამისოდ წინსვლა და ახალი მიზნების განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. იყო შეცდომები, ცოდვები, დარღვევები. მეტნაკლებად, ისინი სტალინსაც ჰქონდა, რაღა თქმა უნდა, მისი უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ არც იმის დაკნინება, რაც სტალინმა გააკეთა საკუთარი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობისათვის.

თუ რა გააკეთა სტალინმა კარგად ჩანს ცნობილი ინგლისელი ლორდის ბივერბრუკის 1942 წლის ნიუ-იორკში გამოსვლისას: „სტალინის პერიოდში კომუნიზმმა დასავლეთში ყველა ხალხის აპლოდისმენტები და აღფრთოვანება მოიპოვა; სტალინის პერიოდში კომუნიზმმა ჩვენ მოგვცა პატრიოტიზმის მაგალითი, რომლის ანალოგი ისტორიაში არ მოიძებნება. მის პერიოდში კომუნიზმმა მსოფლიოს საუკეთესო გენერლები მისცა. ქრისტიანობის დევნა? – არა. იქ რელიგიური დევნა არ არის. ეკლესიის კარი ღიაა. ეროვნებათა დევნა? – სრულიადაც არა. ებრაელები იქ ისევე ცხოვრობენ, როგორც სხვები. პოლიტიკური რეპრესიები? – დიახ, მაგრამ ვინც დახვრიტეს, ისინი რუსეთს გერმანელებს მიჰყიდდნენ“.

აქ ყველაფერზეა საუბარი, რელიგიაზეც და მისდამი სტალინისა და სახელმწიფოს დამოკიდებულებაზეც. სტალინის პიროვნების ფორმირებაში მართლმადიდებელი რელიგიის როლისა და თვით რელიგიისადმი სტალინის დამოკიდებულების არსის გარკვევის გარეშე შეუძლებელია სტალინის ფენომენის შესწავლა, რასაც უდიდესი დაინტერესებით ესწრაფვიან ისტორიკოსები, პოლიტიკოსები, მწერლები და მილიონობით უბრალო ადამიანი.

საარქივო მასალები ვანის მოსახლეობის აღწერის შესახებ

ქუთაისის გუბერნია

დასახლებული ადგილების აღწერილობა

1873 წლის მონაცემების მიხედვით

ქუთაისის გუბერნია – ქუთაისის მაზრა

№	დასახლებული ადგილების სახელწოდება	მდებარეობა	კომლ-თა რაოდენობა	მცხოვრებთა რაოდენობა		ეროვნება	აღმსარებლობა	ეკლესიები სამღვდელოება
				ქალი	კაცი			
1	სალომინაო	მდ.კორისწყალი	123	403	390	იმერელი <sup>2</sup>	მართლმად.	ეკლესია 1
2	ეკლესია 1		10	43	44	იმერელი	მართლმად.	
3	ზეინდარი	მდ.კორისწყალი	5	19	10	იმერელი	მართლმად.	ეკლესია 1
4	უხუთი	მდ.ამაღლებისწყალი	310	1249	1268	იმერელი	მართლმად.	ეკლესია1.სოფლის მმართველობა.
5	გორა	მდ.ამაღლებისწყალი	136	449	413	იმერელი	მართლმად.	ეკლესია1.სოფლის სკოლა
6	ინაშაური	მდ.ამაღლებისწყალი	78	341	319	იმერელი	მართლმად.	კლესია 1
7	ამაღლება	მდ.ამაღლებისწყალი	65	233	216	იმერელი	მართლმად.	ეკლესია1.ძვ.მონასტერი(ვახუშტის მიხედვით). სოფლის მმართველობა-გორას სოფლის საზოგადოება
8	დვალიშვილები	მდ. სულორი	128	529	490	იმერელი	მართლმად.	ეკლესია1. სოფლის მმართველობა.
9	დიხაშხო	მდ. სულორი	81	299	210	იმერელი	მართლმად.	ეკლესია 1
10	ბზვანი	მდ. სულორის ახლოს	190	701	667	იმერელი	მართლმად.	ეკლესია 1. სკოლა
11	ისრითი	მდ. სულორი	63	225	187	იმერელი	მართლმად.	1.
12	ციხის-უბანი	მდ.სულორის ახლოს	21	81	81	იმერელი	მართლმად.	ეკლესია 1
13	ზენობანი	მდ.სულორის ახლოს	33	140	117	იმერელი	მართლმად.	ეკლესია 1.
14	ვანი	მდ.სულორის ახლოს	238	692	667	იმერელი	მართლმად.	სოფლის მმართველობა.
			89					სკო-ლა 1.
15	ტყელვანი	მდ.სულორი	49	285	252	იმერელი	მართლმად.	ეკლესია 1
16	ონჯოხეთი	მდ.სულორი	2	235	196	იმერელი	მართლმად.	ეკლესია 1
				6	5	გურული	მართლმად.	ეკლესია 1
17	გადიდი	მდ.სულორი	82	347	331	იმერელი	მართლმად.	ეკლესია
18	ციხესულორი	მდ.სულორი	121	383	379	იმერელი	მართლმად.	1.სოფლის
19	საპაიჭაო	მდ.ყუმური	218	922	859	იმერელი	მართლმად.	მმართველობა. ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები
20	ტობანიერი	მდ.ყუმური	361	1233	1145	იმერელი	მართლმად.	ეკლესია1.სკოლა1. სოფლის მმართველობა

1. ამაღლების წყალი – კვინწყალი

2. მითითება ეროვნებაში იმერელი და ა.შ. იმ დროისათვის ატარებდა სპეციალურ დატვირთვას, საზგასმა კეთდებოდა კუთხეების ნამონვეით თითქოს და წარმოადგენდა რუსული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს.

**ქუთაისის გუბერნია**  
**დასახლებული ადგილების აღწერილობა**  
**1886 წლის მონაცემების მიხედვით**  
**ქუთაისის გუბერნია — ქუთაისის მაზრა**  
**(მონაცემები არასრულყოფილია)**

№	დასახლებული ადგილების სახელწოდება	მცხოვრებთა საერთო რაოდენობა				იმერლები			მეგრელები		
		კომლი	კაცი	ქალი		კომლი	კაცი	ქალი	კომლი	კაცი	ქალი
1	უხუთის თემსაზ.	500	1670	1653	3323	500	1670	1653			
	ძულუხი	119	412	406	818	119	412	406			
	რომანეთი	120	401	396	796	120	401	396			
	საპრასია	142	442	455	897	142	442	455			
	უხუთი	119	415	396	811	119	415	396			
2	საპაიჭაოს თემსაზ.										
	საპაიჭაო	266	1102	973	2075	266	1102	973			
3	ტობანიერის თემსაზ.	863	2820	2635	5455	863	2820	2635			
	ტობანიერი	422	1538	1377	2915	422	1538	1377			
	ციცხეები	49	134	144	278	49	134	144			
	ჭყვიში	117	302	337	639	117	302	337			
	ჭყვიშური	190	575	536	1111	190	575	1111			
	შუამთა	85	271	241	512	85	271	512			

**ქუთაისის მაზრა**  
**1925 წლის მონაცემების მიხედვით**

თემებისა და მათი ცენტრების დასახელება	სოფლების თემობრივი დასახელება	კომლთა რიცხვი	მცხოვრებთა რიცხვი
გორას თემი ცენტრი ზეინდარი	ზეინდარი	147	614
	გორა	500	2342
	სალომინაო	401	1849
	როხი მე <sup>2</sup> -	329	1556
	ვარციხე	237	1033
	ბაგინეთი	40	221 (დღეს დაცლილია)
	ბაბოთი	76	362 (დღეს დაცლილია)
ვანის თემი ცენტრი ვანი	გაღმა ვანი	116	554
	ქვედა და ზედა ვანი	633	2994
	ციხესულორი – (ზედა და ქვედა)	350	1556
	ტყელვანი	115	629
	სალხინო	250	1204
	დიხაშხო	243	1232
	ისრითი	190	908
	ციხისუბანი	42	212
	ონჯოხეთი	126	656



ამაღლები თემი	ამაღლება	216	1001
ცენტრი ამაღლება	ინაშაური	194	965
	ბზვანი	569	2913
დვალიშვილების თემი	დვალიშვილები	355	1880
ცენტრი დვალიშვილები	გადიდი	206	1104
(დღ. სულორი)	ძულუხი	228	1183
უხუთის თემი	უხუთი	268	1323
ცენტრი უხუთი	საპრასია	259	1292
	რომანეთი	213	102
საპაიჭაოს თემი	შუა სოფელი -	123	588
ცენტრი საპაიჭაო	საპაიჭაო	109	579
	დუცხუნი	77	387
	ვერხვანი	114	577
	მუქედის უბანი	94	445
	მაისოური	57	265
	პატელესოული	42	211
	ჭალის სამხერი	62	277
ტობანიერი თემი	ტობანიერი	149	710
	ზედა და ქვედა ეწერი	218	1019
	ჭყვიში	115	585
	მიქელეფონი	90	437
	კუმუბლური გაღმა	91	459
	გამოსღმა	351	1643
	შუამთა	49	221
	ეწერი- ტობანიერი	133	649
	ქვედა მუქედი	23	407
	დაბლა ჭყვიში	76	349
	ჭყუმური -მთისძირი	142	709
	ჭაგან-ჭყუმური		
მთისძირის ნაწილი შედიოდა გომის თემში		61	263

სულ 8529 კომლი 39340 მსცოვრები

**ვანის რაიონი – ცენტრი, სოფელი ვანი**  
**1930 წლის მონაცემებით**

სასოფლო საბჭოებისა და დასახლებული ადგილების სახელწოდება	კომლთა რიცხვი	მცხოვრებთა რიცხვი	ქართველი
ამაღლები სას. საბჭო	1039	5030	5026
ამაღლები	238	1076	1074
ბზვანი - ზედა	318	1006	1604
ბზვანი - ქვედა	259	1246	1246
ინაშაური	224	1102	1102
გორას სას. საბჭო	1194	5822	5821
ბაგინეთი	38	211	211
ბობოთი	74	366	366
გორა	512	2589	2588
ზეინდარი	153	681	681
სალომინაო I	212	1095	1095
სალომინაო II	205	880	880
დვალიშვილების სას. საბჭო	833	4300	4297
გადიდი	211	1098	1098
დვალიშვილები	385	1986	1983
ძულუხი	237	1216	1216

ვანის სას.საბჭო	2181	10709	10257
დიხაშხო	256	1264	1264
ვანი - გაღმა	111	527	527
ვანი - ზედა	233	1131	1121
ვანი - ქვედა	378	1880	1856
ვანი - ქვედა (ებრაელების)	73	418	-
ზენობანი	67	343	343
ისრითი	193	927	927
ონჯოხეთი	123	663	663
სალხინო	254	1154	1154
ტყელვანი	128	607	607
ციხისუბანი	45	239	239
ციხესულორი - ზედა	193	975	975
ციხესულორი - ქვედა	127	581	581
რომანეთი - საპრასიას	451	2261	2261
სას. საბჭო			
რომანეთი	204	1012	1012
ს ა პ რ ა ს ი ა	247	1249	1249
საპაიჭაოს სას. საბჭო	547	2791	2791
დობირო	53	289	289
დუცხუნი - ზედა	45	246	246
დუცხუნი - ქვედა	62	320	320
ვერხვანი	58	291	291
მაისოური	91	431	431
მიქელეფონი	38	198	198
მუხქედ-კაკასუბანი	54	304	304
პატელესოული	35	212	212
შ უ ა ს ო ფ ე ლ ი	53	221	221
ჭალა სამზიარი	58	279	279
ტობანიერის სას. საბჭო	1570	7376	7372
ენერ-ტობანიერი	50	188	188
ენერ-ტობანიერი - ზედა	81	403	403
ენერ-ტობანიერი - ქვედა	143	646	646
კუმუბოური	91	471	471
მთისძირი-ჭყუმური	86	410	410
მიქელეფონი	90	443	443
მუხქედი - ქვედა	86	429	429
მუხქედი - ზედა	136	671	671
ტობანიერი გაღმა-გამოდმა	146	682	678
შ უ ა მ თ ა გ ა მ ო ღ მ ა	193	875	875
შუამთა გაღმა	184	814	814
ჭაგან-ჭყუმური	147	672	672
ჭყვიში	137	672	672
უხუთის სასოფლო საბჭო	290	1407	1407
უ ხ უ თ ი	290	1407	1407

სულ 8105 – კომლი

39696 – მცხოვრები

39232 – ქართველი

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრის“ კრებულ „მატიანეს“ რედაქციამ, კრებულის მე-8 ნომერში ავტორთან შეთანხმებით გამოაქვეყნა ბატონ ბადრი ბუხაიძის დიდებული ნაშრომის „კაცობრიობის იბერთა კოლხური ფესვების“ ცალკე თავი – „უძველესი ადამიანები და წინარე ქართული ტომები“, რითაც კრებული „მატიანე“ აგრძელებს საუბრებს ქართველთა როლზე მსოფლიო ცივილიზაციის ჩამოყალიბების საქმეში.

ჩვენ, ამჯერად, არ შევჩერდებით წიგნის ზოგადქართულ მნიშვნელობისა და ავტორის დამსახურებაზე, რომელიც მან გაუნია საქართველოს მრავალათასწლოვანი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს. ვიტყვით მხოლოდ ერთს:

შესანიშნავია!

ვფიქრობთ, რაც მეტი იქნება ასეთი შრომები, მით უფრო მოიგებს ქართული საზოგადოება.

აქვე აღვნიშნეთ, რომ წიგნი რეცენზირებულია გამოჩენილ მეცნიერთა მიერ, მაგრამ, ამჯერად, კრებულ „მატიანეს“ რედაქციამ ყურადღება შეაჩერა ერთ-ერთ მათგანზე – „საქართველოს რეალური ისტორიის ასპექტები“, რომლის ავტორია პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ბატონი თეიმურაზ ღვინიანიძე.

იშვიათია, წიგნიდან ამოღებული რეცენზია ცალკე იბეჭდებოდეს, მაგრამ, ამჯერად ჩვენ გამოაკლისი დავუშვით მისი ზოგადქართულობისა და მსჯელობის პათოსიდან გამომდინარე, რის გამოც პატივცემულ ავტორთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ მისი გამოქვეყნებაც.

**თაიშურაზ ღვინიანიძე** – პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

### საქართველოს რეალური ისტორიის ასპექტები

ბუნების მიერ ბოძებული ნიჭიერება ნებისმიერმა ჩვენთაგანმა სამშობლოს ანუ საკუთარი მამულის საკეთილდღეოდ უნდა წარმართოს. სამშობლოს ცნება კი ზოგიერთი ჩვენთაგანის მეხსიერებაში მხოლოდ წარსულში შექმნილი ხუროთმოძღვრული ქმნილებებით და კულტურულ-ისტორიული ფენომენებით შემოიფარგლება. იდეისათვის, საკუთარი წარსულისა და მომავლის შემეცნებისათვის თავგანწირულ ადამიანებს, რომლის მსგავსი საქმეების კეთება თანამედროვე ეტაპზე ძალიან ძნელია, ძეგლს უდგამს საკუთარი ერი. ქრისტესმიერი მამულის ზნეობრივ სიყვარულს უფლის მიერ ბოძებული ნათელი და განსაკუთრებული ნიჭი უნდა. თუ ინდივიდში არ არის სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი ინტელექტუალური სანთელი, ვერავითარი წვრთნითა და განათლებით ვერ გადმოვა მასზე უფლისმიერი ნათელი. ყველა ერს ყავს ზედმეტ-ნაკლებად გამორჩეული ადამიანები, რომლებიც მრავალ მაცდუნებელ მატერიალურ სიამოვნებებზე უარს ამბობენ და დიდი მონდომებით ემსახურებიან საკუთარი ერის, ბერის, ენის, მამულისა და მართალი რწმენის შემეცნების, წარმოჩენისა და მეტი სინათლით გაბრწყინების საქმეს. ასეთ ადამიანებს ტრადიციულად აინტერესებთ საიდან გავრცელდა სიცოცხლე პლანეტაზე და რომელი ადგილი წარმოადგენდა პლანეტა დედამიწის ბიოსფეროში ავტოტროფული და ჰეტეროტროფული ორგანიზმების სამშობლოსა და საწყისს. მსოფლიოს უამრავი მეცნიერი და სპეციალისტია დაინტერესებული აღნიშნული თემით და საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით ვერსიების სიმრავლე შექმნეს. ხომ არ არის მართალი თანამედროვე რუსი მეცნიერი, ატლანტიდაზე ვრცელი ნაშრომების ავტორი ალექსანდრე ასოვი, რომელიც ამბობს, რომ: „დიახ, კავკასიის ხალხთა შორის ჩვენ ვხვდებით ძველი დროის ატლანტთა პირდაპირ შთამომავალთ — ბასკებსა და ქართველებს.“ მეორე რუსი მეცნიერი ვალერი შამბაროვიც არანაკლებ ყუ-

რადლებას უთმობს ატლანტთა მემკვიდრეების საკითხს და ასეთ დასკვნამდე მიდის: „ქართველები – ატლანტების შთამომავლები არიან, რამეთუ ისინი კავკასიაში ბინადრობდნენ.“ მეოცე საუკუნის ამერიკელი ატლანტოლოგი ფრენკ ჯოზეფი, შენიშნავს, რომ: „ატლანტები – ეჭვგარეშეა, ძველი დროის ადამიანები იყვნენ, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ პროტოარიულ ან თუნდაც პროტოკავკასიურ რასას.“ დიახ, ატლანტებმა, უპირველეს ყოვლისა, ქართველებს უდიდესი მემკვიდრეობა გადმოგვცეს. მათ მიენერებათ მრავალი გამოგონება მეტალურგიასა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში, ისინი იყვნენ უბადლო მეზღვაურები, მათ შექმნეს და განავითარეს მუსიკალური ხელოვნება და რაც მთავარია გადმოგვცეს ენა-დამწერლობა და სჯულის კანონები. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა ატლანტოლოგიის მამამთავრის, წარმოშობით ირლანდიელი იბერის იგნატიუს დონელის მოსაზრება: – „ნოეს წინაპრები იყვნენ საამშენებლო საქმისა და ნატიფ ხელოვნებათა მცოდნენი, ხოლო მათი მიღწევები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩვენ, აუცილებელი უნარის ქონის შემთხვევაში, არასდროს ვეცდებოდით მათთან გაჯიბრებას.“ არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ აღნიშნავს, რომ „ბიბლიის ბერძნულ თარგმანში (დაბადება 9:20) წერია: „ნოეს ანთროპოს გეორგიანოს“. „გრიგოლ კედრენოსი ამტკიცებს კიდევ, რომ კოლხიდელები ნოეს მესამე შვილის იაფეთის ჩამომავლობი არიანო; „ეს აზრი მე სარწმუნოდ მიმაჩნია, რადგან მთები, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა, მხოლოდ რამდენიმე დღის სავალზეა კოლხიდან დაშორებული. ამას გარდა, კოლხიდან თითქმის საზღვრავს სამცხე, სადაც ძველის ზეპირგადმოცემით, ნოე თავისი სამი შვილით, კიდობნიდან ჩამოსვლისთანავე დაბინავდაო. ამ მიზეზით, ამ ქვეყანას დღემდე დარჩა ეს სახელი სამცხე, რომელიც ქართულად ნიშნავს სამს თავშესაფარს, ან სამ ციხეს. ასე უწოდეს ამ ქვეყანას ნოეს შვილებმა, რომელთაც ნახეს რა ასეთი უხვი ქვეყანა, ააშენეს სამი სახლი თითოეულმა თავისთვის და დასახლდნენ თავიანთი ოჯახებით. მათი სახლები ციხეებს წარმოადგენდნენ. შემდეგ მათი ჩამომავლობა გარშემო ქვეყნებში გამრავლდა.“ დღეისათვის ქართველთა წინაპარ ატლანტებზე ბევრი რამ არის ცნობილი. ატლანტების თავისებურებას შეადგენდა მათი უზომო ნიჭიერება, რომელიც იკვეთებოდა მათ ტექნოლოგიურ მიღწევებში. გარდა ამისა, თავიანთი ისტორიის მეტი ხნის მანძილზე ატლანტების ნიჭი ძირითადად მიმართული იყო სულიერ ფასეულობათა შესაძენად, რომელთაც განეკუთვნებოდნენ ის ურიცხვი კულტები, რომლებიც ბუნების კანონებზე დაკვირვებას და შესწავლას ეფუძნებოდა.

თუ დამისახელებთ, რომელმა ერმა შექმნა გარდა ჩვენი ქურუმი წინაპრებისა ვაზის ამდენი აბორიგენული ჯიშები და მამულის მარგალიტები, სამება, ენა და ანბანი, ქართული მარანი და ჭურისთავი, ქვევრი და ქვევრის ღვინო. ღვინის დაყენების სამი კლასიკური წესიდან ორი ქართული, ამდენი ლექსი, სიმღერა თუ საგალობლები ვაზზე და ღვინოზე, სუფრის და სტუმრის მიღების წესი და ტრადიციები, ან თუნდაც ღვინის სმისა და მასთან ურთიერთობის კულტურა. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ცნობილი მეცნიერის და მეღვინის ჰიუ ჯონსონის თაოსნობით, ლონდონში გაიხსნა ვაზისა და ღვინის მუზეუმი, სადაც მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა კვლევებზე დაყრდნობით პირველი საგამოფენო პავილიონი საქართველოს დაუთმეს და ჩვენთვის სასიამოვნო წარწერა გაუკეთეს „საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლო და აკვანი.“ ეს განსაკუთრებით არ სიამოვნებს იმ ერის წარმომადგენლებს, რომლებსაც ჩვენსავით საღათას ძილით არ ძინავთ, მათ უფრო დიდი რამ აღელვებთ, რადგანაც ვაზისა და კაცის ტრადიციული სიმფონიური ურთიერთობის შედეგია ღვინო და აქედან გამომდინარე გამოდის, რომ საქართველო კაცის სამშობლოც ყოფილა. დღეს ამის შესახებ, რომ შევეკითხოთ ათას ქართველს, ალბათ საეჭვოა ერთმა ან ორმა თუ გიპასუხოს. თუ ახალს ვერ ვქმნით, ჩვენი მამებისა და პაპების მიერ დატოვებულს რატომ ვანადგურებთ. ამის დასტურად ერთ მაგალითს მოვიყვან. გერმანელებს წიაღისეულის კვლევის მიმართულებით, რამდენიმე საუკუნია ისტორია გააჩნიათ და ამ ისტორიის ამსახველი მუზეუმი აქვთ. სათუთად უფრთხილდებიან და ტურისტების სანახავ სავალდებულო კულტურის ძეგლთა ნუსხაში

აქვთ შეტანილი. ჩვენი საყდრისის ოქროს საბადო კი ქრისტეს წინ მრავალი ათასწლეულით ადრე თარიღდება უცხოელი (განსაკუთრებით გერმანელი და ბრიტანელი) მეცნიერების მიერ, მაგრამ ჩვენ მაინც ვამბობთ არაო და უცხოელებს (არა ცხებულებს), კაპიკებად მივეციტ და ვანგრევიტებ. საინტერესოა ამას თუ გააკეთებს იმ ერის შვილები, რომლებიც ერის კულტურული მემკვიდრეობების სიმრავლეში გვეცილებიან. ჩვენ უარი ვთქვით კლასიკური განათლების სისტემაზე, რომელიც ტექნოლოგიებსა და ტექნიკას ქმნიდა და გადავედით ინფორმაციული განათლების სისტემაზე, რომელიც ვერ ანათებს. შევქმენით ქვეყანა, რომელსაც ჯერჯერობით მიზერული ეკონომიკა აქვს, მაგრამ ეკონომისტების ჯარი ჰყავს, სამართალს ვერ კიდევ უჭირს, მაგრამ იურისტების არმია ჰყავს, მართალია წარმოების სიმკვრივე მინიმალურია, მაგრამ მაქსიმალურად იზრდება ე.წ. „მაკონტროლებელი“ სტრუქტურები, რომლებიც მარნუხებში აქცევენ ისედაც ნაქცეულ ბიზნესს. მომრავლდა სატელევიზიო-შემეცნებითი პროგრამები, რომელთა ნაწილი საეჭვო ფსიქოლოგიის გოგო-ბიჭებს მიჰყავს და ა.შ. ძალიან დიდი შეტევაა იმ რწმენასა და ტრადიციებზე, რომელმაც ქვეყანა აქამდე მოიყვანა. ნუ გადავიქცევით სტანდარტულ ადამიანებად, რომლებიც, მხოლოდ, მომსახურებისა და რეალიზაციის სფეროში არიან დასაქმებულები. მხოლოდ წარმოებაა ჩვენი ქვეყნის აყვავებისა და დამოუკიდებლობის უტყუარი საფუძველი და ქვეყნის სავაჭრო ბალანსის წაღმა შემომბრუნებელი. მხოლოდ არამწარმოებლური მომსახურებისა და რეალიზაციის სფეროების განვითარება სხვაზე დამოკიდებულსა და უსუსურებს გაგხვდის. ალბათ, ოდითგანვე ანუ ადამის ეპოქიდან დაწყებული, ნიჭიერი ადამიანების ქვეყნიდან გადინებამ თავისი გავლენა იქონია ერის ინტელექტუალურ პოტენციალზე და პრაგმატულობაზე....

ქართველებს ნიჭიერება არ აკლია, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაგმატული აზროვნების და ეროვნული ღირსების დაცვის უნარი დაგვიქვეითდა. ზემოთ მითითებული წიგნის ავტორი, სწორედ, იმ მცირერიცხოვან თანამემამულეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ნიჭიერებასთან ერთად ჭკვიანებიც არიან და მამულის მიმართ არა მხოლოდ ვალდებულება, არამედ უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა გააჩნიათ. **აქსიომაა, რომ მოვალეობის მოხდის მიზნით ვაკეთებული ადამის მოდგმის ვერც ერთი ქმედება ვერ შეედრება სიყვარულით ნაკეთებ საქმეს.**

### **ანტიკური ვანისა და გელათის მოზაიკები**

ანტიკური ვანი, მისი სიძველეები, კოლხეთის უძველესი მიწა, სხვა მრავალ და უნიკალურ აღმოჩენებთან ერთად ცნობილია, როგორც უძველესი მოზაიკური ნიმუშის აღმოჩენის ადგილიც. ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არქეოლოგიური გათხრებისას 1966 წელს, გაზაფხულზე, როცა სასოფლო გზის გაფართოების სამუშაოები მიმდინარეობდა, არქეოლოგებმა თიხის ქვათლილებით ნაგები კედელი აღმოაჩინეს. დაიწყო ამ ნაკვეთის შესწავლა, აქ უამრავი არქეოლოგიური მასალა იქნა მიკვლეული და შესწავლილი. ნაგებობა ელინისტურ ხანას მიეკუთვნება. იმ ადგილას სულ ცოტა სამი სააღმშენებლო პერიოდი იქნა დადასტურებული. სამივე შემთხვევაში დაახლოებით ერთი და იგივე ფართობი. ნაგებობა თლილი ქვითაა ნაგები. ჩაჭრილი საძირკვლებიდან ამოკრებილია გათლილი კვადრატები. აქვეა ფერადი ბათქაშის ნატეხებიც. როგორც ჩანს, ერთ-ერთ ნაგებობას შელესილი და სხვადასხვა ფერად შეღებილი კედლები ჰქონია. ადრე ელინისტური ხანისაა იატაკის ფრაგმენტიც, რომელიც შემორჩენილია და ჩვენამდე მოაღწია. იგი ყველაზე დაბლა მდებარეობდა ამ მონაკვეთის ძეგლებს შორის და შემდეგნაირადაა ნაგები: მოსწორებულ თირზე ერთ ფენად დაწყობილ მცირე ზომის რიყის ქვებს გადასხმული აქვს დანაყილი კირქვისა და დაფხვნილი კერამიკის ნარევის ხსნარი, ამიტომ მას მონითალო შეფერილობა აქვს. ზედაპირი კარგადაა მოსწორებული და მისი კედლის ნაშთები ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. ის კი ცხადია, რომ იატაკი გაუქმებულია გვიან ელინისტურ ხანაში. მასზე დაყრილია თითქმის ერთი მეტრის სიმაღლის მოყვითალო შეფერილი მიწა, რითაც გათანასწორებულია დონე ჩრდილოეთით, ამდენადვე მაღლა მდებარე თირის ზედაპირთან. ჩვენამდე მოღწეულ იატაკის ფრაგმენტს უჭირავს 2,20x1,70 მ ფართობი. თუ რომელ ნაგებობას ეკუთვნის ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ მოზაიკური იატაკის ნაშთების ნახვა ყველა მსურველს შეუძლია ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში. მუზეუმში, სადაც უამრავ ადგილობრივ უნიკალურ აღმოჩენებთან ერთად, ანტიკური ვანის მოზაიკა, ერთ-ერთ უძველეს მონაპოვართა რიცხვშია შეტანილი და ეს ყველაფერი კრებითად, სწორედ იმას ასაბუთებს, რომ ჩვენს რაიონში, მინიმუმ ელინური პერიოდიდან, ცივილიზაციის ნაკვალევს მივყავართ წარსულში. ბევრჯერ დაფიქრებულვართ ჩვენი ქვეყნის მდიდარ წარსულზე, მის კულტურაზე, ხალხის რწმენასა და ნიჭიერებაზე. ამბობენ, როცა უფალმა მის მიერ შექმნილ სამყაროს თვალი გადაავლო, კმაყოფილმა საქართველოს მოავლო მზერა და მადლიანი კალთა აქ დაიბერტყაო. ღვთისმშობელ მარიამს კი საქართველო ხვდა წილად. ჰოდა, როცა იკითხავენ რამ გადაარჩინა საქართველოო, პასუხი მარტივია – უფალმა, ღვთისმშობელმა, რწმენამ, თავგანწირვამ, წინსწრაფვამ და პატრიოტიზმმა.

ქართველები ცალი ხელით მტერს ებრძოდნენ, მეორეთი კი ეკლესიებს აშენებდნენ უფლის სადიდებლად, სულის საცხოვნებლად და სამშობლოზე სალოცავად. ამ სულისკვეთებით ააშენა დავით აღმაშენებელმა გელათი, რომელიც დღეს მსოფლიოს უდიდეს კულტურულ ძეგლთა შორისაა შესული. სამონასტრო კომპლექსი მადლით ცას სწვდება და ამ მადლიანი თვალით გადაჰყურებს წყალნითელას ხეობას. იმ წყალნითელას, რომელსაც ბევრი სისხლი და სიხარული უნახავს და დღესაც ისე მიედინება, ხან ხმაურით, ხანაც მდორედ, როგორც საუკუნეების წინ. მე ბედნიერი ვარ, რადგან აქ დავიბადე. წყალნითელას ხილვა ყოველთვის სულს მიფორიაქებდა... ხოლო სოფელს გადმომზირალი გელათის დიდებული ტაძარი, მადლიანი თვალთ მეფერებოდა. ხშირად ვენვეოდი მის დიდებულებას სუსხიან ზამთარში, ხან ბაიებით აფერადებულ გაზაფხულზე, ხან ზაფხულის ცხელ ამინდშიც სულს აქ ვიგრილებდი. შემოდგომაზეც – ფოთოლცვენისასაც ბევრჯერ ვწვევივარ, მაგრამ თითქოს პირველად ვარ-თქო, თვალს მოვაგ-

ლებდი ქვის გალავნით შემოზღუდულ მონასტერს, რომლის შუაგულში აღმართულია მთავარი ტაძარი და მიკვირდა ადამიანის ხელმა როგორ შექმნა ეს დიდებული ქმნილება-მეთქი.

გელათის ტაძარი, რომელიც ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა, აშენებულია თლილი ქვებით, რომელიც მახლობელი (ელის) მთიდან არის ჩამოტანილი. ტაძარი დახურული ყოფილა თხელი ქვის ფილაქნებით. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ქვის სახურავი აუყრიათ და მის ნაცვლად გადაუხურავთ ფართო კრამიტით. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის დროს ტაძარი თუნუქის სახურავით გადაუხურავთ. დღეს კვლავ რესტავრაციაშია მთლიანად. სახურავს კი მომწვანო-ხავსისფერი თანამედროვე სტილის კრამიტით ხურავენ, რომელიც ადრინდელ კრამიტს ჰგავს. ტაძარი სადაა. გუმბათი ეყრდნობა ოთხ სვეტს. დასავლეთის მხრიდან არის ქანდარა, რომელიც გამოდის ტაძრის შიდა ცენტრისაკენ. აქვს ასასვლელი ქვის კიბე და ქანდარა ძველებური ხის რიკულებითაა ირგვლივ შემოზღუდული. ტაძარს აქვს მინაშენები – ცალკე კარიბჭე დასავლეთის მხრიდან და მთელს სიგრძეზე ჩრდილოეთით და სამხრეთით სამ-სამი მინაშენი პატარა ეკლესიების მსგავსი. მინაშენები სხვადასხვა დროს შენდებოდა მთელი მეცამეტე საუკუნის განმავლობაში. ტაძრის შიდა სივრცე, განიერი გუმბათით დაგვირგვინებული, საზეიმო განწყობილებას ქმნის. გუმბათის 16 სარკმლიანი მასიური ყელი ეყრდნობა საკურთხევლის აფსიდის გამონაშვერ კედლებს და ორ მძლავრ საყრდენს ფართო თალებით უერთდება. მრავალი სარკმლიდან ტაძარში უხვად იღვრება სინათლე.

გელათის მოზაიკას, რომელიც აგრძელებს ანტიკური ხანის ვანის არქეოლოგიურ გათხრებზე აღმოჩენილ, სამშენებლო ხუროთმოძღვრებაში მოზაიკის, ხელოვნების გამოყენების მდიდარ ტრადიციას და ახალ მხატვრულ სამშენებლო დონეზე აჰყავს იგი. შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რომელიც დაცულია ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის კონქში და ზუსტად თარიღდება 1125-1130 წლებით. გელათის მოზაიკური მხატვრობა, სწორედ ქართული ხელოვნების ტრადიციის მიხედვით, საკურთხევლის კონქს ამკობს. საკურთხევლის კონქში ღვთისმშობლის გამოსახულება ყრმითა და მთავარანგელოზებით ქრისტიანული აღმოსავლეთის არცერთი ქვეყნისთვის არ იყო უცხო – ყველგან დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ ქართული კედლის მხატვრობაში მისდამი ყურადღებას საქართველოში მარიამის კულტის არსებობა აძლიერებდა. ამდენად, ქართველ ხალხს თავისი სამშობლოს ღვთისმშობლის ნილხვედრობა სულიერად აძლიერებდა და ამტკიცებდა. უნდა აღინიშნოს, რომ მოზაიკის თავზე იკითხება გრძელი საღვთისმეტყველო შინაარსის ქართული წარწერა: „სახლსა შენსა შვენის სინმინდე, უფალო, სიგრძესა შინა ჟამსა“. მოზაიკით არის შესრულებული ვინაობის აღმნიშვნელი ბერძნული წარწერებიც.

როგორც აღვნიშნეთ, გელათის მოზაიკაზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმითურთ და მათ წინ მდგომარე მთავარანგელოზი – მიქაელი და გაბრიელი. გელათის მოზაიკაში გამოსახული ღვთისმშობლის ფიგურა, ბიზანტიური ძეგლებისაგან განსხვავებით, ოდნავ გადახრილია, რაც მას თავისებურ დინამიკურობას ანიჭებს. ეს ყოველივე უცნობია ბიზანტიური ხელოვნებისათვის – საკურთხევლის აფსიდში მოთავსებული ცენტრალური ფიგურისათვის. გელათის ღვთისმშობელი გამოხატულია „ნიკოპეის“ ტიპში – ის დგას კვარცხლბეკზე, ორივე ხელით უჭირავს ემანუელი, რომელიც მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენათი კი დახვეული გრავნილი უჭირავს.

ზოგადად, ღვთისმშობლის გამოსახულების „ნიკოპეის“ ტიპს რამდენიმე ვარიანტი მოეძებნება, რომელიც ერთმანეთისგან განირჩევა ემანუელის ფიგურის დაყენებით და იმით, გამოსახულია თუ არა მათ წინაშე მდგომ ანგელოზთან საიმპერატორო სახლის წარმომადგენელთა ფიგურები. ღვთისმშობელი მუქ-ლურჯ სამოსშია გამოწყობილი, იასამნისფერ-ლურჯი მიფონი შუბლსა და მხრებზე დაშვებულია ოქროს არშიით, ფოჩითა და ოქროს ჯვრებით, ხელში უჭირავს თეთრი ცხვირსახოცი, აცვია წითელი ფეხსაცმელი.

როგორც ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ: „გელათის მოზაიკამ დაარღვია კონქის კომპოზიციების, საზეიმო მონუმენტური სტილი, რომელიც დამკვიდრებული იყო სიცილიისა და კონსტანტინეპოლის კედლის მხატვრობაში.“

გელათის მოზაიკაში მოცემული ღვთისმშობლისათვის დამახასიათებელია პირისახის ოვალის ნაგრძელება, შედარებით დიდი ნიკაპი, თვალების ნაგრძელებული ჭრილი, ვინრო ზედა ქუთუთო, ხოლო ნიკეის, კვიპროსის და აიას სოფიას მოზაიკისათვის დამახასიათებელია ფართო ზედა ქუთუთო, თხელი და კეხიანი ცხვირი და პატარა ბაგეთა მრუდე ჭრილი.

გელათის მოზაიკის ღვთისმშობლის სახე სოფიას მოზაიკასთან შედარებით უფრო რელიეფურადაა მოდელირებული და მოზაიკის კენჭების ნყობაც უფრო მჭიდროა. მასზე გამოსახულია არა ჩვილი, არამედ ყრმა ემანუელი, მისი მაღალი და თავისუფლად მჯდომარე ფიგურის პოზა და საერთოდ მკაცრი გამომეტყველება ზუსტად ეთანხმება ემანუელის ტიპის საღვთისმეტყველო დოგმატურ გაგებას. აქ ავტორი ცდილობს დედის მოძრაობას უფრო მეტი ბუნებრიობა და სინაზე შემატოს, ამიტომ ცვლის მისი ხელების მდებარეობას. ღვთისმშობელი ორივე ხელით იჭერს ემანუელს, შესაბამისად იცვლება მთელი მისი ფიგურა. ის გამოსახულია მარჯვენა ფეხზე დაყრდნობით მსუბუქ კონსტრაქციონში, რაც ხაზგასმულია ხელების მდებარეობით და სამოსის ნაკეცების ნახატივით, ამით „ნიკოპეის“ გამოსახულება იჩენს მისთვის უჩვეულო დინამიკურობას და სიმსუბუქეს.

კომპოზიციის ფერადოვანი გადაწყვეტაც ასევე წარმოაჩენს მის შინაარსს. მოზაიკის ოქროსფერი ფონით შექმნილი ელვარე გარემო კარგად გამოყოფს სცენის ყველა ფიგურას, მაგრამ მუქ-ლურჯ სამოსში გამოწყობილი ღვთისმშობელი ამ ფონზე უფრო მინიერად გამოიყურება, მთავარანგელოზთა ფიგურებთან შედარებით, რომლის ღია ტანსაცმელისა და ოქროსფრით უხვი დამუშავების ნყალობით გამჭირვალედ და ჰაეროვნად წარმოგვიდგებიან. სხვებისაგან განსხვავებით გელათის ოსტატი განათებისას გამოყოფს არა იმდენად ღვთისმშობლის ფიგურას (მის გარშემო მხოლოდ სუსტი შარავანდედი იქმნება), რამდენადაც გაბრიელ მთავარანგელოზის გამოსახულებას, განსაკუთრებით მის თავს. ეს გადაწყვეტილება სულაც არაა შემთხვევითი და უპასუხებს კომპოზიციის საერთო კონცეფციას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქრისტიანული ტრადიცია განასხვავებდა მთავარანგელოზებს – მიქაელსა და გაბრიელს მათი ფუნქციების მიხედვით. პირველს მიიჩნევდა „ციური მხედრობის“ წინამძღოლად, „დამსჯელ ანგელოზად“ – მეორეს კი – „ღვთიური ნების მაცნედ“, მაგრამ მთავარანგელოზები წარმოდგენილი იყვნენ საკურთხეველში ქრისტეს ან ღვთისმშობლის საპატიო დარაჯის როლში. მათ შორის აზრობრივ განსხვავებაზე ყურადღებას ამახვილებდნენ. მიქაელსა და გაბრიელს გამოხატავდნენ ერთნაირ პოზებსა და სამოსში, თუმცა ასხვავებდნენ ტანსაცმლის ფერით. ჩვეულებისამებრ მიქაელს, გამოხატავენ ცივი ტონის სამოსში (ლურჯი, ცისფერი ან მწვანე), გაბრიელს კი თბილი ტონის ტანსაცმელში (წითელი, იასამნისფერი, ვარდისფერი).

გელათის მოზაიკის ავტორი, რომელიც მიქაელს ზურმუხტისფერ-მწვანეში გამოსახავს, ხოლო გაბრიელს – იასამნისფერში, არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამით და ორი მთავარანგელოზის გამოსახულებას განასხვავებს უფრო მკვეთრად, რითაც ქვემარტივ ორიგინალობას ამჟღავნებს. მუქი ვარდისფერი ლაქა ლოყაზე ავსებს ფერადოვან გამას და ლამაზად ერწყმის მიქაელის სამოსის ზურმუხტოვან-მწვანე ფერს, ხოლო მკვეთრად განათებული გაბრიელის სახე ნაკლებად ხატოვანია, თუმცა მასში ფერწერით უფრო ხაზგასმულია ერთიანი მოყავისფრო-წითელი ჩრდილით, ხოლო „განათებული“ ნაწილი გამოყოფილია ბაცი ვარდისფერი ტონით. ლოყაზე მიქაელს სახისაგან განსხვავებით, მუქი ვარდისფერი ლაქა კი არ ჩანს, არამედ მკვეთრი თითქმის თეთრი ათინათი გასდევს, ისეთივე როგორიც კისერზე. და ბოლოს, გაბრიელის თმა ოდნავ ბაცია მიქაელისაზე. ამგვარად, გაბრიელის სახის რეალური განათებით მხატვარი აღწევს ღრმად გააზრებულ ფერწერულ აზრობრივ ეფექტს. მთავარანგელოზთა სათუთად და ცოცხლად ჩამოქნილი სახეები გვაოცებენ თავიანთი გამომსახველობით. მით უფრო მოულოდნელია, რომ მათი შექმნის დიდოსტატი არ სცილდება შუა საუკუნეთა ხელოვნების პირობით ფარგლებს. მონომენტურობისა და განყენებულის ამგვარი ორგანული შერწყმა, შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშათვის არის დამახასიათებელი. შემთხვევითი არაა, რომ გელათის მოზაიკაში თავჩენილი, შემდგომში ვითარდება ვარძიის, ყინვისის, უბისის ფრესკული მხატვრობის სათუთად გამოძერწილ ზოგიერთ სახეში.



გელათის მოზაიკის მასალად გამოყენებულია ძალზე მცირე ზომის მდიდრული ელფერის სმალტის კუბურები. გარდა ამისა -- ადგილობრივი წარმოშობის მოვარდისფრო ქვიშაქვის კუბურები (სახისა და ხელებისათვის), ასევე გიშერი (ნახატისათვის). მოზაიკა გამოირჩევა საგულდაგულო წყობით. ნაკერებით თუ ვიმსჯელებთ, მოზაიკა და მისი თითოეული ფიგურა იკრიბებოდა ცალკეულ ნაჭრებად და შემდეგ გადაჰქონდათ მომზადებულ საფუძველზე. ფერთან ერთად კომპოზიციაში აქტიური როლი ენიჭება აფსიდის რეალურ განათებას. გელათის მოზაიკის დიდოსტატი იმგვარად ამუშავებს გრუნტს, რომ განათება კი არ იფანტება ზედაპირზე, არამედ თავს იყრის მის ცალკეულ ადგილებში. ნახატის კეთილშობილება, კოლორიტის სინატიფე და სახეების დახვეწილი ინდივიდუალიზაცია, საშუალებას გვაძლევს, გელათის მოზაიკა იმ ეპოქის განთქმულ ქმნილებათა რიცხვს მივაკუთვნოთ.

მართალია, გელათის მოზაიკას თავისი ზოგადი მხატვრული პრინციპით ზოგიერთი მკვლევარი ბიზანტიურ ხელოვნებას მიაკუთვნებს, მაგრამ ამავე დროს ყველა ერთსულოვნად აღიარებს, რომ გელათის მოზაიკა მთელი სტილისტიკური ნიშან-თვისებით განსხვავდება კონსტანტინეპოლის სკოლის ქმნილებათაგან, მჭიდროდ უკავშირდება ქართული ხელოვნების ძეგლებს და მიჰყვება ადგილობრივ, ეროვნულ მხატვრულ ტრადიციებს. ამავე დროს, კონქის მხატვრობის კომპოზიციის ცენტრში დინამიკურობის შეტანა წარმოადგენს სრულიად ახალ, გაბედულ მხატვრულ ხერხს, რომელიც პირველად ამ ეპოქის მონომენტურ ხელოვნებაში, გელათის მოზაიკის გენიალურმა ოსტატმა შეიტანა. მოზაიკის მთელი ქვედა ნაწილი (დაახლოებით ფიგურის შუა თეძოდან) ჩამოშლილია და აღდგენილია ფრესკით. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ 1509 წელს ოსმალთა დიდი ჯარი სულთანის მემკვიდრე ტრაპიზონის ფაშის სელიმ-ხანის მეთაურობით ქუთაისში შემოიჭრა. ცეცხლს მისცა ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი. ბუნებრივია, მოზაიკა და ფრესკები დაზიანდა. მათი განახლება, აღდგენა ხდება იმერთა მეფის ბაგრატ III-ის დროს (1510-1565 წლებში). მოზაიკის აღდგენაც სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული.

ისტორიის ჟამთა სვლისა და ატმოსფერული ზემოქმედების შედეგად გელათის მოზაიკამ გარკვეული ზიანი მიიღო. მოზაიკა და ფრესკები არა ერთხელ იქნა გამაგრებული. ჩატარებულია გამწმენდი სამუშაოები. არსებობს ამის დამადასტურებელი ფოტო სლაიდი, რომელიც ამჟამად ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიციაშია წარმოდგენილი.

განახლებული გელათის მოზაიკა საქართველოს ქრისტიანული მონუმენტური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია. იგი დღესაც დიდ ინტერესს იწვევს მლოცველთა შორის და ბუნებრივია, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში.

ამ გაზაფხულზე, უკვე ბევრჯერ გავლილ გზას ფეხით გავუყევი გელათისაკენ. ვფიქრობდი მის წარსულსა და აწმყოზე. უცებ, აპრილის წვიმა თქეშად წამოვიდა, ჩქარი ნაბიჯით გავიარე ეზო, რომელიც ოქროსფრად აელვარებულ ბაიებს სულ ერთიანად დაეფარათ, თავები მორცხვად დაეხარათ, კაბის კალთაზე მეხებოდნენ და ოქროსფერ კვალს მიტოვებდნენ... აჩქარებული ნაბიჯით შევაფარე ტაძარს თავი, ირგვლივ საოცარი სიჩუმე დამხვდა აქა-იქ კელაპტრები და უხვად სანთლები ენთო... საოცარი მაღლი ვიგრძენ, მაგრამ უცებ ეს სიჩუმე წვიმის წვეთების ხმამ დაარღვია. მიმოვიხედე და რას ვხედავ ?! წვიმის წვეთებს კედელზე კვალი უკვე გაეჩინა და იატაკზეც წკაპუნით ეცემოდა. გული შემეკუმშა... უფლის სადიდებლად ააგეს ჩვენმა წინაპრებმა ყველა ტაძარი, უფლის მაღლით მოვედით დღემდე ათას ჭირვარამგადანახადი ერი, ჰოდა ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და სათუთად მოვექცეთ წარსულს და აწმყოს. სხვაგვარად მოქცევის უფლება არ გვაქვს, რადგან ჩვენ მომავალს ვაშენებთ. მომავალი კი არ არსებობს წარსულისა და აწმყოს გარეშე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ციციშვილი ი. ლომიძე ბ. მენაბდე ლ. ქსე ტ.3 თბ.1978 წ.
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ.3 გვ.36-37 თბ.1978 წ.
3. ვანი VIII. გამ. „მეცნიერება“ თბ.1986 წ.

**ელენა გაგაუშია** – კულტუროლოგი, დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისრაელის ცენტრის“ მეცნიერ-მკვლევარი

**ქართული არქეოლოგიური მეცნიერების დიდი დანაკარგი  
გურამ ლორთქიფანიძის ნათელ სსოვნას**

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და საქმიანობით წარუშლელ კვალს ტოვებენ ჩვენს ცხოვრებაში. ნიჭიერი მეცნიერი, უკეთილშობილესი ადამიანი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, ასეთი იყო და ასეთად გვემახსოვრება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპოდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე სხვადასხვა თაობის სტუდენტებს, მის თანამშრომლებსა და ყველას, ვინც მას იცნობდა.

გურამ ლორთქიფანიძე (მისი ოჯახი წარმოშობით ვანის რაიონიდანაა) გახლდათ ქართული არქეოლოგიური სკოლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი. მან სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის რთული გზა განვლო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიამდე. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომით დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში არქეოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების განვითარებაში. ბატონი გურამი აქტიურად მონაწილეობდა, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, სადაც ღირსეულად წარმოაჩინდა ქართული მეცნიერების პრესტიჟს. მას ხშირად ინვესტირებდნენ ლექციების წასაკითხად სხვადასხვა უნივერსიტეტები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მოხსენებებით გამოდიოდა ინგლისში, ამერიკაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთსა და უკრაინაში. მის მიერ 1988 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში ჩატარებულ საჯარო ლექციას – „საქართველოს არქეოლოგია,“ დიდი რეზონანსი მოჰყვა. 2014 წელს რუსმა პროფესორმა, არქეოლოგმა ოლღა დაშვესკაიამ თავის მონოგრაფიაში „Некрополь Беляуса“ სამადლობელი წერილი მიუძღვნა ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს, როგორც დიდ მეცნიერს, ყურადღებიან კოლეგას და კეთილშობილ ადამიანს. გურამ ლორთქიფანიძის ნაშრომები მუდამ იმსახურებდა სპეციალისტთა დიდ ყურადღებას. მის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგები ასახულია სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციაში, რომელთა რაოდენობა 250 აღწევს. მათ შორისაა: 15 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 4 ბროშურა. მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა საყოველთაოდაა აღიარებული. ის, როგორც წარმატებული მეცნიერი შეყვანილია საქართველოს ბიოგრაფიულ ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“. დაჯილდოებულია: ღირსების ორდენით; ექვთიმე თაყაიშვილის მედლით; ივანე ჯავახიშვილის მედლით; მიხეილ ლერმონტოვის მედლით; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპოდენტის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II სრულიად პატივდების სიგელით; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მედლით; ისრაელის საელჩოს საპატიო სიგელით.

თვალსაჩინოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი პედაგოგიური, სამეცნიერო და ორგანიზატორული მუშაობის მასშტაბები. მისი ინიციატივით ისტორიის ფაკულტეტზე დაფუძნდა კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, რომელსაც 1985-2005 წლებში ხელმძღვანელობდა. ამით, ფაქტობრივად, საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას, შეძლო შედარებით მოკლე დროში მოემზადებინა და ასპარეზზე გამოეყვანა ამ სფეროში ახალგაზრდა სპეციალისტთა მთელი თაობა, რომელთა თანამშრომლობითაც შეიქმნა ორი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო: „ქართული კულტურის ისტორია“

(1997) და „კულტუროლოგია“ (2003). მისმა მოწაფეებმა წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მისი ღვაწლის აღიარების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ გურამ ლორთქიფანიძის არჩევა: იუდაიკის პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის „სეფერის“ აკადემიური საბჭოს (მოსკოვი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის (MAAH) ჟიურის (მოსკოვი), ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ჟურნალის „Pro Georgia“ სარედაქციო კოლეგიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის სარედაქციო კოლეგიის წევრად. წლების მანძილზე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალის, „ჩვენი მეცნიერება“, სარედაქციო კოლეგიის, სამეცნიერო შრომების კრებულის, „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული „არქეოლოგიური კომისიის“ წევრი, თსუ ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი (2008 წლიდან-სიცოცხლის ბოლომდე), თოთხმეტი წლის განმავლობაში (1990-2004) ბატონი გურამი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი, 2002-2004 წლებში საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურული ურთიერთობების უნივერსიტეტის რექტორი. ბოლო რამდენიმე წელი ის გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოს ვ. პარკაძის საქმის გამგრძელებელი.

დიდა მისი ღვაწლი ახალგაზრდა არქეოლოგიური კადრების აღზრდაში, რასაც თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურებოდა. მან თავისი მეცნიერული საქმიანობით და პედაგოგიური მოღვაწეობით გამორჩეული წვლილი შეიტანა ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. დიდი ინტერესით სარგებლობდა მისი სალექციო კურსები: ბიბლიური არქეოლოგია, კლასიკური არქეოლოგია, კულტურა – ისტორიის შესწავლის ობიექტი. ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. ამას ადასტურებს მის მიერ განვლილი გზის ობიექტური ანალიზი. ბატონი გურამი მისაბაძი მაგალითი იყო ახალგაზრდა თაობისათვის, სტუდენტები და კოლეგები მისგან ყოველთვის გრძნობდნენ ფაქიზ, გამორჩეულ ადამიანურ სითბოსა და გულისხმიერებას. მუდამ სამეცნიერო-კლევითი მუშაობით გადატვირთული მაინც გამონახავდა დროს დახმარება გაენია ახალგაზრდა კოლეგებისათვის, წაეკითხა მათი მოხსენებებისა თუ სტატიის ტექსტი, მიეცა საჭირო რჩევა-დარიგებანი. იყო მრავალი სადისერტაციო და სამეცნიერო ნაშრომის ოპონენტი. მისი მეგობრები, მისი აღზრდილი სტუდენტები, დღეს უკვე მისი კოლეგები ყოველთვის აღნიშნავდნენ მის უაღრესად ადამიანურ სითბოსა და გულისხმიერებას. დასანანია, რომ ასეთი დიდი ადამიანი აღარ არის ჩვენს გვერდით. ბატონი გურამის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია, როგორც ქართული არქეოლოგიური მეცნიერებისათვის, ასევე მისი ოჯახისათვის, კოლეგებისა და მეგობრებისათვის. მისი მემკვიდრეობის შეფასება კი მომავლის საქმეა.

შენიშვნა: ბატონი გურამ ლორთქიფანიძე ვანური ფესვების მქონე გამოჩენილი მეცნიერია. ის წლების მანძილზე საქმიანობდა ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაშიც.

ლადო სულაბერიძე – 100

მიმდინარე წლის 20 აპრილს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა, უთვალსაჩინოეს ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ლადო სულაბერიძეს.

რახან კრებულ „მატიანეს“ მე-9 ნომერში დაბეჭდილია პოეტის შვილიშვილის ლადო სულაბერიძის (უმცროსი) ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევი სახელოვან ბაბუაზე, ამჯერად, მხოლოდ, ნაწილობრვ შევსებით მის შემოქმედებას.

1948 წელს გამოვიდა ლადოს ლექსების პირველი კრებული „ყირიმის ღამეები“, მაგრამ დაპატიმრებისთანავე ტირაჟი დაჭრეს და გადაყარეს, ერთადერთი ეგზემპლარი, საბედნიეროდ, საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკას შემორჩა.

ლადო სულაბერიძის პოემები – „შემოდგომის დღის ქრონიკა“, „ლოდზე ამოკითხული თქმულება“ და ლექსების ციკლი „თბილისი დამიმშვენე“, აღინიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული პრემიებით. 1985 წელს კი გამოსცა რომანი „ზღვისკენ მიმავალი გზები“, ხოლო ლირიკული ლექსების კრებული „ჩამავალ მზესთან“ (1991 წ.) პოეტის ბოლო გამოცემაა. ლადო სულაბერიძის სიცოცხლეში ვერ მოესწრო სათავგადასავლო რომანის „ცხადსიზმარიანას“ გამოცემა; ჟურნალ „მნათობის“ რამდენიმე ნომერში „ცხადსიზმარიანას“ მხოლოდ პირველი ნაწილი დაიბეჭდა. 1993 წელს მწერალთა კავშირის მიერ „ცხადსიზმარიანა“ შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურულ პრემიაზე იქნა წარდგენილი.

ლადო სულაბერიძე საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე ტრაგიკულ, სოხუმის დაცემის დღეს, 1993 წლის 27 სექტემბერს საკუთარ ბინაში გულის შეტევით გარდაიცვალა. მისი ზეპირი ანდერძის თანახმად, დასაფლავებულია მშობლების გვერდით, საბურთალოს სასაფლაოზე.

აქვე გთავაზობთ მისი უახლოესი მეგობრისა და თანამოკალმის რევაზ მარგიანის წერილს, რომელიც პრეამბულად უძღვის გამომცემლობა „მერანის“ მიერ 1980 წელს დაბეჭდილ პოეტის რჩეულ ლირიკას: „ლადო სულაბერიძე „სამოციანელი“ გახდა. ზოგიერთ ამხანაგს გაუკვირდა კიდევ ლადოს „ხანდაზმულობა“. მე არ გამკვირვებია, რადგან მისი ბალაობისდროინდელი ლექსის დაბადების მომსწრე ვარ. მონაფეობის წლებში ნავიკითხე „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე ბავშვთა ოლიმპიადაზე გამარჯვებული პანანკინტელა ლექსი, რომელსაც ქვემოთ მოკრძალებული პეტიტით ეწერა: „ვლადიმერ სულაბერიძე, ქუთაისის მეორე სანიმუშო სკოლის მოსწავლე“.

რა დიდი დრო გასულა!

დღეს იგივე სალიტერატურო გაზეთმა აღნიშნა პოეტის იუბილე.

ლადო სულაბერიძეს, დღეს უკვე ცნობილ პოეტს სიამოვნებს ამის მოგონება, მაგრამ მისი პოეტური ბიოგრაფია მაინც „ჩვენი თაობის“ ფურცლებიდან იწყება. ამ ჟურნალში აიდგა ფეხი ომისწინადროინდელი ახალგაზრდა მწერლების თაობამ. ჩვენს შორის, ერთმანეთს ახლად გაცნობილ მგოსანთა შორის, ყველაზე უმრწმესი ლადო სულაბერიძე იყო. „კარგ კვიცს კოჭებში ეტყობა – რა ბედაურიც დადგებაო“ – უთქვამს ხალხს. ჭაბუკი პოეტის თითქოსდა გაურანდავ პირველ სტრიქონებს „კოჭებში ეტყობოდა“, რომ კარგი მომავალი ექნებოდა.

და აგერ ორმოცი წელიწადია, ჩუმად და მოკრძალებულად, ყოველგვარი ხმაურისა და თავმომბეზრებელი „ლიტერატურული ფაციფუცის“ გარეშე, სამზეოზე გამოაქვს ლექსად გარდაქმნილი კეთილი კაცის ფიქრები, რომელსაც მრავალათასიანი მკითხველი და დამფასებელი ჰყავს.

ლადო სულაბერიძის პოეტური სამყარო ფრიად საინტერესოა და საქართველოს ბუნებასავით მრავალფეროვანი. ქართულ სინამდვილეშია აღმოცენებული და გახარებული. იმ მიწის წვენითაა ნასაზრდოები, რომელმაც მეოცე საუკუნეში ორი დიდი შემოქმედი გაუზარდა ქა-

რთულ პოეზიას, ორი ტაბიძე – გალაკტიონი და ტიცვიანი. ამ უახლოესი წინაპრების პოეზიის უსაზღვრო სიყვარულმა ყრმა ლადო სულაბერიძეს გააბედინა აელო ხელში გაუნაფავი კალამი და მათ გზას დადგომოდა. მაშინ არ იცოდა ყრმა მოლექსემ და არც შეეძლო სცოდნოდა რა ძნელ გზაზე გადიოდა საასპარეზოდ. შემდეგ გაიგო, ცოტა მოგვიანებით, ლექსისათვის მხოლოდ ნიჭი არ კმაროდა. ოსტატი რომ გამხდარიყო, საჭირო იყო დიდი ცოდნა, ყოველდღიური წვალბა და ძიება, ძიება თვით სიბერემდე.

პოეზიის ყოველ დიდოსტატს ჰყავს გულმხურვალე და ერთგული შეგირდი, რომელიც ერთგულია წინაპრის პოეტური მრწამსისა და თვალთახედვისა, მასწავლებლის მაგალითით ოსტატდება და თანდათანობით მნიფდება როგორც შემოქმედი. არცერთი პოეტი არ გაჩენილა ქვეყნად, რომელიც უწინაპრო ყოფილიყოს. ერთგული შეგირდობა ეპიგონობას როდი გულისხმობს. ჭაბუჯი შემოქმედი თუ ნიჭიერია და ჭკვიანი, უთუოდ ცდილობს საკუთარი გზის განაღდვას, რაგინდ ძნელი არ უნდა იყოს ამ გზის გაკაფვა. ცდილობს მხოლოდ მისეული სული შთაბეროს სათქმელს, მხოლოდ საკუთარი თვალთ შეხედოს გარემოს და აღმოაჩინოს ის, რასაც სხვისი თვალთ ვერ ამჩნევს.

ლადო სულაბერიძემ, ერთგულმა ქართული პოეზიის დიდი ტრადიციებისა, მოძებნა საკუთარი გზა, გზის პირად საკუთარი ხეები დარგო, ახარა და ახლა ამ ხეთა ჩრდილში ყოფნა სიამოვნებას ჰგვრის ქართული ლექსის ყველა ჭეშმარიტ მოყვარულს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ლადო სულაბერიძე დიდი სამამულო ომის წლებში გამოჩნდა სალიტერატურო ასპარეზზე. ცხოვრების გზაზე მრისხანე ომი წამოეწია, ომის ქარცეცხლის მძვინვარებაც იწვინა და როგორც მოსალოდნელი იყო, დენტის კვამლმა და ცეცხლმა შეურუჯა სანგარში დაბადებული სიმღერები. ომში დაგროვილი შთაბეჭდილებანი ლექსად გარდაქმნა და აამეტყველა. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ მეტი ძალ-ღონე შეჰმატა პოეტს. ათას დავი-დარაბაში განვლილმა წლებმა უფრო დააფიქრა და სათქმელი დაუხვავა, ხანგრძლივმა ძიებამ ხელგანაფული ლექსის საუკეთესო ოსტატი გახადა.

ლადო სულაბერიძის პოეტური სიტყვა უაღრესად ადამიანურია და გულთბილი, მას შესწევს უნარი იმისა, რომ ადვილად დაიმორჩილოს და ალაგზნოს მკითხველი არა მოყირჭებული ცრუ პოეტური შეძახილებით, არამედ გონივრულ აზრთან შეზავებული მძაფრი ემოციით. შემოქმედის ყოველდღიური სიტყვა ახალ საქართველოს ემსახურება. ამ სიტყვას ბევრჯერ გაუღვივებია სიკეთის თესლი მკითხველის შემეცნებაში. ლადოს არ უყვარს სიტყვის ზედმეტად გარანდვა, გაფერვა და გაკრიალება. იგი პოეტურ ჩანაფიქრს ხშირად ზედმეტი სიტყვა-კაზმულობისაგან ათავისუფლებს. ყოველივე ეს კი პოეტის სათავიდან მოდის, ამიტომაც სიტყვა მისი ანკარა და აუმღვრეველი.

ლადო სულაბერიძე არ განეკუთვნება ფეიერვერკის მოყვარულ პოეტების რიგს. ისინი ხომ თვალს გვიჭრებენ მოქნილი სტრიქონებით, რომელთა მცხუნვარე ბენგალის ცეცხლის მოჩვენებით სიტბოს ვერ სცილდება.

ემოციურობა ლადო სულაბერიძის ლექსის განუყრელი თანამგზავრია, უფრო თვისებაა თანდაყოლილი, რომელიც ადრინდელი, სიჭაბუკისდროინდელ ლექსშიც შეიმჩნეოდა. ამ მხრივ იგი ტიცვიან ტაბიძეს ენათესავება. მთრთოლვარებითა და შინაგანი სიმართლითაა აღსავსე და დამუხტული ლადოს მრავალი ლექსი. გუშინდელ დღეზე წერს პოეტი თუ ისტორიის დრამატიზებულ სურათებს ხატავს, ყოველივეს დღევანდელი თვალთ უცქერის.

სიტყვა პოეტისა ჯანმრთელია, სათუთი და ძალდაუტანებელი. რა თემაზეც არ უნდა სწერდეს იგი, ყოველთვის პოულობს ლექსისათვის შესაფერ ფორმას ჩანაფიქრის გამოსახატავად. ყოველივე, ადამიანური ტკივილი იქნება იგი თუ სიხარული, უცხო არაა ლადოსათვის. ამიტომაც, რომ ხშირად ჭვალავით გაჰკრავს ხოლმე მის ლექსს ტკივილი, ხოლო სასიამოვნო ჟრუანტელად – სიხარული.

ლადო სულაბერიძის სახელი კარგა ხანია დამკვიდრდა ქართული სიტყვის მონინავე ოსტატთა შორის. საქართველოს ფარგლებს გარეთაც ხმიანობს მისი ლექსი. ხანდაზმულობა არ შეიმჩნევა ექვსი ათეული წელიწადს მიღწეული პოეტის ბოლოდროინდელ შემოქმედებაში. ამის

დასტურია თუნდაც პოემა „ექვთიმე თაყაიშვილის მონოლოგი“, რომელმაც პოეზიის მოყვარულთა და თვით პოეტების აღტაცება გამოიწვია.

ლადო სულაბერიძე ორიგინალური ხმის პოეტია და მისი შემოქმედება დღემდე იწვევს მკითხველთა ცხოველ ინტერესს.

პოეზიის თაყვანისმცემლები აქვე გაეცნობიან მის მშვენიერ ლექსებს, რომელთაც ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატის ბეჭედი აზის:

### ზედაზნიდან

აქედან ჯერ არ გადამიხედავს,  
ძირს სხვა მთებია თუ სხვა მდელოა?!  
ჩანს ქონგურები ნაცნობ ციხეთა,  
მაგრამ ეს სულ სხვა საქართველოა.  
აქედან ვუხმობ ახალ პოეტებს,  
ჯადოსნურ ფერთა ახალ ხელოვანს,  
და საქართველო, ჩემი სამშობლო,  
აქედან სულ სხვა საქართველოა.  
ახალგაზრდების გუნდები მახლავს,  
გავეჯიბრები ამათ ლელოში.  
სხვა საქართველო ვიხილე ახლა  
აქედან მშობელ საქართველოში.  
სხვა ფერი დაგხვდა, საცა ნახვედი,  
ძირს სხვა მთებია თუ სხვა მდელოა?!  
რამდენიც არის გადასახედი,  
თურმე იმდენი საქართველოა.

### ჩიტები

ლამეს ათევენ ხეზე ჩიტები,  
არ შეარხიო, ქარო, რტოები.  
ლამეს ათევენ ხეზე ჩიტები  
და ესიზმრებათ უდაბნოები.  
და ესიზმრებათ უდაბნოები,  
გადაბუგული მზით და თაკარით.  
არ შეარხიო, ქარო, რტოები,  
არ დაუფეთო ჩიტებს სახლ-კარი.  
ამალამ მაინც ნუ განვიმდები,  
ამალამ მაინც ნუ გათოვდები.  
ჩიტებს არა აქვთ თბილი წინდები,  
ჩიტებს არა აქვთ თბილი ოდები.  
ჩაბუდრებულან ლამის უბეში  
და აფარიათ მწვანე ფოთლები.  
გამოხვეულან სიზმრის ღრუბელში,  
ღრუბლებო, ახლა ნუ აღშფოთდებით.  
დასველებიათ ნამით ნისკარტი,  
დაუხუჭიათ თეთრი ქუთუთო.  
აცალეთ ახლა ჩიტებს ცისკრამდი,

გრიგალო, სუნთქვა არ შეუხუთო.  
ბრალია მათი სიზმრის აკლება,  
ბრალია ახლა და ნუ ხმაურობთ.  
აცალეთ, როგორც ზანზალაკებმა  
დილით რტოებზე გაიჟღარუნონ.  
ჩასაფრებულან ხევში ქორები,  
კლანჭებს ილესავს ხელი მიმინო,  
ამალამ მაინც დაცხრით, ქარებო,  
და ნუ გაკრთები, ელვის ღიმილო.  
.....  
ლამეს ათევენ ხეზე ჩიტები.

### ახალგაზრდობას

ვნვავ ნითელ თიხას, ქვევრად,  
კოკად, დოქად, კრამიტად  
და ვქმნი რალაცას მშობელ მიწის  
ერთი გრამითაც.  
ახალგაზრდობავ, მინაზევე დავტოვებ მერე  
ჩემს კრამიტთან ოლა-სახლს  
და ჩემს კერამიკას.  
შენ გააგრძელებ ჩემს ოცნებას,  
ჩემს მისწრაფებას,  
უდაბნოებში გადაიყვან გრძელ  
მაგისტრალებს.  
ჩემს ბებერ ნავზე სიჭაბუკეს აშლი აფრებად  
და დაამთავრებ იმ ხიდს, რაიც  
ვერ დაგიმთავრე.  
ველარ მოვასწრებ ცის შემოსვლას,  
გზა დამრჩა მოკლე,  
ჩავეკიდები ქვესკნელისკენ  
დაგრეხილ თოკებს.  
ჯერ კიდევ მტკიცა ნატყვიარი  
ილიას შუბლის,  
ჯერ კიდევ ვმართავ ობელისკებს  
დაღუპულ ყრმათა,  
და თვალზე ვიდებ მზის ვეება  
ვარვარა დურბინდს,  
რაც შეიძლება ფართო გზები  
გიპოვნოს რათა.

მე ვერ მოვასწრებ სიყვარულის  
ჩემის დახარჯვას,  
ღრმა ხეობების სანახელოში  
მაქვს ჩანურული.  
მინა ნაოჭად შეიფერებს ჩემს  
ძველ ნახანჯლარს,  
იმ სანახელიდან დაიოკე მზეზე წყურვილი.  
ნაბუკურ ღიმილს ცემს ძველ  
ნავზე აშლი აფრებად,  
უფრო აანყო სიყვარულის  
ჰანგზე გიტარებს,  
შენ გააგრძელებ ცემს ოცნებას,  
ჩემს მისწრაფებას,  
უდაბნოებში გადაიყვან  
გრძელ მაგისტრლებს.

## საუბარი ასი წლის ლადო სულაბერიძესთან

გიახლოვდები,  
როგორც თოვლიან  
მთას ალპინისტი უახლოვდება.  
ახლა აქა ვარ და ლურჯბოლიან  
ქარში კვლავ ველი ცისკრის მონთებას.  
შუაკაცი ვარ, შენსა და სიყრმეს  
შორის...

აფეთქდა ისევ ტყემალი.  
წუთისოფელი მომდევს და მიღრენს,  
რომ გამიღუნოს გზად ხერხემალი.  
შუა ბოძი ვარ შენსა და სიყრმეს  
შორის გადებულ სანუტროს ხიდის,  
ლანქერი წმინდა მდინარეს მიმღვრევს,  
მეხეთქება და ღრიალით მიდის.  
მოგყვები კლდეთა ტერასებს — კიბეს,  
მხრებზე ნისლები მადევს მტვერივით.  
ოქროთი სავსე არა მაქვს ჯიბე,  
მაგრამ სიკეთით მაქვს გატენილი.  
ვერ ამოგიტან მიწიერ ნივთებს,  
ვაგროვებ მხოლოდ მიწის სიგრილეს.  
დავეძებ ფხიან ზღაპრებს და მიტებს,  
ხილვის ბურუსში მოყრილ-მიყრილებს.  
არ ვიცი,

რა ხარ,

მაგრამ მე ვიცი,  
რომ დრო ხარ,

ჩემი სასტიკი ჟამი.

ვინახაც შენთვის მანანს ციმციმს  
და მომაქვს თივის დაწნული სკამი.  
არ ვიცი,

რა ხარ,

კაცი თუ მინა,  
თუ აზელილი წვიმით ტალახი.  
იქნება ჩადგე წიაღში კირწყლად,  
იქნება ფესვი გახდე ბალახის.  
იქნებ ვერ მოგწვდე ამ ცხელი ხელით,  
იქნება გახდე პატარა მწერი.  
იქნება მაინც კაცის სველ გელის  
და დამხვდე თეთრი თმით და წვერით.  
ეგ სულ ერთია,...

შენ დრო ხარ,

ჟამი,

შენთვის ვაგროვებ მიწის სიგრილეს.  
მე მომაქვს თივის დაწნული სკამი  
და ჩემს ხელმწიფედ დაგაგვირგვინებ.  
შენ დრო ხარ,

შენი თანამედროვე

ყრმები მოგაპყრობს უმკაცრეს მზერას.

ვაი, არ ჰგავდე ოლონს კეთროვანს,

ვაი, არ ჰგავდე ოლონდაც ძერას.

და სულ ერთია, რაც კი იქნები:

ხე,

მინა,

წყალი,

ელვა,

ღრუბელი...

შენ დრო ხარ,

მიტომ არ გამოქრები,

დავინყებაში ფეხშეუდგმელი.

ჩვენს შორის ახლა ლურჯი ზოლია,

რომელზეც თეთრი ნისლი გროვდება.

გიახლოვდები, როგორც თოვლიან

მთას ალპინისტი უახლოვდება.

\*\*\*

გადამიყვანე გაღმა ნაპირზე,

მაგ შენი ნავით გადამიყვანე.

გადამიყვარე გულის ჯავრი და

პატარა ქოხი გადამიყვარე.

შემომიღობე ეზო ცვრიანი,

იფნის წნელებით შემომიღობე.

სიტყვები მითხარ ნაპერწკლიანი,

სულის ყინულებს შემომიღობენ.  
გამომიზარდე ქრელი ციცრები,  
ფარშავანგები გამომიზარდე.  
ქოხში დამიგე მუხის ფიცრები  
და ცხელ ღიმილით გამომიზამთრე.  
მე თვით გაგიხსნი გულის საკინძეს  
და არასოდეს გადაგიყვარებ.  
გადამიყვანე გაღმა ნაპირზე,  
მაგ შენი ნავით გადამიყვანე.

### ბორკილი

დაგატყვევებს მეგობარი,  
დაგატყვევებს მიჯნური,  
მერე მათი ბალნარები  
გარს გაქვს შემომიჯნული.  
დაგატყვევებს წინაპართა  
ნესი, რჯული, ღვთაება...  
და ამ ბორკილს კაცობრიულს  
ვიდებთ გაუთავებლად.  
კაცმა რო თქვას, მსუბუქია  
ასე გამოჩორკნილი  
სიყვარულის, ერთგულების,  
წუთისოფლის ბორკილი?!  
მაგრამ სხვაა ვერაგი მტრის  
სისხლიანი ხუნდები,  
როცა სადღაც უმამულოდ  
დნები, ქრები, ხუნდები.  
ვამტვრევ, ვამსხვრევ ამნაირ ხუნდს,  
არწივს მოვდევ, მოვკივი,  
სიყვარულის, ერთგულების  
და მამულის ბორკილით.

### ჩვენი შუადღე

ჩვენს შუა ჩადგა ცხელი მზე ახლა,  
ჩვენს შუა ჩადგა შუადღე ცხელი.  
სულში ჩრდილების ყინული გალხვა,  
მზემ გადაგვხვია ორივეს ხელი.  
შენა ხარ ალხა ჩემი სიგრილე,  
შენა ხარ ახლა ნიავი გრილი  
და ქოლგასავით წამომიჩრდილე  
შენ დედამინის სუყველა ჩრდილი.  
ხარხარებს მზე და შუადღის ხვატი  
დგას თეთრი ღრუბლის

ფარფლიან ქუდით.

მდინარის მკერდზე

გაკრული ხატი

მგონია შენი თვალების ქურდი.  
მწვავს სიყვარულის ვეება ლავა,  
ხარ სიყვარულის ვეება ჩრდილი.  
მზე ისევ მტების გადაღმა ჩავა  
და მოერევა თავისი ძილი.  
და თუ სიგრილემ მომხვია ხელი  
და ყინვამ გამკრა ელვარე ეშვი,  
მაშინ იქნები შენ მზეზე ცხელი,  
ვარვარა სხივებს მომაცირი პეშვით.  
სუყველა ცრილი, სუყველა სხივი,  
ცივი ზამთარი, ცხელი ზაფხული,  
ლივლივა ტბაზე შენ

მოგაქვს ტივით,

გზადაგზა ჩემთვის შემონახული.



## იმერული „აჩაჩა“ (დაბალი) ურემი

ქართული ხალხური საზიდი საშუალება, ურემი, ქართველი ხალხის ერთ-ერთი უძველესი კულტურული მონაპოვარია. ქართული ურემების იმ მრავალ სახეობებიდან, რომელიც ერთნოგრაფიულ სინამდვილეშია დამონმებული, კვლევის თემად იმერული ურემის შესწავლა დავისახეთ. ამ თემით დაინტერესება გამოიწვია პროფესორ მიხეილ გეგეშიძის მონოგრაფიის გაცნობამ, რომელშიც ქართული ხალხური ტრანსპორტი შესწავლილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით და ამ გამოკვლევაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხალხური ტრანსპორტის სახეებს იმერეთში. ამ გამოკვლევის საფუძველზე შევეცადე ცალკე დამეჯგუფებინა იმერული მასალა და ნაწილობრივ შემევსო კიდევ ახალი ეთნოგრაფიული მონაცემებით. ამ მიზნით შევაგროვე ეთნოგრაფიული მასალა იმერეთის, ვანის რაიონის, შემდეგ სოფლებში: ტობანიერში, შუამთაში, ყუმურში, ჭყვიშში, მთისძირში, ციხესულორში. ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხის ფონდში დაცული იმერული ურემის კოლექცია და სპეციალური ლიტერატურა.

ურემის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ უძველეს წერილობით წყაროებში გვხვდება. დაბადების ქართულ თარგმანში ნახსენებია ერთი მხრივ ურემი და მეორე მხრივ ეტლი<sup>1</sup>. ასევე ურემი მოხსენიებულია იოანე საბანის ძის „აბოს წამებაში“, რომელიც მე-8 საუკუნის ძეგლია. იოანე საბანისძე ამბობს: „მაშინ გამოვიდეს და აღიღეს ქვეყნით პატიოსანი გვამი მისი (ლაპარაკია აბო თბილელზე, რომელიც არაბებმა სიკვდილით დასაჯეს, იმისთვის, რომ უღალატა თავის რჯულს და ქრისტიანობა მიიღო) და დადევს წმინდა იგი ურემსა ზედა.“<sup>2</sup> როგორც პროფესორ მ. გეგეშიძეს აქვს აღნიშნული სახელწოდება ურემი ფილოსოფიური ხასიათის ძველ ქართულ თარგმნილ ლიტერატურაშიც გვხვდება.

სხვადასხვა ხასიათის ტრანსპორტის ჩამოყალიბება საქართველოში ცხადია მარტო გეოგრაფიული პირობებით არ არის გამოწვეული. იგი განპირობებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, იმერეთში სოფლის მეურნეობის სპეციფიკურ ფორმასთან და გეოგრაფიულ გარემოს თავისებურებასთან ყველაზე უკეთ იყო შეგუებული „აჩაჩა“ ურემი.<sup>3</sup>

„აჩაჩა“ ურემი გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს გორაკ-ბორცვიან ადგილებში, ზემო იმერეთიდან მოყოლებული ქვემო იმერეთის მაღლობების ჩათვლით, აგრეთვე რაჭაში, ლეჩხუმსა და მთიან საქართველოშიც.

ზემო იმერეთად მიჩნეული ტერიტორია მოიცავს საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, ხარაგაულის და სხვა რაიონებს. ამ რაიონებისათვის დამახასიათებელია მისი შუალედური მდებარეობა, აღმოსავლეთით ზემო იმერეთი – ებჯინება ლიხის მთას, ანუ სურამის ქედს, სამხრეთით მას აჭარა-იმერეთის ქედი ეკვრის, ხოლო ჩრდილოეთით რაჭის ქედი, ხოლო დასავლეთით კოლხეთის გაშლილი ბარი ესაზღვრება.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალი ისევ ზემო იმერეთზე იყო გაყვანილი. აქ აშენდა ევროპაში იმ დროისათვის ყველაზე დიდი გვირაბი. რკინიგზის გაყვანას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის ეკონომიკური მდგომარეობისათვის, აქ საგზაო მნიშვნელობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა მას შემდეგ, რაც დაიწყეს მარგანეცის მადნის მოპოვება ჭიათურაში. ზემო და

1. მ. გეგეშიძე - ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ. 1956 წ. გვ.24

2. იოანე საბანისძე - „მარტვილობა აბოსი“, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. თბ. 1946 წ.

3. რომელსაც დაბალ ურემსაც უწოდებენ და განსხვავდება ბარის ზონაში გამოყენებული მაღალთვლიანი ურემისაგან, კონსტრუქციით და ტვირთამწეობით. (რედ)

ქვემო იმერეთის სამიმოსვლო ტრანსპორტი უნდა მორგებოდა ოღრო-ჩოღრო, ზოგან საცალ-ფეხო ბილიკად მიმავალ გზას.

იმერეთის საურმო გზებზე უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაზიდვა წარმოებდა. გზების სავალალო მდგომარეობაზე წერდა ა. წერეთელი გაზეთ „მწყემსში“ 1887 წელს: „... ეს გზა სწორედ ნამდვილი ჯოჯოხეთია. ბევრ ადგილას ისეთი ვინროა, რომ იმერულ პატარა ურემსაც კი უჭირს უშიშრად გავლა. გარდა სივინროვისა ამ გზებზე ისეთი ოღრო-ჩოღროებია და ორმოებია, რომ ღამე მასზე გავლა ცარიელ კაცსაც არ შეუძლია.“<sup>1</sup>

ყოველივე ეს ითვალისწინებდა იმერეთში ხალხური გადასაზიდი ტრანსპორტის კონსტრუქციის თავისებურებას – სხვა ქართულ ორბორბლიან ურემთან შედარებით იმერული „აჩაჩა“ ურემი დღესაც გვხვდება იმერეთში და მას ცალკეული მეურნეები იყენებენ. ასეთი ურემები დღესაც აქვთ ვანის რაიონშიც. სოფელ ყუმურში თავის დროზე ჰქონდა მირიან ბიქტორის ძე ოჩხიკიძეს, სოფელ ტობანიერში მეთოდე ივლიანეს ძე მინაშვილს, ალიოშა დავითის ძე მაჭარაძეს და სხვა.

იმერეთში „აჩაჩა“ ურემი, როგორც ეს დამონშებული აქვს მ. გეგეშიძეს, რამდენიმე სახელს ატარებს: „აჩაჩა“ ურემი, „ჩოჩიალა“ ურემი, „ფრჩხილებიანი“ ურემი, „მთის“ ურემი, „ფიცრული“ ურემი, ყველაზე გავრცელებულ სახედ მაინც „აჩაჩა“ და „ჩოჩიალა“ ურემი ითვლება.


„საქართველოს სხვა კუთხეებში ასეთი კონსტრუქციის ურემებს იმერულ ურემებს უწოდებენ.“<sup>2</sup>

აჩაჩა ურემი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ზესადგარი, ფრჩხილები და ლერძ-ბორბლები. ურემის დეტალებში შედის:

- ზესადგარი – 2 ცალი, ფალანგა – 7 ცალი.
- რიკები – ერთ ბორბალზე 10 ცალი, ორივეზე 20 ცალი.
- ფესო – ერთ ცალზე ხუთი ცალი, ორივეზე 10 ცალი.
- მორგვი – ორი ცალი.
- სალტე – ცალ მორგვზე ოთხი ცალი, სულ რვა ცალი.
- ლერძი – 1 ცალი.
- ჭიჭილაკი – ლერძის თავებში ორი ცალი.
- აჩაჩა ურემის ფრჩხილი – ორი ცალი.
- ტყავის სამატი – ერთი ცალი.
- უღელი – ერთი ცალი.
- ტაპიკი – 4 ცალი.
- აპეური – ორი ცალი.
- ჭალები – ცალ გვერდზე სამი ცალი, სულ 6 ცალი.
- ფრჩხილებში ამოსაყვანი რკინის თითები – 2 ცალი.
- ტლოკვი – ორი ცალი.
- ბორბალი – ერთი აშვებულია, მეორე კი ლერძზეა გაჭედილი.

აჩაჩა ურემის ძირითადი კონსტრუქციული თავისებურება, რაც მას განსაკუთრებულ ორიგინალობას ანიჭებს თრევისა და გორვის პრინციპის შეერთებაში მდგომარეობს. ამის შესაბამისად ოთკუთხედი (ტრაპეციის ფორმის) ზესადგარი ანუ „ძარა“ შედგმულია ლერძ ბორბალზე, საგრძნობლად უკან, რის გამოც ზესადგარი ერთგვარ დახრილ მდგომარეობაშია, ეყრდნობა ცერად მდგარ ფრჩხილებს. ვანის ზოგიერთ სოფლებში მათ თუშებს უწოდებენ. ფრჩხილების ბოლოები მიწაზე ეთრევა, ხოლო თავები უღელზეა დამაგრებული სამატით. „ამრიგად თუ ბორბლებით გორვითი მოძრაობა ხორციელდება, მაშინ ფრჩხილები სასრიალო საშუალებას წარმოადგენს.“<sup>3</sup> (იხ.სურათი №1)

1. აკაკი წერეთელი - თხზულებათა ტ. I, გვ. 156-157. გამომცემლობა თბ. 1940 წ.  
 2. მ. გეგეშიძე - ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ. 1956 წ. გვ. 73  
 3. მ. გეგეშიძე - ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ. 1956 წ. გვ.74



„აჩაჩა“ – ურმის ასეთი კონსტრუქცია სავსებით შეესაბამება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მთა-გორიან გეოგრაფიულ მდებარეობას, სადაც „ტალისებურად“ მონაცვლე რელიეფი ბევრად სჭარბობს ვაკე-ადგილ მდებარეობას. ამ ურმის ფრჩხილები იგივე თუშები დაღმართში ძირითადად სამუხრუჭე საშუალებას წარმოადგენს, მაგრამ ისმება კითხვა – ხომ არ არის ფრჩხილები ვაკეზე ხელშემშლელი საშუალება? – საქმე იმაშია, რომ ფრჩხილები სამატის ღვედის საშუალებით მაგრდება უღელზე. სამატი მტკიცედ არ არის მიმაგრებული უღელზე, არამედ ჩამოკიდებულია, მეორე მხრივ ფრჩხილები კაპებით ზესადგარის თავს უერთდება სპეციალური სათითურებით. ეს ნახვრეტები კაპებზე დიდი ზომისა კეთდება და ზესადგარის თავი ფრჩხილებზე თავისუფლად ჩამოდის. ამ გარემოების ფრჩხილები, რაც უფრო მეტია აღმართში განევა, იმდენად ნაკლებად ედება მინას, ხშირად სრულიად აცდება მას. ტვირთი დიდ აღმართში ატანის დროს ურმის ზესადგარის უკანა ნაწილში მეტი ეწყობა, ამიტომ ურმის აღმართში ასვლას ფრჩხილები სრულიად არ აფერხებს. როცა ადგილმდებარეობა სწორია და ურემიც ნაკლებად დატვირთული, ფრჩხილებს ზესადგარზე აკრავენ ჯაჭვით და მინას აღარ ეხება.

მინაზე მოსრიალე ურმის ფრჩხილებს ის უპირატესობა აქვს, რომ რყევისა და ჭაყყაყისგან იცავს ურემს. ფრჩხილები ერთგვარად აჰყვება-ჩაჰყვება ამოკორილ ადგილებს. აჩაჩა ურემს ყველანაირ პირობებში ერთნაირი თანაბარი მოძრაობა ახასიათებს.<sup>1</sup>

მ. გეგეშიძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მოცემული, კერძოდ, რაჭულ სახენელში, რომელიც ერთი უღელი ხარით მუშაობს და თავისი სიმსუბუქით ხნულის გასაღრმავებელი და დასაკავებელი საშუალებებით კარგად ეგუებოდა ფერდობისა და ვაკის პირობებს.<sup>2</sup>

იმერეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღეს თითქმის ყველგან შედგენილი ბორბალი ანუ თვალია გამოყენებული. ეს ბორბალი თავისი შემადგენლობით ქართული ურმის თვლის ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ იმერული თვალი, აჩაჩა ურმის სიდიდეს შეესაბამება და ამრიგად ქართული ურმის თვალზე საგრძნობლად პატარაა. ახლო წარსულში აქ ჯერ კიდევ ფართო ხმარებაში ყოფილა ერთი ხისაგან გამოთლილი ბორბალი, რომელსაც გოგორას უწოდებდნენ, გოგორა ახლო წარსულამდე იყო შემონახული ტყეებით მდიდარ კუთხეებში (ზემო რაჭა, ხანის წყალი). ერთ-ერთი ასეთი ბორბლიანი ურემი 1954 წელსაა ჩამოტანილი და გამოფენილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ ექსპოზიციაში.<sup>3</sup>

„აჩაჩა“ – ურმის ბორბალი შედგება მორგვის ანუ ხუნდის, სოლების, ფერიებისა და რკინის

1. მ. გეგეშიძე - ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ. 1956 წ. გვ. 75.  
 2. გ. ჩიტაია - რაჭული სახენელი. ტ. I. თბ. 1930 წ., გვ. 276.  
 3. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი - ეთნოგრაფიული გამოფენის მეგზური, თბ. 1958 წ.

საღმრთოებისაგან, თვლებში გაყრილი აქვს რკინის ღერძი, თუმცა ამ მოვალეობას ხის ღერძიც ასრულებდა ადრე.

აჩაჩა ურმის მეორე მთავარი ნაწილია ზესადგარი, რომელიც ღერძობრბალზეა დადგმული, შედგება ოთხკუთხედად გათლილი ორი ხისა და მასზე ასხმული ხის სხვა ნაწილებისაგან, რომელიც ზესადგარის სახელწოდებას ატარებს.

ზესადგარები შეკრულია ფალანგებით, უწყვეტებით და ნააგავს მისაყუდებელ კიბეს. ზესადგარების წინა ნაწილი გახვრეტილია ფრჩხილების თუშების ამოსაკრავად. ფალანგაც ოთხკუთხედად გათლილი ხეა, რომელიც ზესადგარებს აერთებს. ფალანგა ზესადგარების ნახევრამდე ამოტეხილ გულელებში თავსდება. უწყვეტი – ზესადგარებში ბოლომდე გადის და გარედან მაგრდება ხის ქანჭიკით.

უწყვეტი ურემს ორი ან სამი აქვს, რადგან ზედმეტი გახვრეტა ზესადგარს დაასუსტებს.<sup>1</sup>

ზესადგარში ვერტიკალურად ჩასმულია მანა ანუ ქალა. ქალების რიცხვი ზესადგარის ორივე მხარეზე თანაბარია. თითო ზესადგარს აქვს 3-4 ქალა, საჭირო შემთხვევაში ქალებზე ფიცრებია მიყუდებული, მოპირდაპირე ქალებს ღვეჭი ან ალასი აკავშირებს. ზესადგარის ქვედა ნაწილში დატოვებული აქვს პეშვები ანუ თათები, გვერდებზე კი ამოზურცული საგორავი, რომელსაც უშუალოდ ეხება მორგვი. საგორავს გადაკრული აქვს რკინა „რომ ურემმა არ ინვალოს.“ ფრჩხილები თუშები წარმოადგენს უღლისა და უშუალოდ საზიდის შემაერთებელ ნაწილს. ბრჩხილა ანუ მარხილი კეთდება ტოტიანი ხისაგან და თავში ღვეჭით იკვრება.

იმერეთში ძველად სამატას ამზადებდნენ ხარის ან საქონლის ტყავისაგან. იმერეთში დღესაც მოიძებნება სამატის მკეთებელი ოსტატები. ვანის რაიონში სოფელ ტობანიერში მცხოვრები მეთოდე ივლიანეს ძე მინაშვილი, „აჩაჩა“ ურმის საუკეთესო ოსტატად ითვლებოდა.

თავისებურია „აჩაჩა“ ურმის უღელიც, რომელიც შუაში ჩალუნულია და ურმის სხვა სახეობათა უღელივით კუთხოვანი კი არ არის, არამედ მრგვალია. ასეთი უღელი მხოლოდ აჩაჩა ურემზე იხმარებოდა. ხვნა-თესვის და კალოს ღენვის დროს კი ჩვეულებრივი კუთხოვანი გათლილი უღელი იხმარებოდა. ამას თავისი გამართლება აქვს. ურმის ფრჩხილები ჩამოკიდებულ მდგომარეობაშია ურმის ჩაღრმავებულ ნაწილზე. დიდ დაღმართში, როცა ფრჩხილები წინ წაინევს, უღლის გაღუნული ნაწილიც წინ ინევს, რის გამოც უღელი ერთგვარ ბრუნს აკეთებს. ამოზურცული უღელი ტაპიკებს წევს წინ და მალა, რაც აიძულებს საქონელს თავი მალა ასწიოს, ურემი შეაჩეროს და უღელიც არ წაძვრეს.

უღელს ოთხი ტაპიკი აქვს. თავტაპიკი აქ ხმარებაში არ არის. იმერული აჩაჩა ურმის ამ თავისებურების შესახებ მეურმე იოველ არაბიძემ მიაშობო: „იმისათვის, რომ ხარს მრგვალი უღლისათვის მოხერხებული კისერი ჰქონდეს“, მას გახედნის დროს უღელზე მძიმე ქვეს ჩამოკიდებდნენ.“

ფრჩხილებს გარდა იმერულ „აჩაჩა“ ურემს ძველად დამატებითი სამუხრუჭე მონყობილობაც ჰქონია კეტის სახით. ბოლო ხანებში იმერული ურმის ზესადგარს ბორბლის წინ გაკეთებული ჰქონდა რკინის ოთხკუთხედი ჩარჩო, რომლის შიგნით გატარებული ყოფილა მუხრუჭის ჩასაკრავი გრძელი ხე. მ. გეგეშიძის აზრით ასეთი მუხრუჭი მოგვიანებით მატარებლის მუხრუჭის პრინციპზე ყოფილა აგებული და იქიდან უნდა იყოს გადმოღებული.“<sup>2</sup> უფროადრე იშვიათად, მაგრამ მაინც სამუხრუჭედ იყენებდნენ გრძელ კეტს, რომელსაც ურემს დაუდებდნენ თავდაღმართზე.

აჩაჩა ურმის დამზადების ტექნიკა გამოირჩევა თანმიმდევრობით. დამზადების პროცესში ამა თუ იმ ნაწილისათვის გამოიყენება სხვადასხვა ჯიშის გამძლეობის ხის ჯიშები, ურმის კეთებას იწყებენ მორგვის გამოთლით. მორგვის მასალად გამოიყენება ბჟოლის ხე, კოპიტის ხე, ძელქვა. ჯერ გამოთლიან მორგვის შიგნითა ნაწილს, რომელსაც ძუძუ ეწოდება. გამოთლილ მორგვს სოლებისათვის ამოზურღავენ და შიგ რკინას ჩაანყობენ. ხის მასალა უნდა იყოს ხმელი, რომ ნედლმა გაშრობის დროს არ მოიკლოს. მასალად იყენებენ მუხას, ბჟოლას, ეკლის

1. მ. გეგეშიძე - ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ. 1956 წ. გვ.79-80

2. მ. გეგეშიძე - ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ. 1956 წ. გვ. 81

ხეს და სხვა. რიკები ითლება ნაჯახით, შემდეგ დასუფთავდება სალაშინით და ქვემო ნაწილი მოეკუთხება. შემოსოლილ მორგვს შემოფარგვლის შემდეგ დაჭდება უნდა. ამის შემდეგ მას ფესოებს შემოაჭდობენ. ფესოების დასამზადებლად იყენებენ ნაბლის, ეკლის, ბჟოლის, მწარე ბალის ხეს. „აჩაჩა“ ურმის ერთ თვალს ოთხი ან ხუთი ფერო უკეთდება. ბოლოს ბორბალს სამჭედლოში მჭედელს გადააკრევენებენ რკინის სალტს სიმაგრისთვის.

ბორბლის თვალის ამოღება ღერძის გადასაჭრელად ზოგჯერ სალტის გადაკვრის შემდეგ იცოდნენ. ღერძისთვის უმთავრესად თელას ხმარობდნენ, თლიდნენ ნაჯახით შუა ნაწილს, საგრძნობლად უწვრილებდნენ ნაპირებსაც, საბრუნ ნაწილს კი მსხვილს უტოვებდნენ. ღერძი ორივე მხარეზე იხვრიტებოდა ჭიჭილაკის ჩასაყრელად.<sup>1</sup>

ურმის ზესადგარის მასალად თელა, ეკალი იხმარებოდა. ზესადგრის გაკეთება გვერდითი ხეების ზესადგრის გამოთლით იწყებოდა. ამ ხეებს გამოთლისას კუთხედი ფორმა ეძლეოდა, ამის შემდეგ დაიტოვება წინასწარი ზომების მიხედვით ფალანგებისა და უწყვეტებისათვის 7-8 – ადგილას, ხოლო განებისა და ჭაღებისათვის 3 ადგილას. შემდეგ ხდება ფალანგების დათლა და დასუფთავება სალაშინით და ზესადგარში შეწყობა.

ზესადგარების წინა ნაწილში ბურლით იხვრიტება საფრჩხილებო, რის შემდეგაც ფრჩხილების კაპების დამზადება ხდება ფრჩხილების დასაგებად. თუ ზესადგრის ხეს საკმაო სისქე ახასიათებს, მასზე გამოიყვანენ პეშვს, რითაც ის უშუალოდ ღერძს ედგმის. პეშვს გახვრეტენ ზესადგართან ერთად და ყვერნებს გაუკეთებენ.

ფრჩხილების (თუშების) დასამზადებლად იყენებენ რცხილის, თელის, ეკლის ხის გრძელ ღეროებს, რომელთაც ან ზედვე აქვს კაპები ან სხვა ხისგან უკეთდება. ამ ხემ ხალხური დაკვირვებით დახვეწულად იცის ზრდა, რომ გახმება სიმაგრე აქვს. გარდა ამისა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ის დრეკადია. „დაკვრის დროს ის გაიღუნება,“ მაგრამ არ გატყდება. აი, ასეთი მასალაა გამოსადეგი ფრჩხილებისათვის. ფრჩხილების სიგრძე დამოკიდებულია ბორბლებისა და გამწვევი პირუტყვის სიმაღლეზე. რაც უფრო მაღალია ბორბლები მით უფრო საჭიროა ზესადგრის წინა თავის მაღლა დაჭერა, რომ ურემი მეტისმეტად დაქანებული არ გამოვიდეს. ფრჩხილებს ბოლოების გაცვეთის და ხშირი გამოცვლის ასაცილებლად თხელ რკინასაც აკრავენ.

„აჩაჩა“ ურმის კონსტრუქცია და დამზადების ტექნიკა მისი გავრცელების არეებში თითქმის ყველგან ერთია, მაგრამ ცალკეულ განსხვავებას მაინც ვხვდებით, პირველ რიგში ეს ურმის სიდიდეს შეეხება.

სამეურნეო იარაღად ურმის დამზადების დროს გამოყენებულია: სატეხი, ხელეჩო, ბურლი, ფარგალი, ნაჯახი, სალაშინი, ცალხელელა, გაბმული ხერხი, პირთხელი, წალდი, სასხეპი და სხვა.

„ზემო იმერეთისა და ტყიბულის რაიონის ურმები ბევრად პატარა ზომისაა – ვიდრე შუა და ქვემო იმერეთში ხმარებული ურმები.“<sup>2</sup> ამასთან, ვანის რაიონის ბარის ზონის სოფლებისათვის დამზადებული ურმები რადიკალურად განსხვავებული კონსტრუქციისა და მაღალ ურემს უწოდებდნენ, მას მეტი აქვს ტვირთამწეობაც, თუმცა, ამჟამად, მასზე არ ვსაუბრობთ.

### იმერული ურმის გამოყენება ყოფაში

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საზიდ საშუალებათა ყველა სახეობა, მათ შორის, აჩაჩა ურემიც, თავისი ფუნქციით ემსახურებოდა ძირითადად სოფლის შინა სამეურნეო საქმიანობის ტვირთგადაზიდვის ალებ-მიცემობას. გამწვევ საშუალებად გამოყენებული იყო (აჩაჩა დაბალი ურმისათვის) ხარი და კამეჩი.

ხალხური მონაცემებით „აჩაჩა“ ურემს თავისი ფართისა და ჭავლების სიდიდის გამო უმ-

1. მ. გეგეშიძე - ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ. 1956 წ. გვ.82

2. მ.გეგეშიძე - ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ. 1956 წ. გვ. 86-87

3. სიმინდისა და ყურძნის და ზოგიერთ სხვა პროდუქტთა გადაზიდვა ხდებოდა სპეციალური თხილის ან შქერის წვრილი ტოტებისაგან დანული სათავსით, რომელიც ურემზე, საზიდარზე იდგმებოდა და მას „ფარდი“ ეწოდებოდა, მასში ჩაყრილი პროდუქტი დაცული იყო ფარდის კიდეებით და არ იბნეოდა.

თავრესად მსუბუქი ტვირთი გადაჰქონდა: ჩალა, თივა, შეშა, სიმინდი, ყურძენი.<sup>3</sup> ამავე ურ-  
მით ეზიდებოდნენ ისეთ ტვირთს როგორცაა: ხორბალი, ფქვილი, საამშენებლო მასალა, (ქვა,  
აგური, სილა, კირი) და სხვა. ამ ურემს წყლის საზიდავადაც იყენებდნენ. წყლის მოტანის დროს  
ზესადგარზე დებდნენ ორ ფიცარს, რომელზედაც იყო დამაგრებული წყლის ჭურჭელი, უმეტეს  
შემთხვევაში ხის კასრი.

იმერული ურემი იმავე დროს სამგზავროდაც გამოიყენებოდა, როგორც სოფლის ფარგლებ-  
ში, ისე საკმაოდ შორს მანძილზე, სადაც კი საურმე გზა იყო გაყვანილი. ამ ურმით ხდებოდა  
ნაკელის გადატანა მინდვრად, შეშის მოტანა ტყიდან, საფქვავის წაღება ნისქვილში, ხილ-  
ბოსტნეულის გადატანა, დღეობებზე და ბაზრობებზე სიარული.

იმერული ჩოჩიალა ურემი ფართოდ ყოფილა გამოყენებული მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარ-  
ში. ჭიათურის შავი ქვის საბადოებზე, სადაც ამასთან ერთად გამოყენებული იყო ქართული  
ორბორბლიანი ურემიც, „ქართლიდან მოუყვანიათ იქ სამუშაოზე მოსულთ“.

საქართველოში ეს პერიოდი კაპიტალიზმის განვითარებას ემთხვევა და ამ პროცესში ქა-  
რთული ხალხური ტრანსპორტის გამოყენებას ერთ ხანს ვხედავთ წარმოების სხვა დარგებ-  
შიც: ნავსადგურებში, რკინიგზებზე და სხვა. მერე და მერე ტრანსპორტის ახალი სახეების  
დანერგვის პროცესში ძველმა ხალხურმა სატრანსპორტო საშუალებებმა დაჰკარგეს თავისი  
სამეურნეო სატრანსპორტო ფუნქცია. ქართული ურემი, მათ შორის, იმერულიც, დღეს უკვე  
ეთნოგრაფიული იშვიათობაა, საქართველოს ბარისა და მთის სოფლებშიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დღეს ურემი ეთნოგრაფიული იშვიათობაა, მაგრამ ზოგ შემ-  
თხვევაში მაინც ხდება მისი გამოყენება ყოფაში. მაგალითად, სოფელ შუამთაში მცხოვრებმა  
გერონტი ქუთათელაძემ მიაჩნო, რომ თავის სახლის ასაშენებლად ურმით ამოზიდა მდ. რიონი-  
დან ქვიშა და რიყის ქვა.

დღესდღეობით კი, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ჩვენი სოფლის მეურნეობა ახალ  
საფეხურზე აიყვანა.

### ურმული სიმღერები

ქართველი ხალხის რევოლუციამდელ ყოფაში განსაკუთრებით გლახკაცის შეგნებაში ღრმა  
კვალი დატოვა მამაპაპურმა ტრანსპორტმა და მასთან დაკავშირებულმა საქმიანობამ, რაც  
თავისებურად არის ასახული ხალხურ სიტყვიერებასა და ფოლკლორში.

ქართული ურმისა და მისი გამწვევი ძალის ხარ-კამეჩის თემატიკა, დიდი ხატოვანებით არის  
ასახული ხალხურ სიტყვიერებაში. ამაზე კარგად მიუთითებს ერთი ხალხური გამოთქმა „რით  
უნდა იარსებოს ადამიანმა და ხარის რქებითო.“

ქართველი გლეხი პურს ისე არ გატეხდა, რომ არ ეთქვა: „გაუმარჯოს ხარის რქებს, გუთნის  
დედას, ცის ნამსა და მიწის მოსავალსო.“

ქართველი გლეხი ხშირად ოჯახის საჭიროებისათვის ურმით გაუდგებოდა შორეულ გზას  
აღზევანისაკენ მარილის ჩამოსატანად. ამასთან დაკავშირებით ცნობილ ხალხურ სიმღერაში  
ნათქვამია:

„აღზევანს წავალ მარილზედ  
მარილს მოვიტან ბროლსაო,  
ჯერ დედას გადავხვევი  
მერე საყვარელ ცოლსაო“.<sup>1</sup>

ურმული ხალხური გამოთქმით „მანძილზე სასიმღერო“ სიმღერაა ქართულ ორბორბლიან  
ურმთან დაკავშირებით.

მუსიკათმცოდნე თ. მამალაძის სიტყვით – გრძელი გზა და პირუტყვის მძიმე ნაბიჯით  
გამონვეული ურმის ნელი ტაატი ფიქრისა და სევდის მომგვრელი განწყობილების შემქმნელია.

ურმის რწევით ადამიანს შეიძლება ძილიც მორეოდა. ურმის წრიალს ღიღინს აყოლებდა, ფიქრი და სიხარული სიმღერაში გადაჰქონდა.<sup>1</sup>

ი. კარგარეთელი ურმულის მელოდიის განსაკუთრებულ ხასიათსა და განწყობილებაში ხალხის ისტორიული წარსულის ანარეკლს ხედავდა. იგი წერს, სიმღერა „ურმული“, ბგერათა პლასტიკურობის საუკეთესო ნიმუშია. თავისი ბედ-იღბლის უკუღმართობის გამოწვეული ხალხი ღრმად ჩაიკეტა თავის შინაგან სამყაროში, რის შედეგადაც ეს სიმღერა საუკუნეების მანძილზე გადატანილ ვარამის დაღს ატარებს.

მუსიკალური ეთნოგრაფიის ცნობილი სპეციალისტი, კომპოზიტორი დ. არაყიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს: „გლეხები მღერიან ხვნის დროს ოროველას, ურმით მოგზაურობის დროს ურმულს. თავისი მუსიკალური შინაარსით ყველა ესენი სევდიანია, მათში იგრძნობა საქართველოს შორეული წარსულის განცდები.“

ურმულის ნიმუშები ჩანერილი აქვს კომპოზიტორ გრ. კოკელაძეს, მ. ჩირინაშვილს, პროფესორ გ. ჩხიკვაძეს და სხვას.

თ. მამალაძის შეხედულებით ურმული წარმოიშვა და განვითარდა საქართველოში ინტენსიური მეურნეობის კვალდაკვალ, როგორც სამგზავრო სიმღერა. ურმულს მეურმე შორ გზაზე მგზავრობის დროს მღეროდა ღამითაც.<sup>2</sup>

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მ. გეგეშიძე – ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ. 1956 წ.
2. თ. მამალაძე – შრომის სიმღერები კახეთში. 1962 წ.
3. სულხან-საბა ორბელიანი – ქართული ლექსიკონი.
4. ა. წერეთელი – თხზულებათა ტომი I , თბ. 1940 წ.
5. გ. ჩიტაია – რაჭული სახვნელი. ტ I , თბ. 1938 წ.
6. ივ. ჯავახიშვილი – საქართველოს ეკონომიკური ისტორია. ტ I , 1937 წ.
7. ვახუშტის სახელობის ინსტიტუტის შრომები. თბ. 1956 წ.
8. მაკალათია – სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ. 1941 წ.
9. გ. ჩიტაია – აკადემიკოს ს. ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა. მიმომხილვევი. ტ III, 1953 წ.
10. გ. ჩიტაია – საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ V , 1930 წ.
11. ივ. ჯავახიშვილი – საქართველო – ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. პირველი მშენებლების ხელოვნება ძველ საქართველოში. თბ. 1946 წ.

1. თ. მამალაძე - შრომის სიმღერები. გვ.37  
 2. თ. მამალაძე - შრომის სიმღერები კახეთში. თბ. 1962 წ. გვ. 25

**ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია  
და მათი ურთიერთობა ადგილობრივ მცხოვრებლებთან  
(გაგრძელება. დასაწყისი „მატიანე“ №14)**

*ვაგრძელებთ, რა საუბარს, მინდა მცირეოდენი იუმორისტული შტრიხებიც შემოვიტანო და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არაფერი, საუკეთესო ადამიანური, ბატონი ოთარისა და მისი კოლექტივი-სათვის უცხო არ იყო და მას ასეთი სათაური მოვუძებნე*

**ზოგჯერ დიდი ადამიანებიც ხუმრობენ**

მახსენდება 2000 წლის აგვისტო, ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას გაშლილი ჰქონდა საველე სამუშაოები ოთხ უბანზე. იმ პერიოდისათვის, სახელმწიფო ხაზინის სიდუხჭირის მიუხედავად, ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე ახერხებდა მუდმივმოქმედი ვანის არქეოლოგიური ექსპედიციისათვის თანხების მოძიებას. ექსპედიცია დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა და სამართლიანად ამაცობდა მის მიერ აღმოჩენილი საინტერესო მონაპოვართ. დილის 6 საათზე იწყებოდა მუშაობა, რის გამოც თანამშრომლები გარიჟრაჟზე დგებოდნენ და თავიანთ უბნებზე ეშურებოდნენ. მეც მათ ფერხულში ვიყავი ჩაბმული. სალამოობით გვარიანად ვხალისობდით, რადგან თვით ბატონი ოთარი ქმნიდა ამ განწყობილებას.

ერთ დღეს, ოჯახური მდგომარეობის გამო, ბატონ ოთართან შეთანხმების შემდეგ 6 საათისათვის დავტოვე ექსპედიცია. დილით კი, როცა სამუშაოდან დაბრუნებულნი საუზმისთვის ემზადებოდნენ, ამ დროს ავედი ექსპედიციაში, ყველანი აივანზე შეკრებილი დამხვდა. მისალმების შემდეგ გაკვირვებით ვიკითხე – რატომ ჰქონდათ მოღუშული სახეები. თითქმის ყველამ ერთად შემომძახა: როგორ? შენ არ გაგიგია ბატონი ოთარის მდგომარეობაო.. და მომიყვინნე მისი დაცემისა და თავის დაზიანების შესახებ. ნუთითაც არ დამიყოვნებია ისე გავეშურე ბატონი ოთარის საძინებელი ოთახისკენ, რომელიც სამზარეულოდან რაღაც ორი ათეული მეტრით იყო დაშორებული. გზად მიმავალი, ზაზა მესხმა შემაჩერა და გამაფრთხილა დაუკითხავად არ შეხვიდე, თავს იტკენდა, წამალი მიიღო და შეიძლება ეძინოსო. მე კარებს მივუახლოვდი და მორიდებით დავაკაკუნე. მალევე მომესმა სუსტი ძახილი – ვინ ბრძანდებო?! ბატონო ოთარ მე ვარ ომარი-მეთქი. – რომელი ომარი ხარ? – ხმადაბლა შემესიტყვა. – ომარ გაბუნია ვარ, ომარი, ვუპასუხე კარების გაღებამდე.

ვერ გიხსენებ, შემოდი იქნებ შეხედვის შემდეგ გიცნოო. ძალიან გამიკვირდა მისი ასეთი მდგომარეობა და კარები შევალე. ის სანოლში იწვა. საბანი ისე წაეფარებინა – თვალები მოუჩანდა მხოლოდ, პირ-სახე კი დაფარული ჰქონდა. მორიდებით ვკითხე ჯანმრთელობის ამბავი. მან მომიყვა როგორ წაიქცა და თავი კარადას როგორ ჩამოარტყა, მოყოლის დროს თავზე ხელს ხშირად იკიდებდა. მე ვურჩიე ექიმი გამოგვეძახებია, რაზეც მისგან უარი მივიღე, გამოსვლის დროს მომძახა: გურამ!... გურამ! მოვიხედე და შევეკითხე: ბატონო ოთარ – მე ხომ არ მეძახით – მეთქი. – ჰო, შენ გეძახი. ჩემს მძლოლს დაუძახე, ეჰ... რა ქვია არ მახსენდება. ზაზას დავუძახო-მეთქი? ჰო, ზაზას დაუძახეთ. ამ ამბის შემდეგ მართლა ვიფიქრე, რომ საქმე კარგად ვერ იყო. გადავწვიტე სასწრაფოდ მომეყვანა მისთვის ექიმი. აივანზე გამოსულს ყველა ისევე იმავე მდგომარეობაში დამხვდა. მე არ გამკვირვებია მათი შეწუხებული სახეების ხილვა, მათაც ძალიან აწუხებდათ ბატონი ოთარის ჯანმრთელობის საკითხი. მისვლისთანავე საყვედურის კოლოთი მივმართე მათ: ადამიანი ვერ აზროვნებს, მეხსიერება ნახევრად დაკარგული აქვს და რატომ ექიმი აქამდე არ გამოიძახეთ-მეთქი. მძლოლს, ზაზას ვუთხარი: ბატონი ოთარი გიხმობს – ვინ იცის რა სჭირდება და მუზეუმისკენ გავეშურე, რადგან ზაზაზე ტელეფონი არ მუშაობდა. ნაქალაქარის ტერიტორია თითქმის ნახევრად გავლილი მქონდა, რომ ზაზა მესხი



შემომეხმინა – ომარ! ბატონი ოთარი გკითხულობს და ამოდი ჩქარაო. იძულებული ვიყავი დავბრუნებულიყავი, კარებს მივადექი შესასვლელად, ბევრი რომ არ გავაგრძელო, იგივე სურათი განმეორდა, გამოსვლისას ვუთხარი, რომ ექიმს ამოვუყვანდი, თან ვუხსენე ნევროპათოლოგი გოგონა აბრამიძე, რომელსაც თვითონაც კარგად იცნობდა, ამავდროულად შევახსენე ქალბატონ რუსუდანს (ბატონი ოთარის მეუღლე) დავურეკავ-თქო, რადგან მიზანშეწონილად ჩავთვალე მისი ჯანმრთელობის შესახებ ბატონი ოთარის მეუღლისათვის გვეცნობებინა. ჩემი მცდელობის მიუხედავად, ორივე თხოვნაზე მივიღე – არ არის საჭიროო.

გამოსვლისას ისევ განმეორდა მისი ძახილი: გურამ, გურამ! – ჩემს მძღოლს დაუძახე, ვერ ვიხსენებ რა ჰქვია?! – მაშინვე ვუხმე ზაზა მესხს და გავემართე მუზეუმისაკენ, რათა ტელეფონით მეცნობებინა ქალბატონ გოგონასათვის ბატონი ოთარის მდგომარეობა და როგორმე ამომეყვანა მის დასახმარებლად. მივვარდი ტელეფონს და დავურეკე ექიმს. ქალბატონი გოგონა აბრამიძე ის-ის იყო ემზადებოდა საავადმყოფოში წასასვლელად, მაგრამ მომხდარის შეტყობინების შემდეგ მითხრა 10 წუთში მასთან ვყოფილიყავი. მე ისევ სირბილით ავუყევი მოკლე ბილიკს ექსპედიციისაკენ, სადაც მანქანა მეგულვებოდა. გზად ქალბატონი, პროფესორი დარეჯან კაჭარავა შემომხვდა, რომელიც მუზეუმში მოემართებოდა, მეუცნაურა მისი ასეთი მოქმედება. რას ვიზამდი. მივვარდი ზაზას და ვთხოვე გამყოლოდა ექიმის მოსაყვანად, მან კი მითხრა ბატონი ოთარი ისევ გეძახისო, ნახე და შემდეგ ნავიდეთო. მე ისევ შევედი ბატონ ოთართან, ნაცნობი სცენარით წარიმართა ჩვენი საუბარი, გაოგნებულმა დავტოვე საძინებელი და აივანზე გავედი, სადაც ექსპედიციის წევრები იდგნენ. ზაზას ვუთხარი – ბატონ ოთართან შესულიყო, რადგან ისევ უხმობდა. მე კი ზაზას მოლოდინში აივანზე მოუსვენრად ვცემდი ბოლთას. ცოტა ხანში სახტად დავრჩი, ბატონი ოთარი ჩვეული სიღინჯით უახლოვდებოდა სამზარეულოს აივანს, განცვიფრებული მივჩერებოდი მას. საერთო სალამი გვითხრა და გაღიმებულმა ბრძანა: ხომ ხედავთ, მიანიშნა ჩემზე, აი ამ ადამიანს ვყვარებივარ. ჩემი მდგომარეობით ძალზე შეწუხებული რომ იყო ვხედავდი, ხოლო თქვენ კი ჩემი მდგომარეობით წესიერად არც დაინტერესებულხართ – დაასრულა სიტყვა და გულიანად გაიცინა. მივხვდი მისახვედრს, ასეთ ხუმრობას ნამდვილად არ ველოდი ბატონი ოთარისაგან. მეც გვარიანად ვიცინე ჩემი დაბნეულობისა და მიუხევედრელობისაგან.

ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, რომ დიდი მეცნიერი და მკვლევარი ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე იუმორის ხალასი ნიჭითაც იყო დაჯილდოებული.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი გახსნის დღიდან ცხოველი ინტერესით იზიდავდა ანტიკური ისტორიით დაინტერესებულ ადამიანებს, უცხოელ თუ ადგილობრივ ტურისტებს. ყოველწლიურად ახალ-ახალი უნიკალური მასალებით მდიდრდებოდა მუზეუმის ფონდი.

1988 წელს ექსპედიციას დიდი სიხარული მოუტანა ბრინჯაოს ტორსის აღმოჩენამ, რომელიც ვასილ გაბუნას ეზოში არქეოლოგ ე. გიგოლაშვილის უბანზე იქნა აღმოჩენილი. მიინდა გავიხსენო პატარა კურიოზი ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით.

არქეოლოგიური გათხრები თითქმის ერთი კვირის დაწყებული გახლდათ, როდესაც მეტრნახევარზე მიწის სიღრმეში გამოიკვეთა ბრინჯაოს დეტალი, არავის გაკვირვებია მისი აღმოჩენა, რადგან ასეთი შემთხვევები ხშირი იყო ამ უბანზე. დაიწყო მისი განმეინა და თან ირგვლივ მისი პრეპარაცია, თანდათან იკვეთებოდა მისი მასიურობა და სინატიფე. ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე, რომელიც თავს დასტრიალებდა ამ აღმოჩენას, გრძნობდა განძის ფასეულობას და მიხმო, რათა ამ აღმოჩენის შესახებ ვანის რაიკომის იმჟამინდელი პირველი მდივნისათვის, ბატონ ნოდარ ანდრიაძისთვის მეცნობებინა. სასწრაფოდ დავტოვე ველი და ჩქარი ნაბიჯით წამოვედი მუზეუმში. ბატონი ნოდარი კაბინეტში იმყოფებოდა და დარეკვისთანავე მიპასუხა. მე ავუხსენი მდგომარეობა და ვთხოვე ექსპედიციაში ამოსულიყო, რადგან ის ექსპედიციისა და ბატონი ოთარის დიდი პატივისმცემელი იყო. ბატონმა ნოდარმა გაიხარა ამ ამბით და მითხრა – ახლავე მანდ გავჩნდებიო და მართლაც, რამდენიმე წუთში იგი ადგილზე იმყოფებოდა. რაიკომის მდივანმა მკითხა, რომელ უბანზე უნდა მისულიყო.

მე, რა თქმა უნდა, მივუთითე იმ უბანზე, სადაც ეს აღმოჩენები მოხდა. ქანდაკება თან-

დათან მასშტაბური ხდებოდა და მისი უნიკალურობით იქ მყოფ მრავლის მნახველ მეცნიერ-არქეოლოგებსაც კი ანცვიფრებდა.

მოსვლიდან ნახევარი საათი არ იყო გასული, თითქმის სრულდებოდა ქანდაკების გამოჩენა. ომარ! – მითხრა ნოდარ ანდრიაძემ, გადადი მუზეუმში, ჩემი სახელით დაურეკე მთავარ ექიმს – გოგიბერიძეს და უთხარი ამოიტანოს საკაცე და სასწარაფო მანქანით ამოვიდესო. ეს იმას ნიშნავდა, რომ აღმოჩენილი ქანდაკება (ბრინჯაოს ტორსი) დაუყონებლივ გადაგვეტანა მუზეუმის საცავში, რადგან მისი ღირებულება და მისი უნიკალურობა შეუფასებელი იყო.

რამდენიმე წუთში სასწრაფო მანქანაც გამოჩნდა. მანქანიდან გადმოვიდნენ პირველადი დახმარების საშუალებებით მომზადებული ექთნები და მთავარი ექიმი გოგიბერიძე. მე მივანიშნე მიმართულება, საითაც უნდა წასულიყვნენ და გავუძეხი აღმოჩენებისაკენ. მათ უფიქრიათ ვინმე ცუდად გახდა ალბათ და ამიტომ გამოვიძახეთ, როდესაც ბაზას ჩავცდით და გეზი უბნისკენ ავიღეთ, იკითხეს – ავადმყოფი უბანზეა? მე თავი დავუკარი და იქ მივიყვანე სადაც გველოდებოდნენ.

მისვლისას სასუნთქი ბალიში, საკაცე და გამზადებული პირველადი დახმარების შპრიცები ხელში ეჭირათ, როდესაც ხელმეორედ იკითხეს სადაა ავადმყოფი – გვიჩვენეთო, ყველანი მამაკაცის გაშიშვლებულ ბრინჯაოს ქანდაკებას დაჰყურებდა. ბატონმა ოთარმა მათ კითხვაზე მიუგო: ძვირფასებო, ვერ ხედავთ? ავადმყოფი აქა გვყავს, თან ხელები და ფეხები გადამტვრეული აქვს და ამას დაეშველეთო. მოსულნი განცვიფრებულნი დარჩნენ. მიხვდნენ, რომ ნემსები და პირველადი დახმარება არავის სჭირდებოდა. გულით მიულოცეს ექსპედიციის ხელმძღვანელს და მის წევრებს აღმოჩენა და უკან ჩაალაგეს გამზადებული სამედიცინო ნივთები. სალამოს კი, როცა დასრულდა ქანდაკების გასუფთავება. იგი საკაცით იქნა გადატანილი მუზეუმში. ბატონმა ნოდარმა იმავე დღესვე გამოიძახა უხუთის ქვის კარიერიდან ხელოსანი და ქანდაკების პიედესტალის შეკვეთა მისცა, რომელიც ერთ კვირაში იქნა დამზადებული. ასე რომ, აღმოჩენიდან ერთ კვირაში, ვანის არქეოლოგიური მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაჩნდა უძვირფასესი ექსპონატი – ბრინჯაოს ტორსი, რომელიც ძვ.წ. აღ. II-I საუკუნეებით იქნა დათარიღებული. ამ გამოფენამ კიდევ უფრო სრულყოფილი გახადა ვანის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიცია. მის სანახავად საგანგებოდ მოდიოდნენ დაინტერესებული ხელოვნებათმცოდნეები და უცხოელი ტურისტები, თითქმის მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

მინდა ისიც აღინიშნოს, რომ ცოტა მოგვიანებით ის ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერთა თხოვნის საფუძველზე გამოფენილი იქნა მათ ქვეყანაში, სადაც ეს ხელოვნების უნიკალური ნიმუში მილიონამდე დაინტერესებულმა პირმა ნახა.

ზაფხულის ცხელი დღეებია. ბატონ ოთარს უცხოელები ესტუმრნენ ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ბუნებრივია, მათ აინტერესებდათ მუზეუმის და ნაქალაქარის დათვალიერება. როგორც ყოველთვის ოთარმა ნაქალაქარის სტუმრებისთვის გაცნობა კარიბჭის ნაგებობით დაიწყო. მე და გივი ჩუბინიძე (იმუამად მუზეუმში მუშაობდა) ბატონი ოთარის გვერდით ვიმყოფებოდით, რომ საჭიროების შემთხვევაში მისი დავალება შეგვესრულებინა.

ირგვლივ ყველაფერი წესრიგში ჩანდა. ბატონმა ოთარმა ქალაქის კარიბჭეში შეიყვანა უცხოელები და საუბარს შეუდგა. ათი წუთის შემდეგ კარიბჭის სახურავზე ეკლის ხის ტყიდან გამომძვრალმა თხამ, რომელიც ბაზაზე იზრდებოდა, ფეხების ბაკუნი ატეხა. ეს ყველასთვის მოულოდნელი იყო და უცხოელებს ძალიან გაუკვირდათ, ვერ გაიგეს რა ხდებოდა სახურავზე. ბატონმა ოთარმა არ დააყოვნა და სტუმრებს მყისვე მიმართა: ეს ჩვენი თხა „ბუკუნტურა“ გახლავთ. როცა უცხო სტუმრები მოდიან – მათ კეთილგანწყობას ასე ხმაურით ეგებებაო, ხოლო არაკეთილმოსურნეთ კი რქებით ეჯახებაო. უცხოელებმა გულიანად გაიცინეს და გააგრძელეს არაჩვეულებრივი მეგზურის სასიამოვნო საუბრის მოსმენა.

კარიბჭის დათვალიერებას მორჩნენ, როცა ბატონი ოთარი სტუმრებთან ერთად უკან ბრუნდებოდა, გზად ისევ ის თხა შემოეყერათ. სტუმართაგან ერთ-ერთმა უცხოელმა წინ წაინია და მოინდომა თხისთვის თავზე ხელის გადასმა. „ბუკუნტურა“ იმნამს შედგა და მოიმარჯვა რქები, რომ სტუმარს სცემოდა. მაშინ კი იკადრა უცხოელმა უკან დახევა და განერიდა თხას,

თან გაახსენდა ბატონი ოთარის ნათქვამი: არაკეთილმოსურნეს რქებით ეჯახებაო. სახელოვანმა მეცნიერმა ლიმილით მიმართა უცხოელს: ასეთ გონიერ თხას ზრდის ვანის ექსპედიცია, რათა დაიცვას ავი თვალისგან უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლებიო. ცოტა ხანში ეს ამბავი არავის ახსოვდა, რადგან ნაამბობს ვანის სიძველისა და კულტურის ისტორიის შესახებ გატაცებით უსმენდნენ.

ბადრი შარაშენიძე, რომელიც წლების განმავლობაში ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციის მძღოლად მუშაობდა და ძალზე ერთგულად ემსახურებოდა ექსპედიციას – იგონებს:

ერთ დღეს თბილისიდან მომყავდა ბატონი ოთარი და ვახტანგ ლიჩელი.<sup>1</sup> მდ. რიონზე ბორანით უნდა გადმოვსულიყავით. ბატონმა ოთარმა იცოდა რომ ბორანზე „ცოცხალს“ იჭერდნენ და მსურველებს უმასპინძლებოდნენ. ბორანს მივალნიეთ თუ არა ოთარმა შეკვეთა მისცა – თევზი მოეხარშათ, როდესაც მზად მოგვიტანეს მან მზარეულს მადლობა გადაუხადა და შეაქო კიდევ: კარგი ბიზნესი გქონიათ, თევზის მოყვარულთ რა გამოლევს და თქვენს ბიზნესსაც გარგად ააწყობთო. მართალი ბრძანდებით, ბატონო, მიუგო მეზუფეტემ, თევზის მოყვარულები მრავლად მოდიან, მაგრამ ბოლოს ფულის გადახდა უძნელდებათო, თან სქელი რვეული გაუნოდა მას – შეხედეთ ამ რვეულში ნისიებია ჩამონერილი და ვინ იცის როდის ამოვიღებო. ფულის შემოსვლის მაგივრად ვალი ავიკიდე და ესაა ჩემი ბიზნესიო?! სახელოვან მეცნიერს გული დაწყდა ადამიანების ასეთ ქცევაზე, ჯიბიდან თანხა ამოიღო და სამჯერ მეტი გადასცა მეზუფეტეს, ვიდრე თევზი ღირდა. მეზუფეტემ მას მოკრძალებით უთხრა: აქ სამჯერ მეტი თანხა ბატონოო და თანხის ნაწილი უკან დაუბრუნა.

ოთარმა თანხის უკან დაბრუნებაზე უარი განუცხადა – იყოს, იქნებ ჩემმა ფულმა თქვენი ბიზნესი წინ წასწიოსო, თან ასე დაარიგა: თქვენი კლიენტები, როდესაც თევზისთვის მოვლენ ბორანით შუა წყალში გაიყვანე და იქ გაუმასპინძლდითო ფულს სანამ არ მოგცემენ, ნაპირზე არ გამოიყვანო, ბიზნესი კი თავისთავად გაიმართება წელშიო. ეს რა მითხარითო, ბატონო, თქვენისთანა მასწავლებელი რომ მყოლოდა აქამდე, ეს ამბავი არ დამემართებოდაო. დიდ მეცნიერს გაეცინა და მერე კმაყოფილი დაემშვიდობა იქ მყოფთ. სიკეთის წილ ბორანით უფასოდ გადაიყვანეს გაღმა ნაპირზე.

ბევრია მოსაგონარიც და დღეს გულდანყვევით უნდა ვთქვა: ამ, მსოფლიო მნიშვნელობის ობიექტზე არქეოლოგიური სამუშაოები ჯერ-ჯერობით შეწყვეტილია, ხოლო ასევე მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური მუზეუმი კვლავ, ხანგრძლივად, ხარაჩოებშია. დაველოდოთ დროს!

მუზეუმის გახსნის შემდეგ თანდათან იმატა დამთვალეირებლებმა, მოდიოდნენ მსოფლიოს მრავალი კუთხიდან და საინტერესო ჩანაწერებს აკეთებდნენ. მინდა ზოგი მათგანის ჩანაწერთა აზრი შევიტანო ამ ნაშრომში და ვფიქრობ, ეს დაინტერესებს მკითხველსაც. პირველი ჩანაწერი მუზეუმის გახსნის დროს აკადემიკოსმა ბორის ბორისის ძე პიოტროვსკიმ, პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადი) ერმიტაჟის დირექტორმა დაუტოვა მუზეუმს.

\*\*\*

ვანის არქეოლოგიური მუზეუმი ყოველგვარ ეჭვგარეშე ითვლება უნიკალურად მუზეუმებს შორის ჩვენს ქვეყანაში, არა მარტო ღრმად გააზრებული და ზუსტი ექსპოზიციით, არამედ აქ გამოფენილი ექსპონატების სიმდიდრით, გაფორმებით და ასევე საუკეთესო არქიტექტურით. წარმატებულია შეიძლება ითქვას ერთპიროვნულად კომპოზიციურ გადანყვეტაში ავტორის გამოჩენილი ქართული არქიტექტორის გ. ლეჟავას როლი.

ეს მუზეუმი, ჩემი აზრით უნდა იყოს ამიერიდან ეტალონი არქეოლოგებისთვის მთელ ქვეყანაში.

უდიდესი მადლობა მუზეუმის ორგანიზატორებს და ყველას – ვინც მათ ეხმარებოდათ. არა მარტო არქეოლოგებმა, ჩვენ ყველამ ბრწყინვალე საჩუქარი მივიღეთ. გილოცავთ.

პატივისცემით ბორის პიოტროვსკი. 29. IX. 1985 წ.

<sup>1</sup> ვახტანგ ლიჩელი – ცნობილი არქეოლოგი, პროფესორი

მუზეუმის გახსნიდან 2 წლის თავზე საქართველოში იმყოფებოდა მაშინდელი მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ელცინი. მან მოინახულა ვანის არქეოლოგიური მუზეუმი და მის შესახებ თავისივე აზრი დააფიქსირა:

**ალფრთოვანებული და გაოცებული ვარ  
ბ. ელცინი. 19. VII. 1987 წ.**

1987 წელს მუზეუმს მისი ექსპოზიციის გასაცნობად ესტუმრა დიდი მოქანდაკე ზურაბ წერეთელი. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ მან ასეთი ჩანაწერი დატოვა:

**შესანიშნავია რაც ვნახე, ... დიდებულია ექსპოზიცია, რომელიც ასახავს ჩვენს უდიდეს წარსულს...! უდიდესი მადლობა ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერს ამას თავი მოუყარეს და ხალხის სამსახურში ჩააყენეს.**

*მოქანდაკე ზურაბ წერეთელი. 5. III. 1987 წ.*

წინა ქრისტიანული ხანის ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის უდიდესი საშვილიშვილო საქმეა გაკეთებული. მოკრძალებული პატივისცემის ღირსია მეცნიერები, რომლებმაც ეს უდიდესი საქმე გააკეთეს.

*ჯურხა ნადირაძე. 27. IX. 1987 წ.*

ალფრთოვანებული ვარ ჩვენი წინაპრების დიდი კულტურით და ხელოვნებით. დაე, კიდევ უფრო გამრავლდეს ვანის სიმდიდრე. გისურვებთ წარმატებებს ჩვენი ერის სადიდებლად.

*მაია ჩიბურდანიძე. 30. X. 1986 წ.*

*მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში*

1987 წელს მუზეუმს ეწვია გაზეთ „პრავდის“ რედაქციის თანამშრომელი მოსკოვიდან. აი, რას წერს ის მუზეუმის შესახებ:

ეს სიძველეები ჩვენს გულს ახარებს დღესაც. მადლობა მათ, ვინც პოულობს და უფროსილდება კაცობრიობისათვის ამ ჩვენ წარსულს.

*ვ. რიაშინი. გაზეთ „პრავდის“ რედაქცია.*

თავს ბედნიერად ვთვლი, ვიყო იმ ხალხის შვილი, რომელსაც ასეთი დიდი ეროვნული განძი გააჩნია.

*ნ. დალაქიშვილი. 10. III. 1986 წ.*

შესანიშნავია! ასეთი დიდებული ექსპოზიცია ჩვენი ხალხისა და ერის ისტორიული წარსულის შესახებ დაამშვენებდა და შეავსებდა უდიდეს არქეოლოგიურ მუზეუმებს. აქ ერის დიდებული ისტორია დიდებულადაა წარმოდგენილი. უდიდესი მადლობა მის შემქმნელებს. მის ორგანიზატორებს, ბატონებს: ნოდარ ანდრიაძეს, ოთარ ლორთქიფანიძეს, ჯ. კაპატაძეს და სხვ.

მუზეუმიდან გავდივარ უდიდესი შთაბეჭდილებით, იმის ფიქრით, თუ როდის დავუბრუნდები კვლავ მას, კიდევ ერთხელ უფრო გულმოდგინედ დავათვალიერო და გავეცნო ჩვენი ხალხის შორეული წლების ყოფას, ცხოვრებას, კულტურას.

*გივი ყიფიანი. 03. X. 1985 წ.*

*ვანის რაიონის ყოფილი პირველი მდივანი,*

*საქართველოს საბჭოთა მეურნეობების მინისტრის პირველი მოადგილე.*

უდიდესი სიამოვნებით დავათვალიერე არქეოლოგიური მუზეუმი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ვუსურვებ ამ მუზეუმს კიდევ უფრო გაფართოებას საინტერესო

ექსპონატებით, მის კოლექტივს კი დიდ მადლობას მოვასხენებ ასეთი საშვილიშვილო საქმისადმი დიდი სიყვარულისათვის.

*ნონა გაფრინდაშვილი. 12. XII. 1987 წ.  
მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში.*

1988 წელს მუზეუმს ესტუმრა რუსთაველის თეატრის მცირე კოლექტივი. აი, ეს ჩაგვიწერეს შთაბეჭდილების წიგნში:

რუსთაველის თეატრის მცირე ჯგუფი უდიდესი აღფრთოვანებითა და მადლიერების გრძნობით თავს ხრის ჩვენი ერის საოცარი წარსულის წინაშე. მადლობა ჩვენს არქეოლოგებს და ვანის გათხრების ექსპონატების შესანიშნავი ექსპოზიციის ორგანიზატორებს, ასევე მუზეუმის თანამშრომლებს და ყველას მათ, ვინც უკვდავყო ჩვენი დიდებული წარსული. ვამაყოფ, რომ ჩვენ, ქართველები ვართ და ასეთი საოცარი წინაპრები გვყოლია.

უდიდესი მადლობა.

*რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობები:  
გიორგი გეგეჭკორი, მარინე თბილელი, მარინე კახიანი,  
გ. ძნელაძე, დ. ხარშილაძე, ლ. ბერბეთაშვილი, ვ. ელოშვილი.  
25. VI. 1988 წ.*

1988 წლის აგვისტოში ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას და მუზეუმს ესტუმრნენ პოეტი-აკადემიკოსი — ირაკლი აბაშიძე და აკადემიკოსი შოთა ძიძიგური, რომლებმაც გულდასმით დაათვალიერეს მუზეუმის ექსპოზიცია, მას ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე უწევდა მასპინძლობას. ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ მათ საგანგებოდ მოითხოვეს ჩანაწერთა წიგნი და ასე დაგვიტოვეს სამახსოვროდ შთაბეჭდილებები:

აი, თურმე „რა საიდუმლოს ინახავს ვანი...“ დიდს, უდიდეს საიდუმლოს! უსაზღვრო მადლობა პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძეს. ყველას, ყველას ვინც ამ საიდუმლოს გვაზიარა ჩვენ, დღევანდელი ადამიანები.

*ირაკლი აბაშიძე, შოთა ძიძიგური. 1988 წ. VIII*

ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ცენტრის შესახებ მდიდარი ინფორმაცია არსებობს, რვა ტომი ვანის არქეოლოგიური შესწავლის შესახებ რომ მოგვითხრობს მართალია, ჩვენი ქვეყნის მთავარ საცავში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში წარმოდგენილი მასალა შთამბეჭდავია, მაგრამ, მაინც სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს მუზეუმი, სადაც უმაღლეს პროფესიულ დონეზეა ყველაფერი წარმოდგენილი, ათვალიერებ და თითქოს გათხრების მონაწილე ხდები. უკანასკნელმა აღმოჩენებმა მოლოდინსაც გადააჭარბა. ვუსურვებ ექსპედიციის მონაწილეებს და მთელ ქართველ ხალხს იმ შესანიშნავი ხელის მტევნის და მუხლის თავის მქონე ქალის ქანდაკების პოვნას. მრავალ ახალ აღმოჩენებს გისურვებთ.

*პროფესორი მარიკა ლორთქიფანიძე. 1988 წ. 21. X.*

ლოსანჯელესიდან ჩამოსვლა მხოლოდ ვანის გათხრებისა და მისი მუზეუმის დასათვალიერებლად ღირდა. უაღრესად სუფთა და ზუსტი სამუშაოები ტარდება და ბატონი ოთარი მართლაც არა მხოლოდ უბადლო ხელმძღვანელი და თავისი საქმის სწორუპოვარი ოსტატია, არამედ ჩინებული მასპინძელიც. სულიერი და ხორციელი ღირსებების ასეთი სასიამოვნო შერწყმა იშვიათია, რომ გათხრების შედეგებით საქართველო გაცილებით მაღალ კვარცხლბეკზე დადგება და ამაყად ევროპაშიაც შეაბიჯებს. ვუსურვებ ხანგრძლივ და ნაყოფიერ შრომას, რომელსაც ბატონი ოთარის გარდა ვერავინ ვერ გააკეთებს. დიდი მადლობა ბატონ ოთარს და მის ერთგულ თანამშრომლებს.

*ვახტანგ ქობაძე. 1989 წ. 18. X.*

1991 წელს ქვეინ-თუითი გვესტუმრა მონრეალიდან მუზეუმს დასათვალისწინებლად. მუზეუმის დათვალისწინების შემდეგ გაცემულს სურვილი აღედრა ჩვენთვის მისი შთაბეჭდილება დაეტოვებინა და საგანგებოდ მოგვთხოვა წიგნი, სადაც ასე აღნიშნავს:

სამი წლის წინ ცოლად შევირთე კოლხი (ე.ი. მეგრელი) ქალი. ახლა, იმის მერე, რომ დავათვალისწინე თქვენი საოცარი არქეოლოგიური ექსპონატები, უკეთესად მესმის რა მდიდარი კულტურის წარმომადგენელია ჩემი ეთერი! გისურვებთ წარმატებას თქვენს მეცნიერულ მუშაობასა და კვლევა-ძიებაში. კარგად იყავით. მომავალ შეხვედრამდე.

*ქვეინ თუითი / ჩიკაგო-მონრეალიდან/. 1991 წ.*

დღეს, როცა ვუბრუნდებით საქართველოს ისტორიას და მის არქეოლოგიურ მონაპოვარს, ორმაგი გრძნობა გვეუფლება. 1. ორი ათასი წლის მიჯნაზე მისული საქართველოს სახელმწიფო ისევე ფერს იცვლის და ისევე ინგრევა, რათა უკეთესი შექმნას, როგორც სულიერი, ისე მატერიალური. 2. შეხედეთ ამ არქეოლოგიურ მონაპოვარს და დარწმუნდებით რომ ჩვენს ერს ცივილიზაციის განვითარების ეტაპზე იმ დროისათვის დიდი საქმეები უკეთებია.

და მაინც, მინდა გავიმეორო დიდი შოთას გამონათქვამი „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

უდიდესი მადლობა არქეოლოგიური ცენტრის თანამშრომლებს ბატონი ოთარ ლორთქიფანიძის მეთაურობით საერთაშორისო მუზეუმის შექმნისათვის და იმ წვლილისათვის, რომ ჩვენს შთამომავლობას დიდებული აღმოჩენები გამოუმზეურა.

*პატივისცემით საქართველოს საშენმასალის ცენტრის დირექტორი ნ. სალირაშვილი.  
1992 წ. 11. VIII.*

აი, ასე წერდა წლების განმავლობაში ქართველი თუ უცხოელი დამთვალისწინებლები ვანის სიძველეების, არქეოლოგიების თუ მუზეუმის შესახებ. ჩვენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე შთაბეჭდილება შევიტანეთ ამ წიგნში მკითხველთა დაინტერესებულ პირთათვის და მიმაჩნია, რომ ის გადამეტებული არ უნდა იყოს.

მართლაც, დაულალავი ენერჯის შედეგია ვანის ექსპედიციის მონაპოვარი დღეს რომ საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და თუ ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული. ვანელები კი ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის სახელს ყოველთვის დააფასებენ, რადგან მუზეუმის დაარსებამ ვანში საყოველთაო აღიარება მოუტანა სრულიად საქართველოს.

ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე დიდი პასუხისმგებლობით იწვევდა სამეცნიერო სიმპოზიუმზე უცხოელ მეცნიერებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ცხრა სამეცნიერო სიმპოზიუმი ჩატარდა ვანში. სიმპოზიუმების ჩატარება ხელს უწყობდა კოლხური ცივილიზაციის პროპაგანდას.

ბატონ ოთარ ლორთქიფანიძეს, როგორც ჭეშმარიტ ქართველს, როგორც თანამემამულეს გამორჩეულად უყვარდა ვანი და ამიტომ ის ვანში ძალიან თავისუფლად გრძნობდა თავს. ვანისადმი სიყვარულს უძველესი ქვეყნის შესწავლითაც გამოხატავდა, რადგან მთელი მისი აქტიური სიცოცხლის წლები ვანისა და კოლხეთის უძველესი ცივილიზაციის შესწავლასა და პროპაგანდას მიუძღვნა. ფენომენალური იყო, რაიონის ხელმძღვანელობისა და არქეოლოგიური ექსპედიციის მთელი კოლექტივის ურთიერთდამოკიდებულება და თანამშრომლობაც. იგი მიმართული იყო იქითკენ, რომ ექსპედიცია განეტვირთა დამატებითი, ან მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემებისგან.

ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ ვანისადმი სიყვარული თავისი ოჯახითაც გამოხატა, როდესაც ბატონმა ოთარმა თავისი ვაჟიშვილის ქორწილი ვანში გადაიხადა. ეს იმის დასტური იყო, რომ ამ სალხინო სუფრაზე მრავლად ყოფილიყვნენ ვანელები, რაც მას ახალისებდა.

### კაპასი ქალის სახე ვანელ ავტორითქმელთა შამოქმელებაში

სიყვარულის, სიცოცხლის წყაროსთვალს – ქალი, ათასჯერ უთქვამთ და მეც ამაყად ვიმეორებ, მართლაც რომ, ამოუცნობი ფენომენია. „არ გიყვარდეს ქალი – დანაშაულია, გიყვარდეს – სასჯელი.“ (სალვადორ დალი). ბრძენი სოკრატე შეგვაგონებს: „მიუხედავად ყველაფრისა, დაქორწინდი, თუ კარგი ცოლი შეგხვდება, გამონაკლისი იქნები, თუ ცუდი – ფილოსოფოსი გახდები.“

ცოლ-ქმრის შეხმატკბილებული ცხოვრება ოჯახის სიხარულისა და ბედნიერების, კეთილდღეობის, წინსვლისა და გამარჯვებების სანინდარია. ყველა ადამიანს თავისი საზრუნავი აქვს, თავისი პრობლემები, ბოლომდე დალხინებული არავინ არის. „რაც უფრო უკეთ შეიმეცნებს ადამიანი გარეგანი, ანუ მატერიალური ბედნიერების წარმავლობას, მით მეტად გაიზრდება მისი საზრუნავი“.

ოჯახში ბევრი საზრუნავია, მაგრამ პრობლემები სრულიად არ არის გადაულახავი სირთულე. ცოლ-ქმარს შორის ცხარე კამათი, ხმამაღლა ყვირილი, ერთმანეთისთვის ყურის არდაგდება, ერთმანეთის განსჯა-განკითხვა, დადანაშაულება საქმეს ვერ მოაგვარებს. „უთანხმოების წამოჭრისას წვდომის უნარი დაგვეხმარება“ რისხვის დაოკებასა და პრობლემების არსის დანახვაში. სწრაფი რეაგირების ნაცვლად, მიჰყევით მოციქული იაკობის რჩევას და იყავით „სწრაფი... მოსმენაში და ნელი სიტყვასა და რისხვაში“ (იაკობი 1:19).

ყველამ უნდა ვისწავლოთ უთანხმოების მშვიდობიანი გზით გადაჭრა მაშინაც კი, თუ ეს პირადი ინტერესების მსხვერპლად გაღებას მოითხოვს“ მიჰყევით პავლე მოციქულის რჩევას და „მოიშორეთ რისხვა, ბრაზი, ბოროტება; თქვენი პირიდან ნუ ამოვა ლანძღვა და უნმანური სიტყვები... გაიხადეთ ძველი პიროვნება მისი საქმეებითურთ და შეიმოსეთ ახალი პიროვნებით“ (კოლასელთა 3:8 – 10).

თუ მამაკაცია ქალის ღირსების საზომი, ასევე სათნო, ჭკვიანი, უბინო ქალი მამაკაცის მაღალ თვისებებს ყოველმხრივ, ამაღლებულად წარმოაჩენს საზოგადოებაში, ყოველდღიურ ყოფაში. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ კაპასი ქალიც უფლის გაჩენილია და მის არსებობასაც აქვს გამართლება ამქვეყნად, როგორც კეთილის გვერდით ბოროტსაც აქვს ცხოვრების უფლება.

კაპასი ქალის თემაზე შექმნილი ლექსი მრავლად გვხვდება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. „ავი პატარძლის ყოლასა, სახადი ჯობს სახლშია“ – ამბობს ხალხური მელექსე.

იმერეთის რეგიონის ქალაქ ზესტაფონში 1935 წელს ვინმე კრავეიშვილის მიერ ჩანერილია ლექსი „კაპასი ქალი“ (1935 წ. ლიტ. მუზეუმი 20027 – 6), რომელშიც ბრწყინვალეადაა ასახული აშარი ქალის ხასიათი და ბუნება:

„კაპასი ქალის სახესა	ის რომ შესრულდეს ყოველი,
ფერი მალ-მალე ეცვლება,	რაც კაპას ქალსა ეთქმება,
მას მოთმინება არა აქვს,	ის ღმერთმა ნუ ქნას, თორემცა
სული კისერში ეჩრება.	ქვეყანას დაეხეთქება!
სიტყვითაცა და საქმითაც	ღმერთმა გაშოროს ყოველი
ისეთ რამეებს ეხლება,	კაპასი ქალის ყოლასა,
რომ გაკვირდება მნახველი,	სიკვდილი ბევრად სჯობია
თუ დაკვირვება ექნება.	მასთან ცხოვრება – წოლასა.“

(„ქართული ხალხური პოეზია“, VIII ტ., გამ. „მეცნიერება“, თბ., 1979 წ. გვ.33)

ღმერთმა ყველა დაიფაროს ენაჭარტალა, მეჭორხაბარე, ანჩხლი, ავი, კაპასი და ბოროტი ქალისგან. ასეთ ქალთან თანაცხოვრება ასაფეთქებლად გამზადებულ ნაღმზე დგომის ტოლფასია. სანანებლად ქცევია წუთისოფელი ჭაგან-ჭყვიშელ ავტორმთქმელ თ. ვანელს მსგავსი ქალის შერთვის გამო:

„რა ჩემდა ჭირად შევირთე ქალი აშარი, კაპასა... ყოველდღე ენას იგრძელებს, იმოკლებს თმებს და კაპასა.“ გულს მიკლავს და სულს მინუნავს ქარში დაფხრენილ აფრისებრ, ლამის ინფარქტი დამმართოს, ვერ ვიტან იმის კაპრიზებს. ყურებს მიჭედავს აუგით, ამიტომ არც როს მიქია, ნამდვილი შფოთისთავია, „უნყალო, ვითა ჯიქია.“ ვირზე თუ შევჯდა – ვერაფრით ვერ ჩამოიყვან ვირიდან,	ნეტავი, ტკბილი სიტყვები ამოდიოდეს პირიდან. ნერვებზე ხშირად თამაშობს, გვარიანადაც ერთობა, მტრისას – თუ გადაირია, თავზე დამამხობს ერდო-ბანს. არ ვიცი-ჭირის დღესავით რამ შეაჯავრა სტუმარი, მუდამ ჯაჯღანებს, ქოთქოთებს, მყრალენადაუდუმარი. არ უნდა ჩემი არავინ: არც და, არც ძმა და დეიდა... მის ცოლობაზე – ღირსია – ხელი ავილო დღეიდან.“
--	--

კაპარჩხინა ქალი ყოველთვის ეცდება იბატონოს ქმარზე, თავის ნება-სურვილზე ატაროს. „თუ დედაკაცი თავის ქმარზე უფროსობს, ეს დიდი სირცხვილია. ცოლი ქმარზე რაგინდ უმჯობესი და უგონიერესი იყოს, მაინც მას უნდა დაემორჩილოს; ეს ოჯახის წარმატებას და კეთილდღეობას ხელს არ შეუშლის, ქმრის პატივისცემა და მორჩილება ოჯახურ ზრუნვასა და შრომასთან შეიძლება კეთილად შეერთდეს...“

ბოროტ დედაკაცთან ერთად ცხოვრება დიდი უბედურება და მოუთმენელი განსაცდელია. დედაკაცის სიბოროტე ყოველივე სხვას იმიტომ აღემატება, რომ ღმერთმა ქალს ჩვილი გული და ლმობიერი ხასიათი მისცა, მაგრამ თუ ქალმა ეს ბუნებითი თვისება შეიცვალა და ბოროტი შეიქნა, მასზე უფრო საძაგელი არაფერია...

ბოროტი დედაკაცის ქმარს პირი მჭმუნვარე აქვს და გული დანყლულებული, ხოლო კეთილი ქალის ქმარი მხიარულია და დიდხანს ცოცხლობს ქვეყანაზე. როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაშიც დედაკაცის მორცხვობა, მდუმარება, კეთილობა, მყუდროება, ოჯახის მეურვეობა და ოჯახზე მზრუნველობა ყოველთვის მოსაწონი იყო. ქრისტიანი ქალის მნიშვნელობა ის არის, რომ სინმინდის, პატიოსნებისა და ზნეობის მცველი, განმამტკიცებელი, გამავრცელებელი და ქრისტიანული ცოლ-ქმრობის, მამა-შვილობის, ოჯახური ცხოვრების გამმყარებელი და ამლორძინებელი იყოს. (წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), („ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია“). უნებლიედ მახსენდება ქართული ანდაზები: „ტკბილი სიტყვითა მთას ირემი მოინველაო,“ „ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებს“. „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.“ – გვასწავლის რუსთაველი, მაგრამ ხშირად ტკბილი სიტყვის თქმაც ვერ აღწევს მიზანს.

რა კარგად ამბობს ოთარაანთ ქვრივი: – „ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რალა დარდუბალა! ფხანა ქეცმა იცის, ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება... ფხანა გულისა რის მაქნისია?! – უქმის კაცის საქმეა.“ (ი. ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“...)

მკაცრი ხასიათის მიუხედავად, ოთარაანთ ქვრივი უაღრესად თბილი, მგრძნობიარე ქალია. თავის ქმარ- შვილზე უსაზღვროდ შეყვარებული. ქმრისთვის აწუხილი ხმით არასოდეს მიუმართავს, არც არასოდეს უბატონია მასზე. მეუღლე, სამწუხაროდ, ადრე გარდაეცვალა.



მისგან დანატოვარი თოფ-იარაღი დარჩა, როგორც უძვირფასესი განძი, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა.

„... ერთხელაც ისე არ გაუნმენდია, რომ თვალში ცრემლი არ მოჰრეოდეს, გული არ ამოფ-დომოდეს და არ ატირებულებოდა – ვაი, ვაი მე უბედურსა! – ჩაიკრავდა ხოლმე გულში ხელს, სადებდებოდა გახდა ეს ვაჟკაცის იარაღი. მოგიკვდათ, თქვე სანყლებო, კაი პატრონი!.. განა მარტო თქვენ მოგიკვდათ!.. ხომ მეც მომიკვდა, მეც!.. ნაილო შავმა მინამ ჩემი თედორე... წამოგექცა ოჯახო დედაბოძი... ჭირისა და ლხინიც სულ მღერიტა და გალობით იცოდა. კაცი იყო, კაცი!.. ვენაცვალე იმის ჩრდილს!“ (თამაზ ვასაძე, ნინო შარაშენიძე, „ქართული ენა და ლიტერატურა“ მე-11 კლ. სახ., გვ.207).

მართალია ოთარაანთ ქვრივს ტკბილი სიტყვა იშვიათად დაცდებოდა, მაგრამ ის არამც და არამც არ შეიძლება მივიჩნიოთ ავ, კაპას, გულქვა დედაკაცად. თავისი გამჭრიახი, მახვილი გონების წყალობით თითქმის არასოდეს ამბობს ურიგო, აუნონელ სიტყვას, ასჯერ ზომავს და ერთხელ ჭრის. ის ავკარგიანი, სტუმართმოყვარე, გამრჯე, სამართლიანი ქალია, რომელიც სათქმელს, რაგინდ მწარეც არ უნდა იყო იგი, პირდაპირ მიახლის ადრესატს ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. ამის ნათელი მაგალითია მისი სიტყვები ერთ უხეირო, უნდილ, მცო-ნარა წვრილშვილიან დედაკაცისადმი ნათქვამი, რომელსაც ყოველ კვირას ათიოდე შოთს და ერთ ბადია კორკოტს მიუტანდა და მადლს პილპილსაც თავისებურად მიაყრიდა.

„ – აჰა, ხეთქეო, – ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, – დაგიღია ეგ შავის მინით ამოსავსები პირი. შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძალსავეთ სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმო-მიგდებენო. შე არ-დასაცალეებლო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე, ამ ნუნქსა, ნუნქის შვილსა, სამგლე გოჭსავეთ გათხვირულა, ლუკმა-პურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაცურებლები შენ-გან, აბა, რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!..

დედაკაცი, ამისთანაების ჩვეული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე.

– მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რად იხარ-ჯები. აი,მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია – მუქთაა თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრინე...

გლახა-მათხოვარი ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა, მაგრამ თავისებურად კი წამოულაგებდა.

– ი... ი... ი... შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, – მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა, – დაგიბრყევებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა-პურს პირიდან აცლი. აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთის-სოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს. ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელეზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს. ქვეყნისა არა გრცხვენინან! არა, შე ოყრაცო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!..“ (ი. ჭავჭავაძე, „ოთარაანთ ქვრივი“).

ოთარაანთ ქვრივი თავისი განსაკუთრებული ბუნებით, დიამეტრალურად განსხვავდება ჭირვეული, გულარჯალი, ბრაზიანი ქალებისაგან. ასეთი ქალები ქმრებისა და ოჯახის წევრების ცემაზეც არ იხევენ უკან. ზოგიერთი ასპიტი, აფთარი პატარძალი ნამდვილად არ არის ოჯახში შესაშვები.

ავტორმთქმელი მურთაზ ხუციშვილი (მუქედი) კარგად გადმოგვცემს ღვთის გარეგანი, აშაქარი დედაკაცის სახე-ხასიათს „რომელმაც მოყვანის მეორე დღესვე გამოავლინა თავისი საშინელი გუნება-განწყობილება, უზნეობა“.

„... მეორე დილა გათენდა  
 ღობეს დაგვიძრო წნელი,  
 დედამთილს გადაუჭირა,  
 ზურგზე ადინა მტვერი.  
 შემდეგ მამამთილს ეძგერა –  
 ნალმა აგლიჯა წვერი,  
 მაზღებსაც მოარბენინა  
 საყორნეების სერი.  
 თავზე დამჩხავლა მუქარით:  
 „შენ დამრჩი დასაზელი!..“

უკადრებელი იკადრა,  
 კეტს ნამოავლო ხელი,  
 კარიდან ველარ გავასწარ,  
 ფანჯრიდან გადმოვძვერი,  
 ფანჯარაში გავიჭედე –  
 ცემით მომწყვიტა წელი.  
 ვინც მე ის ცოლად შემეყარა –  
 დღე გაუთენდეს ბნელი,  
 შეყროდეს ციებ-ციხელება,  
 მუნი და საქექელი.“

რამდენი მართლა უმაქნისი, მოცლილი, აშარი, ენაჭარტალა ქალია ამ ქვეყანაზე (რა თქმა უნდა, მამაკაციც) ავი სიტყვა სულსა და გულს რომ ურჩევნია, ენით ზურგს რომ იფხანს, დაჭორიკნობს სოფელში აქაოდა ენას ძვალი არა აქვსო და როგორც უნდა ისე ასარსალებს, ატრიალებს.

ცნობილი მელექსე კლადია ბუბუტიეშვილი (ვანი, მთისძირი) კარგად გვიხატავს ასეთი ქალის სახეს:

„მოკაპასე ჩვენი კესა  
 ხანაც ჭრის და ხანაც კემსავს,  
 რომ დაიფრენს შინაურებს,  
 მიადგება მეზობლებსაც...  
 მით მსახურებს წუთისოფელს  
 რაც განგებამ დაუნესა“.

არანაკლებ საინტერესოდ იკითხება კაპას ქალზე შექმნილი ვანელი (დიხაშხოელი) ავტორმ-თქმელის ბორის თუთაშვილის ეს მშვენიერი პოეტური ნაწარმოები:

„ბაგეს ენას არ აკარებს,  
 დაყვირის და კაპასობს,  
 ქმარს და შვილებს არად აგდებს  
 და ოჯახში თავკაცობს.  
 წყევლისათვის სულ მზად არი,  
 აწვდილი აქვს ხელები,  
 არ მგონია სხვა ვინმეზე  
 იყოს მონაფერები.  
 მას რომ ჰკითხო, ქალი არის  
 სხვაზე არანაკლები,  
 მტყუანს, მართალს ველარ არჩევს,  
 არის ქუჩის ამკლები.“

ქმარმა ჭკუა მოიხმარა  
 გაერიდა, უტია,  
 რადგან იცის, მისი ცოლი  
 აწიხლია და ბუტია.  
 მგონი მარტო კაბა დადის,  
 გამხმარია ჭერივით,  
 ირგვლივ აფრქვევს მწარე სიტყვებს  
 ტყვიამფრქვევის ჯერივით.  
 „სამუშაოს“ მარტო ხედავს,  
 არ ჭირდება მაშველი,  
 ღმერთო, ჩვენ და იმის ქმარ-შვილს,  
 დაგვაყენე საშველი.“

ავტორმთქმელი ოთარ ჭოხონელიძე (ვანი, დიხაშხო) ქართული სიტყვის ერთგული მსახურია. მდიდარია მისი პოეტური პალიტრა, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი. ვის და რას არ შეხებია მისი ბასრი, ნიჭიერი კალამი. ცხოვრებისეულ მძაფრ რეალურ სინამდვილეს ასახავს ლექსში „ეს რა ჭირი ამეკიდა“. ის რუდუნებით ძერწავს როკაპი, ყიამყრალი ქალის სახეს, რომელიც ქმარზე უფროსობს, აბუჩად იგდებს მას, შხამიანია და ენამწარე, გველივით ხშირად გესლავს კიდეც. გულღვარძლიანი ცოლის შემხედვარე, დარდისაგან გულდანწყულეული კაცი თავის გაჩენის დღეს ხშირად წყევლის და კრულავს იმასაც, ვინც ასეთი ავზნიანი, უკეთური ქალის შერთვა ურჩია:

„ცოლის თხოვა გადავწყვიტე  
და შევირთე ნაზიბროლა,  
იმავე დღიდან – ჩემს ეზოში  
ქარიშხალმა იწყო ქროლა.  
თუ რაიმე ნივთი მქონდა –  
ყველა გარეთ გამიყარა,  
გაზქურა და მაცივარი...  
ჯართში გრომად ჩამიბარა.  
მკვახედ მითხრა: „ხმა ჩაიგდე,  
ნუთუ ვგავარ მორჩილ ცოლებს?!“

იმ მაცივარს და გაზქურას  
შენაც უკან მიგაყოლებ!..“  
გაჩენის დღეს მანყევლინებს,  
ეს რა ჭირი ამეკიდა?!  
ასეთ ქალის თხოვას სჯობდა –  
რეზინის ქალი მეყიდა?!  
გულარჯალი ცოფებსა ჰყრის,  
თავს მბებრებს პრანჭვა – გრეხვით...  
მისი შერთვა ვინც მირჩია –  
დასცემოდეს თავზე მეხი!“

(ლექსი „ეს რა ჭირი ამეკიდა“)

ავტორმთქმელი რუსუდან ადეიშვილი (დიხაშხო) ფერებს არ იშურებს, რათა სრულყოფილად დაგვიხატოს ხუმტურიანი, ასპიტი ქალის იერსახე, მისი ბუნება და ხასიათი:

„დგება დილაუთენია –  
შეახსენებს ყველას თავსა,  
წყევლა-კრულვით იკლებს სოფელს,  
ენით იღებს ნაკვერჩხალსა.  
ანჩხლი, შარახვეტიაა,  
ლობე-ყორეს მოდებული, –  
დარიშხანს ჰყრის სულ პირიდან,  
ეგზომ გაბოროტებული.“

წყევლის ძალს და წყევლის ძროხას,  
ხელს არ აკლებს გზაზე მგზავრსაც...  
ბოლოს, როცა დაიღლება,  
მიუჯდება სერიალსა.  
ირგვლივ ვინ არ მოიმდურა,  
იქნებ ხვალ მეც შემელიოს...  
ყველა კრულავს – დაიქცაო  
მაგის გამომცემელიო.“

ნათქვამია – ავი ქალის ყოლას ავი ძალის ყოლა სჯობსო. მტრის სახლში შევიდა ენამრავალი, გაუნონასწორებელი, არჯალი, კადნიერი ქალი, რომელსაც მართლა შეუძლია ოჯახის წევრები ერთმანეთს გადაამტეროს, ოჯახი არიოს, სხვადასხვა ოჯახები ერთმანეთს დანასისხლად გადაჰკიდოს ენების მიტან-მოტანით. ასეთი ქალის ტიპიური სახე მოცემულია ხალხური მელექსის ირინე ხურციძის (დიხაშხო) ლექსში „დარია“:

„ენაჭარტალა დარია  
მოხერხებული ქალია,  
თავისი ბილნი ენითა  
ბევრი ოჯახი არია,  
ვისთვის წვიმა და კოხია,

ვისთვის გრიგალი, ქარია,  
რა ვუყოთ, რა მოვუხერხოთ,  
მის ენას არ აქვს ძვალია,  
აქამდე ვერ გაგვიგია  
აფთარია თუ ქალია?!“

აშარი ქალისაგან ყველას ოთხივ კუთხივ ჯვარი ეწეროს, დიდია მისი „შემოქმედებითი“ პოტენციალი. ისეთ განსაცდელსა და მწუხარებაში, უბედურებაში ძალუმს ჩააგდოს კაცი, რომ გაჩენის დღე აწყევლინოს.

მას შეუძლია, როგორც ავტორმთქმელი ჯანი დადუნაშვილი (ვანი, ამაღლება) წერს: „ენის წვერით შეჭამანდის გამწარება. ენის წყალში ჩაყოფით წყლის მონამვლა და მერე იმ წყალში თევზის დაჭერა. ენის ხმალივით მოქნევა (რაც ძალზე საშიშია), ენით კაცზე კაცის დანასისხლად გადაკიდება, ენით სიკვდილი, ენით დაქცევა, ენით აშენება... ენით შეძლება, ენაზე დაგროვილი შხამით ორგანიზმის მონამვლა, ენით ბოთლიდან სიმინდის მარცვლის ამოღება, ენის ქარზე გასაშრობად გადაკიდება (აუცილებელია ჭორიკნებისთვის), ენით ზურგის მოფხანა...“ და ა.შ.

ავი ენის პატრონ, თვალბედით, გულხენემ, ყიამყრალ, ენამწარე ქალზე საშიში არაფერია ამ ქვეყანაზე. ის ყველას საქმეში ცხვირს ჰყოფს, ყველას ასავალ-დასავალს ჰკითხულობს, ნამდვილი არამკითხე მოამბეა, რომელიც უთუოდ ღირსია მიბეგვის და მიგდების. სინდის-ნამუსდაკარგულს, ჭორიკანას, ენადაუბმელს გვარიანად ხელენიფება მავანთა და მავანთა

განსჯა-განკითხვა და ყოველგვარი მწარე ეპითებით შემკობა. უკეთესად, ალბათ, ბარეორი ვერ გადმოგვცემს ისე ასეთი ქალის შინაგან ბუნებას, როგორც ეს მოახერხა მელექსე ჯანი დადუნაშვილმა ამ ექვსსტროფიან ფელეტონში:

„თუკი სადმე მოგკრა თვალი,  
მშვიდად რალა გააჩერებს,  
ენას ქარზე გადააფენს –  
გაგაჭენებს!

ასე უცებ სად გაიგებ –  
ათანასე ნინოს დასდევს,  
ან ზოსიმეს ანცი ციცა  
შეყვარებულს სიტყვას აძლევს.

ივანემ თუ აწყენინა  
მეზობელს და მისიანებს...  
შენ რად სწუხარ? – გეკითხები! –  
ნერვებს რატომ გვიზიანებ?

ამბობ: — ვაჟა მელოტია,  
ვახტანგი კი — ენაძვირი,  
ზურა გახდა — მშიერია!  
თუ გასუქდა — გაბლენძილი!

რას დაეძებ პეტრეს ცოლი  
მინარნარებს თუ ძუნძულებს?  
ნუნუ ენატარტალაა,  
თუ აკვირინე ბლუკუნებს?!

ტირის, მღერის თუ იცინის  
ალათი ან მარუსია,  
ყველაზე შენ ჭორიკანობ, —  
მითხარ, ეს რა ნამუსია?!”

ერთი ან ორი ენამრავალი, ჭორიკანა ქალი ყველა სოფელს ჰყავს. მის ყბაში ჩემი მტერი ჩავარდა, სულში ეშმაკი ჰყავს ჩასახლებული, ხშირად აცდუნებს და ამიტომაც ვინმეს კბილი რომ არ გაჰკრას, არ გააქილიკოს — არ იქნება. წყევლა-კრულვა ხომ გვარიანად ეხერხება — მისი თანდაყოლილი სენია. ასეთი ქალისგან თავი რაც შეიძლება შორს უნდა დავიჭიროთ — გვირჩევს მელექსე ბორის თუთაშვილი:

ყველასგან გამორჩეული  
მეზობელი მყავს ქსენია,  
წყევლა და კრულვა იმისი  
თანდაყოლილი სენია.  
სოფლის ქალები კვირობენ:  
„ჩვენ რალას გვერჩის, ნეტავი?“  
არავინ დარჩა სოფელში  
ქსენიას გაუკენწლავი.  
არ შეეპუა-მეზობლის  
ქალმა გალანძლა ქსენია;  
შეიპყრო ცოლი-და ქმარი,  
აყარა შავი დღენია:  
მეუღლე არაკაცი გყავს,  
იმას დაუდგეს თვალიო,

შენ მარტო ქალის ფორმა ხარ,  
არა – ოჯახის ქალიო.  
დიდი ხანია მეუღლის  
ვიცი რომ არ გაქვს რიდიო,  
და ხშირად გიდგას ჭიშკართან  
მამაკაცების რიგო.  
ტილო, მართლა ღირსი ხარ  
სამჯერ ქმარგამონაცვალი,  
ჭიშკარზე ჩამოგიკიდონ,  
შენი კაბა და საცვალი.  
არ გაგიმრავლდეს ჯალაში,  
აღარც იხვი და ბატია...  
ვერიდოთ ყველამ ქსენიას,  
ის წყევლის დიდოსტატია.

ვასრულებ რა კაპას ქალზე საუბარს, მინდა მამაკაცებს კიდევ ერთი რჩევა მივცე, სანამ ცოლად მოიყვანდეთ – კარგად შეისწავლეთ მისი ზნე და ხასიათი, გუნება-განწყობილება, ინტერესთა სფერო, ჩვეულება, გატაცება. ქალი უნდა იყოს სათნო, კდემამოსილი, ზრდილი.

სუსტი სქესის წარმომადგენელთა შორის, ისევე როგორც მამაკაცთა შორის, კარგიც ბევრია და ცუდიც. ცოტა გაგვიგრძელდა სიტყვა კაპას, აშარ ქალებზე, მაგრამ, საერთოდ არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ „ქალის ადგილი ოჯახია. (ცხადია, თუ იგი არ გადაწყვეტს, რომ მთელი ცხოვრება უფალს მიუძღვნას). ოჯახი მისი საკურთხეველია, მისი სანმიდაო, მთელი მისი შემოქმედებითი ძალისხმევის ცენტრი. ერთი მხრივ ეს რუტინული, შეუმჩნეველი სამუშაოა, რომლითაც ყველა სარგებლობს და თითქმის არავინ აფასებს. მეორეს მხრივ კი – იგი თითქოსდა სამყაროს ღერძია, რომლის გარშემოც ყველაფერი ბრუნავს, ქალი – დედა, ქალი – დიასახლისი, ქალი – მოსიყვარულე მეუღლე, ეს არის არსება, რომელსაც მთელი სამყარო ხელისგულზე უკავია.“

კრებული „მატიანე“ აგრძელებს საუბრებს წარმოშობით იმ ვანელ მეცნიერებზე, რომლებმაც თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს ან შეაქვეთ არამართო ქართულ, არამედ ზოგადსაკაცობრიო მეცნიერების საგანძურში.

საბედნიეროდ, ვანის რაიონს ძალიან ბევრი ჰყავს ასეთი, დაახლოებით 300-ზე მეტი და ვცდილობთ გზადაგზავს ვისაუბროთ მათზე, გავაცნოთ ეს ადამიანები ფართო საზოგადოებას.

რუბრიკას, „გამოჩენილი მეცნიერები ვანიდან“, უძღვება „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, პროფესორი, ბატონი თეიმურაზ ადანიშვილი.

ხოლო, რაც შეეხება აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძეს, რომლის შესახებაც ამავე ნომერში გვაქვს საუბარი და უდავოდ დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული და არამართო ქართული პედაგოგიური მეცნიერების განვითარებაში, მასზე მასალები მოგვანოდა პროფესორმა, ბატონმა ომარ ძაგნიძემ (ასევე კრებულ „მატიანეს“ დამფუძნებელმა და სარედაქციო კოლეგიის წევრმა). სტატიის ავტორია ნაპოლეონ ლორთქიფანიძე, სალხინოს საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი.

ცნობისათვის აღვნიშნავთ: 1930-იანი წლების პირველ ნახევარში აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე იყო ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე. მის სახელს უკავშირდება ვანის №1 საჯარო სკოლის მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება. ეს სკოლა თითქმის 1930-იანი წლების ბოლომდე წარმოადგენდა ერთადერთ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას რაიონში. აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის წვლილია ვანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გადატანაში სოფელ შუამთის ტერიტორიაზე და ამ სასწავლებლის სრულყოფა, ასევე სოფელ სალხინოს (იმდროინდელი) არასრული საშუალო სკოლის დაარსების საქმეში.

**თეიმურაზ ადანიშვილი – პროფესორი**

**პროფესორი გიორგი სულაქველიძე**

გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის იალბუზის ექსპედიციის მონაწილეებმა. ამ ექსპედიციის გამოკვლევების საფუძველზე 1961 წელს ჩამოყალიბდა სსრკ **სახკომჰიდრომეტის მალალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტი**. იალბუზის ექსპედიციის მონაწილეების, აკადემიკოსების **ა. იოფეს, ს. ვავილოვის, გ. ფრანკის, ი. ფრანკის, ა. ლებედვის, პ. ჩერენკოვისა** და სხვების ატმოსფეროს ოპტიკის დარგში და სხვა მიმართულებებში განხორციელებული აღმოჩენები, გარდა ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისა, გამოიყენებოდა თავდაცვის მიზნებისათვის.

„იალბუზელებმა“, როგორც ისინი თავისთავს უწოდებდნენ, საბჭოთა ქვეყანაზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ გადადეს სამეცნიერო მუშაობა და გახდნენ დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილეები. ზოგიერთმა მათგანმა შეუფასებელი წვლილი შეიტანა ფაშიზმზე გამარჯვებაში:

აკადემიკოსი **ევგენი ფიოდოროვი** – ცნობილი პოლარელი, საბჭოთა კავშირის გმირი, ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის ჰიდრომეტსამსახურს 1939-1947 და 1962-1974 წლებში, ხოლო 1941-1945 წწ. სათავეში ედგა წითელი არმიის, ჰიდრომეტსამსახურის მთავარ სამმართველოს, რომელიც უზრუნველყოფდა მეტეომონაცემებით მოქმედ არმიას, ავიაციას, ფლოტსა და საზღვაო გადაზიდვებს. 1943-1962 წლებში იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის იალბუზის ექსპედიციის უფროსი.

პროფესორი გიორგი სულაქველიძე – იალბუზზე ლეგენდარული ასვლის, იქედან ფაშისტური დროშის ჩამოხსნისა და საბჭოთა დროშის მწვერვალზე აღმართვის მონაწილე. იმის შემდეგ ის გახდა მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხელმძღვანელობდა იალბუზის ექსპედიციას,

1961 წ. ექსპედიციის ბაზაზე შექმნა მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტი, გახდა ცნობილი მეცნიერი თოვლისა და სეტყვის ფიზიკის დარგში, ჩამოაყალიბა ფიზიკური წარმოდგენა სეტყვის წარმოშობის მექანიზმზე, სეტყვასთან ბრძოლის საარტილერიო მეთოდი. არის ღრუბლები-სა და სეტყვაზე ზემოქმედების ფიზიკის სკოლის ჩამომყალიბებელი, წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

ასევე ძალზე დიდია იალბუზის ექსპედიციის სხვა ომის ვეტერანი მონაწილეების წვლილი მეცნიერების სხვადასხვა დარგში და მათ შორის, ატმოსფეროს ფიზიკაში. ესენია: **ი. ფრანკი, ს. როდინოვი, ნ. სიროტინი, ვ. ვექსლერი, გ. ვლადიმეროვი, ნ. კალიტინი, ა. გორდოვი, ი. ხვოსტიკოვი, ლ. ლევინი, ე. სელეზნიოვი** და სხვები.

ბევრმა არც კი იცის, რომ გამოჩენილი მკვლევარი და ლეგენდარული მთამსვლელი, რომლის დაბადებიდან 105 წელი შარშან შესრულდა, წარმოშობით ვანის რაიონის სოფელ მთისძირიდან-აა. ამის შესახებ მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში არაა მითითებული, მაგრამ მისმა ქალიშვილმა, ასევე ცნობილმა მეცნიერმა და ჩემმა უნივერსიტეტელმა მასწავლებელმა და შემდეგ კოლეგამ პროფესორმა იანინა სულაქველიძემ (ნათელში იყოს მისი სული) მიაგმო.

მეცნიერებისა და ტექნიკურ დარგში სტალინური პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის ჩამომყალიბებელი პროფესორი გიორგი კონსტანტინეს-ძე სულაქველიძე დაიბადა 1913 წელს გამოჩენილი პედაგოგის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში. დიდმა სამამულო ომმა შეწყვიტა მისი სწავლა. სამშობლოს დამცველთა რიგებში ბატონი გიორგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბრძოლო მოქმედებებში კავკასიის მისადგომებთან საპოლკო დაზვერვის უფროსისა და ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორის რანგში.

მთებში ბრძოლები განსაკუთრებულია, რამდენადაც თვით მთები და ხეობები შეიძლება გახდნენ მტრებიც და მოკავშირეებიც. ისინი რომ მოკავშირეები იყვნენ, საჭიროა მთებში არსებული დამრეცი კალთებისა და მწვერვალების კარგად მცოდნე ხალხი. უმაღლესი მთავარსარდლის **ი. სტალინის** მიერ კავკასიის ფრონტისათვის უკიდურესად მძიმე მომენტში სპეციალურად მოვლინებული **ლ. ბერიას** ბრძანებით ასეთ ხალხს სპეციალურად არჩევდნენ და ფრონტის ყველაზე მნიშვნელოვან უბნებზე გზავნიდნენ. ასეთ რჩეულთა შორის იყო ალპინიზმთან, სამთო თხილამურებთან, ტოპოგრაფიასთან და მთებში ორიენტირებასთან, შენიღბვასთან და გადაადგილებასთან კარგად გაცნობილი გიორგი სულაქველიძე. აქ გამოადგა მას ფიზიკისა და ტოპოგრაფიის ცოდნა და ასპირანტი გახდა ალპინისტი.

1942 წლის 20 აგვისტოს ამიერკავკასიის ფრონტმა მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება კავკასიონის მთავარი ქედისა და ძირითადი გადასვლების დაცვის შესახებ. მაგრამ ამ დროისთვის ზოგიერთი გადასასვლელი უკვე დაკავებული იყო მოწინააღმდეგის მიერ, ხოლო 1942 წლის 21 აგვისტოს კაპიტან **გროტის** ჯგუფმა სპეციალურად მომზადებული ეგერების მონაწილეობით უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე ორი გერმანული დროშა აღმართა. მთელ გერმანიაში აღმართეს დროშები და ზეიმობდნენ გამარჯვებას. გაზეთები წერდნენ: „იალბუზის დამორჩილება აგვირგვინებს დაცემული კავკასიის დასასრულს!“ იალბუზის დაპყრობას ტაქტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგანაც მის კალთებზე მოკალათებულ ეგერებს შეეძლოთ მუდმივი ცეცხლის ქვეშ ჰყოლოდათ ბაქსანის ხეობის და დონგუზოორუნის გადასასვლელით უკანდახეული ჩვენი ნაწილები.

კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე ოპერატიულად შეიქმნა გადასასვლელთა თავდაცვის წერტილები, რომლებმაც გერმანული სამთო დივიზიის (**კონრადის** დივიზია) ეგერებს საშუალება არ მისცა გადასასვლელიდან დაბლობში დაშვებულიყვნენ და ჩვენი არმიების ზურგში მოქცეულიყვნენ, როცა ისინი ქედის საქართველოს მონაკვეთს იცავდნენ.

ზამთრის პირობებში ამიერკავკასიის ფრონტის შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული ნაწილებიდან ყველა ალპინისტი გაგზავნეს სამთო ბრძოლებში მონაწილეობისათვის. ეს ბრძანება გიორგი სულაქველიძესაც შეეხო, როდესაც ის 242 სამთო მსროლელი დივიზიის ალპინიზმის ინსტრუქტორი იყო. მაშინ არმიაში მყოფი ალპინიზმის ინსტრუქტორი არა უბრალოდ ინსტრუქტორი, არამედ იყო მზვერავიც, გამცილებელიც, მაშველიც, სნაიპერიც და უბრალოდ ჯარისკაციც. მაგრამ პირველ ყოვლისა მის ამოცანაში შედიოდა წითელარმიელთა ალპინიზმისა და სამთო სათხილამურო სპორტში მომზადება. გიორგი სულაქველიძე, ისე როგორც მრავალი სხვა ალპინისტი, მიდიოდა მტრის ზურგში სპეციალურ ჯგუფთან ერთად.

1943 წლის იანვრიდან გიორგი სულაქველიძე კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე დისლოცირებული 106 განსაკუთრებული სამთომსროლელი რაზმის ოფიცერი და ალპინიზმის მთავარი ინსტრუქტორია. რაზმი კონრადის ეგერებისაგან იცავდა დონგუზოორუნისა და ბასას იალბუზისპირა გადასასვლელებს და უშუალოდ იდგა იალბუზზე მოკალათებული კაპიტან გროტის ჯგუფების პირისპირ.

იალბუზთან ბატონი გიორგი ებრძოდა არა მარტო გერმანელ ეგერებს. ერთხელ, მიუხედავად ალპინისტთა არაერთი გაფრთხილებისა ნამქერების დროს გაუდგა გზას. ერთ-ერთ საშიშ მონაკვეთზე ზვავმა გადაუარა კოლონას და მთლიანად დაფარა ის. ამის შეტყობინებისთანავე გიორგი სულაქველიძე მეგობარ ალპინისტთან ა. გროზნოვთან ერთად მყისვე გაემუშვნენ დასახმარებლად. დიდი შრომისა და აზრიანი მცდელობის შემდეგ რამდენიმე ზვავქვეშ მოხვედრილი სიკვდილს გადაარჩინეს.

1943 წლის ბოლოს რთული საბრძოლო მდგომარეობისას ალპინისტთა ჯგუფმა გიორგი სულაქველიძის მონაწილეობით იალბუზზე ასვლა განახორციელა, ფაშისტური სვასტიკიანი დროშა ჩამოხსნა და წითელი დროშა აღმართა.

ომის პერიოდში მრავალი ასეთი საბრძოლო გმირობა ჩაუდენიათ ალპინისტებს და მათ შორის ბატონ გიორგი სულაქველიძესაც, რისთვისაც არაერთხელ დაუმსახურებიათ მთავრობის ჯილდოები და მადლობები.

ომის შემდეგ დაამთავრა ასპირანტურა და 1947 წელს დაიცვა დისერტაცია ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1948 წლიდან ბატონი გიორგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ მეცნიერებათა სწავლული მდივანია, ხოლო 1951 წლიდან აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე – სამეცნიერო ნაწილში. აქვე მოამზადა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც წარმატებით დაიცვა 1955 წელს, ხოლო 1957 წელს პროფესორის წოდება მიანიჭეს.

1955 წლიდან გიორგი კონსტანტინეს ძე მუშაობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი გეოფიზიკის, ინსტიტუტის იალბუზის კომპლექსური ექსპედიციის უფროსად. მისი ხელმძღვანელობით იალბუზის ექსპედიცია გადაიქცა დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით მაღალმთიან გეოფიზიკურ ინსტიტუტად, რომლის დირექტორადაც მუშაობდა 1970 წლამდე. 1955-1960 წლებში ის უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს იალბუზზე თოვლის საფარისა და ზვავების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლის მიმართულებით. მისი ინიციატივით იალბუზის ძირას ჩამოყალიბდა თოვლისა და ზვავების ფიზიკის შემსწავლელი ლაბორატორია, ჩატარდა თოვლის თბოგამტარობის, ნამქერებისა და ზვავების თანმხლები საჭაერო ტალღების შესაბამისი კვლევები.

პროფესორ გიორგი სულაქველიძისა და მისი მოსწავლეების მიერ განხორციელდა თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები თავსხმა წვიმებისა და სეტყვის წარმოშობის მექანიზმების შესწავლის კუთხით და სეტყვის პროცესებზე ზემოქმედების მეთოდების შემუშავების მიმართულებით. გიორგი სულაქველიძისა და მისი მოსწავლეების მიერ დამუშავებული სეტყვის დროს მიმდინარე თეორიული საკითხები და მათ მიერ შემოთავაზებული მექანიზმები ფართოდ

განიხილა მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებამ და ის ჩართული იქნა როგორც ძირითადი ამინდის მოდიფიკაციის ცნობაში მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ. **გიორგი სულაქველიძის** მიერ დამუშავებული სეტყვასთან ბრძოლის მეთოდი 1968 წელს წარდგენილი იქნა **სტალინურ** (სახელმწიფო) პრემიაზე, რაც მალევე დაიმსახურა კიდევ, ხოლო 1972 წელს თავსხმა წვიმების, სეტყვისა და ჭექა-ქუხილის პროგნოზის თერმოდინამიკური მეთოდის დამუშავებისათვის მას **ბ. მულტანოვსკის** პრემია მიენიჭა.

საერთოდ, პროფესორ **გიორგი სულაქველიძეს** გამოქვეყნებული აქვს 5 მონოგრაფია და 150-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, თანაც მისი ოთხი მონოგრაფია გადათარგმნილია ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ, პოლონურ და სხვა ენებზე. სხვადასხვა ხელსაწყოებისა და მეთოდების შექმნისათვის მას ხუთი საავტორო მოწმობა აქვს მიღებული.

1970 წლიდან პროფესორი **გ. სულაქველიძე** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგებდა მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და ოკეანოლოგიის კათედრას. ის მთელი თავისი სიცოცხლე ამზადებდა ახალგაზრდა მეცნიერებს. დაცული აქვს რამდენიმე ათეული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ბატონი **გიორგი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საკანდიდატო ხარისხების მიმნიჭებელ სადისერტაციო საბჭოს გეოფიზიკისა და ტექნიკის მიმართულებით. სწორედ, აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობაც. მე, 1981 წელს მოვამზადე საკანდიდატო დისერტაცია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური გამოკვლევების ინსტიტუტში, ჩემს დირექტორთან და ფაქტიურად, მოძღვართან, აკადემიკოს ევგენი ხარაძესთან და უშუალო ხელმძღვანელთან პროფესორ **გიორგი მანაგაძესთან** კონსულტაციის შემდეგ, დისერტაცია დასაცავად ბატონ **გ. სულაქველიძის** საბჭოზე წარმოვადგინე. მან დაწვრილებით გამომკითხა წარმომავლობა და როდესაც გაიგო ვანიდან ვიყავი – ჩაიღიმა (მაშინ არ ვიცოდი თუ ისიც ვანიდან იყო წარმოშობით), მამაშვილურად დამარიგა და რამდენიმე რჩევაც მომცა. დაცვამაც წარმატებით ჩაიარა. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე მისი ქალიშვილი ქალბატონი იანინა გახლდათ. მან პირველმა მახარა დისერტაციის 100%-იანი ხმებით დაცვა. ბატონმა **გიორგიმაც** მომილოცა და წარმატებები მისურვა.

მეცნიერებაში და პედაგოგიურ მოღვაწეობაში მიღწეული წარმატებისათვის პროფესორი **გიორგი სულაქველიძე** დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, ექვსი მედლითა და საპატიო ნიშნით.

როგორც ყველა მკვეთრი სამოქალაქო მოვალეობით აღჭურვილი მეცნიერული იდეებით შეპყრობილი ადამიანი, პროფესორი **გიორგი კონსტანტინეს** ძე **სულაქველიძე** გახლდათ ძალიან მომთხოვნი თავისა და მოსწავლეების მიმართ, არა მარტო მეცნიერებაში, არამედ ყველაფრისადმი, რაც კი შეეხებოდა მეცნიერულ ეთიკას, წესიერებას და საერთოდ, ზოგადსაკაცობრიო ცნებებს.

ისიც ნიშანდობლივია, რომ მრავალი წელია მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტის მეცნიერები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკოსები, თანმიმდევრულად ავითარებდნენ და აგრძელებდნენ განხორციელებას იმ იდეებისა, რომლითაც ასე მდიდარი იყო როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ, ფართოდ ცნობილი ეს სახელოვანი მეცნიერი.



**ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი მკითხველსა და საზოგადოებას წარუდგენს კიდევ ერთ შესანიშნავ ვანელ თანამემამულეს, მეცნიერსა და მოლ-ვანეს, ვანსა და ვანელებზე (მთლიანად საქართველოზე) უზომოდ შეყვარებულ პიროვნებას (ამ სიტყვების ფართო გაგებით) პროფესორ – ანზორ შარაშენიძეს.**

ანზორ შარაშენიძე დაიბადა 1949 წლის 12 მარტს. 1966 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 46-ე საშუალო სკოლა წარჩინებით. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში ავტომატური ელ. კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1975 წელს. სწავლასთან ერთად პარალელურად მუშაობდა. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1966 წელს. საქმიანობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, აქვს, როგორც პრაქტიკული, ასევე პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის საერთო სტაჟი. 1987 წელს დაამთავრა მოსკოვის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა. 1990 წლიდან არის სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი. 1991 წელს დააარსა საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ასოციაცია და დღემდე არის მისი უცვლელი პრეზიდენტი.

გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი ნაშრომი. მოხსენებით გამოდიოდა, როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებზე. ავტორია ერთი მონოგრაფიისა და ოთხი დამხმარე სახელმძღვანელოსი.

1992 წლის აგვისტოდან არის ტექნიკურ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი.

1996 წელს დააფუძნა და არის თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მეუღლე – ანა დავითის ასული მამაცაშვილი

დაბადებული – 1952 წელს, დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი სპეციალობით ბიოქიმიკოსი. 1991 წელს დაამთავრა ასპირანტურა. ამჟამად, არის თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

შვილი – ილია ანზორის-ძე შარაშენიძე დაბადებული 1979 წელს, დაამთავრა საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი, არის ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი.

შვილი – ლაშა ანზორის-ძე შარაშენიძე დაბადებული 1981 წელს. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

**პროფესიული გამოცდილება:**

თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დამფუძნებელი და რექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**პედაგოგიური გამოცდილება:**

1976 წელიდან დღემდე ტელეკომუნიკაციის მოდულების სასწავლო კურსების წამყვანი ლექტორი.

**განათლება:**

1975 წელი – კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი, ავტომატური ელექტროკავშირის ფაკულტეტი (მოსკოვი, რუსეთი).

1987 წელი – კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტი, ავტომატური ელექტროკავშირის ფაკულტეტი, ასპირანტურა (მოსკოვი, რუსეთი).

1999 წლიდან დღემდე თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

**მონოგრაფიები და სამეცნიერო ნაშრომები:**

– 1 მონოგრაფიის; 4 სახელმძღვანელოს და 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი:

**– ჯილდოები:**

26. 03. 2019 წ. საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“ არჩეულია აკადემიის აკადემიკოსად

29.04. 2019 წ. დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს, ანზორ შარაშენიძეს მიენიჭა ავსტრიული საზოგადოების საპატიო პრეზიდენტის წოდება კავკასიური კვლევებისათვის.

12.12. 2016 წ. ხარისხის კვლევის ევროპული საზოგადოების ჯილდო- ოქროს პრიზი ხარისხის განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის. (გერმანია).

01.05. 2016 წ. ევროპის საგანმანათლებლო ორგანიზაციის ჯილდო საერთაშორისო ვარსკვლავი – ხარისხის მიმართულებით ლიდერობისა და ინოვაციური მიდგომებისათვის“ (საფრანგეთი)

2013 წ. იერუსალიმის უნივერსიტეტის საპატიო ჯილდო (ისრაელი).

2012 წ. ა.ი. გერცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საპატიო ჯილდო(რუსეთი).

2010 წ. საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაცია „Publicaciones de Comercio Internacional, S.A. `Actualidad“-ის პრესტიჟისა და ხარისხის საერთაშორისო ჯილდო „ოქროს არწივი“ განათლების სფეროში მიღწეული წარმატებისა და საუკეთესო მენეჯმენტისთვის (თურქეთი).

2010 წ. ურმიის უნივერსიტეტის საპატიო ჯილდო (ირანი).

28.08.2004 წ. „წმინდა გიორგის“ საიუბილეო ორდენის კავალერი.

09.10.2002 წ. საქართველოს პრეზიდენტის ჯილდო-ღირსების ორდენი უმაღლესი განათლების სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის

1993 წ. კავკასიის უნივერსიტეტის საპატიო ჯილდო (აზერბაიჯანი)

#### **წევრობა:**

2016 წ. საერთაშორისო საზოგადოება „International Star for Leadership in Quality (ISLQ)-ს საპატიო წევრი.

02.05.2016 წ. ვენის კავკასიოლოგიის ცენტრის საპატიო წევრი(ავსტრია).

2015 წ. სამართლის უნივერსიტეტის საპატიო წევრი (კიევი, უკრაინა).

2015 წ. უკრაინის საპატრიარქოს სასულიერო აკადემიის საპატიო წევრი (კიევი, უკრაინა).

2010 წ. კლასიკური კერძო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ძალაუფლების კვერთხის კავალერი (უკრაინა).

18.02.2009 წ. საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

10.03.2009 წ. საქართველოს ეროვნულ და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

22.04.2008 წ. საერთაშორისო რექტორთა საბჭოს დამფუძნებელი (უკრაინა, ოდესა).

2006 წლიდან მსოფლიოს უნივერსიტეტთა ასოციაცია – IAU (International Association of Universities) -ს წევრი.

2006-2011 წ.წ. საქართველოს უნივერსიტეტების რექტორთა საბჭოს დამფუძნებელი და თავმჯდომარე.

2005 წლიდან პერიოდული სამეცნიერო ჟურნალ „აღმაშენებელი“-ს დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი.

20.06.2004 წ. მეცნიერებათა აკადემია „ფაზისის“ ნამდვილი წევრი.

2000 წლიდან გაზეთ „აღმაშენებელი“-ს დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი.

1991 წლიდან საქართველოს კავშირგაბმულობის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

1990 წლიდან დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი და პრეზიდენტის წევრი.

#### **სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:**

1992 წლიდან 30-ზე მეტი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

#### **საქველმოქმედო საქმიანობა:**

2015 წლიდან ხონის რაიონის სოფელი ივანდიდის წმ. მარიაშვილის სახელობის ეკლესიის მშენებლობა.

2007 წლიდან კოჯორის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის პატრონაჟი.

2007 წლიდან ახალქალაქის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის პატრონაჟი.

2006 წლიდან თელავის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის პატრონაჟი.

1996 წ. ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის რესტავრაცია.

1992-1996 წ.წ. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანის მთვარანგელოზის სახ. ეკლესიის რესტავრაციაში თანამონაწილეობა.

**ნაკოლეონ ლორთქიფანიძე** – საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, სალხინოს საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი

### დიდი პედაგოგი, აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე

დავით ონისიმეს ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1905 წლის 18 მარტს ვანის რაიონის სოფელ სალხინოში. ცხრა წლის იყო როცა მამა გარდაეცვალა. იზრდებოდა ობლობასა და სიღარიბეში. 1912 წელს იგი შეიყვანეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. 1918-1921 წლებში სწავლობდა ვანის ახალგახსნილ გიმნაზიაში, 1923 წელს დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარული ტექნიკუმი (ყოფილი ქართული გიმნაზია). იმავე წელს კი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1927 წელს.

დავით ლორთქიფანიძემ მითითებული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაიწყო შრომითი საქმიანობა სახალხო განათლების დარგში და გარდაცვალებამდე ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. მან დიდი გზა განვლო დაწყებითი სკოლის მასწავლებლობიდან აკადემიკოსობამდე: საგარეჯოს რაიონის სოფელ თოხლიაურის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი (1923-1924 წ.წ), კოჯრის დაწყებითი სკოლის გამგე (1924-1925 წ.წ), ქვემო ავჭალის გლეხთა ახალგაზრდობის შვიდწლედის სკოლის გამგე (1925-1928 წ.წ), თბილისის 44-ე საცდელ-საჩვენებელი სკოლის ისტორიის მასწავლებელი და ქალაქ თბილისის ქართული სკოლების საზოგადოებათა მეცნიერებების მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანების თავმჯდომარე (1928-1929 წ.წ), თბილისის განათლების განყოფილების მთავარი ინსპექტორ-მეთოდისტი და პედაგოგიური სექტორის გამგე (1929-1932 წ.წ), ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე (1933 წ.), საქართველოს სსრ განსახკომის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების სექტორის გამგე და უმაღლესი სკოლის სამმართველოს უფროსის მოადგილე (1933-1937 წ.წ), შეთავსებით პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ამავე პერიოდში საქართველოს სსრ პედაგოგიკის ინსტიტუტის ასპირანტი.

დავით ლორთქიფანიძე 1937 წლიდან სიკვდილამდე განუწყვეტლივ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტად (1937-1948 წ.წ), პროფესორად (1943-1963 წ.წ), პედაგოგიკის კათედრის გამგედ (1963-1985 წ.წ), პროფესორ-კონსულტანტად (1985 წლიდან სიკვდილამდე). უნივერსიტეტში მუშაობასთან ერთად დ. ლორთქიფანიძე იყო საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჯერ დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1939-1943 წ.წ), ხოლო შემდგომ დირექტორი (1947-1960 წ.წ)

1944 წელს უნივერსიტეტმა სამი წლით მიავლინა ქალაქ მოსკოვში რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის დოქტურანტურაში სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად და დასაცავად.

ბატონმა დავითმა, პირველმა ქართველმა დაიცვა პედაგოგიკის სპეციალობაში საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები თემებზე: „ი. ა. კომენსკის დიდაქტიკა“ და „კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება“ (მოსკოვი 1937, V; 1947, I). კ. დ. უშინსკის შესახებ ეს პირველი სადოქტორო დისერტაცია იყო და საერთოდ პირველი დისერტაცია სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

იგი ასევე პირველი ქართველი მეცნიერია, რომელიც არჩეულ იქნა პედაგოგიკის სპეციალობაში რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (1968 წ) და ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად (1974 წ).

ბატონი დავითი, როგორც კომენოლოგი, ბრატისლავის კომენსკის და პრადის კარლოსის

სახელობის უნივერსიტეტების სენატებმა აირჩიეს ამავე უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად (1969-1970 წ.წ.).

მას 1960 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ კავშირის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა აქვეყნებს შრომებს პედაგოგიურ პრესაში. 1925 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი ბროშურა თემაზე „გოგია უიშვილი – ლიტერატურული გასამართლება“. 1929-1936 წ.წ. ლ. ციხისთავთან, შ. სიხარულიძესთან და ვ. ბახტაძესთან თანაავტორობით ორ წიგნად გამოდის „კლასთა ბრძოლის ისტორია“, სახელმძღვანელო ათწლეულებისა და ტექნიკუმის უფროსი კლასებისათვის.

დავით ლორთქიფანიძე ავტორია 200-ზე მეტი შრომისა, აქედან 30-მდე ცალკე წიგნის და საშუალო და უმაღლესი სკოლის რამდენიმე სახელმძღვანელოსი. ამათგან მრავალი გამოქვეყნებულია რუსულ, უკრაინულ, მოლდავურ, სლოვაკურ, ჩეხურ, უნგრულ და სხვა ენებზე. მისი მონოგრაფიები კომენსკისა და უშინსკის შესახებ, რომლებიც გამოქვეყნებულია ზემოაღნიშნულ ენებზე და საყოველთაოდ აღიარებულია ყველაზე ფუნდამენტურ მონოგრაფიებად მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე არსებულ კომენიოლოგიურ და უშინსკოლოგიურ გამოკვლევათა შორის. სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ შეტანილი იყო პედაგოგიკის სპეციალობით ასპირანტთა პროგრამა-მინიმუმში. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შედგენილია და პირველად გამოცემული იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ანტოლოგია. ამ დიდი ქართველი პედაგოგ-კლასიკოსის და მამულიშვილის შესახებ მას დაბეჭდილი აქვს მთელი რიგი შრომები, რუსულ და უცხოურ ენებზეც. გარკვეული წვლილი მიუძღვის გოგებაშვილის სახელის უკვდავყოფაში.

ბატონი დავითის მთავარი რედაქტორობითა და თანაავტორობით პირველად ქართულ ენაზე შეიქმნა პედაგოგიკის კურსის ორიგინალური სახელმძღვანელო და სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის მრავალი თაობა პედაგოგიკას ძირითადად ამ წიგნით სწავლობდა. მას ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული დიდაქტიკის სფეროში. მისი შრომა – „სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები“ გამოცემულია მოსკოვსა და პრალაში.

იგი იყო რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი კომენსკისა და უშინსკის რჩეულ თხზულებათა ტომეულებისა ქართულ, რუსულ და ჩეხურ ენებზე და აგრეთვე, ცალკეულ ავტორთა შრომებისა.

ხშირად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიკურ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში. მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდა სამეცნიერო კადრების მომზადების დარგში. მისი ხელმძღვანელობით, კონსულტაციითა და ოპონირებით პედაგოგიკაში მომზადდა 25-ზე მეტი დოქტორი (მათ შორის მოსკოვიდან, კიევიდან, ბაქოდან, ერევნიდან, პრალიდან) და 60-მდე კანდიდატი; სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სსრ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის პედაგოგიკის სპეციალობაში სადოქტორო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის პედაგოგიკის მეცნიერებათა საექსპერტო კომისიის წევრი. წლების მანძილზე თავმჯდომარეობდა სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ კ.დ. უშინსკის სახელობის პრემიების მიმნიჭებელ კომისიას.

ბატონი დავითი იყო ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის წევრი და სახალხო განათლების სექციის თავმჯდომარე. იგი იყო აგრეთვე, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემის სახალხო განათლების რედაქციის წევრი, პედაგოგიური ენციკლოპედიის ოთხტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვა.

ბატონი დავითი არის ხუთი უმაღლესი ჯილდოს კავალერი:

1957 წელს იგი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა დააჯილდოვა ი. ა. კომენსკის მედლით, 1960 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ ა. ი. კომენსკის ოქროს მედლით, 1960 წელს რსფსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ კ. დ. უშინსკის მედლით, 1960 წელს ის პირველი დააჯილდოვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ იაკობ გოგებაშვილის მედლით, ხოლო 1980 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ივანე ჯავახიშვილის მედლით, ამასთანავე არის სამი პირველი პრემიის ლაურეატი. კ. დ. უშინსკის სახელობის პრემია მიანიჭა სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შრომისათვის „იან ამოს კომენსკი“, 1970 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია შრომისათვის „კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება“ 1980 წელს, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმმა შრომებისათვის ი. გოგებაშვილის ცხოვრებასა და პედაგოგიკურ მემკვიდრეობაზე – 1980 წელი.

ბატონი დავითი აქტიური საზოგადო მოღვაწე იყო. იგი 10-ჯერ იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად (II-XII მოწვევის) დღიდან დაარსებისა (1961-1985), იყო საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, ასევე დღიდან დაარსებისა (1958-1988) იყო საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საკავშირო გამგეობის წევრი და ამავე საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე. მრავალი წლის მანძილზე იყო საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ პრეზიდიუმის წევრი.

**აღსანიშნავია, რომ ბატონი დავითის ინიციატივით 1933 წელს, როცა იგი ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე იყო, რაიონის ცენტრში – ვანში, რაიონის ყველა სოფლის მშრომელთა მიერ გაღებული სახსრებით და შრომითი მონაწილეობით აიგო კაპიტალური სასკოლო შენობა, რომელიც 1933 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა, ეს იყო რაიონში პირველი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. მისივე ხელმძღვანელობით სოფელ სალხინოში დაწყებითი ოთხნობიანი სკოლა 1933 წელს გადაკეთდა შვიდნობიან (კოლმეურნე ახალგაზრდების) სკოლად და სოფლის მიერ ახალ ადგილზე აშენდა სკოლის შენობა, 1961-1964 წლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ამავე ადგილზე ააგო კაპიტალური სასკოლო შენობა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.**

ბატონმა დავითმა საკუთარი სახსრებით და თავისი უბნის მოსახლეობის შრომითი მხარდაჭერით სოფელ სალხინოში, მდინარე სულორზე 1956 წელს ააგო სამთვლიანი წისქვილი „სიკეთე“, რომელიც ემსახურებოდა მეზობელ სოფლებსაც.

ვანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბატონი დავითი არჩეულ იქნა ვანის საპატიო მოქალაქედ.

სოფელ სალხინოს საშუალო სკოლას მინიჭებული აქვს აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის სახელი.

ბატონი დავითი გარდაიცვალა 1992 წელს. დასაფლავებულია თბილისში.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“

### **მადლობას უხდის:**

- ვანის მუნიციპალიტეტის მერიასა და მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე გოგორიშვილს კრებულ „მატიანეს“ მე-15 ნომრის გამოცემაზე ფინანსური დახმარებისათვის.
- ივანე მამფორიას – მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსს.
- „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.
- „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.
- ვანის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს.
- სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.
- მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

---

**რედაქტორი – ომარ კაპანაძე** (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

### **სარედაქციო კოლეგია:**

**გურამ ყიფიანი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

**თეიმურაზ სურგულაძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

**თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

**ომარ ძაგნიძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ურია დვალისხილი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ლუკა დვალისხილი** – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

**ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

**რედაქტორ-გამომცემელი – ბეჟან ნაქაძე**  
**ზაურ თათვიძე**

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მყავანაძე.**

კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე.**

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძე**

**კრებულში გამოქვეყნებულ მასალების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი**

**კრებული გამოდის 2014 წლიდან**



დაკაბადონდა და დაიბეჭდა  
შპს „მბმ-პოლიგრაფის“ მიერ  
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186  
ტელ.: 0 431 23 45 54